

მეფობა

8

*საბჭოთა*

ლიბერალურ-მხატვრული-საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ჟურნალი

საქართველოს ალკ. ც. კ-სა და  
მშვიდობის კავშირის ორგანო

8977

### შ ი ნ ა კ რ ს ი

მ. იოსელიანი — ავტოპორტრეტი ქალიშვილები . . . . .	3
ზ. ლორთქიფანიძე — ლექსები . . . . .	13
თ. გომგორაძე — ხოჯერაანი (მოთხრობა დასასრული) . . . . .	16
ზ. შერაზადიშვილი — ლექსები . . . . .	48
ა. ბელიაშვილი — ვეფხია ხალიბური (რომანი) . . . . .	51
ვ. ჯავახიძე — ლექსები . . . . .	86

\* \* \*

ბ. სანაღირაძე — ფირალის სიკვდილი . . . . .	89
--	----

#### მეშუარეობა

შ. დადიანი — რაც გამახსენდა (გაგრძელება) . . . . .	96
--	----

#### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ს. ჰილანი — კონსტანტინე გამსახურდია . . . . .	108
დ. თუხარაძე — დადებითი გმირის შესახებ ქართულ საბჭოთა პროზაში . . . . .	128
თ. ბეგიაშვილი — ქართული მკვლევრებთან ლება . . . . .	133


8

1959

ავვისტო

სახელმწიფო გამომცემლობა

„საბჭოთა საქართველო“





ქ. ჯანაშიაშვილი — მიხეილ ჯავახიშვილის ნა-  
წარმოებების თარგმანები სხვადასხვა ენაზე 187



ხელოვნება

ი. უზნაძე — გვიანდელი ხანის ხის ქართული  
მოხარატებული კარი . . . . . 140

მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი

ა. კარბელაშვილი — ცოტა რამ რობოტებზე 144  
ბ. ჯარღალიშვილი — ახალი გამოკვლევები  
ანტარქტიდაზე . . . . . 148

უოკველი მხრიდან

ქრონიკა . . . . . 153



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,  
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 17/VIII-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 493.  
ში 03648. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 7.000.

მაქარველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკომპლემენტების ბეჭდვით  
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры  
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

## მოხია იოსელიანი

# სწავლების ქარხნები

ჩ ა ნ ა ხ ა ტ ე ბ ი

### შრცხვი ბიზი

დილით ადრე დგება. ძალიან ადრე. როცა სკოლაში დადიოდა, უფრო გვიან დგებოდა. სკოლა იქვე იყო, ორი ფეხის ნაბიჯზე. ახლა ასე აღარაა. წავიდა ის დრო — სკოლის ზარი, სკოლის ეზო, შავი მერხი, თეთრი ცარცი.

ახლა ადრე დგება, ძალიან ადრე. შორსაა ქარხანა, ავტობუსში ტევა არაა. დილით ყველა მიიჩქარის, დილით ყველა იქით ეშურება. ათასობით მუშაა გადასაყვანი, რამდენს გასწვდები, რამდენს ჩაატე მანქანაში. მერე და ეს ბიჭები როგორები არიან, ზედ აწყდებიან, რიგს არ იცავენ. ვითომ ჰო, ერიდებიან გოგონებს, ბოდიშსაც იხდიან, მაგრამ მაინც მიძვრებიან, მკლავში ხელს ჰკიდებენ, მხარზე ადებენ, ჩუმად ნაწნავის ბოლოს უგრეხენ. ერთმანეთს უღიმიან. დასაჯდომს სად იშოვი, ინჯღრევა, თუხთუხებს, ზრიალებს მანქანა... რკინიგზას უნდა გადაუაროს, იქ მიწაყრილია, ცუდი გზაა, შეტორტმანდება, ჩავარდება, შეჩერდება, სიჩქარეს იცვლის და ვიღაც გეჯახება. ახედავ, ბოდიშობს, თან ეშმაკურად იღიმება. როგორ არა რცხვენია, მის წინ გოგონაა. პატარა გოგონა. ახლახან დაამთავრა სწავლა, სულ ათი კლასი. იცის გაკვეთილის მოყოლა, თბილისში ორჯერაა ნამყოფი და ზაფხულობით დადიოდა სოფელში ბებიასთან. იქ თამაშობდა რიკტაფელას, კენჭობანას და მღეროდა. შენ კი დგახარ და იცინი. ამისათვის ის ვერ წაგეჩხუბება, პირიქით, თვითონ წითლდება და წინ უნდა გაძვრეს, მაგრამ ადგილი რომ არაა. უნდა გრცხვენოდეს, ყმაწვილო, კარგი ბიჭი ხარ, მანქანის რყევაში შავი თმა ჩამოგშლია შუბლზე, ღიმილიც გიხდება და ცოტა უნდა გრცხვენოდეს.

ქარხანა ხმაურობს. საამქროში ფუსფუსია, გოგონა იღიმება, ესალმება ნაცნობებს, მიდის დაზვასთან, წმენდს, ასუფთავებს, გუშინაც გაწმინდა წასვლის წინ, ახლაც წმენდს. მოაქვს მასალა. ამავრებს დასამუშავებელ ლითონს, უშვებს ჩარხს და იწყებს მუშაობას. უკვე ყველა იწყებს მუშაობას. მეზობლის სიტყვას ვეღარ გაიგონებ. ოსტატი მაღალი ხმით ლაპარაკობს, იმის გაგონებაც პირს. ბრუნავს ჩარხი, ძალიან ჩქარა ბრუნავს. ადგება საჭრისი რკინის ღეროს, აწყება ზომიერად. ცვივა ბურბუშელა და ისევ ბრუნავს. შენ არაფერი არ გინდა, მხოლოდ უყურე, საჭრისი არ დაზიანდეს, ან დასამუშავებელი ლითონი არ მოირყეს დამჭერში. დამზადდა? ამოიღე, ახალი ჩაუდე. დააქირე ხელი ჩამარ-



თველს და უყურე, თუ გინდა გვერდზედაც გაიხედე, არა უშავს, შეხედე და დეტალზე მუშაობს რეზო. კლარას მანქანა გუშინ დაზიანდა, რაფაა საქმე, შეაკეთეს? აბა იქით გაიხედე, გიგლა ბიჭი თუ ისევ უსტვენს! არა, სტვენას კი ვერ გაიგონებ, მაგრამ ტუჩებზე შეატყობ. თვითონ თუ მაინც ესმის თავისი სტვენა? თავს კი იქნევს, რომელიდაც მოტივზე და თან ჩარხს ისეა ჩაცეცებულნი, აქეთ ერთხელ რაა, არ გამოიხედავს. უსტვენს და უსტვენს გიგლა ბიჭი.

შენი ჩარხი კი მუშაობს და მუშაობს.

შევეგნებაც მოვა.

დამთავრდება სამუშაო დღე და...

ავტობუსში ტევა არაა. ყველა მიიჩქარის სახლისაკენ. ათასობით მუშაა გადასაყვანი, მერე და ეს ბიჭები როგორები არიან, რიგს არ იჭერენ, ვითომ ერთდებიან გოგონებს, ბოდიშსაც იხდიან; მაგრამ მაინც მიძვრებიან, მკლავში ხელს ჰკიდებენ, მხარზე ადებენ და ნაწნავის ბოლოს უგრებენ. იქ, რკინიგზის გადასასვლელზე ცუდი გზაა, ავტობუსი შეტორტმანდება, ჩავარდება, აღმართზე სიჩქარეს შეცვლის, შეჩერდება, ვიღაცა დაგეჯახება, ახედავ, ბოდიშობს, თან ეშმაკურად იღიმება, როგორ არა რცხენია!..

ამისათვის ხომ ვერ წაეჩხუბება გოგონა, პირიქით, თვითონ წითლდება.

ბიჭი კარგია, მანქანის რყევაში შავი თმაც ჩამოშლია შუბლზე, ღიმილიც უხდება, მაგრამ ცოტა უნდა რცხენოდეს.

## მ ე ბ ა ლ ე

ქარხანა დიდია. ქარხნის ეზოში მწვანე გაზონებია, გაზონებში მწვანე ხეებია, აქვეა ყვავილების ბაღიც. სარდიონი მეზალეა. სარდიონმა ყველაფერი იცის. თოთხმეტი შვილიშვილი ჰყავს, მეთხუთმეტეს დღედღეზე ელოდება. გუშინ ერთი საათით აღრეც კი წავიდა. დღეს აღარ წავა, მაგრამ თუ დღესაც არაფერი იქნა, ხვალ ვეღარ დაუმავრდება გული და ისევ ერთი საათით აღრე წავა.

სარდიონმა ყველაფერი იცის. შვილიშვილი ბიჭი ეყოლება, გოგოსაც არა უშავს. მცენარეს რა აქვს გულში, ისიც იცის სარდიონმა, რა აწუხებთ ყვავილებს და რა სტკივთ ბალახებს.

ქარხნის დირექტორი მარტო სარდიონს უცინის. ერთი ინჟინერი და სამი მუშაც ძალიან დაინტერესებული არიან ყვავილებით. იმათ სახლში ქოთნის ყვავილები ექნებათ.

თოთხმეტი შვილიშვილი ჰყავს სარდიონს, მეთხუთმეტეს დღედღეზე ელოდება. ნამეტანი უყვარს შვილიშვილები და ყვავილები, ყვავილები და შვილიშვილები.

შვილიშვილები სარდიონის სისხლია, შვილიშვილები სარდიონია, თოთხმეტი პატარა სარდიონი. მეთხუთმეტეს დღედღეზე ელოდება. ყვავილებიც სარდიონია, მისი ოფლი, მისი მარჯვენა, ყვავილებიც სარდიონია, გაზონებიც, მწვანე ხეებიც.

ამიტომაც, რომ სარდიონმა ყველაფერი იცის.

აქ ვერაფერს გაიგებს კაცი, საამქროს უფროსი ოსტატს ჰყავს, ოსტატი ჩამომსხმელს, ჩამომსხმელი მჭედელს, მაგრამ სარდიონმა მაინც იცის, ეს ქალიშვილი ისე მიიჩქარის, ინჟინერი იქნება, ან ტექნიკოსი, თუმცა მუშასაც ჰყავს. რა არ იცის სარდიონმა.





იგი გეგმასაც აჭარბებს. ერთი ზედმეტი გაზონი გააშენა. იქით ჯერ იყო განზრახული ბაღების გაშენება. ქარხანა ყოველდღე იზრდება. იქით შერეულა გაშენდეს ბაღები, მაგრამ სარდიონმა დაასწრო, არ მოსწონდა იქაურობა. უყურადღებოდ იყო მიტოვებული. ამონათხარი მიწა იყო, უსწორმასწორო, ოღროხოლო, ბეტონის ნატეხები ეყარა, რკინის ბურბუშელებიც. სარდიონმა გაასწორა, სილა-მიწა მოაზიდვინა, დააყარა. დაამუშავა, შემოდგომაზე ჩაუშვა მწვანე ხეები, გააფხულზე ყვავილები და ახლა, რაც უნდა გეჩქარებოდეს, ცოტა ხანს მაინც უნდა შეჩერდე, რაც უნდა გაბრაზებული იყო, სახე უნდა გაგეხსნას, კაცის მოსაკლავად რომ მიიზბოდე, კიანჭველას უბატონოდ ხმა არ უნდა გასცე.

იცის სარდიონმა, რომ გეგმას უნდა გადააჭარბოს.

ყველაფერი იცის სარდიონმა.

თქვენ გგონიათ ის არ იცის, მწვანეს ზოგჯერ რომ შეატეხენ?

იცის, როგორ არ იცის!..

გაბრაზდება, აბა არ გაბრაზდება? მაგრამ რა ქნას, იყვიროს, დაიჭიროს, შეარცხვინოს? ბიჭი რომ იყოს, კიდეც ჰო, კაცი რომ იყოს ცოცხალი, ვერ გაასწრებს, მაგრამ გოგონაა, ახალგაზრდა, ჯერ ცხოვრებისა არაფერი უნახავს, ქარხანაშიაც ახლა თუ ამასწინათ მოვიდა. ტოტს რავე, იმიტომ კი არ მოტეხავს, რომ მცენარის წახდენა და გახმობა უნდა, რავე გეკადრება, ეგ რა საფიქრებელია, თავისი საქმე აქვს, თავისი დარდი აწუხებს.

მიიხედ-მოიხედავს, მოტეხს, დაიჭერს ხელში, გააცლის ერთ ფოთოლს და ჩურჩულებს:

— ვუყვარვარ?

ჩააცლის მეორეს:

— არ ვუყვარვარ?

მესამეს:

— ვუყვარვარ?

გადაისვრის მეოთხეს.

— არ ვუყვარვარ?

— უყვარხარ, უყვარხარ, აბა არ უყვარხარ? — ამბობს თავისთვის სარდიონი და გოგონას თვალს არიდებს, იცის სარდიონმა, რომ უყვარს.

სარდიონმა ყველაფერი იცის.

### აპი ინჟინერი

ავტომატურ ჩარხებზე მუშაობს ბეგი. ბეგის შავი, სქელი უღვაშები აქვს და არწივივით უყურებს ინჟინერ ქალს. ინჟინერი ქალი მაინცდამაინც ბეგის ჩარხებთან იტეხს ფეხს. რა ვუყოთ. ყველაფერი შეემთხვევა აღამიანს, ერთი წუთით ან დაასწრებს, ან გადააცილებს. ბეგი ვერც დაავიანებს, ვერც წასვლას დაასწრებს.

— სად იყავი, ბეგ? — იკითხავს ინჟინერი.

— ერთი ჩარხი გაგიჩერებია, ბეგ!

— ზეთი დაამატე ამ ავტომატს, ბეგ!

— საქმე არ გიყვარს, ბეგ!

ბეგი მოწინავე მუშაა, საპატიო დაფაზეა გამოჭიმული, მთელი საამქროს თვალთა. თვითონ ქარხნის დირექტორს რამდენჯერ შეუქია ბეგის შრომა. ინჟინერი ქალი კი უკმაყოფილოა. დილიდანვე პირველად ბეგისთან გაჩნდება. გა-



ივლის, გამოივლის და ისევ ავტომატ-ჩარხებთანაა. არ გავა დიდი ზურგდან წამოეპარება ბეგის, სულის ამოთქმას არ აცლის და ისევ საიდან-ღაც გამოყოფს თავს. ლაპარაკის დროს თვალს ვერ არიდებს და მუდამ უწუნებს ნამუშევარს, მუდამ უქმყოფილოა ბეგლართ.

ავი ქალია ინყინერი.

სასადილოში ცხვირწინ წამოსკუბდება. ნეკი თითი მუდამ გაფშეკილი აქვს, ჩანგალი უჭირავს თუ კოვზი. ლუქმის გადატანა უჭირს ბეგის.

ყოველი ძნელი საქმე ბეგის უნდა დაევალოს, ყოველი ახალი წამოწყება ბეგის უნდა ათავებინოს.

ავტობუსშიაც ბეგი უნდა წამოავდოს ფეხზე და ჩურჩულით უნდა გადაუხადოს მადლობა. ყველას უნდა პატივი სცეს ინყინერს, ყველას უყვარს ახალგაზრდა, ლამაზი ინყინერი, მაგრამ ბილეთიც მარტო ბეგის უნდა აყიდვინოს.

რაა ბოლოს და ბოლოს!

სახლში დედა ებუზღუნება:

— ბეგ, პირგაუპარსავი არ გახვიდე ქალაქში.

— ბეგ, შარვალი რას მიახე გუშინ, სასეირნოდ რომ ბრძანდებოდი.

— ბეგ, ცოლი შეირთე, მე აღარ შემიძლია შენი მოვლა.

— ბეგ...

... და ბეგი ფიქრობს— რავე ჩვენი ინყინერივით ავია დედაჩემი.

ინყინერი ქალი კი ამ დროს კიბეებზე არბი-ჩამორბის, ეზიდება წყალს და დედას გამწყრალივით ეუბნება:

— იჯექი, დედა, ხომ იცი, არ შეგიძლია.

გარბის პურზე, გამოივლის მაღაზიაში, მოაქვს სანოვაცე.

დედა წამომდგარა და ჭურჭელს უბირებს გარეცხვას.

— დედა, ხელი არ გაანძრიო... წნევა გაქვს მაღალი.

ამზადებს სადილს. რეცხავს ჭურჭელს. დედა ისევ აპირებს წამოღგომას. სარეცხი უნდა ჩაყაროს წყალში.

— რა გითხარი, დედა, ადგილიდან არ დაიძრე, ხომ იცი, რა თქვა ექიმმა.

— რა უსაშველო ხარ, შვილო, ადამიანს ხელი რავე არ უნდა გაანძრეინო. ვის დაემგვანე ასე ავი.

და ინყინერს უკვირს, რა ბეგვით მიუხვედრელია დედა.

ღამეა. ქალაქში ჩირაღდნები ჩახჩახებს. ბრუნდება ხალხი თეატრიდან, კინოს მესამე სენსიც დამთავრებულა.

სიწყნარება. იშვიათად თუ გაიქროლებს მანქანა, სადღაც ღამის დარაჯი ახველებს და შორს მოისმის მილიციელის სასტვენის ხმა.

წეგს ბეგი. ხელები თავქვეშ ამოუღვია და ფიქრობს:

— რას გადაამეკიდა ეს ინყინერი.

წეგს ინყინერი ქალიც. დადლილია. მთელი დღე ფეხი არ ჩაუდგამს, ამ საღამოს წიგნიც იკითხა, მაგრამ მაინც არ ეძინება და ფიქრობს:

— ნუთუ ვერაფერს ხვდება ბეგი?

### წუნებელი გოგონა

უზარმაზარი საამქროა. თვალს ვერ გააწვდენ, სახურავიც მაღალი აქვს. საამქროში, ვინ დათვლის, რამდენი ჩარხი მუშაობს. ამ თავიდან იმ თავამდე, ამ შემოსასვლელიდან იმ გასასვლელამდე. კოტე აქეთ მუშაობს. აქეთ, საღაც წუნმდებელი გოგონა ზის.



კოტე ხარატი.

წუნმდებელი გოგონა მზა დეტალებს იბარებს. საერთოდ არაა უხასიათო, მაგრამ, როცა დეტალებს იბარებს, წარბშეკრულია. არ ჩქარობს, ამ დროს არაფრის გულისათვის არ გაიცინებს.

ყოველთვის არ აბარებენ დეტალებს. მუშა მუშაობს, იქვე აწყობს, დააგროვებს და მერე ერთად აბარებს. წუნმდებელს თავისუფალი დროცა აქვს. წიგნი უღვეს იქვე. ზოგჯერ გაივლის, ყოველთვის ხომ არ აბარებენ დეტალებს. წუნმდებელს ზოგჯერ თავისუფალი დროცა აქვს.

კოტე იქვე მუშაობს, სადაც წუნმდებელი გოგონა ზის.

ჩარხი ბრუნავს. მთელი დღე ბრუნავს და ბრუნავს. ხარატის თვალბეციც არ ისვენებს, მთელი დღე უცქერის ჩარხს, ჩარხს და წუნმდებელ გოგონას, გოგონას და ჩარხს.

დილით ზოგჯერ ტექნიკურ ნაწილშია გოგონა. ჯერ ხომ არავის დაუგროვებია დეტალები. დანარჩენები ყველანი ადვილზე არიან.

საამქრო ცარიელია. ამოდენა საამქროში თითქმის არავინაა.

მოგა გოგონა. გოგონას ყოველთვის წიგნი აქვს ილიაში, წუნმდებელს ზოგჯერ თავისუფალი დროცა აქვს.

... და ივსება საამქრო. ჰერამდე სავსეა საამქრო.

მთელი დღე ვერ ისვენებს ხარატის თვალბეცი, უცქერის ჩარხს და წუნმდებელ გოგონას.

იწყება შესვენება. აბარებენ მუშები მზა დეტალებს, გადიან სასადილოდ, სასეირნოდ. გაიკრიფნენ მუშები შესვენებაზე.

წუნმდებელი ზის, ითვლის დეტალებს, წერს, ანგარიშობს...

ჰერამდე სავსეა საამქრო.

გამოდის ხარატი. სადილობს. დააბიჯებს ეზოში. რამოდენა ეზოა, რა უშნოდაა გადაჭიმული, რა ცუდი გაზონებია, რა უგემური ყვავილები.

გამოდის წუნმდებელი, მზე თვალბეცს ჰერს, ხელს იჩრდილავს და მიაბიჯებს გაზონისაკენ.

რა ვიწროდ შემოუფარგლავთ ამოდენა ქარხანა. რა შესანიშნავი გაზონებია, ყვავილები, პირდაპირ გადასარევი ყვავილებია.

ხუთი საათია.

წუნმდებელი ზის, ითვლის, წერს, ანგარიშობს. ამ დროს ის არაფრის გულისათვის არ გაიცინებს.

ათასი საქმე აქვს ხარატსაც, ათასი საეკრიკტო. ჩარხი რა? მართლა მანქანა რომაა, მოვლა უნდა. უნდა გიყვარდეს მანქანა, უნდა ასიამოვნო და გასიამოვნებს.

მიდის წუნმდებელი.

მანქანა რა, თან ხომ არ უნდა გადაჰყვეს კაცი?..

რა ვიწრო ქუჩებია ავტოქარხანასთან. პირდაპირ სული შეგეხუთება ადამიანს.

კოტე ქალაქში ცხოვრობს მამასთან, წუნმდებელი გოგონა იქვე — საერთო საცხოვრებელში. საერთო საცხოვრებელი თეთრი შენობაა, ისეთი შენობა ქალაქშიც არაა, არსადაც არაა ისეთი შენობა.

... და მიდის წუნმდებელი საერთო საცხოვრებლისაკენ.

ავტობუსში ნემსი არ ჩავარდება.

— ცოტა მიიწი, თუ ძმა ხარ, კარები დაიხუროს.

მიმედ, მიმედ მიდის მანქანა, თუხთუხებს, ქშუტუნებს და მიდის გაჭირ-



ვებით, მიდის წელისწყვეტით.

უანლოვდება გოგონას. აი სადაცაა დაეწევა. დაეწია.

ზედ ტროტუართან გაიარა მანქანამ, სულ ახლოს გაუარა წუნმდებელს. ცოტა გაეწიათ ტროტუარი...

ჩამორჩა გოგონა. ნელ-ნელა დაშორდა მანქანას და მიეფარა თვალს.

ქუჩა ცარიელია.

მანქანა მიდის, მითუხთუხებს, მიდის გაჭირვებით, მიდის წელისწყვეტით. ხარატს კი უკვირს და ფიქრობს:

რატომ გააშენეს ამოდენა ქუჩა, ან რა საჭიროა ასე სრული და სწრაფმავალი ავტობუსი?

## ჩ ი მ რ ა

გამოიტანს სკამს, დაიდგამს განიერ ღია კარებთან, ჩამოჯდება მძიმედ და გადაიდებს ფეხს ფეხზე. ხელში გასაღებების შეკვრა უჭირავს. გასაღები ზოგი ბრტყელია, ზოგს ღრუ აქვს, ზოგი ერთიანად მრგვალია, მარტო ენა აქვს ბრტყელი. გასაღებები ბევრია, სათრევედ ეყოფა ერთ კაცს.

აქეთ, რკინიგზის ლიანდაგებთან საწყობებია. ფარნა საწყობის გამგეა.

ახალი მანქანების გარდა ყველა მზა ნაწილი აქედან იგზავნება რუსეთში, ციმბირში, შუა აზიაში.

ყველაფერი ფარნას ხელშია. ავერ ამ პატარა რგოლზეა აგებული... ფარნა პატარა კაცი არაა.

დიდი ნაწილებია, არის მოდილოებიც, პატარებიც, სულ ერთი ბეწოც, აი ბეჭდებივით რომაა. ყველა ამოგანგლულია ტაოტში, ზოგიც შეფუთულია. იბარებს ფარნა, რაც მოაქვთ, ყველაფერს იბარებს, მერე ერთ დღეს ჩამოდგება ვაგონები და აი მაშინ აქვს ფარნას გაწამაწია.

ერთხელ გადაუყვა და მეტი გაუგზავნა კუბიშევს. აი ის მუხლანა ლილვები რომაა. სულ პაწია ქანჩიც არ გადაყოლია ფარნას და რა ღმერთი გაუწყრა იმ დღეს. სულ იმ გოგოს ბრალი იყო. რაღა მაშინ მოიბრინა, რაღა მაშინ მოუნდა ფარნას ხელმოწერა! მოფრიალდა ის კარგი დედამამისშვილი და არ მოეშვა.

— ფარნა ბიძია, აქ მომიწერე.

— ფარნა ბიძია, მაგვიანდება.

— ფარნა ბიძია... — ტირილივით გააბა იმ შეჩვენებულმა, მერე ის პატარა და მარდი ფეხები ააბაკუნა ცემენტის იატაკზე და ისევ გააბა: — ბიძია... მეჩქარება... შენი ჭირიმე!..

რაღა ექნა ფარნას, მოუწერა ხელი, არც წაუკითხავს, ისე მოუწერა.

გატრიალდა და იმ წამსვე გაფრინდა.

გაფრინდა, მაგრამ საფიქრალი დაუტოვა ფარნას.

ჰოდა, ამასობაში კიდევ აერია ანგარიში და მეტი არ გაუგზავნია?

სად დაიკარგებოდა, ვინ წაიღებდა, მაგრამ ის ხალხი რას იტყოდა, ასე თუ არიგებენ იქაური საწყობის გამგეები, კარგი დახლი კი დაუდგებათო.

და შერცხვა კაცი.

ქარხანა მთელ ქვეყანაზეა ცნობილი. რესპუბლიკაში ხომ მეორე არაფერია ამისთანა. ფარნას მთელი ქარხნის სული აბარია. ფარნა არც ისე პატარა კაცი.

და სულ იმ ჩიორამ კი უქნა ყველაფერი.



ახლაც აგერ ზის ფარნა, ფეხი ფეხზე აქვს გადადებული, ხელში გასაღებულ მარტოველი ბის მთელი შეკერა უჭირავს.

— გამარჯობა, ფარნა ბიძია... მოფრიალებს ჩიორა.

— ფარნა ბიძია, როგორ გიკითხო? — მოფრიალებს ქალაღდებს.

— ფარნა ბიძია, ხომ არ მოგეწყინა?

მოიჩქარის და მიიჩქარის. მიფრიალებს და მოფრიალებს. საღ ეჩქარება ამ დალოცვილიშვილს!

... და საფიქრალი აქვს ფარნას.

იქ კიდევ შერცხვა კაცი. მეტი გაუგზავნა კუბიშიშვეს.

ეპ, რას იტყობა ის ხალხი.

ერთი ვაჟი ჰყავს ფარნას, ერთი ვაჟის მამაა ფარნა. არ გეწყინებათ, ფარნას შვილს რომ შეხვედეთ. ათ ბიჭში გამარჯვებულ. ფარნაზე მაღალია, მეტი მოსულიც. ფარნას თხელი წვერი აქვს. იმ გასახარებელს ისეთი უღვაშები აქვს, რო... ქარხანაში კი არ მუშაობს მისი შვილი, ქარხანა კი არა და...

ეპ, არსადაც არ მუშაობს.

კარგი ქუჩები და მოედნებია ქუთაისში, განთქმული ბაღია ქუთაისში, ქუთაისი მთლიანად ბაღია.

... და არ მუშაობს ფარნას ვაჟიშვილი.

ამ დალოცვილ ჩიორას კი სულ არა სცალია, სულ ეჩქარება.

მაგ გოგო, ეტყობა, არც სახლში მოისვენებს, მაგის ხელი არც ოჯახში გაჩერდება.

ეპ, ქარხანაში რომ არ მუშაობს ფარნას შვილი...

ეპ, არსადაც რომ არ მუშაობს...

ფარნას კი მთელი ქარხნის სული აბარია. ქარხანა ხომ მთელ ქვეყანაზე ცნობილი, რესპუბლიკაში ხომ მეორე არაფერია ამისთანა, ფარნა არაა პატარა კაცი, მაგრამ...

## თეთრი ბანტი

საშუალო დაამთავრა, მალე თვრამეტისა გახდება. უკვე მუშაობს. უკვე სამსახურის ქალია. თავისი ხელფასით იყიდა ცისფერი საკაბე. ცისფერი ყველაფერზე მეტად უხდება. მკერავსაც თავისი ფულით შეაკერინა, იქვე კარის მეზობელს, დეიდა მაროს, მეტიც კი გადაიხადა.

მალე თვრამეტისა გახდება, ტანი კი ვერ აუშვა, პატარა გოგოა, პატარა ქალია.

— პატარა დარჩება, — წუწუნებს დედა.

— რა გაასაღებს. — იციანის მამა.

— გაიზრდება. მაგას ვენაცვალე, — იმედს არ კარგავს ბებია.

მალე, სულ მალე თვრამეტისა გახდება, უკვე ავტოქარხანაში მუშაობს. ყველამ იცის, რომ თავისი ხელფასით ცისფერი საკაბე იყიდა. იციან, მკერავთან მეტიც კი გადაიხადა, მაგრამ...

მაგრამ...

მაგრამ ის არ იციან, რომ ჩუმად თეთრი ბანტიც იყიდა, არც ის იციან, რომ დამე, როცა ყველას ეძინა, თვითონ შემოუყვითა ბანტს კიდევები და ახლა სულ ქვედა უჯრაში, საღამოს პერანგთან ერთად ინახავს.

დილიდან საღამომდე სამსახურშია. დილიდან საღამომდე საბეჭდ მანქანაზე



მუშაობს. ყველა სიყვარულით ექცევა, ყველა უსვამს თავზე ხელს, რომ ჩაუფარდეთ, ხელს არავინ ამოისევას, მაგრამ უფროსის ცოლი...

საქმის გაკეთება იცის, მალე გაიწაფა ხელი მანქანაზე. თვალს ვერ მოასწრებ, ისე დარბის მისი თითები ღილიდან ღილზე. თუ ზურაბ პანტელეიმონოვიჩს დასჭირდა, რა ქნას, საამქროშიც გაიქცევა, ინჟინრის, ოსტატის ან მუშის გამოსაძახებლად. ხან კომიტეტშიაც გზავნიან, ხან კონვეიერზე. ყველაფერს აკეთებს, რასაც ეტყვიან, რასაც დაავალებენ. მაშ რატომ უჯავრდება ტელეფონით უფროსის ცოლი?

უფრო ხშირად მანქანასთან ზის ნუცა და ბეკდავს, ბეკდავს ოქმებს, ბრძანებებს, განცხადებებს... თუ უფროსს მოხსენება აქვს წასაკითხი, ისიც უნდა გადაბეჭდოს. ცუდად წერს, ცუდი ხელი აქვს უფროსს, უფროსი რომ უკეთესად წერდეს, საქმეს უფრო მალე მორჩებოდა.

ეჰ, რა ცუდად წერს ზურაბ პანტელეიმონოვიჩი!

ხშირად მიდის უფროსი და არაფერს არ იბარებს.

მოდის მუშა, ეტყობა საჩქარო საქმე აქვს, კიბეებზე ჩქარა უვლია, ქმინავს.

— სად არის უფროსი?

— გავიდა!

— სად გავიდა, მეჩქარება!

ნუცამ არ იცის, სად გავიდა, მაგრამ იცის, როგორ უნდა უბასუხოს.

— საამქროში!

მუშა ნაწყენი მიდის.

მერე ინჟინერი ეძებს პანტელეიმონოვიჩს.

მერე ისევ მუშა.

ბრუნდება პირველი. ახლა უფრო ნარბენი ჩანს, ეტყობა, საჩქარო საქმე აქვს, დებს უზარმაზარ მუშტს მაგიდაზე და კითხულობს:

— უფროსი!..

— უფროსი... უფროსი გავიდა.

— სად გავიდა, სულ გასულია?

— არა, იყო და... ჰო, იყო და ისევ გავიდა.

მუშა მაგიდაზე აბრუნებს მუშტს, მუშტი მთლიანად შავია და მგონი ნუცას თავის სიმსხოცაა.

— აჰ, გავიდა საამქროში!

მუშა მაგრად იხურავს კარებს, ქაღალდები მიფრინავს იატაკზე.

აგროვებს ნუცა ფურცლებს, უბერავს სულს, წმენდს იდაყვით. მამ დროს რეკავს ტელეფონის ზარი. ზარი ნერვიულად რეკავს.

იცის ნუცამ, უფროსის ცოლია.

— დიახ... დიახ, ქალბატონო...

— სად არის, გოგო, ზურიკო?

— ზურაბ... პანტე..

— ჰო, ნუ ჩაგვივარდება ენა, სადაა მითხარი!

— პანტე-ლეიმონოვიჩი აქ იყო...

— ახლა სადაა?

— საამქროში... საამქროშია.

— მეტი ქარი გავიდგა გვერდებში შენ.

— ქალ...

— ენა, ენა!..





რა ცუდი ხელი აქვს პანტელეიმონოვიჩს, სულ სხვადასხვა ხელი აქვს, ბობენ, პანტელეიმონოვიჩს მოხსნიანო.

სახლში წასვლის დროა.

სახლში უხარიათ, რომ ნუცა სამსახურშია. ნუცამ ცისფერი საკაბე იყიდა თავისი ხელფასით. ნუცას ცისფერი ყველა ფერზე უფრო უხდება. ნუცამ მეტიც კი გადაუხადა მკერავს.

... მაგრამ არ იციან, რომ ნუცამ თეთრი ბანტიც იყიდა და ახლა ქვედა უჯრაში ღამის პერანგთან ერთად ინახავს.

ნუცა გვიან წვება, როცა ყველას სძინავს, როცა ყველა გულის ძილშია. ნუცა მერე იხდის, მერე შლის ლოგინს, მერე იღებს ღამის პერანგს და ბანტს. ბანტი თეთრია, კაპრონისა და არ იკმუჭუნება.

იცვამს ღამის პერანგს, წინ გადმოიგდებს ერთად შეწულ თმას, ნაწნავის ბოლოს კბილებით იჭერს და ორივე ხელით სკვნის ბანტს. ბანტი დიდ პეპელასავით, თეთრ პეპელასავით ეკიდება ნაწნავს და ნუცა იღიმება. ნუცას უხარია, მიდის სარკესთან, იხედება შიგ და უხარია, დგება ზურგიით, გვერდით, ტრიალებს, იღერებს ყელს, იღებს მაგიდიდან რომელიმე სქელ წიგნს, დაიჭერს ხელში, დაიწვეს უკან, მიდის წინ სარკისკენ და უზომოდ უხარია. ახლა რომ დაინახოს უფროსის ცოლმა...

გვიან წვება, გვიან შეძვრება საბანში, თავს მალა დებს, საბანს გულზე არ იხურავს, არ სცივა ნუცას, ერთად შეწული შავი თმა უდევს მკერდზე და დიდი თეთრი პეპელა აზის. ენაბება თვალები, ღიმილი მიჰყვება ძილში.

ნუცა მალე თვრამეტის გახდება.

უფროსის ცოლი...

### დამლაგებელი

სალომე გვიან მოდის სამუშაოდ. ის როცა მოვა, მაშინ ყველა ამთავრებს მუშაობას. მერე დაღამებამდე არ ისვენებს სალომე.

სალომე ხვეტავს. რეცხავს ტილოებს, ახვევს ჯოხზე, ცოცხით მიჰყვება დერეფანს, მერე წყლიანი ტილოთი, ბოლოს მაგრად გაწურულ ტილოს მოუსვამს უფრო მსუბუქად და მორჩა დერეფანი.

დერეფანი გრძელია. აქეთაც და იქითაც კაბინეტებია. კაბინეტებში უფროსები სხედან. მისი ქალიშვილიც „უფროსია“, მდივნად მუშაობს.

ზოგი უფროსი ადრე მიდის, ზოგი გვიანობამდეც აქ რჩება. სალომე ჯერ იმ ოთახს ასუფთავებს, საიდანაც უფროსი წავიდა. ერთიდან მეორეში გადადის, მეორედან—მესამეში, გადადის თავისი ცოცხით, ტაშტით, სათლითა და ტილოებით. ზოგი უფროსი კი მაინც გვიანობამდე რჩება. მიიღებს შუბლზე ხელს, უჭირავს ხელში მისით რომ წერს, ისეთი კალამი და წერს, იქვე უდევს გაშლილი წიგნი. იცქირება ფანჯარაში, რაა ამდენი საინტერესო ფანჯარაში, რადაცას დაინახავს ალბათ და წერს. მერე ნათურებს უყურებს ჰერზე. იქვე უდევს გაშლილი სქელი წიგნი, იცქირება შიგ, ისრებს შუბლს და წერს.

სახლში კი ღამაში ცოლი ეყოლება უფროსს და ქვაბიდან გამზადებულ სადილს ოხშივარი ამოსდის.

კოწიამ კი ასე არასოდეს არ იცოდა პირველად. პირველად კოწია ყოველთვის თავის დროზე მოდიოდა. მერე იყო, რომ გარე-გარე დაიწყო სიარული და ბოლოს მეეტლის ქალი შეიყვარა.

თვალი დაუდგეს კოწიას. უშვილო ქალი აბა რა შესაყვარებელია!  
სალომეს კი ქალიშვილი ჰყავს. უფროსად მუშაობს და თურმე ერთი იეი-  
ნელს თვალიც კი რჩება ზედ.

თვალი დაუდგეს კოწიას.

არ უნდოდა კოწიას „უფროსი“ ქალიშვილი და იყინელი სიძე? ვინ იცის,  
სიძე მერე მთლად უფროსი იქნეს? შავი მანქანა ეყოლება, სალომეც ჩაჯდება  
და მანქანით გაივლის სადგურზე.

აი მაშინ ნახოს კოწიამ.

აი, მაშინ უყუროს კოწიამ...

სალომეს ბინა მისცეს. მის ქალიშვილს ყველა პატივს სცემს. სალომესაც  
„თინას დედას“ ეძახიან, ხელს ართმევენ, „როგორ ბრძანდებით თინას დედაო“.

დმერთმა უშველოს და ხელფასიც მოუმატეს ამას წინათ, მალე პენსიაც  
დაენიშნება. კოწიამ ათრიოს კურტანი, ზიდოს ყუთები და ფულები მის უშვი-  
ლო ცოლს მიუბრუნინოს, მიეიტანა რომ გადაკოცნა ქალიშვილობაში.

სალომე დამლაგებელია, ხვეტავს, რეცხავს ტილოებს, ცოცხით მიჰყვება  
დერეფანს, მერე გაწურულ ტილოს მოუსვამს მსუბუქად და მორჩა დერეფანი.

დერეფანი გრძელია, აქეთაც და იქითაც კაბინეტებია. ამ კაბინეტებში სულ  
უფროსები სხედან. სალომეს ქალიშვილიც უფროსად მუშაობს და თურმე ერთ  
იყინელს თვალიც კი რჩება ზედ.

თვალი დაუდგეს კოწიას!..



## ზუკაბ ღოთქიჟანიძე

### ორი სურათი

1

თენდებოდა ნისლის ცრაში,  
ზოგან მტკვრის პირს ისევ ისხდნენ,  
აზარფეშა ჰქროდა ცაში  
მეგობრიდან მეგობრისკენ.  
თრთოდა თეთრი ტიკით ღვინო,  
ჰეჰდა ვილაც ბედნიერი,  
ჩანდა მტკვარი თეთრ ტივებით,  
სატივეზე — მეტივენი.  
მიდიოდნენ ღამეები,  
ცეცხლით თვალმბდათხრილები,  
მტკვარზე დღე-ღამ ტივტივებდა  
შავი რუმბის ნავტიკები.  
მცხეთის გზაზე ეტლს შეეტლე,  
გააკრავდა თავდადებით,

ეტლს, პატარა ზარებიანს,  
მორთულს ფერად ბაღდადებით.  
კოჯორში თუ მწვანე წყნეთში,  
რძედ ჩამოდვრილ დილის ბურში  
მგზავრი მგზავრზე გადაჰყავდათ  
დილიქანსით, ომნიბუსით.  
ტყეებს, ფრინველს დაბნედავდა  
ასულების ხმა და რხევა,  
მოისმოდა უძოს თავთან  
მონადირე ძაღლთა ყეფა.  
მაგრამ ერთი ცეცხლის დარად  
იწოდა და ველარ ივრძნეს!  
შავი მერნით მიაპობდა  
საქართველოს ზღვისფერ სივრცეს...

2

თენდება და ცა შლის ნათელს,  
გამოიყვანს მზეში სახლებს,  
განთიადი კაბის კალთებს  
სახურავეებს ჩამოახევს.  
ვით შრიალა თაბახები,  
იფურცლება დღე დღეებზე.  
მოდის გლეხი ტაბახმელით,  
რაც გვსურს. გვატყობს სახეებზე.  
მოაქვს, მოაქვს დღის თენებას  
ჭირნახული მოწეული  
და ბაზრები იტენება  
ხილეულით, ხორცეულით.  
სურნელება ატმებს ასდით,  
უზარმაზარ გროვად დაყრილს,  
და რაც უნდა, თეთრ კალათით  
მოაქვს სახლში დიასახლისს.

მიდის დედა შუქმოცმული,  
ბავშვს ჰკოცნის და თანაც ფრთხილობს:  
შემოსცინებს მეძუძური,  
ის ქვეყნად ვინ აატროს!  
უხურდება ქალაქს მკერდი  
და ასვალტიც თითქოს ღლეება.  
ხუროების ოფლის წვეთი  
ქვაფენილზე ეშხეფება.  
დგას თბილისი, მთები აკრავს,  
გზას მიარღვევს მდევის მუხლით.  
დასტრიალებს სახლებს მაღლა  
ავარდნილი ცხელი ბული.  
სალამოზე, როცა კრთება  
მზე ქედს იქეთ გარინდული,  
მთაწმინდაზე წამოწეება  
თბილისის დღე გახვითქული.



## მე თვალს ვაყოლებ ამ წყვილ ლიანდაგს

შორს გამგზავრება სინანულს იწვევს,  
ჩამოსულს მწველად ჰკოცნის დამხვედური.  
ბაქანზე გასულს ბინდ-ბუნდად მიცქერს  
ქვეყნიერების ყველა სადგური.  
სამოგზაუროდ აღერღვა იცის  
და აღტყინება ასეთმა განცდამ.  
მატარებელი რომ მოსწყდა თბილისს,  
ალბათ ავჭალის ბაღებსაც გასცდა,  
მიუხარია, მიუხარია  
გზის პირს უთვალავ გამოქვამულით.  
ამ ლიანდაგზე ჰქრის რახანია  
სულ სულდიდობა, სულ სიყვარული.  
თბილისი, მდგარი მტკვრის მაღალ ხევზე,  
ლურჯ ლაქვარდებში შენაფარები,  
ათას ძმა ქალაქს ეხვევა ყელზე  
ლიანდაგების მძლავრი მკლავებით.  
მე თვალს ვაყოლებ ამ წყვილ ლიანდაგს,  
მივსდევ, მივყვები, მზე ასრიალებს.  
და ვუღარაჯებ ფხიზლად ნიანდაგ,  
ზედ არ მოჰქროდეს რამე სიღვე-  
ვანშორებისას სინანულს ვიწყებთ,  
ჩამოსულს ხედება მეგობრის გული.  
სამოგზაუროდ სადგური მიწვევს,  
სადგური — ქვეყნის თვალი და ყური.

## მოგზაურობა ქალაქში

1

მიყვარს ქალაქში მოგზაურობა,  
მეზიდებიან თვისკენ უბნები.  
მიყვარს მისი ზღვის მეზღვაურობა,  
მიყვარს მთაწმინდის ააღუბლება.  
მე თუ ვცოცხლობ და გადავყურებ წლებს,  
მძლავრ სიყვარულით შევეჭიდები,  
დათოვლილი ვარ გაზაფხულებზე  
ორთაჭალური თეთრი შინდებით.

2

როდის არ იყო მხნე და მაგარი,  
ღღემდის ქვესკნელში მით ვერ ჩაჰკირეს,  
განა ისეთი სუსტი რამ არი,  
ქვეყნად ვინმეს თავს დააჩავგრინებს!  
მარადი ცეცხლი გულებში ენთოთ,  
გასაჭირშიაც ჰქროდნენ ლხინითა,

ხმა მტკვარზე ხიდად რომ გადაეღოთ.  
ზედ ხალხი ჯარად გადაივლიდა.  
არა ტყლებოდნენ მეხური დარტყმით.  
მიტომ დღემდის არ იკარგებიან,  
იმათებური წვითა და დაგვით  
იყვნენ, არიან და იქნებიან.

3

შენ ამ უბანში ახმაურებით  
ქუჩებს ედები, სახლებს ედები,  
როცა ცხელია სახურავები,  
როცა ცხელია ავურ-კედლები.  
ყოველმხრივ თვალში შუქი აღდება,  
ქუჩაც სწორია და მუხლიც გერჩის,  
და მაინც სადღაც ჩაგვივარდება  
ფეხი მეხუთე საუკუნეში.

ქუჩები და მოედნები

ერთი ასული ჩაივლის ახლა,  
მშვიდი შერხევით ლურჯ ჰაერს აპობს.  
ყველა ხედავს და მეც მომწონს, რა ვქნა,  
ამას რუსთველის პროსპექტი ამბობს.  
გახვეული ვართ უღვეველ შუქში,  
მზეში, თოვანში, წვიმანში, ქარში,  
მწყობრად ვგუგუნებთ დღესასწაულში  
და მეწამული დროშის ფერს გავშლით.  
ნაბიჯზე ვატყობთ მგზავრს, თუ რომელი  
ქვეყნის ქუჩებით ჩვენში მოვიდა  
და ჩვენს თვალისთვის მიუწვდომელი  
გვწვავს იმ ქუჩების ეშხი შორიდან.  
მოვიდნენ, გენახონ ათიათასჯერ,  
ვისაც გუმანი აქეთკენ ურჩევს,  
შემდეგ ოცნება ჩვენი გადასცენ  
თავიანთ ქვეყნის მოედნებს, ქუჩებს.  
გახვეული ვართ შუქში და ეხედავთ,  
ყველა ჩამოვლილს ფიქრით დათოვლილს,  
ჩვენ პატარები გვახარებს მეტად —  
ხვალ-ზეგინდელი ჩვენი პატრონი.  
უცხოდ გამყივარ ომის ხმას ვისმენთ,  
წინ ეღობება ძალა მედგარი,  
აღარ მოიხვევს თბილისი ნისლებს, —  
ჰქუხს ყველა ქუჩა და მოედანი.





# სოჭეკანი

თავი მესხრი

ბუნება ყვითელ კაბას იყვრავდა, ახალ ყაიდაზე ირთვებოდა. ღამ-ღამობით შემაყრყოლებლად გრილოდა და საიდანღაც შორით-შორეთიდან ზამთარი ნელ-ნელა მოიწევდა კავთისხევისაკენ. ქარი რომ ამოვარდებოდა, გამხმარი ფოთლები შრიალით ცვივოდა, ნოტიო მიწაზე ღებებოდა და ჭონჭყოდ იქცეოდა.

დათა ისევ სახურავზე იყო და იქ იმალებოდა.

მარო დილით უთენია ჩადიოდა კანტორაში. პირველად მისი ფეხის ბაკი-ბუკი გაისმოდა კანტორის გრძელ აივანზე. მარო განაპირა ოთახის კარზე ბოქლომს ახსნიდა და აწ უკვე შეჩვეულ პაწია ოთახში დღეს საქმიანად ატარებდა.

ერთხელ დათამ შარას გახედა და აღმართში მომავალი ბერბიჭაშვილი დაინახა. ახლაც მარტო მოდიოდა. ხოჯერაშვილს გულმა უგრძნო, რომ მათ სახლკარში გადმოუხვევდა. არ მოტყუებულა, თავმჯდომარემ შინაუბრით შემოალაჯა ეზოში.

— პა, სულ ავოწყდით? — დაიძახა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.

დათამ სული განაბა და ელოდა რა მოჰყვებოდა თავმჯდომარის მოსვლას. სასიკეთოდ რომ არ იყო მოსული, — ეს ცხადი იყო. დათას ბრაზი მოუვიდა, ტასო რომ დროზე არ მიეგება მთავრობის კაცს. საიდან იყო, საიდან არა, დიასახლისიც გამოჩნდა. ჩამოდნა და დაპატარავდა თავმჯდომარის წინაშე.

ბერბიჭაშვილი შუა ეზოში იდგა. ტასო ისე დაიბნა, რომ სტუმარს სკამივერ გამოუტანა, ვერც შინ შეიპატოჟა. ტახტიც აღარ იდგა თუთის ხის ძირას, რომ იქ ჩამომჯდარიყო კოლექტივის თავკაცი.

— პა, რა ქენით, არ დამწიფდა თქვენი ყურძენი?

— დამწიფდა, ტატე, როგორ არ დამწიფდა... — ამოიკენესა ტასომ.

— მერე, რაღას უცდით? ხო გითხარით, მოკრიფეთ-მეთქი... იქნებ ელო-

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 5, 6.



დები, მუშახელი გამოვიგზავნო... როგორც გინდა ისე მოკრიფე. ხვალვე! გეპოვნის  
მის? საღამოს ამოვალ და ვაი თქვენი ბრალი, თუ მოკრეფილი არ დამხვდება...  
ეგეც არმად უნდა შეგარგოთ! რასაც მოჰკრეფთ, იმის ნახევარი იმ ჩემს საქმის  
მწარმოებელს უნდა მისცეთ, წილი აქვს...

ტასო ისე იყო დაბნეული, რომ უტევს მის გონებას ვერ მისწვდა, ვინ იყო  
თავმჯდომარის საქმის მწარმოებელი.

— ვისა, ვის უნდა მივცე ნახევარი, ტატე?

— ვისა და მაროსა... თქვენ რძალსა! — თვალები გადმოაბრიალა ბერბი-  
ჰაშვილმა, — აფსუს, რა პატიოსანი და გამარჯვებულ გოგო ჩაიგდეთ ხელში!

თავმჯდომარე შეტრიალდა და სახტადღარჩენილ ტასოს ყურადღება  
აღარ მიაქცია. ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, მოიხედა და ისე, ვითომც სხვათა-  
შორის, იკითხა:

— დათა არ გამოჩენილა, ქალო?

— დათა? არა, გენაცვალე...

— იმას ენაცვალე! ქალი უკაცოდ როგორ გაძლებ. ალბათ მოდის, გვერ-  
დებს გაგიტობოს და მერე ისევ მალამ.

— მწარე ენა გაქვს, ტატე.

— ვტყუიერ, ვანა? ფილოსოფით რომ ლოგინიდან აგაცლიან ქმარს; აი,  
ის უფრო მწარე იქნება.

თავმჯდომარე ჭიშკარის პატარა კარში მოიხარა და გზაზე გავიდა.

დათამ მისი სიტყვების გაგონებაზე ერთი მძლავრად დაიცა მუშტი მეგრდ-  
ში და ზედ მიეყინა. იმ წუთში თოფი რომ ჰქონოდა, ჯერ თავმჯდომარეს  
მოჰკლავდა, მერე შუბლში მიირტყამდა ტყვიას. ესმოდა, გარკვევით ეყურებო-  
და მისი დამცინავი, აგდებული სიტყვა და ანგარიშის გასწორება კი არ შეე-  
ძლო. როცა თავმჯდომარე ორღობეს ჩასცდა და თვალს მიეფარა, დათამ მა-  
შინვე ამოვიგინა.

თავმჯდომარე კი ნელა დაუყვა გზას კანტორისაკენ.

ბერბიჰაშვილს წესრიგი და ლაზათი უყვარდა საქმეში და ამის გამო კან-  
ტორის თანამშრომლებს ხშირად უმოწმებდა ნამუშევარს. მაროს მიერ ჩაგვი-  
რისტებულ-ჩაწიქციებული დავთრები მოსწონდა და არაფერს ეუბნებოდა.  
ტატეს ენას საქმეობრივ სიტყვა იშვიათად თუ დასცდებოდა. მისი შექება ის იყო,  
რომ ჩუმად იქნებოდა.

კანტორაში მივიდა და მარო კაბინეტში შეიხმო.

— ხოჯერაანთა ვიყავი, — თქვა ტატემ და უჯრის გასაღები ააჩხაკუნა.

მარო მაგიდას მიუახლოვდა.

— ჰოდა, ხვალ რთველი ექნებათ...

მარო კვლავ დუმდა და თავმჯდომარეს უსმენდა, რომელიც უჯრის გასა-  
ღებს აწვალებდა და ვერ გავიდა.

— დაჰკრეფამენ და მიწას ჩამოვართმევთ... შენ ამაზე ქალაღი დამიწე-  
რე, გამგეობაზე და საერთო კრებაზე უნდა გავიტანო...

თავმჯდომარემ გასაღებს თავი მიანება და მაროს შემოხედა.

— კარგი მოვლილი ვაზი აქვთ: ხოჯერაანთა... ის ვენახი რომ შენ მოც-  
ცეთ, მოუვლი?

მარო შეკრთა და უკან დაიხია.

— მერე, მე იქ როგორ შევალ?!

— შენს ვენახთან ვის რა ხელი ექნება! — გაიოცა თავმჯდომარემ.

— ტასო?





— ფეხი შემოდგას! — თვალები დააბრიალა ბერბიჭაშვილმა. — ფემენ ყურძენს და იქიდან შენი წილი გაიტანე. მე უკვე ვუთხარი ტასოს, სოსო დაგიწურავენ, დაგიბინავენ და სტუმრისთვის შენი ღვინო გექნება. ახლა წადი და ამბაკოს დამიძახე, ხოჯერაანთა ნარგავებში ფული უნდა მიეცეთ.

— მე მაინც... — სიტყვა წამოიწყო მარომ, ხელები მოისრისა, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. თავმჯდომარე მიუხედა, ქალი კიდევ შიშობდა.

— წადი რო გითხრა! სოფელი აქ არი და მე აქა ვარ! — ხმას აუწია ტატემ და ისევე გასაღებს დაუწყო ჩხაკუნს.

ვენახს მოსაკრეფი იყო, მაგრამ მკრეფავები არ კმაროდა. ტასო, სონა და გუგულა თავს მარტონი როგორ გაართმევდნენ. არა და ტასოს ბერბიჭაშვილის შინში ამოქმედებდა, ჩქარობდა, სიმწრის ოფლი ასხამდა. კარგად არ დაუდგათ ეს უკანასკნელი რთველი ხოჯერაანთა.

იმ დღეს, თავმჯდომარე თვალს მიეფარა თუ არა, ტასო სხვენში ავიდა და დათასთან საუბარი გააბა.

— ვენახს გვართმევენ, გაიგე?

— გაიგე, ყრუ ხომ არა ვარ! — შეუტია ძარღვებმოშლილმა დათამ.

— ყურძენი ვიღას მოვაკრეფინო, რა წყალში ჩავევარდე, — წუწუნებდა ტასო, — ჩემი არაფერი ეყურება, უთხარი შენს რძალსა, ხელი მოგვაშველოს... დამწურავიც არავინა გვყავს.

— სულ ნუ მოჰკრიფამ და ის იქნება... მიეცი, თვითონ მოკრიფონ და ჩახეთქონ! — დაიღრიალა დათამ და ქვეშ-ქვეშ ბოროტად გამოიხედა.

დათას თავი ჩაეჩინდრა და იფურთხებოდა.

— რას ამბობ, კაცო, — წელში შესწორდა ტასო, — იმდენი ყურძენი ტყუილად ვის უნდა მიეცე, ან ფულს რად შევარჩენ! აი, ბერბიჭაშვილის კუბო შენახოს სულ მალე! ამოუწყდეს მის ცოლ-შვილი!

— ჰო, კარგი, გული ნუ გამიწყალე, ქალო. ბოღმით ვარ გასიებული და შენ მიმატებ. ვენახს წაიღებენ, ბიჭის საფლავს რაღა ვუყო. ქვას გადაავადებენ და გააფერანებენ! — დათას თვალები აენთო და ამ ანთებულს თვალებში ტასომ ცრემლი დაინახა. ახლა იმასღა დარდობდა და სწუხდა, შვილის საფლავს გაუტიალებდნენ ვენახის ახალი მფლობელები. დათამ უკვე წარმოიდგინა ვენახიდან გზაზე გადმოვადებული საფლავის ქვა და გული ისე ჩასწყდა, თითქოს გიგა ახლა მოკვდიო.

სხვა დროს ხოჯერაანთა დიდებული რთველი იცოდა. ბიჭებიც ბლომად მოდიოდნენ, ნათესაეებიც. ცხვარს დაკლავდნენ, მუშაობის შემდგომ კარგ ქეთეს გამართავდნენ. ახლა ყურძენის მომკრეფიც არავინ ჰყავდათ. რა ექნა ტასოს? სხვენიდან ჩამოვიდა, შინ დაიბარა, მალე მოვალო და თვალადისკენ გასწია, სადაც მისი ნათლულის ოჯახი ცხოვრობდა. რთველში ამ ოჯახის ეჭვს სულს დაპატიყებდა, შესჩივლებდა, შველას შესთხოვდა. სხვა მოკეთე ძალზე შორს ჰყავდა და სანამ იქამდე მიადღწევდა, ბერბიჭაშვილი რისხვას შეუყენებდა ხოჯერაანთა.

„უნდა რომ გავგამწაროს, უნდა რომ ყურძენი გავგიფუტოს, ის გამწარდეს და გაფუტდეს, ღმერთსა ვთხოვ! — გულში ტატეს სწყევლიდა ტასო. — ახა რა აჩქარებს. ყურძენს მოვკრეფთ და გაზაფხულამდე უნდა გამოიკეტოს ვენახის კარა. არიქათ, ჩქარაო! აგრემც ჩქარა შევამს მიწა ტატეს!..“

სალამოს ნათლიმამასთან წუწუნებდა და იქაც ბერბიკაშვილს სწყევლიდა, ასე გვაწამებს და ყურძნის დამწიფებას აღარ გვაცლისო.

ნათლიმამამ დახმარება აღუთქვა და მეორე დღეს დილაადრიან ესტუმრა ხოჯერაშვილებს, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი თან ახლდა.

მარომ ყურადღება არ მიაქცია რთველის სამზადისს და არც არავის არაფერი უთქვამს. სონამ იცოდა, რომ მარო არ ელაპარაკებოდა დედამთილნაცვალს და ამიტომ ხმა არ ამოუღია, თორემ რთველი მაროს გარეშე როგორ იქნებოდა, ისიც ხომ ხოჯერაშვილს ოჯახის წევრი იყო.

მარომ თავისი ოთახის კარი გამოიხურა და კანტორისაკენ გასწია, თან იმას ფიქრობდა, როგორ შეხვდებოდა ტასო იმ ამბავს, როცა ვენახს მაროს სახელზე დაწერდნენ. ამისთვის პირს არ დაუკოცნის დედამთილნაცვალი. ასეთ მოვლილი ვენახის დაკარგვა შვილის ან ახლობელი ადამიანის სიკვდილს უდრის.

ასე ჩუმად არასოდეს არ უკრფევით ყურძენი, შარშანაც კი, როცა გიგა თვენახევრის მიბარებული იყო მიწას.

თვალადელ ბიჭებს გოდრებით გადმოჰქონდათ ყურძენი მარანში. საწნახელი ვენახში აღარ გადიტანეს და იქ ჩაყრილ ქვევრებში აღარ ჩასწურეს ყურძენი. ახლა მარანში ჩაყრილ ქვევრებს უპირებდნენ შევსებას.

ტასოს გადაწყვეტილი ჰქონდა, ვენახში ჩაყრილი ქვევრები ამოეღო და გაეყიდა, რა თავში ვიხლიო, ვის რად დაუუტოვო, ფული უფრო გამოადგებოდა. მაგრამ ეს შემდგომი საქმე იყო, ახლა ყურძნის დაბინავებას ეშურებოდა.

— ერთი-ორი დღე კიდევ რომ დაგეცადნათ, ისე დამკრახებოდა, რომ... — თქვა ნათლიმამ და საესე მტევანი მალა შემართა, მზის შუქზე გახედა, — თაფლი გაედინებოდა, ისეთი იქნებოდა.

აქამდე მიღუმებულმა ტასომ პასუხის ნაცვლად ბერბიკაშვილს კიდევ ერთხელ მიაწყევლა. — არ დასცალდეს, არ დასცალდესო! — და ქოქოლა იმ მხარეს მიაყარა, სადაც თავმჯდომარე ცხოვრობდა.

— ე გიგას საფლავი? — ახლა იქით გაიხედა ნათლიმამამ.

— მაგის ქვას ბერბიკაშვილს დავადებთ ვულზედა! — მაშინვე მიუგო ტასომ და მტევანი გოდორში ჩაავლო.

დათა სხვენზე იტანჯებოდა. მისი სული და გული ვენახში ტრიალებდა. რამდენჯერ იფიქრა ჩასულიყო, ვაზებში ჩამჯდარიყო, თავისი ხელით მოეწყვიტა მტევანი და მერე თუნდაც მომკლან, არ ვინაღვლიო. მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა გარეთ არ უშვებდა. სახურავიდან უთვალთვალებდა თვალადელ ბიჭებს, როგორ მოჰქონდათ გოდრები... მერე მარნიდან ჭყაპა-ჭყუპიცი შემოესმა, ტკბილის ყრუ ჩხრიალიც გაიგონა.

დაბინდებამდე არავინ ამოაკითხა. როცა კარგა შეღამდა, ტასომ ხელადით ამოუტანა ტკბილი.

— სულ მორჩით? — იკითხა დათამ.

— მოერჩით, მოვითავეთ, — ღრმად ამოისუნთქა ტასომ, — იცი რა უნდა გითხრა, იქნებ იმიტომ შემოგვიჩნდა ბერბიკაშვილი, შენ რომ იმალები და მთავრობასთან არ ცხადლები?

დათა დუმდა, ხელადა ხელში ეჭირა და არა სვამდა. ცოლ-ქმარი ბნელში ისხდნენ და ერთმანეთის მხოლოდ ლანდებს ხედავდნენ.

— მერე? — იკითხა დათამ და ყრუდ ჩაახველა.

— მერე და ისა, რომ აქ როდემდე უნდა იჯდე?



— წავიდე და თავი დავაჭერინო? ამით რაო, ვის რა ეშველება? ტასო დუმდა. რა პასუხი მიეცა ქმრისათვის, არ იცოდა, ბოლოს გაბედა და უთხრა:

— დახვრეტას ხომ არ მოვისჯიან... რამ შეგაშინა, ადამიანო?.. შენ სასჯელს მოიხდი, დაბრუნდები... იქნებ ვენახი არ ჩამოგვართვან, ჰა?

— შე ციხის კედლები ვხეხო და შენ აქ ყურძენი ჭამო? — დაიღრინა დათამ, — მომწყდი თავიდან. თუ ეს გიფიქრია, იმასაც მოიაზრებდი, რომ ჩემი თავი დააჭერინო... წაიღი, შეატყობინე... აქედან ცოცხალს ვერ გამოიყვანენ!

დათამ სიბნელეში მოისროლა ტკბილით საეწე ხელადა, ხოლო ტასომ უკან დაიხია და ჩუმად გაიპარა სხენიდან. დათამ მისი ლანდი გასასვლელშია დაინახა.

გვიან დაბრუნდა მარო. იმ დღეს განგებ დარჩა კანტორაში და სამუშაოს არ მოსცილდა. იფიქრა შინ დაძინებისას მივალო. მაგრამ, როცა ხოჯერაანთა ამოვიდა, არავის არ ეძინა. ტასოს სტუმრები გაეცილებინა და აულგაგებულ მაგიდაზე მცირე ტაბლის ნარჩენებია ეყარა. ბავშვებსაც არ ეძინათ.

მარომ ჩუმად გაიარა დარბაზი და თავის ოთახში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ სონა შემოვიდა.

— მარო, დედაჩემმა, შენი წილი ყურძენი მარანში აწყვიდა და დააბინავეო, თუ გინდა ყურძნად მოიხმარე, თუ გინდა დაწურეო... ორი გოდორია... ცოტა გამოვიდაო და...

— გმადლობთ, სონა, ეგ ყურძენიც თქვენ მოიხმარეთ, — ცივად მიუგო მარომ და დასაძინებლად შეეშადა.

სონამ მხრები აიჩეჩა.

— თუ არ მიხედე, გაფუჭდება, მარო.

— მე უკვე გითხარი, სონა... ეგეც თქვენ მოიხმარეთ-მეთქი... აბა მე რად მინდა, სად წავიღო?

— სოსა დაგიწურავს.

— სოსას თავისი საქმე აქვს.

— რა ვიცი, როგორც გინდოდეს, ისე მოიქეცი.

სონამ კიდევ ერთხელ აიჩეჩა მხრები და დედას გაუტანა ამბავი, მარო უარზეა თავისი წილი მიიღოსო.

— ჭირიც მომჭამოს! — ხმამაღლა დაიწყებდა ტასომ.

და ის დღე ასე დამთავრდა.

დათას მოსვენება არ ჰქონდა. ახლა იმას დარდობდა, ვენახს ვის ჩააბარებდნენ.

ტასომ ყურძენი დააბინავე და მეორე დღესვე ელოდა ბერბიჭაშვილის გამოჩენას, მაგრამ თავმჯდომარეს არ ამოუვლია ხოჯერაანთა; სამი დღე გავიდა და ტასოს გულში დაგროვილია ბოღმამ ლამის გადიტანა ქალი. ბერბიჭაშვილის საქციელი უკვე ხოჯერაანთ აშკარა დაცინვა და მასხარად აგდება იყო. ტასომ წყევლას უმატა და ახლა მეზობლების გასაგონადაც გაჰკიოდა თავმჯდომარის სალანძღავ სიტყვას. დათამ ბევრჯერ დაუტია სხენში მასთან მისულ ცოლს, ქალო, თავი შეიკავე, გაჩუმდიო, მაგრამ ტასო თავისას მაინც არ იშლიდა. ტასოს იმის გაგება კი არ აჩქარებდა, თუ ვის გადასცემდნენ ხოჯერაანთ კუთვნილ ვენახს, ბრაზობდა, დაუმკრახავი ყურძენი ასე პაიპარად რომ მოაკრეფინეს.

ერთ დღეს ჩაკურატებული ბიჭი გამოეგზავნა ბერბიჭაშვილს, ტასოს კანტორაში უხმობდა თავმჯდომარე.



სანამ ცოლი დაბრუნდებოდა, დათა ფეხზე იდგა, კრამიტი აეწია და გაეშაფტა. ტასო დიდხანს არ ჩანდა. როდის-როდის გამოჩნდა იგი აღმართზე სწრაფი ნაბიჯით მომავალი. პირდაპირ სხვენს მიაშურა. გზაში დაღლილიყო, სულს ძლივს ითქვამდა. დათამ მისკენ მოიხედა.

— რაო, რისთვის გიბარებდა?

— ნარგავების ფული მომიცეს და ვენახი მაროს დაუმტკიცეს.

— მაროსაო?! — თვალეშში სისხლი მოაწვა დათას. ქვემო უბანში ერთი ხოჯერაანთ ოჯახზე გადაკიდებული აშარი ქალი, მარო, ცხოვრობდა, კოლმეურნეობის მერგოლური იყო. მისი სახელის გაგონებაზე უმალ ეს ქალი დაუდგა თვალწინ და უცებ დაავიწყდა კიდევაც, რომ მის რძალსაც მარო ერქვა. ძარღვები აუფრთოლდა, მოირღვა, წამის უმნიშვნელო ნაწილში გადაწყვიტა მოეკლა ის ქალი, მოეკლა თავმჯდომარეც და მერე ჯანდაბას!..

ტასოსთვის გაუგებარი იყო ქმრის აღლევება.

— რა მოგივიდა, დათა, განა ეს ჩვენთვის ცუდია?

— რას მელაპარაკები, დედაკაცო... ჰყვტელაანთ მაროს არ მეუბნები?

ტასოს მწარედ ჩაეცინა.

— ვაი ჩვენს დღეს! შენს რძალს, მაროს დაუმტკიცეს, ვითომ ჩვენი კაცი ხარო და მოიმადლიერეს. ნეტა რის გამკეთებელია... ჩვენ თუ არ მივხედეთ ისევ, ხომ გატიალდება ის ვენახი.

დათას გულს მოეშვა, ღრმად ამოისუნთქა და საწოლზე დაჯდა. მოშლილი ძარღვები კიდევ ვერ დაეწყნარებინა.

ტასო განავრძობდა:

— შენი ხათრი და მორიდება აქვს შენს რძალს, მოელაპარაკე, ვენახი ხომ შენს სახელზე იქნება, ჩვენ მოვუვლით-თქო, არაფერს გაზარალებთ-თქო. დავიჯერებს, ან რა ძალა აქვს, რომ არ დაგიჯეროს. ის იმ ვენახის მომვლელი არ არის და ისევ ჩვენი საწვალბელი უნდა იყვეს მიინც.

დათა ჩუმად იყო, ბოლოს ქვეშ-ქვეშ გამოხედა ცოლს.

— მარუსას პურს თუ აჭმევ?

— რა ვქნა, არ გვეკარება და მე რა ვუყო?!

— როცა გეკარებოდა, ის მოუსვენე და ახლა გინდა დაუტკბე? მე ფეხებზე მკილია, რაც გინდათ ის გიქნიათ! თქვენ ქვეყნად ცხოვრობთ და მორიგდით, მე რას მეუბნები, შენმა მზემ, ჩემი დიდი შიში და მორიდება გაქვთ. გასწი, მომბეზრდა ამდენი ლაპარაკი!

— დათა, შენს შეილებზე იფიქრე, იფიქრე, რა დიდი ლუკმა გამოეცალათ პირიდან.

— მერე რა შემიძლია?!

— მაროს მოელაპარაკე... ვენახზე, როგორც ვითხარი. — სიმწარე შემოენთო ტასოს, ყელის ძარღვები დაეჭიმა და დაებერა, — მოელაპარაკე, თორემ ცოცხალი თავით მაგას იქ არ გავახარებ!

— ქალო, წერას აუტანიხარ?! დაუტკბი, შენ თვითონ დაუტკბი, თორემ სიმწრით ვერაფერს გაიტან. ხომ ხედავ, სოფელი მაროს მხარეზეა, ჩვენ კი... — დათა წამით დადუმდა და მერე ტასოსთვის მოულოდნელად იღრიალა: — წადი-მეთქი, რო გეუბნები!

და დათა ქვითინით ლოგინზე დაემხო.

სოსა ეშურებოდა ზამთრამდე მოესწრო სახლის გამართვა. ვაკვეთილებს დაამთავრებდა თუ არა, კავთისხევში გადმოდიოდა, გიგა ღურგალსა და მის





შევირდებს ხელს შეაშველებდა და სოფელში ჩამომდგარ საღამოს ჩაუყვამუნებდა. სახლის შენება ახარებდა, ცდილობდა, წვალობდა და ამ ცდისა და წვალების ნაყოფს ყოველდღიურად ხედავდა. ჩაჰკირა და ჩაადღულაბა თავისი ცხოვრების საძირკველი.

იმ დღეს, ვენახი მაროს სახელზე რომ გააფორმეს, რძალს შეხვდა და დახმარება აღუთქვა, ვაზს მე გავსხლამ, ავახვევ და შევწამლაო, ისე მოვეუვლით, ტასო შუა გაიფხრიწებათ. სოსას გაეხარდა ბერბიჭაშვილის ეგზომ დიდი ყურადღება მართხელა ქალისადმი. არა ფიდოს პატივისცემით, არა ხოჯერაანთ ოჯახის პატივისცემით, არამედ თვით მაროს პატიოსანი ქალობისა და სოსას პატივისცემით გაიღო სოფელმა ხოჯერაანთ დათას ყოფილი ვენახი.

სოსამ კარგად იცოდა ეს და მაროსთან ერთად ისიც ემადლიერებოდა კავთისხვევლებს. ყმაწვილკაცი ხშირად ჩაფიქრებულა ერთი ამბის გამო: დათა მთავრობას ემალემა, მთავარი დამნაშავე თავისი სახლის სხვენში ზის. სოსამ იცის ეს და ისიც სხვა შინაურებთან ერთად ინახავს ამ საიდუმლოს, ისევე გულმოდგინედ, როგორც მარო. მათ ერთი სიტყვა არსად არ დასცდენიათ და ამის გამო ერთმანეთშიც არ ჰქონიათ ლაპარაკი.

მამამ უამრავი ტანჯვა მიაყენა სოსას და ახლაც უნებურად ტანჯავდა მას. ქვეყნის წინაშე პირწმინდა ვაჟკაცისათვის ძნელი ასატანი იყო დამნაშავეის დამალვა. მაგრამ უფრო ძნელი იყო მამის გაცემა და ამ სულიერ ბრძოლაში გადიოდა დრო.

მარო კი დუმდა და ასე ღრმად არ ჩაჰკვირვებია დათას მოშორების აუცილებლობას. იგი ასე თუ ისე სხვენიდან მაინც უწევდა მფარველობას, ბევრს არას ეხმარებოდა, მაგრამ ტასოს ხმას უციებდა. მაროს სხვა მეტი არა უნდოდა რა. ვენახის თაობაზე მამამთილთან ლაპარაკი არა ჰქონია.

სოსასთან მიმავალი მარო ღობიდან გადახედავდა თავის ვენახს, შიგ შესვლას მარტო ვერა ბედავდა, ან რა უნდოდა რომ შესულიყო, გამხმარი ფოთლისა და შემოძარცვული ვაზების მეტი იქ არა იყო რა.

ნოემბერში სოსამ კრამიტის კოხტა სახურავი წამოადგა სახლს.

აცივდა. კოლმეურნეობის კანტორაში საქმემ იკლო, მაგრამ მარო დილიდან საღამომდე მაინც იქ იჯდა, მიმსვლელ-მომსვლელი არ ილეოდა კანტორაში.

ერთხელ ნაყოფის პირველი რყევა იგრძნო. ეს უჩვეულო რამ მის არსებაში მეორე სულის გაცოცხლება იყო.

ფიდო და მარო ერთმანეთს უკანასკნელად კასპში სასამართლო პროცესზე შეხვდნენ. სოსაც მოსულიყო ძმის სანახავად.

შერცხვენილი და თავლაფდასხმული ვარო, ამბობდა ფიდო, ცოლსა და ძმას თვალს ვერ უსწორებდა და, როცა სხვა დამნაშავეებთან ერთად დარბაზში შემოიყვანეს, თავდახრილი იჯდა, ლოყებზე აღმური წაჰკიდებოდა, ხოლო ხანდახან პირველ რიგებს გამოხედავდა, სადაც მარო და სოსა ეგულებოდა და ამ დროს მის თვალეში ცრემლი ჩანდა.

ბრალდებულ ფიდო ხოჯერაშვილს ხუთი წელი პატიმრობა მიუსაჯეს და მილიციელების თანხლებით მანქანით ისევ ორთაქალის ციხეში გაგზავნეს.

მარო და სოსა ჩუმად მოდიოდნენ სოფლის შარაზე. ცრემლით დასწვოდა თვალეები მაროს, გულში ითვლიდა ხუთ გრძელ წელიწადს და საოცრად შორი ეჩვენებოდა ის ნანატრი დღე, როცა ფიდო დაბრუნდებოდა.

## თავი მათი

გრძელმა და ცივმა ზამთარმა სული გამოუღამა და გული გაუწვრილა და-  
თას. ძნელი იყო უმზეობა, ძნელი იყო სიცივეში სხვენზე გდება. ხანდახან  
ქარი ზუზუნებდა კრამიტებშორის დარჩენილ ვიწროებში და მთელს სხეულში  
ქრუანტელად უვლიდა.

შვიდი თვე სხვენში ცხოვრება იოლი არ იყო. აქ გაატარა მან ზაფხულის  
უკანასკნელი დღეები, აქ დააღამა და გაათენა შემოდგომის ბევრი დღე და  
ღამე, აქვე დაათოვა ზამთარმა. ხედავდა თოვლმა როგორ დაფარა სახურავი,  
ფიფქმა ამოლესა კრამიტებშორის დარჩენილი ჭრილები, ფიფქი სხვენშიც კი  
იყრებოდა. ამ ზამთარს იმდენი თოვლი მოვიდა, სახურავი დამძიმდა, ლართებზე  
ჭრიალი დაიწყეს.

... შინ კი ღუმელი ერთო და თბილად იყენენ შინაურები.

დადნა თოვლი, ფიფქის ნაცვლად ახლა თოვლის ნაჟური წკარუნებდა  
სხვენში. გაზაფხულდა და დათას სადგომშიც შემობერა სურნელოვანმა, თბილ-  
მა ნიავმა. ეშველა კაცს. ამ დღეების დადგომას ელოდა, რომ ღრობით სადმე  
შორს წასულიყო, სოფლისათვის დაევიწყებინა თავისი თავი. შინაურებს გაუ-  
ზიარა გულის მურაზი, ცოლის შემდეგ მარო დაიბარა და უთხრა:

— შენ მალე შვილი გეყოლება... შენს პატარას წინასწარ ჩიგნს „ჭრელას“  
ვაჩუქებ, იმის სახელზე იყოს. მე მივდივარ და ვინ იცის, დავბრუნდები თუ  
არა... ისე, ძალიან ნუ წაეკიდებით შენ და ტასო ერთმანეთს... დაუთმე, წუნ-  
კალი ენა კი აქვს. რა ექნა, იმ ენას ვერ ამოვავლეჯამ და...

— მე ჩემთვის ვარ, ის თავისთვის... ასე ვიქნებით, ასე სჯობია, — მიუგო  
მარომ, — ძროხა კი მაჩუქე, მაგრამ...

— მაგრამ რაო, ტასო არ დაგანებებს? სიყრმის შვილიშვილს რას დავუ-  
ქერ?! აბა ვინმემ რამე გაბედოს! — თქვა დათამ და თვალები დააბრიალა, —  
მე უკვე ნათქვამი მაქვს, ხბოიანად შენია და მოუარე. იმათ მეორე ძროხაც  
ეყოფათ.

იმ საღამოს დათამ სხვენი მიატოვა და წავიდა.

დათა ქვეყანას დაუბრუნდა თუ არა, ტასომ იგრძნო მისი ძალა და მაროს  
ხმა არ გასცა ძროხის თაობაზე, პირიქით მოიქცა, დილით მაროს შემოუთვალა,  
შენი ძროხა მოსაწველიაო, დროზე მოწველე, რომ გუგულამ ნახირში წაიყ-  
ვანოსო. ტასომ ისევე „დატკობდა“ არჩია რძალთან. მაგრამ მარომ კიდევ არ  
მიიკარა ენამოწამლული დედამთილნაცვალი. რამდენჯერმე კერძიც შეუტანა  
სონამ, დედამ გამოგიგზავნაო, მაგრამ მარომ უკანვე გაატანა.

ტასო ითმენდა და აღარ სწყევლიდა რძალს, მეზობლებში დაიწყო წუწუნი,  
ეგებ ამათ მიუტანონ ამბავიო, მიყვარს ეს ჩვენი რძალი, შვილებში არ ვარჩევ  
და ეგ კი სულ არ მეკარებო. მაროს მიუტანეს ამბავი და ქალს მწარედ ჩაეცინა.

გაზაფხულმა აუარება საქმე მოიტანა. მარო ვენახს დაუტრიალდა და სო-  
სამაც კარგად შეაშველა ხელი. ტასო ვენახს არ ეკარებოდა, სამაგიეროდ სონა  
და გუგულა მიანმარა რძალს. მარო მათ უარს არ ეტყოდა მოხმარებაზე და ვე-  
ნახში შესვლაზე, პირიქით, რთველს მათთან ერთად აპირებდა.

ტასო აუვლიდა და ჩაუვლიდა ვენახს, შურით გადახედავდა მოვლილ ვა-  
ზებს. კბილებს აკაწაწებდა, მაგრამ თავს იკავებდა, რომ არ აფეთქებულიყო  
რაიმეზე, რომ მაროს არ დასტაკებოდა.

ვაზემა იყვავილა და მტევნები გამოჩნდა. ხეხილმაც იყვავილა და ნაყოფი  
ბლომად დაისხა.



მაისის დამდეგს მაროს მუცელი ასტივდა. იმ დღეს არ ელოდებოდა მაროს დაბრუნებას, სონა საავადმყოფოში გაიქცა ექიმის ამოსაყვანად, ხოლო ტასო თავს წამოადგა დამღურებულ რძალს. მაგრამ ახლა რაღა დროს დამღურება იყო, მაროს საშინელი ტკივილები აწუხებდა.

ექიმი და ექთანი ეტლით ამოიყვანა სონამ.

ბიჭებს შინ შესვლა აუკრძალეს. რამდენიმე ხნისერმა ქალმა პატარა ამირანს ჰკითხეს:

— ამირან, აბა გამოიცანი, სხვენზე ქული გდია თუ თავშალი?

— თავშალი. — წამოიძახა ამირანმა.

— უი, უი, უი, — დაიძახეს დედაკაცებმა, — გოგო გაჩნდება, გოგო!

და მართლაც იმ დღესვე მაროს გოგო შეეძინა.

ამის გამო ამირანი დაღონდა, მალი-მალ ტირილი მოსდიოდა. ჰკითხეს, რად სტირიო.

— იმიტომა რომა... რომა... ქული რატომ არა ვთქვი... მაშინ ხო ბიჭი იქნებოდა.

— ჰო, როგორ არა, ნამდვილად შენ თქმაზე იყო, როგორ არა! — თავში წაჰკრა ხელი სონამ.

— მე გოგო არ მინდოდა, ბიჭი მინდოდა, — სლუქუნებდა ამირანი და დიდხანს აღარ გაჩუმებულა.

მაროს მიღეულ და გაფერმკრთალებულ სახეს ღიმილი ეფინა. ის იწვა, ესმოდა თავის პატარას ღულუნნი. ჩვილის ხმა სიმღერას მოჰკავდა. ბავშვი ტირილით არ დაბადებულა და ეს კარგად ენიშნა მაროს, ასეთია დედის გული: იმედის შუქს ყოველთვის თან ატანს თავის პირმშოს.

თუმცა სოფელი უბრად იყო ხოჯერაანთა და დიდხანს ფეხი არავის შემოედგა ამ კარ-მიდამოში, ახლა ბევრნი მოვიდნენ მომლოცველები. ლოცავდნენ პატარას და მარტოხელა ქალს აიმედებდნენ.

როცა ვინმე მოდიოდა, ტასო იმალებოდა, ცალკე ოთახში ჩაიკეტებოდა და სტუმრებს იქიდან უთვალთვალებდა, როდის წავიდოდნენ. მაროს სონა დასტრიალებდა, სანამ ლოგინად იწვა ქალი, ხოლო შემდეგ თავად მარო ართმევდა საქმეს თავს.

რძლის სანახავად მოვიდა სოსა და ძვირფასი საჩუქარი მორათვა. რამდენიმე ხნის შემდეგ წინარეხიდან დიდდა-პაპაც გადმოიყვანა. მათ ურმით წამოიღეს მოსალოცი. მაროს დიდად ესიამოვნა მათი სტუმრობა, ნატო ძლიერ წუხდა ფიდოს დაპატიმრებას, სიძეს სწყყევიდა, სულ იმან არივ-დარია ბიჭებო.

— ის არ მეყოფოდა, რა სიმწარეც გამოვიარე! — ჩიოდა დიდდა, — საუკეთესო ქალი მომიკვდა, მერე სამი ობოლი რის ვაი-ვაგლახით გავზარდეთ. გიგამ სიცოცხლე გავვიყო. ნეტავ თავისი წერით მომკვდარიყო, სხვას არ მოეკლა ის სიყრმეგამწარებული. ახლა ფიდოც დაემატა...

სოსამ აკვნიდან ამოიყვანა პატარა გოგო და დიდდას კალთაში დაუგორა. გაიხარეს მოხუცებმა, პაპა თედომ ურჩია რძალს, თამარი დაარქვი შვილსაო, თამარ მეფესავით ლამაზი დადგება და სახელიც დამშვენდებაო.

დიდდა-პაპა და სოსა იმავ საღამოს დაუბრუნდნენ წინარებს.

თბილისიდან მამას და დებს ელოდა მარო. და აგერ ისინიც!

— თამრო, ქრისტინე, თქვენ შემოგველეთ, გოგოებო!



დებმა მხურვალედ დაკოცნეს და შვილი მიულოცეს. გაბრიელმაც გადსკინა კოცნა შვილი, მერე ჩვილს აკვანში გაუღიმა და უმაღლვე ჩაქრა მისი მზიარული გამომეტყველებაც, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.

— ხუთი წელი ამ ოთხკედელშუა უნდა იყო გამოკეტილი? — იკითხა და მაროს ნაღვლიანად შეხედა, მერე პასუხი რომ ვერ მიიღო შვილისგან, აკვანს გადასწვდა, ნელა გადაარწია, — ბარაქალა შენს ქალობას... კარგი ერთგულება გცოდნია თურმე, კარგი ქალი გამიზრდინხარ და მე კი არა ვიცოდი რა...

ამ დროს ეზოში ბერბიჭაშვილის ნაცნობი ხმა გაისმა:

— ხოჯერაანო!

და მაროს ლოყები წამოენთო. თავმჯდომარეს არ მოელოდა, წამოდგა, რომ გარეთ შეჰგებებოდა. როცა იგი აივანზე გამოვიდა, დაინახა, რომ ტატე მარტო არ იყო, თან მეუღლე ახლდა და ქალს ხელში რაღაც ეჭირა გაზეთში შეხვეული. ეჭვი არ იყო, მაროს სანახავად მოსულიყო კავთისხეველების თავ-კაცი ოჯახობით.

— მობრძანდით! — შეიბატყა მარომ.

ბერბიჭაშვილმა ცოლი წინ გამოატარა. ქალმა მიულოცა მაროს, მერე ტატემ ჩამოართვა ხელი.

— მომილოცნია, შვილო... დიდი გოგო გავეზარდოს!

ასე თბილი და მშობლიური არასოდეს სჩვენებია მაროს თავმჯდომარე-ახლა გული ასჩუყებია უშვილო და უძირო კაცს, სხვისი შეილიანობა გაზხარებია თავად შვილს დანატრებულს.

დარბაზში შევიდნენ. აქედან მარო თავის ოთახისკენ გაუძღვა სტუმრებს, მაგრამ ტატე ცოტა ხანს დარბაზში შეყოვნდა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ტახტზე ამირანი დაინახა.

— დედაშენი სად არი, ბიჭო?

— დედაჩემი?

— ჰო, დედაშენი.

— შინ არი.

— დაუძახე!

ბიჭი ტახტიდან გადახტა და გვერდით ოთახში შევიდა. მალე ტასო გამოჩნდა, თავზე ტილო გაეკრა და წელზე შალი მოეხვია.

— დათა სად არი? — მაშინვე ჰკითხა ბერბიჭაშვილმა.

ტასოს არ დაუყოვნებია, ხამამალა და გაბრაზებით უბასუხა:

— მეხი იმასაც დაეყარე და მედგარიცა! რა ვიცი სად არი!

— აქ რომ არა გყავს, იმიტომ გაცეიბია გვერდები... — მწარედ მოუჭრა თავმჯდომარემ და მაროს ოთახისკენ შებრუნდა. მაშინვე გაიგონა კარების ჯახანი, მიიხედა, ტასო იქ აღარ იყო.

ცოლი საყვედურით დახვდა:

— რა მოგივიდა, რა გული ამოუჭამე მაგ ქალს... მაგისაგან რა გინდა?

— სუ! — ტუჩებზე თითი მიიღო თავმჯდომარემ, ცოლი გააჩუმა და მერე გაბრიელს გაუწოდა ხელი. ეს მამაჩემია, ესენი კი ჩემი დებია, გააცნო მარომ. თავმჯდომარე აკვანთან დაიხარა და თვალები აუციმციმდა, მერე წამოიხედა და ცოლს ნაღვლიანად შეხედა.

ენამწარე და სიტყვამოწამლული ბერბიჭაშვილი სიმთვრალეში საოცრად რბილი კაცი ყოფილა. გაბრიელთან ერთად ბლომად სვა ღვინო, დაითრო და ბავშვებით აუჩუყდა გული. მისი წასვლა არც კი გაუგია ტასოს.





რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, ფრთხილად ამოვიღე ლამისას კარზე ფრთხილად დააკაქუნეს. ტასო წამოვარდა და კარი გახსნა, უმალ მოტრიალდა, მაგიდაზე დადგმულ ლამპას პატრუქი აუწია. ტასო ამ ბოლო დროს დარბაზში იძინებდა ხოლმე. მარომ თავისი ოთახის ღია კარიდან დარბაზში შემოსული კაცი გალანდა.

ნახევრადბნელში მამაკაცის წყნარი, მაგრამ მტკიცე და მბრძანებლური ხმა გაისმა:

— ანთე ქალაღი! ფეხქვეშ დამიგდე!

ეს იყო დათა.

ტასომ ქალაღი ანთო, მამაკაცს ფეხქვეშ დაუგდო. მან ცეცხლს გადალაჯა და თქვა:

— ასე უდროოდ თუ ვინმე შემოვიდეს, ფეხქვეშ მუდამ ცეცხლი დაუგდე, თორემ ავი ქარი შემოპყვება და ბავშვს დაეცემა.

მაროს გულმა რეჩხი უყო. მიხვდა რომელ ბავშვზედაც ზრუნავდა მამამთილი.

დათა მივიდა მაგიდასთან, ლამპა ხელში აიღო და პირდაპირ მაროს ოთახისკენ წამოვიდა. კართან გაჩერდა.

— გძინავს, შვილო?

მარომ დაინახა დათა, წვერმოშეებული, კიდევ უფრო დაბერებული.

— მობრძანდი, — შეეხმიანა მარო და ლოგინზე წამოჯდა, ხალათი გადაიცვა.

დათამ შვილი მიულოცა, მერე აკვანს დახედა, ერთ ხანს უყურა მძინარე ბაღს და მერე გავიდა, კარებთან თქვა:

— მაგის გულისთვის მოველ...

მარომ უსიტყვოდ გააყოლა თვალი ლამპით მიმავალ მამამთილს. ოთახში თანდათან ისევ სიბნელე დასადგურდა.

— ახლა მეც ცოტა თვალს მოვატყუებ, ფრთხილად იყავი, თავზე არ დამათენდეს, — გააფრთხილა ცოლი დათამ.

მაგრამ ლოგინდანატრებულ კაცს თავზე მაინც დაათენდა.

მაროს ადრე გამოეღვიძა. მამამთილი წასული ეგონა და დარბაზში გამოვიდა. ტახტზე დათა დაინახა და მოაგონდა წუხანდელი მკაცრი გაფრთხილება. დათა გააღვიძა.

დათამ თვალები დააქყიტა და მარომ ამ ზვიადსა და კერზ თვალეზში პირველად დაინახა შიში.

ისევ სახურავი. ისევ მშობლიური სახლ-კარის სიბზო. ისევ ის ეამა. მშობლიურ კერაში დანთებული ცეცხლის კვამლი ხანდახან რომ შემოპყვებოდა პაერის ნაკადს სხვენში. და ამ სუნში, ამ გემოში ჰპოვებდა შეებას და თუ სადმე დროებით თავშესაფარი იშოვნა საიბედო, ისევ სხვენი ერჩინა იმას. მთელი დღე ეძინა. კარგად ეძინა ღამითაც, ხოლო დილას, როცა გაიღვიძა, ერთი კრამიტი ისევ ახადა სახურავს და ეზოში გადიხედა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოსწყინდა ყველაფერი. ერთადერთი ადამიანი, რომელიც დათას უყვარდა, იყო პატარა თამარი. როცა მარო სახურავზე ჩუმად აუყვანდა ბავშვს, პაპა გულში იკრავდა თავის სიყრმის შევილიშვილს, ქვეყნის ჯავრი მხოლოდ მაშინ ავიწყლებოდა. ნამდვილად იგი მხოლოდ მაშინ იყო ადამიანი მთელი თავისი კეთილი გრძნობებითა და საქციელით.

ერთხელ მარო მართო ამოვიდა მასთან, ხელში გახსნილი კონვერტი ეჭირა.



— ფილოს წერილია, — თქვა ქალმა და მამამთილს გაუწოდა. სწრაფად ჩამოართვა და წაიკითხა.

მაროს სწერდა ფილო, შორიდან ეალერსებოდა და ესათუებოდა ცოლს, პატიებას შესთხოვდა და ვაჟკაცურ სიტყვას ერთხელ კიდევ აძლევდა, რომ ხუთი წლის შემდეგ პატიოსანი დაბრუნდებოდა. რამდენიმე სტრიქონში მამისადმი საყვედური იყო ჩაქსოვილი. გადაეცი დიდი მადლობა ჩემი ამ დღეში ჩაგდებისთვისო, სწერდა და ალბათ წერის დროს გულში მწარე ნაღველი ეწვეებოდა.

დათამ გულდასმით წაიკითხა. მარო სახეზე უყურებდა. თანდათან მოიღრუბლა დათა, წერილი რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა და უსიტყვოდ დაუბრუნა მაროს.

არაფერი თქმულა.

თავი მეთერთმეტი

სიხარულის ელდა ეცა ტასოს, როცა შუამავლები მოვიდნენ და სონას ხელი სთხოვეს. მაშინ გამოირკვა, რომ სონას ჩუმ-ჩუმად ჰყვარებოდა კასპელი ბიჭი. ტასომ ერთი კი შეუბღვირა თავის ქალიშვილს, ვითომ, რატომ არ გამაგებინე ეს შენი საიდუმლოო, მაგრამ გულში გაეხარა, რომ ქალს დროზე დაახინებდა, სატრაბახოდ ექნებოდა საქმე, ბევრს დაუყენებდა თვალს. აგერ მიტრუას, თალას, ონოფრეს, შიოს და ჯამას გოგოები შინაბერები გახდნენ, გულით უნდათ გათხოვება, მაგრამ ვერა თხოვდებიან. „ჭირიც მომჭამონო, — მათზე ფიქრობდა ტასო, — თვალიც დაუდგეთ!..“ შუამავალთან საუბარში იხარებდა ტასო, სხვისი ნიშნის მოგება ფრთას ასხამდა.

ისე ხმამალა ლაპარაკობდნენ აივანზე მსხდომნი, ისე ხორხოცებდნენ, რომ დათას ყველაფერი ეყურებოდა და გულზე სკდებოდა. „რაღა ვარ ახლა მე? აღარც ცოცხლებში ვწერივარ, აღარც მკედრებში. მართალია გერია სონა, მაგრამ მე გავზარდე, მე დაედე ამაგი და მის გათხოვებასაც აღარ მეკოცხებიან“.

ამ რამდენიმე წლის წინათ კატა ჰყავდათ ხოჯერაანთა, კატას სხვენში ჰქონდა ბინა. აგერ აი, იმ კუთხეში მიწვებოდა და მიიძინებდა ხოლმე, როცა თენდებოდა მაშინ გამოვიდოდა სხვენიდან და სადაც უნდოდა იქ მიბრძანდებოდა.

იმ კატის ხვედრი შეშურდა ახლა დათას. ველარ იტანდა შუაკაცებისა და შინაურების ხმამალა ლაპარაკს, მათ ხორხოცს.

გადაწყდა, რამდენიმე დღის შემდეგ სონას დასანიშნად მოვიდოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ დათას მონაწილეობის გარეშე, მის ოჯახში ღვინო უნდა დაღეულიყო, ქალი უნდა გათხოვილიყო, ხოლო დათას იმ კატის ხვედრიც კი არ არგუნა ბედმა...

გული გამალბით უცემდა, ამღვრეული თვალებით გზას გაჰყურებდა, სადაც შუაკაცები გავიდნენ. სონა, ტასო და გუგულა გასაცილებლად გაჰყვენენ.

დათას იმედი ჰქონდა, ტასო მობრუნდებოდა თუ არა, მაშინვე ქმართან ავიდოდა და ყველაფერს ეტყოდა. მაგრამ რაღა დროს. ახლა ყველაფერი დამთავრებული იყო, დათამ გინდა მისცეს თანხმობა, გინდა არა, მაინც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სამიოდღე დღის მერე სასიძო უნდა მოვიდეს და ქალი დანიშნოს.



სანამ კარგად არ მოლამდა, ტასო სხვენში არ ავიდა. ქმარს ეხვეწებოდა.  
ტანა.

- სონას ათხოვებ?
- ვათხოვებ, მა რა. დრო არ არი?
- მერე მე ვინა ვარ?
- შენა?..
- ჰო, მე!
- ვინ უნდა იყო, რა ვქნა! დათა ხარ... რა დაგემართა!
- ეეჰ! — ამოიოხრა დათამ და დადუმდა.

მეორე დღის საღამოს ცოლს გამოუცხადა, რომ საგზალი მომიზნადე, უნდა წავიდეო. სად და რამდენი ხნით მიდიოდა, ეს კი არ უთქვამს. არც ტასო შეეკითხა. იმ საღამოსვე დაიბარა მარო, ამოაყვანინა პატარა თამარი. კაცი ჰკოცნიდა პატარას და თან მხრები უფრთოდდა, ბოლოს ბაღლი მიაწოდა და ხელი თვალებზე მოისვა.

სონა დანიშნეს.

მცირე სუფრა ჰქონდათ ხოჯერაანთა. სტუმრები რომ წავიდ-წამოვიდნენ, ტასო და სონა მზითვის შეგროვებას შეუდგნენ, მაგრამ იმდენი არაფერი უგროვდებოდათ.

მარო თავის ოთახში ტრიალებდა, დარბაზში დედა-შვილი ისხდნენ, დანა-ჩანგალს ახვევდნენ. ტასომ განგებ ხმამალა უთხრა სონას:

— მეტი რა ვქნა, „ჭრელასაც“ შენ გაგატან.

„ჭრელა“ ხომ ის მეწველი ძროხა იყო, რომელიც დათამ აჩუქა მაროს და თამარს.

ამის გაგონებაზე ელდა ეცა მაროს, შეტრიალდა, დარბაზის კართან გაჩერდა და დედა-შვილს შეხედა. მათ ერთდროულად გამოიხედეს აქეთ. მაროს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მღვლეარების გამო ენას ვერ აბამდა სიტყვას.

სონა და ტასო გაიტრუნენ. ძროხაზე სიტყვა აღარ დაუძრავთ.

მარო მთელი დღე ერიდებოდა დედამთილნაცვალსა და მულს, არ უნდოდა მათი დანახვა.

საღამოს, როცა ნახირი მოვიდა, „ჭრელა“ ბოსელში დააბა მარომ, სარძევე გამოიტანა და ძროხასთან ჩაიშხლა. უცებ ფეხის ხმა მოესმა.

— შენ თავი დაანებე მაგ ძროხას! სონა ჩამოწველის! — ასე მკვახე და ცივი არასოდეს არ ყოფილა ისედაც მკვახე და ცივი ტასოს ხმა.

მაროს ორივე ხელი ცურზე შეეყინა.

ძროხამ დაიხმუვლა, თითქოს პატრონს შეეხმინა, რაღას უყუბებ, ჩამომწველო.

მაროს საკუთარი გულის ხმა ესმოდა, ყვრიმალეები უფრთოდდა, ძარღვები დაეჭიმა, ცურვიდან ორივე ხელი ჩამოუვარდა. ანაზღად ტასოს მიხედა, რომელიც ბოსლის კარებში ჩამდგარიყო და თვალებს აბრიალებდა.

— რა გინდა ჩემგან?! — უნდოდა მკვახედ გამოხმაურებოდა მარო, მაგრამ არ გამოუვიდა, ხმაში ცრემლი გაერია.

— რა მინდა და... თავი გაანებე-მეთქი მაგ ძროხას, ეგ სონასია და იმან უნდა წაიყვანოს, გაიგე?

ტასო რძალს მიუახლოვდა.

მარო ფეხზე წამოდგა და სახეში შეხედა დედამთილნაცვალს.

— ეგ ძროხა დათამ გვაჩუქა მე და თამარს, ახლა მართმევთ?!



— სადღაა შენი მამამთილი!.. მისი ლეკვის ნაცოლარი ხარ და მეტი არა ვიცი.

— როგორ თუ ნაცოლარი?!

გული უფრო მეტად შეუკანკალდა მაროს, თავისდაუნებურად მოხუჭა ივლები და ასე დაძახული და დაძარღვული იდგა დედამთილნაცვალის წინაშე.

— ვაი, შე უბედურო! ნუ თუ იმედი გაქვს, რომ შენი ქმარი დაბრუნდება?! შენ ის გირჩევნია, აქედან აიბარგო და შენი გზა მონახო. ძროხას კი მოეშვი. სონა მოწველის.

მაროს სიტყვა არ დაუძრავს. სარძევეს დახედა, სადაც ბლომად რძე იდგა, დასწვდა ქოთანს, ტასოს ფეხებთან დაახეთქა, დაამსხვრია და ბოსლიდან გაეარდა.

ამღვრეულმა და აფორიაქებულმა მარომ ხელში აიტაცა შვილი, რომელიც ჭილოფზე ჰყავდა დააგორებულ. ჭიშკრისკენ წავიდა სწრაფი ნაბიჯით, მერე ვახზე გავიდა და სოსას სახლისაკენ მიმავალ აღმართს დაადგა. მფარველი და მშველელი კავთისხევში აწ უკვე ჰყავდა, მაგრამ სოსაზე უფრო ახლობელი აბა ვინ იყო!

მირბოდა. დაიღალა. თამარი ემძიმებოდა. დაღლას არაფრად იგდებდა, ოღონდ სოსა მალე ენახა. ნერვიულობამ და დაღლილობამ მუხლი მაინც მოსტეხა და ზედ კოლექტივის ბაღის ბოლოში ჩაიკეცა.

ბინდი ჩამოწვა.

სოფელში აქა-იქ ლამპები აებუტებინათ უკვე.

მარომ ძალ-ღონე მოიკრიფა. წამოდგა.

სოსას ოროთახიანი სახლი უკვე მოთავებული ჰქონდა, მაგრამ ჯერ ღარიბულად მოეწყო, ერთი ტახტისა და ლოგინის მეტი არაფერი გააჩნდა. ფიცრებისაგან თვითონვე გააკეთა მაგიდა და სკამი. აი, ეს იყო მთელი მისი ავლადიდება, მაგრამ მოკლე ხანში თბილისში წასვლას აპირებდა და იქიდან ამოიტანდა ცოტა რამ ძვირფას ნივთს. სოსა გაზარებული შეჰყურებდა თავისი ხელითა და მონაგარით აშენებულ პატარა სახლს. კავთისხევში კარგი სახლი ჰქონდა, წინარეხში კარგი გოგო ელოდებოდა, — სხვა რაღა უნდოდა ჰაბუკის გულს! იმ დღეს შინ ოსტატი ჰყავდა, სახლს გარედან ალესვინებდა. ოსტატს ბატონი სცა, ღვინო დააღვინა, მშრალი ვახშამი მიართვა, თვითონაც დალია და გახალისდა. ოსტატი შინ გაისტუმრა, თავად აიენის კიბეზე ჩამოჯდა, ხვალისდელ დღეზე დაიწყო ფიქრი.

ამ დროს თავს წამოადგა აცრემლებული მარო. პატარა თამარს დედის ხელზე მისძინებოდა.

— რა იყო, მარო? რა მოგივიდა? მოგიკვდეს სოსა!

მარო მაზღს დიდი ხნის უნახავივით მოეხვია და მწარედ ატირდა.

სოსამ დედა-შვილი შინ შეიყვანა და ტახტზე დასვა.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, რა გატირებს, ძალო?!

— ძროხა წამართვეს. აღარ შემიძლია იმათ ხელში ყოფნა, შემეშამეს. მიშველე, შენ შემოგველე!

— როგორ თუ წაგართვეს! ბავშვის ლუკმასთან რა ხელი აქვთ! — იფეთქა სოსამ. ოთახში მიდგა-მოდგა. მერე მაროს მიუჯდა გვერდით, მოეფერა და უთხრა:

— მარო, ნუღარ დაბრუნდები იქ. აგერ, მეორე ოთახი, შედი და იცხოვრე, რაც რამ შენია, ახლავე ამოგიტან.

სოსა წამოდგა. ჩამოშვებულ ხალათზე მჭიდროდ შემოიჭირა ქამარი, ქამარში ნაჯახი გაირჭო და გარეთ გამოვიდა.





უმთავრო დამე იდგა. შორს, სოფელში აქა-იქ ბუტყავდა სინათლე დადრო შეინძრებოდა ქარი. მაროს გააქრეოლა, სევდიანად გააყოლბინებენლსა სიბნელეში მიმავალ სოსას.

შინიდან წამოსული სოსა მეზობელს მიადგა და ურემი სთხოვა. თავისი ხელით გააწყო ურემი, ხარები შეაბა და ზოჯერაანთკენ გაემართა...

ტასოს ხელსაფქვაი გაემართა და პურის ღერძილს აკეთებდა, გული ლამის გადმოუტრიალდა, კარებში სოსა რომ დაინახა.

სონა ტახტზე იჯდა და რაღაცას კერავდა. მასაც საკერავი ხელში შეაცივდა. გუგულასა და ამირანს ალბათ მეორე ოთხში ეძინათ უკვე, არა ჩანდნენ.

სოსა ცოტა ხანს იდგა ასე, უდიდესი მძულვარება და ზიზღი იხატებოდა ჭაბუკის განრისხებულ თვალებში. მისმა უცნაურმა გამომეტყველებამ დედ-შვილი ადგილზევე მონუსხა.

სოსა მოწყდა ადგილიდან და მაროს ოთახში შევიდა. იქიდან რძლის ლოგინი გამოიტანა და ურემზე დადო. შემდეგ სხვა ნივთებს მისდგა. კოჭა-ძაფიც კი არ დაუტოვებია. ხეივანი ჩამოსდიოდა სახეზე. ბოლოს, როცა ნივთების გამოტანას მორჩა, მივიდა ტასოსთან და ავღებულად ჰკითხა:

— ბოსელი ღიაა?

— რად გინდა ბოსელი?! — ელდა ეცა ტასოს.

— ღიაა?! — ისე იყვირა სოსამ, რომ ფანჯრის მინებმა ზრიალი დაიწყეს. ტასოს გული შეუქანდა.

— დაკეტილია. ახლავე გამოგიტან გასაღებს. რად ყვირი, რა დაგიშავებ?

სოსას პასუხი არ გაუცია, გასაღები გამოართვა და ბოსლისაკენ გაემართა.

სოსამ ბოსელი გააღო, იქიდან ჯერ „ჭრელა“, მერე ხბო გამოიყვანა და ურემზე გამოაბა.

დედ-შვილი გატრუნული გაჰყურებდა სოსას, რომელიც მზად იყო დაეღწა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდებოდა. ტასოს წყევლაც კი ვერ მოეხერხებინა, ისე შეკროდა კრიტა შიშისა და მოულოდნელობისაგან. სოსამ უკან-მოუხედავად ისროლა გასაღები სახლის კარებისაკენ, სადაც ტასო და სონა იდგნენ.

ხარები ააჩქარა, აღმართზე მხიარული შეძახილით არეკა.

მოისვენა მარომ, სოსას სახლში სული მოითქვა, კანტორამდე გზა გაუგრძელდა, მაგრამ ამას არად ავღებდა, ტასოს რომ არ ხედავდა, მისი ხმა რომ გულს არ უწამლადა. სოსამ რამდენჯერმე წინარეხში გადაიყვანა მარო, დიდდებაპას ასტუმრა, თავისი საცოლეც გააცნო. სოსა და ცაცო ნოემბერში აპირებდნენ ქორწინებას. იმ დღეს მაროც დიდის მოუთმენლობით და სიხარულით ელოდა. ვენახში ყურძენი უმწიფდა, გულგასახარად იტყებოდა მტევნები. მარო რამდენჯერაც ჩავიდიოდა ვენახში, იმდენჯერ ეჩვენებოდა, რომ ტასო ფეხდაფეხ მისდევდა, მისი სული არ ასვენებდა და რაღაც ხიფათს უქადადა. ტასო არ ეკარებოდა ვენახს და აღარც ბავშვებს აკარებდა, სონა გაათხოვა და ახლა ბიჭებთან მარტო დარჩა. მაროს ზშირად დაუნახია ეს ქალი მეზობლებში უქმად მჯდარი. გუგულას და ამირანს სულ მალე შემოაცვდათ ტანსაცმელი და ნახევრად ტიტვლები დატანტალებდნენ.

ერთხელ მარო ვენახში ჩავიდა, ვაზებს ჩამოუარა და დამკრახულ მტევნებს მიესათუთა.

შემოდგომის წყნარი საღამო იყო. გარინდებულყო მიდამო და ავღარს პირი არ უჩანდა. ვენახში შემოდგომის მსუყე სუნი იდგა.



ხიდან აქა-იქ ხმელი ფოთოლი მოსწყდებოდა და ბალახზე დაფარფატდებოდა.

მარომ ერთხელ კიდევ მიმოიხედა ირგვლივ და ვენახიდან გასვლა დააპირა. ამ დროს, სად იყო, სად არა, ბალსა და ვენახშუა ბილიკზე ტასო გამოჩნდა. შავი კაბა ემოსა, შავი თავშალი მოეხურა. მიწაზე დაფრენილ ყორანსა ჰგავდა, ხელში წვეტიანი სარი ეჭირა. ისეთი გამოზომილი ნაბიჯებით მოსიარულე არასოდეს არ ენახა მაროს. ცხადი იყო, ტასო სამტროდ შემართულიყო. შორიასლო გაჩერდა.

— გიხარია, ჰა? — ჰკითხა მაროს მკვახედ.

— მიხარია! — ისეთივე ხმით, ტასოს მიბაძვით მიუგო მარომ.

— ზეიმობ?

— ეზეიმობ!

— რომ დაჰკრეფავ, არ გვიწილადებ?

— რა გუნებაზე მოხველ? გაგეცალეთ და მანც არ მეშვებით?

— მე რასაც გეკითხები... აქ დათას ოფლია ჩაღვრილი, ჩემი ქმრისა...

ჩვენი! — ხმას აუმაღლა ტასომ.

— მერე და ახლა მოგაგონდა? როცა ჩამოგართვეს, მაშინ რატომ არა თქვი?

— ახლა მომაგონდა, ახლა!... უნდა ნახევარი გვიწილადო... მუქთა კუბოში რომ ჩაწეჭი, ეგრე კი არ არი!

— ფილო მალე ჩამოვა და იმას მოელაპარაკეთ. აგერ, ბერბიჭაშვილის უთხარი, რასაც ის მეტყვის, იმას გავაკეთებ.

— მაშ უარსა ხარ, ჰა?

— ასეა, ასე!

ტასომ სარი შემართა, თვალბში ცეცხლი დაანთო და გარეულ კატასავით ეცა რბალს.

მარო არ დაიბნა. გახელებულ ქალს გვერდით გაუსხლტა და ვაზებში შეფარდა. ტასო უფრო გააჩნხლდა, თავშალი გადიგდო, სარს უფრო მაგრად ჩასკიდა ხელები და ვაზებს გადაერია.

ისმოდა გამხმარი ფოთლების შრიალი. სადღაც ძველი სარი ჭახანით გადატყდა.

მარო ერთ ხანს ვაზებშორის მირბოდა. უნდოდა მშვიდობით გაეღწია ვენახიდან. გული საგულეს აღარ ჰქონდა. ვაზს მიაწყდა, სარი გადიმტვრა და წაიბორჩიკა ქალმა, მუხლისთავე მიწას დაჰკრა და ემწევა. უცებ უსახლვრო რისხვა შემოაწეა გულზე. თავისდაუნებურად დასწვდა სარს. სარი შემართა და ვაზებშორის ლიწინ-ლიწინით მომავალ ტასოს დასახვედრად მოემზადა.

ქალები ვენახის ბოლოში იყვნენ გასული. პირისპირ შეხვდნენ სარმოღერებულები. მაროს ხელი მოუდუნდა, მუხლები აუთრთოლდა, უკან დაიხია, კვლავ გაქცევა დააპირა.

რადაც მძიმედ და მტკიენეულად დაეცა მაროს თავში და უცებ ჩამობნელდა.

მარო უგონოდ დაეცა ვაზებთან.

სოსა და თამარი შინ მარტო იყვნენ. გოგონას ეძინა, ხოლო სოსა მაროს დაბრუნებას ელოდა.

დადამდა.

შემოდგომის ცივმა ქარმა დაბერა და მიყუჩებული გარემო გამხმარი ფოთლი მიწას ეფინებოდა.

ციოდა. ცაზე ვარსკვლავები არ ენთო.

ღრო გადიოდა და მარო არსად ჩანდა. სოსა საგონებელში ჩავარდა. შინიდან გამოვიდა. ხევისპირას ყველაზე ახლომეზობელი ერთი მთიული სახლობდა, ამ ცოტა ხნის წინათ ბარში ჩამოსახლებული. მისი გოგო წამოიყვანა სოსამ და თამროს მეთვალყურედ დატოვა, თავად მაროს საძებრად გამოსწვია. ასე არასოდეს არ დაუგვიანია. როცა კანტორაში რჩებოდა, დაიბარებდა ხოლმე.

თითქოს უსაგნო და უსასრულო იყო შემოგარენი. როცა კოლექტივის ზვარი გამოიარა, ამ შავს მასაში უცებ აციმციმდა ვარსკვლავიანი ცის პატარა ნაჭერი.

ქარმა იმძლავრა, პირსახეში წვრილსა და მსხვილ ფოთლებს აყრიდა სოსას. როცა ხოჯერაანთ ვენახის ღობეს გაუარა, ქალის ყრუ კენესა მოესმა. შედგა. მიაყუა, ვიღაც შევლას ითხოვდა.

— ჰეი, ჰეი! — შეუძახა სოსამ ღამეს.

ქალის კენესა კვლავ გაისმა, თითქოს თავისი სახელიც გაიგონა სოსამ. ვენახის კარს ეცა. კარი ღია იყო. ჭიშკართანვე რაღაც რბილ საგანს წამოედო ფეხით, დაიხარა და სიბნელეში გააჩნია ადამიანის სხეული. სოსამ სახეში ჩახედა გონმიხდილ ქალს და წამსვე ელდა ეცა. ჩაიჩოქა და გულზე მიიკრა რძალი.

— ხმა გამეც, მარო, რა მოგივიდა?

მაროს სიტყვის მობრუნების ძალა არ შესწევდა.

სოსა ერთ წუთს დაიბნა, ვერ მიმხვდარიყო, რა უნდა მოსვლოდა მაროს, ქალს წელზე მოავლო ხელი, აიყვანა და ვენახიდან გამოიყვანა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მთიული გოგო გაშტერებული უყურებდა სოსას, რომელმაც კარი შემოაღო; ხელზე მარო გადაესვენებინა.

— ვაიმე, დედაე! — ლოყაზე იტკიცა ხელი გოგომ და ფერი წაუვიდა.

— სუ, თამრო არ გააღვიძო, — გააფრთხილა სოსამ და ქალი ტახტზე დააწვინა. მაშინ მარომ თვალი აახილა და უძლურად გადმოხედა იქ მყოფთ, მერე ისევ მოხუჭა და ერთხელ კიდევ ამოიკენესა.

#### თავი მეთორმეტი

ციებ-ცხელება შეენთო ტასოს რძალთან მომხდარი ამბის შემდეგ. მაროს რომ სარი დაარტყა თავში და ქალმა კენესით ჩაიკეცა, ტასოს ეგონა ეს არის ხელში შემომაკვდაო და გულგახეთქილი გაიქცა ვენახიდან, სახეამღვრეული მიიჭრა შინ. ამირანი და გუგულა იქ არ ჩანდნენ. ქალი კარადს მივარდა. ორი-ოდე კაბა და საცვალი პატარა ბოხჩაში გამოჰკრა. შინისაკენ რომ მირბოდა, გზაში აზრად მოუვიდა, რომ კასპში სონასთან წასულიყო, იქ შეეფარებინა თავი, გასცლოდა ხოჯერაანთ აწ მოშლილ კერას, სიძე და ქალი როგორ არ შეინახავდნენ. გუგულა და ამირანი? სოფელი მშვიერ-მწყურვალს არ დაავდებს და პატრონი გამოუჩნდებოთო. გული დაიიმედა და შინიდან გავიდა. უკვე შებინდდა და ჭირდა შაოსანი ქალის გარჩევა დაბურულ ორღობეში. კავთურაზე ჩავიდა და მდინარეს დაჰყვა, გზაზე ვერ გავიდოდა, ვიდრე სოფელს არ გასცდებოდა. მალვა-ჩქმალვით ჩავიდა კავთისხევის სადგურზე და იქ, საღამოს მატარებლის მოლოდინში ცდილობდა მგზავრებს დამალვოდა.

...კასპში გვიან ჩავიდა. დაბის მიყრუებულ უბანში ტასოს გზა დაებნა.



ქალის გათხოვების შემდეგ ერთხელ კი იყო სიძინა, მაგრამ ახლა ამ უკუნეში ბნელში სად გაიკვლიოს გზა, რომელ შუკას, რომელ გზას დაადგეს? დალილი და მოქანცული ქალი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

„ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!“ — პირჯვარი გამოისახა ტასომ და ალაღბედზე გაუყვა გზას. აგერ, ერთგან ლამაზ ბეუტავს. ალბათ ღვიძავთ მასპინძლებს. მივა და ჰკითხავს, ეგებ ვინმემ მისწავლოს სიძის სახლ-კარი. ის იყო-ღობეს მიუახლოვდა ტასო, რომ საიდანაც დიდი ქოფაკი გამოხტა და ქალს აბაშე ეძვებოდა.

— მიშველეთ! — დაიკვილა ტასომ და გული შეუღონდა. აღარაფერი ახსოვდა შემდეგ რა მოხდა. როცა თვალი აახილა და მიმოიხედა, დაინახა, რომ უცხო ოჯახში იყო. მაგიდასთან ხნიერი კაცი იჯდა და მას უცქეროდა, სასთუმალთან ხნიერი ქალი უჯდა, რომელმაც ძლივს მოაბრუნა გულწასული ქალი.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. ძალღს ტასოსათვის არაფერი დაუქონია, იმ ღამეს ბინა კი გაუჩინა და დილით მასპინძლებმა თავისი ქალისა და სიძის სახლ-კარამდე მიაცილეს იგი.

სიძე, ოტია ბებურიშვილი, ერთი ოყრაცი ბიჭი იყო. მეოთხე კლასიდან გამოსულს ოთხი კლასის ცოდნაც არ ჰქონდა, მაგრამ უბადლო ხარაზი იყო, კასპის რაიონში მასზე უკეთეს ჩექმებს არავინ ჰკერავდა, კარგადაც ცხოვრობდა. სიდედრს ხელგაშლილი შეეგება და იმ დღეს, მისი ჩამოსვლის აღსანიშნავად წვეულუბაც კი გამართა.

ტასოს არც შვილისათვის და არც სიძისათვის არ უთქვამს ჩამოსვლის მიზეზი და არც ის, თუ რამდენ ხანს აპირებდა დარჩენას.

ტასომ კარგა ხანს მოიკალათა ბებურიშვილებთან. სიძეს შეეჩვია, ენაც შეაჩვია და სულ მალე უთხრა:

— ე, შენი ტყავები ყარს, ბიჭო. ქალს დამისუსტებ ამ სუნიო.

— ჰი, — ჩაიცინა ოტიამ, სიდედრის სიტყვა ზუმრობად ჩააგდო, — ეს გვარჩენს და გვაცხოვრებს, დედაჩემო. სონა შენზე ნაკლებ რიდი მიყვარს.

იმ დღის შემდეგ ტასოს „ფუი, ფუის“ ძახილი აუტყდა. სიძე და ქალი მართოდ ცხოვრობდნენ, ტასოს კი მოსწყინდა, ენა ექავებოდა და ქალთან ჩურჩულ-კურკურითა და ტუტუნით ვერ იქავებდა. კავთისხევიდან ჯერ-ჯერობით ბაიბური არ ისმოდა.

ბებურიშვილს სამი ოთახი ჰქონდა. შუა ოთახში ოტიას გარდაცვლილი დედ-მამის სურათი ჰქონდა ჩამოკიდებული. საკმაოდ მახინჯი, ულამაზო მშობლები ჰყოლოდა ოტიას, მაგრამ როგორნიც არ უნდა ყოფილიყვნენ, მათი ხსოვნის საკადრის პატივს სცემდა შვილი.

ტასომ ისე არ შევიდოდა ამ ოთახში, რომ სურათის შემხედვარეს ტუჩები არ მოეპრუწა. ერთხელ სონას უთხრა:

— ნეტა რას გიკიდიათ ამ მაიმუნების სურათი!

— სუ დედი, ოტიამ არ გაიგოს, ეწყინება.

— რამდენი შევხედამ, გულს მიხეთქამენ.

— დედი, სუ, შენ შემოგველე!.. — ემუდარებოდა სონა.

ტასომ სულ მალე გამართა ხელი და ოჯახის თავკაცობაც იკისრა. თავის ქალს ჩვეულებრივ მბრძანებლობდა, როგორც კავთისხევში, ნელ-ნელა სიძესაც შეაპარა მკვახე სიტყვა. ოტიამ ჯერ მოუყრუა, სიდედრს პატივი დასდო და უსიტყვოდ შეასრულა ყველაფერი, მაგრამ, როცა, სულ მოკლე ხანში, ტასო ოჯახის სრული ბატონ-პატრონი გახდა და სიძის ოჯახში ყოფნა გაუტკბა, — ოტიას არ ესიამოვნა ეს ამბავი.



— დედაშენი რამდენ ხანს დარჩება, სონა? — ჰკითხა ერთხელ ცოლს.

— აბა რა ვიცი...

— ის ბიჭები ვისთან დატოვა? იმათ მიხედვა არ უნდა?

— ვერაფერი მიკითხავს, არ ეწყინოს-მეთქი.

— ჰო, აი, მეც ჩუმათა ვარ, — ამოიოხრა ბოლმით გასიებულმა ოტიამ და თან ისე გადააპურჭყა, გეგონებოდათ ამით მოიცილა გულის დარდიო. ოტია შინ შევიდა, შუა ოთახში გაიარა და თვალს არ დაუჯერა: დედ-მამის სურათი კედელზე აღარ იყო. გული შეუქანდა. კარებში შემოვიდოდა თუ არა, უმალ ამ სურათისთვის უნდა შეეხებინა და ახლა... იქით ოთახში გამავალ კარს გახედდა და იქ ტასო დაინახა დოინჯშემოყრილი.

— რაო, სიძე... იმ სურათს იმდენი ბაღლინჯო გასჩენოდა, რომ...

— ბაღლინჯო? — ჩაიღუღღუნა ოტიამ, — უჩემოდა ვის რა ხელი ჰქონდა იმ სურათთან?

ოტია მიუხვდა, რომ ეს ტასოს ნამოქმედარი იქნებოდა, მაგრამ ამჯერადაც პირდაპირ ვერ შეხვდა ეთქვა რამე. თვალები კი დააბრიალა.

— რას აბრიალებ თვალებსა, ბიჭო? მამაშენიც ეგრე აბრიალებს თვალებსა და რამდენი ამ ოთახში შემოვალ — გულს მიხეთქამს.

— როგორა რა... ის სურათი რა... — უაზროდ აბურტყუნდა ოტია. აქეთ მოდგა, იქით მიდგა, მაგრამ ცოლის ხათრით: სიდედრს კიდევ ვერაფერი გაუბედა. გაბრუნდა, ძუნძულით ჩავიდა ეზოში და სონას აუბურტყუნდა:

— წადი, ეხლავე ჩამოჰკიდეთ ის სურათი, თორემ... თორემ... — ოტიამ ხელები გულმკერდზე გაისვ-გამოისვა და ქვედა ყბა აუთრთოლდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მისი გაბრაზება საზღვარს გადასცდა. საქმარისი იყო ცოტა რამ მიზეზი კიდევ და იფეთქებდა კიდევაც.

ტასოს სურათი ჩამოეხსნა და სამზარეულოში, ძველი კარადის გვერდით მიეგდო. სონამ დედის უჩუმრად გამოიტანა სურათი, კედელთან სკამი მიიღგა და ჩამოკიდება დაიწყო.

— ვაი ჩემს დღეს! — გაისმა ტასოს ხმა.

სონა შეკრთა, სურათი ხელში გაუშეშდა და მიხვდა. დოინჯშემოყრილი, გათამამებული ტასო ანთებული უცქერდა შვილს.

— დედა... ოტიას სწყინს... ეს რა გიქნია?

— ბაღლინჯოების ბუდეა, წადი, ისევ იქ დააგდე, სადაც იყო... ოტიასა სწყინს რა! შეხედე, ადამიანებს მაინც გვანდნენ! — დაისისინა ტასომ და შვილისკენ წამოვიდა.

— დედა, ეს მეტისმეტია! ეს ხომ კავთისხევი არ არი!.. — თავადაც გული მოუვიდა სონას. დედის საქციელი მასაც არ მოუვიდა თვალში, გულს არ ეფონა მისი ასეთი თავაშვებულობა. ეს ხომ ოტიას სახლ-კარია, მისი საკუთრება, მისი ოფლითა და ჯანით მონაგარი, ვის რა ხელი აქვს ამ ოჯახში, ისე აკეთოს საქმე, თუ ოტიას არ ესაიამოვნება?

ქმრის სიყვარული, რიდი და პატივისცემა ბევრ რამეს აფიქრებინებდა სონას.

ტასომ მაინც თავისი გაიტანა და ბუზღუნით წაიღო სურათი, ისევ იმ კარადის გვერდით მიავდო. და იმ დროს, როცა შემოტრიალდა, დაინახა ოტია.

— ჩამოკიდე! — დაიბუხუნა ოტიას მკერდმა.

— შენ რა დიდგულათა ხარ, ბიჭო?!

— დიდგულათ კი არა... ჩა... მო... კი... დე!

— ავადმყოფი თუ ხარ, შვილო, იმკურნალე... რას აკრაჭუნებ მაგ ჯიბეებს ლებსა.

— ჩამოკიდე! — დაიქუხა ოტიამ და ფანჯრებმა ზრიალი გაიღო, მაგრამ ტასოს წარბიც არ შესტოკებია. სონას ეგონა აქ რაღაც დიდი უბედურება დატრიალდებო, ქმარს მივარდა და ცრემლმორეული ხმით ემუდარა:

— შენი ჭირიმე, ოტია!..

ოტიამ ცოლი მოიშორა, დათვური ძუნძულით მიეჭრა სიდედრს, მსუბუქად აიტაცა ეს პატარა დედაკაცი და გარეთ გააქანა. იკვილა ტასომ, კატასავით ებღღვნა სიძეს, გააჩნხლდა... სონამაც იკვილა და ოტიას აედევნა.

— შენი ჭირიმე, ოტია, ამას რას შვრები?!

ზრახით აღუღებულ ოტიას აღრადფერი ეყურებოდა, ხელში ატაცებული სიდედრი ჭიშკრისკენ მიჰყავდა, მაგრამ ჭიშკრის მაგივრად ღობეს მიაწყდა. ტასომ ერთხელ კიდევ მწარედ უკბინა სიძეს მკლავზე. ოტიამ ასწია და ღობის იქით ტომარასავით გადაავლო, მერე ხენეშით მოტრიალდა და თავის ეზო-კარს მიხედა ამღვრეული, გაბოროტებული თვალებით. ვაშლის ხის ძირას სონა დავარდნილიყო და ქვითინებდა.

ვიღაცამ კასპიდან კავთისხევში ჩამოიტანა ამბავი: სიძეს ღობიდან გადაუგდია სიდედრი, ტასოს მკერდი ქვაზე დაურტყამს, ორი ნეკნი შემტვრევია და რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალაო. სიძე დაუჭერიათ და ახლა მისი საქმე სასამართლოშიაო.

მარომ კანტორაში გაიგო ეს ამბავი, ბევრი სიმწარე ახსოვდა ტასოსაგან, მაგრამ მაინც შეეცოდა. იმ დღეს პირველად გაბედა და ფეხი შესდგა ხოჯერაანთ უპატრონო სახლ-კარში, სადაც პატარა ამირანი და გუგულა ღარჩენილიყვნენ. ორღობეში მიმავალ მაროს შორიდან შემოესმა ამირანის ტირილი. გულ-ამოსკვნით მოთქვამდა ბიჭი, იგი აივანზე დადგმულ ტახტზე გაწოლილიყო პირალმა და ღრიალებდა. მარომ ჭიშკრიდანვე დაინახა და მარდად მიიჭრა მასთან. ჭუჭყიანი, ჩამოძონძილი ტანისამოსი ეცვა ამირანს, დიდი ხნის დაუბანელი ფეხები დახეთქოდა. მაროს გული დაეწვა ამის დანახვაზე. ბიჭთან ჩაიმუხლა და ხელი შეახო.

— ამირან, ბიჭო!

ამირანი ყურადღებას არ აქცევდა მაროს.

— ყური მიგდე, ამირან! — მაროს ნუგეშისცემა უნდოდა, მისი დაწყნარება უნდოდა, მაგრამ სიტყვა ვერ მოენახა, რომ ბიჭის გული მოებრუნებინა.

ამირანმა ჯიუტად გააქანა თავი და მაროს ხელი მოიშორა.

რამდენადაც წელან ტასოსადმი სიბრალულით აუჩუყდა გული, ახლა ამირანის და გუგულას დაჩაგვრისათვის, თავისი უმსგავსი ადამიანობისათვის, კვლავ შეზიზღდა ტასო და გუნებაში მიცვალებული პირველად დასწყევლა, ძალი იყავ და ძალღური სიკვდილიც გრგებია წილადო.

ამირანს ვერაფერი მოუხერხა.

— გუგულა! გუგულა! — დაიძახა მარომ, მაგრამ გუგულა არსად ჩანდა. ძმის სახელის გაგონებაზე ამირანმა თავი აიღო და წუთით შესწყვიტა ტირილი, ეზოს ირიბად გახედა და ძმა რომ ვერ დაინახა, კვლავ ღრიალით ჩარგო თავი ხელებში. მიხვდა მარო, გუგულამაც რომ მიიტოვა, ალბათ ამის გამო ტირის ასე გულმოკლულიო. მაგრამ სად უნდა წასულიყო გუგულა?

— გუგულა სად არი, ამირან? წავიდა სადმე?



პასუხი არ იყო. მაშინ მარო ღონივრად დასწვდა ყმაწვილს მხრებში და მოაყენა, ბიჭმა გაიბრძოლა, ხელები და ფეხები გაპარკყა და ტირილს უმატა. მარომ შეუტია და ერთი შებრძოლებით დაიმორჩილა. ამირანი უცებ დადუმდა, მაგრამ მხრები მაინც უთრთოდა, სლუკუნს მაინც ვერ იკავებდა.

— გუგულა კასპში წავიდა — ამოილულულა ამირანმა.

იჩქარა მარომ. გუგულას კასპში გაქცევა კარგს არას მოასწავებდა ყმაწვილკაცისათვის. როგორმე უნდა დაებრუნებინათ იგი.

ამირანი შინ დატოვა მარომ და სოსასაყენ გასწია, რათა მაზლი სადგურში წასულ გუგულასათვის დაედევნებინა.

— რამ ავალეღვა, მარო! — ჰკითხა სოსამ. — სადგურში წავალ და თუ ვნახე, იცოცხლე იმას კინწისკვრითა და ბერტყვა-ბერტყვით ამოვიყვან.

სოსამ მაშინვე გამოსწია სოფლისაყენ, მოედანზე ეტლი გააჩერებინა, ჩაჯდა და სადგურისაყენ გასწია. გზადმიმავალ სოფელელებს ათვალიერებდა, მაგრამ გუგულას თვალი ვერსად მოჰკრა. სადგურს რომ მიუახლოვდა, კასპისაყენ მიმავალი მატარებელი უკვე ჩამომდგარიყო. როცა სოსა ეტლიდან გადმოხტა, ზარს სამჯერ შემოჰკრეს და ელმავალმა სიგნალი მისცა. გუგულა ბაქანზედაც არ ჩანდა. მაგრამ ახლა რომელ ვაგონში მონახავს სოსა?! ჭრილით გასწიეს ვაგონებმა. გამყოლები კიბეებზე შედგნენ და დახვეული დროშები გამოიშვირეს. სოსამ ხელი ჩაიქნია და სოფლისაყენ მობრუნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კასპიდან ჩამოსული უცნობი ხოჯერაანთ სახლ-კარს მიაღვა. შინ არავინ დახვდა, მაშინ მაროს მიაკითხა კოლმეურნეობის კანტორაში. უცნობმა ხელი ჩამოართვა და პატარა ბარათი გადასცა: სონა იწერებოდა თავის უბედურებას. დიდად გამაზარა ამ მარტოობის ჟამს გუგულას ჩამოსვლამო. ამ წერილის მომტანს ამირანიც გამოაყოლებთო, დაე ჩემთან იყვნენ ჩემი ძმები, გული მაგრად მექნებაო. სოსას და მეზობლების მოკითხვასაც იწერებოდა გულდათუთქული ქალი.

ამირანი იმჟამად სოსათან ცხოვრობდა. ნახევარძმას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, დასთან წასულიყო ბიჭი. და აი, ამირანი უკანასკნელად გამოეთხოვა კავთისხევს და კასპის გზას გაუყვა სიძის მოკეთესთან ერთად.

ყველანაირი ხილი დამწიფდა და ჰაერიც შემოდგომის სუნით დამძიმდა.

რთვლები გახშირდა: აქა-იქ ქვევრებში უკვე აბურტყუნდა მაჭარი.

დატკბა მზის სხივი.

მარო რთვლისათვის ემზადებოდა, თბილისში წერილი აფრინა და თავისიანები კვირისათვის დაიბარა, წინარეხიდან დიდელა-პაპაც დაპატიჟა, სოსას საცოლე ცაცოც მოიწვია, კოლმეურნეობის კანტორის მუშაყებასაც სთხოვა. მოსავლის აღების ოჯახურ ზემოში მონაწილეობა მიეღოთ.

გაბრიელი, თამარი და ქრისტინე შაბათ საღამოს ესტუმრნენ კავთისხევს. ამ დღისათვის მარო უკვე გადაბარგებულო ხოჯერაანთ სახლში და ქმრის კერის ნაცარი გაეღვივებინა.

— ყოჩალი ქალი მყოლიხარ და მე არა ვიცოდი რა, — თქვა გაბრიელმა და შვილს მოეხვია, თვალებში ჩახედა. ახალგაზრდა ქალს სულ მალე დასტყობოდა უკაცობა, დარდი და ჯაფა, ცოტა შეღალხული ჩანდა, მაგრამ ამ სახე-



მო დღეს ის სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, მხიარულობდა, დაცქრიალსა და სტუმრების მოლოდინში სიხარულს განიცდიდა და ხვალინდელ დღეს მოუთმენლად ელოდა.

წინარეხელი სტუმრები კვირა დილას ადრე მოვიდნენ. სოსამ ეტლით ჩამოიყვანა ისინი.

— შენ შემოგველე, ეს რა კარგი სარძლო გვეყავს! — სიყვარულით მოეხვია მარო ცაცოს და ორივე ლოყა დაუკოცნა. ცაცო მორცხვობდა და ლოყები შესწითლებოდა, მალულად თვალს აპარებდა სოსასაკენ, რომელიც რთველის თადარიგს შესდგომოდა და მკლავმავარ ბიჭებს დავალებას აძლევდა.

გაცოცხლდა, გამხიარულდა ხოჯერაანთ სახლ-კარი, კარგა ხანია აქედან ასეთი ხმაური და მხიარული ხმები არ გასულა.

მერთველები ვენახში შევიდნენ.

გაბრიელმა თვალი შეავლო ფოთოლშემხმარ, დამკრახული მტევნებით დახუნძოლულ ვაზებს და სიამოვნებით გააქნია თავი.

— ბარაქალა, ბარაქალა! — თქვა და პირველი მტევანი მოწყვიტა, მალა ასწია და შუქზე გახედა, — აი, ყურძენი!

გაიხარეს თამრომ და ქრისტინემ, ყურძენს კრფდნენ, მტევნებს გოდორში ყრიდნენ. რთველში პირველად იყვნენ და ძალზე უხაროლათ.

ცოტა ხნის შემდეგ პაპა თედომ დაიძახა, რთველს სიმღერა უხდებოდა, რადგან პირველად ვერავინ გაბედა, ისევ თვითონ წამოიწყო. მოხუცის ყელმა ერთი კი ამოუშვა ზარივით ხმა, ჯეელობისა გაიხსენა, მერე უმაღლესად შეწყდა წკრიალი, მერთველების უკვე აშვებულ სიმღერაში შეითამაშა და დაიკარგა.

გოდორი გოდორზე იცლებოდა მარანში. კავთისხეველი ბიჭები ეხმარებოდნენ მაროს. სოსა და რამდენიმე მისი ამხანაგი ჩამდგარიყვნენ საწნახელში და ყურძენს წურავდნენ. დარში მირჟაკრავებდა ტკბილი და ქვევრის სიღრმეში ჩხრიალი გაუდიოდა. ჭყაპ-ჭყუპ, ჭყაპ-ჭყუპ. — წიხლის ჩახეღვით ჭყაპუნებდა საწნახელში ჩაგროვებული ყურძენი.

გიგა დურგალი, რომელიც კერძების უბაღლო ოსტატიც იყო, რამდენიმე ქალის დახმარებით ქვაბებს დასტრიალებდა და მერთველებისთვის გემრიელ კერძებს ავეთებდა...

იმ დროს, როცა ხოჯერაანთა მხიარულებას ბოლო არ უჩანდა, ორღობეში სოფლის საბჭოდან გამოგზავნილი ბიჭი მორბოდა. მან ქაქანი თ შემოირბინა ხოჯერაანთ ეზოში და სოსა იკითხა.

— ემანდ, მარანშია, ბიჭო. — უთხრა გიგამ და წინსაფარზე ხელები შეიწმინდა, — აგრე რა მოგარბენინებდა, რა ამბავია?

— დათა უბოვნიათ, — ძლივს ამოთქვა ბიჭმა, — საბჭოში მოიტანეს.

— როგორ თუ მოიტანეს! აქეთ მამხედე, ბიჭო! — მხარში წაავლო ხელი გიგამ და მარნისკენ პირმობრუნებული ბიჭი თავისკენ შემოატრიალა.

— მტკვარში დაუხრჩვია თავი.

— შე უბედურო, დათა! — ამოიოხრა გიგამ და წინსაფარი შემოიხსნა, ბიჭს უთხრა, წადი, ჩამოვალთო და მარნისკენ თავად გაეშურა.

საწნახელში ჩამდგარი ბიჭები ღლინებდნენ. გიგა კარებში გამოჩნდა.

— ბანი გვითხარ. ძია გიგა! — შეუძახა ერთმა ყმაწვილთავანმა.

— კარგი ბანისათვის მოველ, მე და ჩემმა ღმერთმა...

— რა იყო, ძია გიგა?

გიგამ იცოდა, რომ სოსა მამასთან უბრად იყო და ამიტომ თამამად დაიწყო:



— ახლა ბიჭმა ამოიტანა ამბავი... დათა მტკვარში უბოვნიათ.

— როგორ თუ მტკვარში?!

სოსა შედგა, სახეზე ზაფრანის ფერმა გადაჰკრა. საწინახელიდან გადმოსტა, წყლიან ტანში ჩააწყო ფეხები, ჩაიბანა, ფეხთ ჩაიცვა და არაფერი უთქვამს, ვენახისაკენ გასწია. გიგა აედევნა.

— ვენახში რაღა გინდა? პირდაპირ საბჭოში ჩავიდეთ. — ურჩია დურგალმა, მაგრამ სოსა უბრად მიაბიჯებდა. ვენახის ჭიშკართან შედგა და მაროს გასაძახა. მალე გამოჩნდა სახემლიმარი, გამხიარულებული მარო, მაზლისკენ ფეხმარდად წამოვიდა და რა დაინახა დაღვრემილი მამაკაცები, ცუდად ენიშნა და შეკრთა.

— რა ამბავია სოსა? რა მოხდა, ბიჭო?

— მამაჩემს თავი დაუხრჩვია და საბჭოში ამოუსვენებიათ. — ყრულ თქვა სოსამ.

მარომ ლოყახე შემოიკრა ხელი და გაფითრდა, ენა ვერ დასძრა. ვენახში კვლავ გუგუნებდა სიმღერა.

დათა შინ მოასვენეს.

სოფლიდან ერთი-ორი კაცი ამოვიდა სამძიმარზე. მიცვალებულის გარშემო მხოლოდ მერთვლებს მოეყარათ თავი. ყველანი დუმდნენ.

გაბრიელი პირველად ახლა შეხვდა მძახალს. გაოგნებული უყურებდა სახეშეცვლილ დათას. „ეს იყო იმ დღეს სახურავზე მპატიებდომო, მაშინვე მიგრძნო გულმა, რომ ამ კაცს ცუდი ბოლო ექნებოდაო, — ფიქრობდა გაბრიელი, — შე დალოცვილო, მე შენზე უფრო ძალიან მიჭირდა, მაგრამ ჩემი ალალი შრომით მონაგარს ვჭამდი, ჩემი მონაგარით ვინახავდი ცოლ-შვილს. შენ რა გჭირდა ისეთი, რომ შევილიც კი გააუბედურე, ახლა თავიც გაიუბედურე და ჩემს მაროს რთველიც ჩაამწარო!“

შეპყურებდა გაბრიელი გიგა დურგლის მიერ სასწრაფოდ შეკრულ კუბოში ჩაჭედული კაცის დამახინჯებულ სახეს და გუნებაში ეჭურჩულებოდა საყვედურებს.

გვიან ამოვიდა ბერბიჭაშვილი, არც არავის მიუსამძიმრა, არც არავის გამოელაპარაკა, მხოლოდ აქა-იქ რამდენიმე კაცს სალაში გადაუგდო, მიიხედ-მიიხედა და წავიდა.

მეორე დღეს დამარხეს დათა. საღამოს მისი შესანდობარი დალიეს და არავის წამოსცდენია მისი ავკაცობის ამბავი, რადგან მიცვალებულის გინება იდი ცოდვაა.

#### თავი მცხამბა

ზამთარში მარომ ფიდოს წერილი მიიღო. იწერებოდა: ამ ზაფხულს, ივლისში ან აგვისტოში მელოდეო. იმასაც იწერებოდა, რომ უფროსები მას პატივით ეპყრობოდნენ და ხშირად თავისუფლებასაც აძლევდნენ. დაგიბრუნდები, ჩემო მარო, დაგიბრუნდები და პატიოსნად ვიცხოვროთო, კვლავ და კვლავ აიმედებდა.

მარო ცრემლისდვრით კითხულობდა წერილს და უკვე მოუთმენლად მოელოდა ივლისსა და აგვისტოს. დაბრუნდება ფიდო, ხუთი წლის თვალით უნახავი შვილი დახვდება და გაიხარებს. მარო ეტოტინებოდა პატარა თამრიკოს,



შენი მამიკო, სულ მალე დაბრუნდება და კაბებს ჩამოგიტანსო. თამრიკოსაც აინტერესებდა, როგორი იყო მისი მამიკო, როგორ კაბებს ჩამოუტანდა და რა დღიდან სულ გზას გაჰყურებდა, ჩამოჯდებოდა ჭიშკართან და რამდენ უცხო კაცს დაინახავდა. შინ მორბოდა, ის ხომ არ არის ჩემი მამაო. მარო შეხედავდა გზადმიმავალს, მწარედ გაიცინებდა, შვილს თავზე გადაუსვამდა ხელს და ეტყოდა:

— შენი მამიკო ყველაზე ლამაზი კაცია. — მერე ერთ ნაღვლიან ოხვრასაც ამოაყოლებდა.

ზამთარი გრძელი და უსასრულო ეჩვენა მაროს. როცა ხეზე კვირტები გაფუვდა და მერე ყვავილებად დასკდა, მზემ მცხუნვარებით ააფუა მიწა, დედ-შვილს გული იმედით აეგოთ და ახლა თვეებს კი არა დღეებსღა ითვლიდნენ.

გაზაფხულის ერთ დღეს სოსას ქორწილი ჰქონდა. წინარეხიდან დიდის ამბით გადმოიყვანა ცაცო და თავის ახალ კერაში კელაპტარივით ააშუქა.

რატომღაც ბედნიერი, ძალზე ბედნიერი ჩანდა ის წელიწადი.

აგერ, მაისიც გაილია. მაროს გული აღარ უსვენებდა, გზას გაჰყურებდა..

და ერთხელ, კვირა დღეს, როცა მარო ჭიშკართან იდგა, ორღობეში გაჩქარებით მომავალი სოსა დაინახა. მეტად აგზნებული და აღელვებული ეჩვენა მაროს მავლი.

— რა მოხდა, ბიჭო?

— ომი დაიწყო! — უმალ მიუგო სოსამ.

და იმ წუთსვე ყველა იმედი წყალში ჩაეყარა მაროს.

ახალგაზრდები, რომელთაც დენტის კვამლი არასოდეს არ ეყნოსათ, წამოიქოჩნენ, სამხედრო კომისარიატში გაიქცნენ, ფრონტზე წასვლას ითხოვდნენ.

— გგონიათ ბამბის კურკას გესვრიან? — ეუბნებოდნენ ხანდაზმულნი და სინანულით, გულდაწყვეტილები უყურებდნენ ამ ტალიკ-ტალიკ ბიჭებს, რომლებიც ხვალ თუ ზეგ მტრის ძალას უნდა შესჭიდებოდნენ და ზედ უნდა შეკვედომოდნენ.

ახალგაზრდებს ძალა ერჩოდათ, სისხლი უდღუღდათ, სიმღერით მიდიოდნენ ლაშქრად და თავი ისე ეჭირათ, თითქოს დღეობაში არიანო.

ქალები უფრო გრძნობდნენ და განიცდიდნენ კარზე მომდგარ გასაჭირს.

ფრონტზე მიმავალი ბიჭები შუასაოფელში დამდგარიყვნენ, ლხინი გაემართათ. ალბათ ასე თავდავიწყებით, ასე ფიცხლად არასოდეს არ დაუკრავთ დოლი, ასე გრძნობით და ხშიანად არ გაუწელიათ: გარმონი. მოცეკვავეებს ასეთი ცეცხლი არასოდეს არ შემონთებიათ.

კოლმეურნეობის კანტორიდან გამოსული მარო ხალხში გაერია. ერთხანს უყურა ბიჭებს და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

ხშიანად გუგუნებდა დოლი.

ვაეკაცთა ომახიანი შემახილები ცას სწვდებოდა. ზოგს ღვინო მორეოდა და ქალებს უტევდა:

— რას იცრემლებით? სატირალი რა გვჭირს!

— მაშ რისი მაქნისები ვართ, თუ არ ვიომეთ და მამული არ დავიცავით!

— ცრემლი არ დავგანახოთ!

ქალები ცდილობდნენ თავის შეკავებას, მაგრამ მინც უტიროდათ გული ახლობლების განშორების გამო, ვინ იცის სად ისტუმრებდნენ მათ, დაბრუნდე-



ბოდნენ თუ არა ისინი ცოცხალნი, ომში ხომ ერთმანეთი უნდა მტრებმა!

მარო მალე განერიდა ხალხს, გზას შინისკენ გაუყვა. სოსაც მიდიოდა და მისთვის უნდა მიეხედნა.

სოფლის ზემოუბანში არავინ ჩანდა.

სანამ ხოჯერაანთ სახლს მიატანდა, გზაზე ჯარში გაწვეულების, მათი გამცილებელი ქალებისა და მოხუცების დიდი ჯგუფი შემოხვდა. ისინი თვალიდან და წინარეხიდან მოდიოდნენ. მარომ უცებ იგრძნო, რომ მის გულს ძალა და რწმენა ემატებოდა: ეს ბიჭები მტერს არ გაათელვინებდნენ სამშობლოს.

„რა დროს დაიწყო ეს ომი მაინც. — ფიქრობდა მარო, — მოსავალი კარს მოგვედგომია, მერე რა მოსავალი“.

ამის გაფიქრებაზე შედგა და მალლობიდან კავთისხევის ველებს გადახედა. მუქლურჯად ლვიოდნენ სათუთად მოვლილი ზვრები. ოქროსფერი გადაპყროდა მწიფობაში შესულ ყანებს.

„ხვალ თუ ზეგ მკა უნდა დაიწყო. მომკვლეები კი ფრონტზე მიდიან“.

მარო აჩქარდა. სოსას კარ-მიდამოში შევიდა. პატარა თამარი დედას მიეგება. სოსა და ცაცო აივანზე ისხდნენ, ერთმანეთს ხელზე ეალერსებოდნენ. ცაცო ტიროდა, შეპყურებდა სოსას და ცრემლი ღაბა-ღუპით სდიოდა თვალიდან. სოსა არაფერს ეუბნებოდა სანუგეშოს, რადგან სიტყვა ვერ მოეძებნა. ზოლო დროდადრო ააცურებდა თითებს ქალის ლოყაზე, ცდილობდა ცრემლის კვალის წაშლას, მაგრამ ცრემლი ახლა მას დასდიოდა ხელზე.

— სუ, მე არ მომკლავენ, ნუ გეშინია, — როგორც იქნა ამოთქვა სოსამ და სწორედ ამ დროს გამოჩნდა მაროც. იგი აივანზე ამოვიდა და რძალს მოეფერა:

— ვაეკაცს ცრემლით არ აცილებენ ომში. — თვალი გაუსწორა რძალს. განა თვითონ არ უტიროდა გული, შეიძლება ცაცოზე არა ნაკლებ ასჩუყებოდა იგი, მაგრამ ქვა ჩაედო მკერდში, გაკერბებულიყო, ცრემლი გაშრობოდა.

— ეე, ჩემო რძალო! — შეუძახა სოსამ. — შენ მართალი ხარ, წინასწარ გამოტირება ვინ გაიგონა. აი, მე კი მგონია, რომ არ მომკლავენ... გული მეუბნება... ამ ოხერა გულის კი ყველაფერი მჯერა.

და განა მართლა სჯეროდა იმ წუთში! თავს იმშვიდებდა და სხვასაც აიშვებდა.

— განა იმიტომ ვტირი, რომ სამუდამოდ დაღუპულად გთვლი. — გული კვლავ ამოუჯდა ცაცოს, — ვინ იცის, რა იქნება... ცოტა ხანს მაინც დაგვეცლოდა ერთად ყოფნა... ყველაფერი სიზმარივით იყო.

თავი ველარ შეიკავა, სოსას მოეხვია და ატირდა.

სადგურისაკენ მიმავალი შარა სავსე იყო ხალხით. კავთისხეველებს ზემო სოფლების ახალგაზრდებიც შემოუერთდნენ.

გზის გარდი-გარდმო ტანაყრილი ვაზების ხშირ ფოთლებში აქა-იქ მოჩანდა მტევნები.

ვენახებს იქით, მონახბერ ნიაზე ლელავდა ყანა.

მეწინავე ახალგაზრდები შეჩერდნენ.

— რა მოსავალი!

— ქალებო, — გადმოსძახა მალალ-მალალმა კაბუყმა, — ყანასაც თქვენ გიტოვებთ და ნამგალსაც.



— აბა, თქვენ იცით, — მიმართა სოსამ ცოლსა და რძალს, — გული მკრად გქონდეთ და მუდამ ეცადეთ სხვებიც გაამხნევოთ.

— ქვეყნის საქმე გაქვთ, ტირილისათვის დრო აღარ დაგჩებათ. — უბარებდა ვიღაც გამცილებელ ქალებს.

გზა განაგრძეს, ყანებს ჩაუარეს.

სადგურზე ბიჭები ერთად დადგნენ. ვიღაცამ დაიძახა, ხელი-ხელს გადავხვითო. უცებ შეიკრა ცოცხალი გალავანი. მერე ამ ვეებერთელა ჯგუფიდან ამოვარდა „მემლი მუხასა“.

ეს სიმღერა თავიდან ბოლომდე ომახიანი, იმედის მომცემი და აღმაფრთოვანებელია. ამიტომ არჩიეს ბიჭებმა მისი დაგუგუნება.

ასე ტყბილი და გულშიჩამწვდომი ნამღერი არასოდეს სმენია მაროს.

შინისაკენ მობრუნებული ქალები ცრემლიან თვალებს იმშრალბდნენ. ერთად მოდიოდნენ, ერთი ბედისანი და ყისმათისანი.

კაცები მდუმარედ მიაბიჯებდნენ. სდუმდა ბერბიჭაშვილიც. ჩაფიქრებული თვალებით გაპყურებდა კავთისხევსა და მის შემოგარენს. ისე მშვიდი და წყნარი იყო მიდამო, რომ კაციშვილის გულს არა სჯეროდა, სადმე თუ ომი მქინვარებდა. ჯერ უნახავი და არგაგონილი ომი.

— ჰა, ტატე, რას იტყვი, როგორი პირი უჩანს ამ ომსა, ჰა? — გამოელაპარაკა გიგა დურგალი კოლმუხურნეობის თავმჯდომარეს.

— აბა რა ვიცი... ჩვენი ბიჭები ჰიტლერს დედას... და ჩამოვლენ! — მაინც გაურია თავისებურად ბერბიჭაშვილმა. ეს ისე ალაღაღ, დაჯერებით და გულწრფელად თქვა, რომ ამჯერად გიგას არ გაჰლიმებია თავმჯდომარის გინებაზე.

თიბათვის მცხუნვარე ღღე იდგა.

ვაკაკების დატოვებულ ცელებს მოხუცებულებმა დაავლეს ხელი და სათიბად გავიდნენ. ჭარმაგნი ცოტანილა დარჩენილიყვნენ, ბალახი კი თვალუწვდენ სივრცეზე ყელყელობდა.

კავთისხეველმა ქალებმაც ცელებს მოკიდეს ხელი და მამაკაცებს გაჰყენენ.

ქალები კოდაზე თიბავდნენ, ხევსგალმა კაცები იყვნენ. დედაკაცები მძიმედ, გაუწეავად ცელავდნენ ბალახს. კაცებიც მძიმედ მიიწევდნენ წინ, მაგრამ სხარტად. მწყობრად მისთიბავდნენ სვრელებს. ქალებიდან ყველამ როდი იცოდა ცელის რიგიანი ხმარება. ზოგს ეშინოდა, ცელის მოსმისას არაფერი ევნო თავისთვისა და მწყობრში მდგომ მეზობლისათვის. ამიტომ იყო: მწყობრად, შეწყობილად ვერ თიბავდნენ.

ზოგი ქალი ამხანაგს ჯგობნიდა, არავის უცდიდა და თავისი სვე წინ გაჰქონდა. ზოგს მალე ეღლებოდა მარჯვენა, შედგებოდა, ღრმად ამოისუნთქავდა, თავშლით ოფლს მოიწმენდა და ცელისპირს ისევ ბალახში შეატურებდა.

ხანდახან ხევს გაღმიდან კაცები გამოსახებდნენ.

როცა მამაკაცებმა ფერდო აათავეს, მზე ჯერ კიდევ მაღლა იყო. გადათიბულ ბალახს ჭკნობა შეჰპარვოდა და ჰაერში უკვე ტრიალებდა მისი საამო, დამათრობელი სუნი.

რამდენიმე მამაკაცი ქალებს მიეშველა. მათმა მოსვლამ წელში გამართა დედაკაცები.





— გაწაფეთ. გაწაფეთ ხელი! ხედავთ. რა ყანები გვაქვს ასალეობის მიანებოდნენ მომშველებლები ქალებს.

შხუოდა ცელი. შრიალებდა ბალახი.

მზე გადიხარა. მოსალამოვდა.

მითბავებმა სადგურიდან მომავალი რამდენიმე მამაკაცი შეაჩერეს.

— რა აბავია ქალაქში, ომის რა ისმის? — ჰკითხეს.

— ქალაქში დიდი მზადებაა, — მიუგო მგზავრთაგან ერთერთმა, — დიდ-ძალი ჯარი მიდის. ტყუილია, იმათ ვერავინ მოერევა. ნეტავი თქვენც განახათ! ლაბარაკში მოხუცი გიგა ღურგალიც ჩაერია.

— ცოტა სულის მოთქმა გვინდა და მერე გვიყუროს ი. ჰიტლერია თუ დოხანა! — და უცებ გაახსენდა ბერბიჭაშვილის სიტყვები, წამს დადუმდა და მერე განაგრძო, — ქვრივ-ობოლი გაგვიმრავლდება, მაგრამ...

ქალთა შორის ვიღაცამ ამოისლუკუნა.

— რა გაწრიბინებს, დედაკაცო? — შეუტია გიგამ და მერე ხმამაღლა თქვა, — სულ ეგენი ხართ ეხლანდელი ქალები. აფსუს, რა ქალები გვყავდნენ ძველად.

— აგრე არ არის საქმე, ძია გიგა, — წინ წამოდგა ხოჯერაანთ რძალი, — ახლაც არიან მამაკაცი ქალები.

გიგამ მაშინვე დაუთმო:

— არ გეწყინოს, შვილო მარო... ეს ისე ვთქვი. არ მიყვარს დედაკაცის წუწუნი... განა ვერ ვხედავ თქვენს საქმეს?!

გლეხები სოფლისაკენ გამოეშურნენ.

მარო რომ ხოჯერაანთ უბანში აღმართს შეუყვია, უკვე ბნელოდა, მეწამული ზოლიც ქრებოდა დასავლეთით და ნელ-ნელა, მკვეთრად ენთებოდნენ ვარსკვლავები.

იმ დღეს აღრე ავიდა მარო შინ, მერე თავის რძალს ააკითხა. როგორც კი ღროს იბოვიდა, მაშინვე მას მიაშურებდა, რომ მარტოხელა ქალისათვის გული გაეკეთებინა, ენუგეშებინა იგი. ცაცოს კავთისხვევიდან წინარეხის ბიბლიოთეკამდე გზა გაუგრძელდა, ხშირად თავის სოფელში დედ-მამასთან რჩებოდა. გახდა ცაცო. დარღმა დაადნო მისი გული.

როცა მარო მოვიდა, ცაცო არაჩვეულებრივ სამზადისში იყო. თავისი ბარგი, რაც მზითვად მოჰყვია, შეეკრა და კიდევ რაღაცას ალაგებდა ჩემოდანში.

— ეს რა არის, ცაცო? აქედან მიდიხარ?

— მივდივარ, მარო... როდემდე ვიყო ასე მარტო!

მარომ მწარედ ჩაიციინა.

— განა მე და თამრო მარტოდ არა ვართ?!

— მერე? მერე და კარგია? თქვენ ორნი მაინც ხართ. წავალ დედაჩემთან. აქედან მაინც შორი გზა მაქვს სავალი ბიბლიოთეკაში.

— ეს სახლ-კარი?

— იყოს, რა გქნა! განა ცოტა სახლი და კარი მიუტოვებიათ!

— სოსა გიყვარს?

— რატომ მეკითხები ამას? განა ეჭვი გეპარება ჩემს სიყვარულში? მე ის დიდი ხანია მიყვარს და სიკვდილამდე მეყვარება.

მარო ტახტზე ჩამოჯდა. წამს დუმილი ჩამოეგრდა. ცაცო შუა ოთახში გაჩერდა, რძალს მიაჩერდა სახეგაფითრებული.

მარომ ოთახს მიმოხედა და მერე დაბალი ხმით დაიწყო:

— მე ვიყავ მომსწრე შენი სოსა როგორი სიყვარულით, როგორ მონდომებით აღებდა ქვას ქვაზე, აგურს აგურზე, როგორ სასოებით შეჰყურებდა ამ თავისი ხელით აგებულ კერას... და გელოდა შენ, ელოდა ბედნიერებას... ყველაფერი მიიღო, ყველაფერი, — მარო გაჩუმდა, ღრმად და დარდიანად ამოიხსრა, ცაცოს პირდაპირ თვალეში შეხედა და მტკიცედ უთხრა: — ცაცო, არ ივარგებს, იცოდე. რას იფიქრებს ხალხი, შენ რომ აქედან წახვიდე... განათლებული გოგო ხარ, აბა წუთით დაფიქრდი... შენზე უფრო დიდი ცეცხლი და წამება ვნახე ხოჯერაანთა, მაგრამ მაინც არ გამოიშვა ფილოს სიყვარულმა. მე ახლა მისი სახლის კედლებს შევხარი, მის ნივთებს შევხარი. აი, შენ წახვალ და გგონია მოისვენებ. თუ მართლაც გიყვარს სოსა, იქაც ვერ დადგები...

— შენი ჭირიმი, მარო... მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება... სად წავიდე... სად დავიშვდირო ეს ატირებული გული...

— ნუ, ნუ მიატოვებ აქაურობას... სოსას ეამება, გოგო... როცა დაბრუნდება, შენ მისთვის უფრო მეტად სათაყვანებელი იქნები.

### თავი მეთოთხეტი

ქმრების მოლოდინში ცხოვრობდნენ ხოჯერაანთ რძლები. ერთმანეთს გულს უკეთებდნენ, ერთმანეთის იმედით სულდგმულობდნენ.

იზრდებოდა პატარა თამრიკო.

სოსასგან და ფილოსგან კი ბაიბური არ ისმოდა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, კაცმა არ იცოდა მათი ასავალ-დასავალი, ავი და კარგი.

სოფელში ბევრი დედა ატირდა, ბევრი ქალი დაქვრივდა და ბევრი ბავშვი დაობლდა.

მარო ყოველ დღე გულისხეობით ელოდა ავის მაცნე ცნობას ფრონტიდან, ასევე შიშის თვალეებით უყურებდა ცაცო სოფლის ფოსტალიონს.

გამვირდა ლუკმაპური, ჩაიღამა თვალეები სოფელმა და ქალაქმა. თბილისის ბნელ ქუჩაზე ღამით ხშირად გაუვლია მძიმე ტვირთით წელში მოხრილ მაროს. თავისიანებისათვის ცოტა რამ სარჩო ჩამოჰქონდა სოფლიდან.

მაგრამ ორმოცდაათხი წლის იანვარში თბილისს კვლავ წაეკიდა ნათურების ალი და ღამით მტკვრის გაშლილ ხეობაში ჩაუჭებულნი ქალაქი უცებ გამოცოცხლდა.

გაბრიელს მხერხაობისათვის თავი დაენებებინა და ჰოსპიტალში მუშაობდა. თამარი სამკერვალო ფაბრიკაში იყო, ქრისტინე კი სკოლაში სწავლობდა.

ერთ საღამოს თვაურებთან ყველამ მოიყარა თავი. კავთისხევიდან მაროს ღვინო და სხვა რამ ხორავი ჩამოეტანა.

გაბრიელმა, შინ რომ ღვინო დაიგულა, მეზობლის პატივისცემა გადაწყვიტა. ყველაზე ახლომეზობელი ელისაბედი იყო, ამიტომაც ის მოიწვია შვილებიანად. ელისაბედის ვაჟი, სანდრო, ახლახან ფრონტიდან დაბრუნებულიყო დაჭრილი და შინ იშუშებოდა.

განსაკუთრებით თბილად შეხვდა ელისაბედი მაროს. გვერდით მოუჯდა და მოუღერა, გულისტკივილით უთხრა, გამხდარხარო. მაროს ეშხიანი და მზიანი თვალეები მუდამყამს ხიბლავდა ელისაბედს. გაბრიელის ქალთაგან ისე არავინ მოსწონდა, როგორც ის.

მზიარულად ივახმშეს სტუმრებმა და წავიდნენ.

მეორე დღეს ჰოსპიტლიდან შინ მიმავალი გაბრიელი ელისაბედმა შეიწვია.



თვალი შინ ნასვამი დაბრუნდა. მარო გვერდით მოისვა და უთხრა:  
— შეილო, ახლა ელისაბედი მელაპარაკა და თავის გულშინალები გადაძი-  
შალა.

მარომ თვალი გაუსწორა მამას.

— იცი რა გითხრა, — განაგრძო გაბრიელმა, — რაღაც სხვა თვალთ გი-  
ყურებენ ეს ჩვენი მეზობლები.

— !...

— რძლად უნდისარ ელისაბედს.

— რაო... რძლადლაო?! — ელდა ეცა მაროს. წამოდგა, ორივე ხელი გულზე  
დაიწყო, — ეს რა მითხარი, მამა! მე ხომ ქმარშვილიანი ვარ?

— არ მინდა დავაღონო, შეილო, მაგრამ... ფილოსგან კარგა ხანია არაფერი  
ისმის. ცოდვა ხარ მარტო ცალუდელში, შეილო.

— მაგას ნუ მეუბნები!!.. ფილო სადაც უნდა იყოს, მისი რიდი და პა-  
ტივისცემა ყველგან მექნება. მარტო მე ხომ არა ვარ ასე, მამა.

— მე ჩემი გითხარი. შვილი ხარ და მებრალეები. დანარჩენი შენ იცოდე.

— მოდი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

— ნება შენია, შეილო... მე ძალას როდი დავატან.

მარო თითქმის ყოველდღე ხედავდა ელისაბედს, მის ქალიშვილს, მაყვა-  
ლას და ზოგჯერ სანდროსაც შესწრებდა თვალს, მაგრამ არაფერი განსაკუთ-  
რებული არ შეუუმჩნევია. ქალმა იფიქრა: ალბათ გამომცადა მამამ, ან და თვი-  
თონ მოიფიქრა, რომ სანდროს მიმათხოვოს... მამინაცვალი რად უნდა ჩემს  
გოგოს! ღმერთო, შენ დამიფარე... ან მე როგორ ვულალატებ ფილოს!

მარომ მოიწყინა. უცებ ნათლად წარმოუდგა თავისი ცხოვრების ყველაზე  
უბედნიერესი დღე: მის თვალწინ თითქოს გაცოცხლდა ფილოს მხიარული  
სახე, მისი დაუდევარი, გიჟმაყი სითამამე.

ფიქრში გართულს არ შეუუმჩნევია, როგორ წამოდგა თავს ელისა-  
ბედი. იგი თავისთან ეპატიეებოდა მაროს. ელისაბედი არ მოეშვა, წაიყვანა.  
ჭიშკართან მაყვალაც გამოეგება. ასეთი მიპატიეება ცუდად ენიშნა მაროს. შეც-  
ბა, გული შეუტოკდა.

მაროს განსაკუთრებით არ ესიამოვნა, როცა გაბრიელი სანდროს გვერდით  
დაინახა სუფრაზე.

სანდროს გამოხედვაში მარომ დაიჭირა ის, რისაც ყველაზე მეტად ეშო-  
ნოდა. გახევდა.

ოთახში მყოფნი წამოდგნენ. მოსულს სკამი სუფრასთან დაუდგეს.

მამინ კი მოეხვია ელისაბედი მაროს და ყველას გასაგონად უთხრა:

— ჩემი ხარ, შეილო! ამ სახლიდან შენ ველარ წახვალ, შენ ჩემი მესამე  
შვილი ხარ.

მაყვალას თამრიკო ჩაესვა კალთაში და ეფერებოდა.

ამის შემხედვარე და ელისაბედის სიტყვის გამგონე მარომ ჭკუა ლამის  
დაკარგა. უმალ წამოხტა, კარს ეცა, მაგრამ ელისაბედი წინ გადაუდგა.

მარომ ისე უტანაურად შეხედა, რომ ელისაბედმა სიტყვაც კი ველარ შეკ-  
კადრა, ჩამოეცალა და გზა დაუთმო...

მარომ შინ გადირბინა, ციებზიანივით კანკალებდა, თავს ღრმად შეურაცხყო-  
ფილად გრძნობდა.



უმცროს დებს გული მოუვიდათ მამაზე, რომელიც კვლავ ელისაბედთან იჯდა და ქეიფს განაგრძობდა.

გაბრიელი გვიან გადმოვიდა. მთვრალი კაცი მეტისმეტად ახირებული იყო. ქრისტინემ და თამარმა მამას შეუტიეს. გაბრიელმა არ დაუთმო. მაშინ კი ყველამ შეაქცია ზურგი. ვაცხარდა გაბრიელი, უშვერი ვინებით აიკლო ჭერი.

მარო თავის თამრიკოს იკრავდა გულში. იჯდა ასე მღუშარედ, ერთ წერტილს მიშტერებოდა. თითქოს არც კი ესმოდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

მარო მეორე დღესვე გაემგზავრა კავთისხევისაკენ, რითაც დიდად დასწყყ-  
ვიტა გული დებს. გაბრიელი მხოლოდ მაშინ მიხვდა თავის დიდ დანაშაულს.

უთოვლო, ცივი საღამო იყო. დედა-შვილი უბრად მიდიოდნენ აღმართზე. ხოჯერაანთ სახლ-კარს რომ მიატანეს, მარო შედგა, ღრმად ამოისუნთქა.

კავთურის გაღმა მთიდან ტურის ჩხავილი მოისმა.

დედა-შვილი შინ შევიდნენ, ლამაზ აანთეს. მარომ შეშა დააპო, რამდენიმე წუთის შემდეგ მხიარულად გუგუნებდა ბუხარი.

ხოჯერაანთ კერიდან ბლუჯა-ბლუჯად ამოდოდა ბოლი.

ერთ ღამეს მარჯვენა ფეხის პროტეზის ჭრაჭუნით ჯარისკაცმა აიარა შუა-  
კავთისხევში. ყავარჯენზე დაბჯენილი შეუყვა ხოჯერაანთ უბანს და როცა მარ-  
ოს სახლს მიაღმა, შეჩერდა, შეყოვნდა რატომღაც, მერე ჭიშკარი გაიარა და  
მისი ყავარჯენი აივანზე აბაკუნდა. ფანჯარაში შეიხედა: დედა-შვილი მაგიდას  
მისჯდომოდა. მარო რაღაცას ქსოვდა, თამრიკოს კი ხშირი თმები შუბლზე ჩა-  
მოშლიდა და მაგიდაზე გაშლილ სურათებიან წიგნში იყურებოდა.

მგზავრს გულმა რეჩხი უყო.

— მარო, თამარ!

ნაცნობი და შორეული ხმა მოესმა მაროს. წამოეგზნო. სწრაფად გამოაღო  
კარი და უმალ ჯარისკაცი ჩაიჭედა კარებში. წყნარად, სიყვარულით შეხედა  
მაროს, ყავარჯენს ხელი უშვა და გადაეხვია ქალს.

— მარო, ჩემო!

— სოსა, შენ შემოგველე, ბიჭო!

მატარებლის ლოდინში გულგაწყალებული გიგა ღურგალი სადგურის ბა-  
ქანთან კიბეზე იჯდა და აპრილის მზეს ეფიცებოდა.

ამოწვერილი ბალახისა და მინდვრის ადრეული ყვავილების დამათრობე-  
ლი სურნელება მოჰქონდა ნიავს.

გიგას სადგურთან დაეყენებინა ურემი. დისწულების დასახვედრად ჩამო-  
სულიყო. უღელდადგმული ხარები ზანტად ღეჰავდნენ თივას და პატრონივით  
მათაც თვლენა ერეოდათ.

ღროლადრო სამორიგეოში ტელეფონის ზარის წკრიალი და მორიგის  
ჩახლეჩილი ხმა ისმოდა.

უხმოდ თრთოდა ლიანდაგის გასწვრივ დარგული ჭადრებისა და ტირიფე-  
ბის ახლადგამლილი ნორჩი ფოთლები.

ლოდინში კარგაძალი ღრო გავიდა. მზე შორეული მთების უნაგირში გა-  
დაჯდა და სხივთა მარაო მეწამულისფერად გაშალა.





გიგას შეაყრუოლა. სიგრილემ მოაცოცხლა და ხარებს მიხედვით დაეძინა. დევ გადმოუყარა ურმიდან.

სწორედ ამ დროს მორიგემა ზარს შემოჰკრა და ლოდინით გაბეზრებულ დურგალი წელში გაიმართა. ბაქანზე ავიდა და ლიანდაგის გასწვრივ გაიარა. მგზავრები და დამხვედურები აფუსფუსდნენ ბაქანზე.

როცა მატარებელი ჩამოდგა, გიგამ თვალები დააცეცა, მოხუცს თვალში მოუვიდა ერთი ახოვანი ჯარისკაცი, რომელიც ვაგონიდან ჩამოდიოდა. ჯარისკაცს გიგას დანახვაზე სახე გაუნათდა და მისკენ ჯიქურად წამოვიდა. მოხუცი შეცბა. დააკვირდა. ერთ ადგილზე გაჩერდა. უფრო დაკვირვებით შეათვალა ვაგონი, რომელსაც მზარა ცალ მკლავზე გადაეკიდნა, ქული მოეხადა და ღიმილით უქექროდა მას.

ჯარისკაცს ღრმა ნაიარები ეტყობოდა სახეზე, ხოლო გულმკერდს ორდენები და მედლები უმშვენებდა.

„ვინ უნდა იყოს ნეტა?“ — ფიქრობდა გიგა და ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა რომელიმე შორეული ნაცნობისა და ნათესავის სახე.

ჯარისკაცი კვლავ გულლიად უღიმოდა. მერე მივიდა, ხელი ჩამოართვა და გადაკოცნა.

დაიბნა, გაოგნდა განცვიფრებული მოხუცი.

— ვერ მიცანი, ძია გიგა?

— ვერა, შეილო, ვერ გიცანი. კავთისხეველი ხარ?

— ნუთუ მართლა ვერ მიცანი, ძია გიგა?

— ღვთის მადლმა, ვერ გიცანი... მინდა მოგიგონო და... არა მჯერა, მაგრამ აი, დავებრებულვარ. ვისი ხარ, ბიჭო?

— ფილო ხოჯერაშვილი ვარ, ძია გიგა, — მწარე ღიმილით უთხრა ვაგონკაცმა.

გიგა შეირხა, ნაბიჯი უკან გადადგა და უმაღლეს ორდენებს შეხედა.

— მაშ ფილო ხოჯერაშვილი ხარ?

— ხოჯერაშვილი ვარ. პატიმრად ვიყავ, მერე ომში მოვხვდი... და აი, დავებრუნდი... ჩვენების ამბავი გეცოდინება.

— შენ გაიხარე, ბიჭო! თქვენებიდან სოფელში შენი ცოლ-შვილი და სოსა თავისი ოჯახობით. კარგად არიან, მხოლოდ აი, სოსამ ფეხი დაჰკარგა ომში. — ეუბნებოდა გიგა და თან ხელს უსვამდა მხარზე.

— ჩემი დისშვილები უნდა ჩამოსულიყვნენ, — უცებ მოაგონდა გიგას, ბაქანზე მიიხედ-მოიხედა.

წამსვლელი მგზავრები მატარებელში დაბინავებულიყვნენ. მატარებლიდან ჩამოსული ორიოდე კაცი თავის გზას გასდგომოდა. გიგას დისშვილები არ ჩანდნენ. მატარებელი დაიძრა და მალე გაშორდა სადგურს.

— ნეტა რა დამართათ იმ ბაღლებს! — უქმეყოფილოდ ჩაიბურტყუნა გიგამ. ეგებ მეორე მატარებელს ამოჰყვნენო, გაითიქრა.

ფიდოს უსაზღვრო სიხარულით უვსებდა გულს წლობით უნახავი მშობლიური გარემო, მისი მიწა, მისი ჰაერი, უდასალიერო სივრცე. მშობლიურ კერას მონატრებული სახლისკენ მიისწრაფვოდა. იქ მას რამდენიმე წლის უნახავი ცოლი და თვალშეუვლები შვილი ელოდა. რა გააჩერებდა ერთ ადგილზე!

— კარგად იყავ, ძია გიგა!

— დაგეცადა, ერთად წავსულიყავით.

— მაპატიე, ძია გიგა. სამახარობლო კი ჩემზე იყოს. ახლა წავალ.

შინ არ იცოდნენ მისი ჩამოსვლა. პოსპიტლიდან ისე გამოეწერა, რომ დე-



ბეშის გამოგზავნაც ვერ მოახერხა, ჩავალ და ის იქნებაო, — გაიფიქრა. ნამდვილეში კი ფილო თავის თავსაც კი არ გამოსტყდომია. მას ეშინოდა ცუდი ამბავი არ შეეტყო მაროზე. ის კი კარგად ყოფილა თურმე.

სადგურს გაშორდა, გაიჩქარა.

მოღამდა, როცა ჩოჩეთს მიაღწია. აი, კავთისხევსაც მიუახლოვდა. ცაზე ვარსკვლავები აინთო. ორღობეში ღამემ ჩაიბუღა.

წყაროსთან გოგო-ბიჭებს მოეყარათ თავი და მხიარულად რაღაცაზე კამათობდნენ.

ჯარისკაცმა აქეთ აიარა და ახალგაზრდებს დააკვირდა. ნათელი ღამე იყო, მაგრამ ფილომ ვერც ერთი ვერ იცნო. ახალგაზრდებმაც მდუმარედ გააყოლეს თვალი მიმავალ უცნობ ჯარისკაცს.

აღმართს შეუყვავა.

ხოჯერაანთ ჭიშკრამდე მგლის მუხლი მიიტანა და როცა ჭიშკართან შეჩერდა, მთელ ტანში უცნაური სიძაბუნე იგრძნო. თავი შეიმავრა, წელში გასწორდა, ღობის ფიცრებს მოუსვა ხელი, ახალ ჭიშკარს მიესაათუთა. შეცბა, როცა ლოყაზე ცრემლის სისველე იგრძნო.

შინიდან სინათლე გამოდიოდა, ფანჯარასთან ვიღაცამ გაიარა და ფილომ იცნო მაროს ლანდი.

— მარო! — დაუძახა, მაგრამ მის ბაგეს არ გასცდენია ხმა.

ჭიშკარი შეაღო. გატანჯული, გამოწრთობილი და ახლა ბალღევით ათრთოლებული გული თავის მშობლიურ კერაში შეიტანა.



## ზაქარია შაჩუაბერიძე

# საგურამოს მუხრანის მუხრანელები

მუხრანელებზე ილიას სახელობის ასვლის შობეპედილებიდან

### გვირგვინები

საგურამო. ამ შენს კაკალს  
ტოტებს ვაჭრით ბორჯღლიანებს,  
შენი წყარო წყურვილს არ ჰკლავს,  
გაუმადლად მოჩხრიალებს.

კაკლის ტოტებს განზე არ ვყრით,  
უხვად ვამკობთ ჯაგნებითა,  
მწიფე შეინდი ღიმილს გვალვრის  
საგურამოს ჯაგებიდან.

ახლა უნდა დავიაროთ  
ლაღად, განა დაზარებით,

ბეთლემი და დარიალი,  
მუხრანი და ბაზალეთი.

თან მივიტანთ თავის დახრით  
გვირგვინებს და თაიგულებს.  
შენი ქვეყნის, შენი ხალხის  
ერთგულებად დაგვიგულე.

კაკლის შტოზე მტევნებს ვაყრით,  
ვამკობთ თაფლა ჯაგნებითა,  
მწიფე შეინდი ღიმილს გვალვრის  
წიწამურის ჯაგებიდან.

### ბაზალეთი

ჩვენი სალამი, შენ, ბაზალეთო!  
დიდი ილიას ხელით ნარწევო,  
შენგან სტრიქონი ბევრი აენთო  
და მე არ ვიცი რალა დავწერო.

ენა ხარ ბევრი აზრის მოთავე,  
შენ ბრძენკაცივით საქმი. გვირგვინი,

ახლა ნავებით შეგატორტმანეთ  
და დაგიკაწრეთ მკერდი ნიჩბებით.

აჰა, გვირგვინი საგურამოსი,  
თვითონ თვალო და თვითონ გვირგვინო,  
თუ დაგეწაფეთ, ალბათ ამოგვლით,  
რომ ჩვენს ძარღვებში ცეცხლად  
ირბინო.

### დარიალი

ჩვენს თვალწინ კლდეებს გააქვთ რიალი  
და სულის მოთქმას აღარ გვაცლიან,  
მხრებზე დაგვაწვა ეს დარიალი,  
ქონდრის კაცებად გადაგვაქცია.  
შევეცქერთ მწვერვალებს თოვლით  
ვაფეთქილს,

ცისკენ წასულან, როგორც ისრები;  
ან გაგვისკდება ძარღვი საფეთქლის.  
ან უეჭველად გავისრისებით.

ამ სიდიადეს, სულის შემძრავსა,  
თუ არა ნახე, როგორ მიხედები!



ხრამში ჯიხვივით შეესვამთ ვეძასა  
და უშველად ჩვენც გავჯიხვდებით.

საქმე რომ წავა თოკის წვევაზე,  
გავწევთ, თუნდ ქარმა გვეცემოს,

ჯიხვის გულით და ჯიხვის მუხლებით  
დავიმორჩილებთ ყველა ფრიალოს,  
რომ ამ სიმძიმემ სულთამხუთავმა  
ჩვენს არსებაში არ ირიალოს.

გვიხივლოს,  
ჩვენ უსათუოდ ავალთ მწვერვალზე,  
რომ საქართველო მართლა ვიხილოთ.

### მწვერვალისაკენ

წინ მივიწვევთ, ქარაფები  
ჩამომდგარან დარაჯებელ,  
სიზმარს არ ჰგავს არაფერი,  
მაგრამ მაინც არა გვეჯრა.

აქ რომ მოხსლტე ყინვის მინდორს,  
მხოლოდ თოკით გადარჩები,  
თუ ჩურჩხელად დაეციდო,  
არ იღარდო დანარჩენი.

აგრუხუნდნენ ფლატეები,  
ისე, როგორც ზარბაზნები,  
ქეები, ყინვის ნამტვრევები  
დაგვიშინეს გაბრაზებით.

მაინც მალა გვეწვივან  
აღმართები დამლაღავი,  
ძირს ყინულის მეწყერია,  
ნეტა, მალა რალა არი.

მოგორავენ, ლაპლაპებენ,  
თითქოს მართლა ჭურვები  
და პირღია ნაპრალები  
ცარიელი ჭურვებია.

ჩვენ ვბრმავდებით, ვუცქერთ როცა  
ყინვის ველურ სიდიადეს,  
ჩვენც რომ მისი ძალა მოგვცა,  
ნუთუ ასე ვიზვიადებთ?

### მწვერვალზე

ფეხი შემოვდგით მწვერვალზე,  
ამინდი ისევ მძვინვარებს,  
ბიჭები თოკსა წელავენ,  
თავი მგონია მძინარე.

ილიას ვაზის ლერწები  
მწვერვალზე ამოვაბრძანეთ.

სიზმარულად მოაცებს,  
ბარათს ხელს ვაწერთ რიგრიგად,  
რასაც გინდოდეს აკოცე,  
სუფთაა, გული მიგივა.

ვაზს ფეხი აქაც დაუდგამს,  
იქნება კიდევ გაოცებს,  
ნუ მოექცევი აუგად,  
შემოეხვიე, აკოცე!

გრიგალნი ნისლეებს წველიან  
თვის უჩინარი ხელებით.  
ჩვენ გვსურდა, მყინვარწვერიდან  
რომ დაგვენახა ხმელეთი.

დე, გვიღალატოს ამინდმა,  
ძლივს გავარჩიოთ ერთურთი,  
სხვა არაფერი არ გვინდა,  
ლღეს გამარჯვება გვეკუთვნის.

გრიგალო, საით გვეწვიე,  
ბომ ხედავ, რომ ვერ გვაძალებ;

მწვერვალზე ნიშანს აღვმართავთ  
სახელად დიდი წინაპრის,  
მყინვარეთს გავშლით ქალაქად,  
ლექსი დავეწერთ წრიაპით.







„ვეფხია ხალივაური“

ნახტი ჯემალ ლოლუასი

აკაკი ბერიაშვილი

# ვეფხია ხელოვნური

რომანი

ამ რომანის პირველი ნაწილი გამოქვეყნებული იყო 1953 წლის პროზის ალმანახში.

პირველ ნაწილში ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე შეუღდნენ მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას. ამ ქარხნის კვალიფიციური მუშახელით უზრუნველსაყოფად მთელ რესპუბლიკაში ავროგებენ ახალგაზრდებს და აგზავნიან რუსეთის ქარხნებში ფოლადის გამოდნობისა და დამუშავების შესასწავლად.

შეგირდების პირველი ჯგუფის მოგროვებას ხელმძღვანელობს ფრონტიდან დაბრუნებული ინჟინერი არჩილ სანებლიძე (პირველი ვარიანტით სავანელიძე. ზოგიერთი მოსაზრების გამო ავტორმა თავის გმირს გვარი შეუცვალა). იგი მიემგზავრება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც იბეგებს ახალგაზრდებს. ერთ-ერთ რაიონში ის ხვდება თავის ყოფილ სატრფოს ექიმ ქალს თალიკო გაბაურს. იგი ვათხოვია, ტყუპი შვილი შესძენია, ქმარს მიუტოვებია და საშინელ გაჭირვებაში იმყოფება. არჩილი ბევრეზიანად წამოიყვანს თალიკოს და თავის ოჯახში დააბინავებს.

რომანის მთავარი გმირია ვეფხია ხალიბაური, ჰაბუკი ზევსური. იგი მიემგზავრება თბილისში იმ სურვილით, რომ შეისწავლოს ფოლადის გამოდნობის საიდუმლოება. ვეფხია პირველად თბილისში, ვერ ვგუება გარემოს და დააპირებს უკან გაბრუნებას, არჩილის რჩევა-დარიგების შემდეგ ვეფხია თავს ანებებს ყოყმანს და სხვებთან ერთად გაუდგება გზას რუსეთისაკენ.

მატარებლის ფანჯრებიდან ახალგაზრდები დაინახავენ რუსთავს, სადაც შიმშილი და გადარჯული ველის მეტი არაფერი არ არის.

ამით მთავრდება პირველი ნაწილი.

## I

თბილისიდან დაწყებული ვეფხია მატარებლის კარს არ მოშორებია. დილიდან საღამომდე ღია კართან ან სარკმელთან იჯდა და ხარბად ათვალიერებდა მიდამოს. გასცქეროდა შორეულ მთებს, აზერბაიჯანის ტრიალ მინდვრებს, საღ-



გურებთან ამოღტილ ალვის ხეებს, ჭრელთავეშალიან ქალებს და გაღვინდებულნიან მამაკაცებს, შემოდგომის სიცივით გადახუნებულ მინდვრებზე შრტყნილ ცხვრის ფარებს. ნაბადში განვეულ მაღალ ფაფახიან მწყემსებს ხელში გრძელი კომპლით, შარავზაზე ჩიჭიკით გარბენილ სახედრებზე გადამხდარ მხედრებს, სასაცილოდ რომ აქანებდნენ ფეხებს, თითქო თავიანთ ბედაურებს გარბენაში ეხმარებოდნენ. აქ დაინახა ვეფხიამ აქლემი და თუმცა მისი სურათი დედაენაში ეხილა, ამ უშნო ცხოველის ცოცხლად ნახვამ გააოცა და თავისდაუნებურად წამოიძახა:

— ეს რა გონჯი ყოფილა!

ველახს რომ ვაცდნენ, აღიათთან გამოჩნდა კასპიის ზღვა. ქროდა ძლიერი ქარი და ბიჭებმა კარები მაგრად დახურეს. ვეფხიამ ჭუჭრუტანა მონახა და იქიდან უცქეროდა ამ უჩვეულო სანახაობას.

— ვეფხია, დაწექი, ბიჭო, ზღვას კიდევ ვნახავთ. — უთხრა საბანში გახვეულმა არჩილმა, მაგრამ სანამ ზღვა თვალთავან არ მიეფარა, იგი ჭუჭრუტანას არ მოშორებია.

ქარი კი ისევ ზუოდა და გლეჯდა იქაურობას, ისე დაფეთებული დაშლიგიზობდა მატარებლის ქვეშ, თითქო იმ ბორბლებში ვილაცას დაეძებდა.

— ეს რა ტიალი ადგილი ყოფილა. — წაიდუღუნა ვეფხიამ, თავის თაროზე აბობღდა და საბანში გაეხვია. — აქ როგორ ცხოვრობს ხალხი. ერთი ხე არ არის, ბალახიც არა ჩანს და ქარიც მაგარი სცოდნია. ისე ეჯახება ვაგონს, გეგონება, გადაბრუნება სურსო.

— არ დასახლდები ასეთ ადგილზე, ვეფხია? — ჰკითხა მას გიგამ.

— ამ ტრიალ უღაბნოში? — გაიკვირვა ვეფხიამ.

— ამ ტრიალ ადგილში იმდენი სიმიდირვა, მთელ ქვეყანას ეყოფა. — წაიდუღუნა საბანში გახვეულმა თედო გაგლოშვილმა.

— შენ რა იცი? — ჰკითხა ვეფხიამ თედოს.

— მაგას რა ცოდნა უნდა, აქაა ბაქოს ნავთი.

ვეფხია ამ რამდენიმე დღის განმავლობაში უკვე დაუახლოვდა და გაეცნო თავის ვაგონის ამხანაგებს. აქ იყვნენ თედო გაგლოშვილის და გორელი გიგლა ბეჯანიშვილის გარდა ვალიკო ლექვიანიძე, ჭიათურელი ჭიჭიკო შუბითიძე, გუდაუთელი ასტამურ ტანტიბა, ქობულეთელები აჰმედ მოწყობილი და ჯემალ ლლონტი, ლანჩხუთელი ბისმარკ: სამსონაიშვილი, ხუთი თანამოგვარე მთიულნი ალფაიძენი, სამიც სომეხი იყო, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა მაღალი და მხარბეჭიანი ჰაიკ ევანგლოვი.

დილით ყველას არჩილი აღვიძებდა და სამხედრო წესის მიხედვით გამოძახებას აწყობდა. ამით დაიხსომა ვეფხიამ ბევრი თანამგზავრის სახელი და გვარი და გაიგო, ვინ სად იყო. გაიგო ისიც, რომ აფხაზ ტანტიბას მშობლები მაჰმადიანები ყოფილან და ამიტომ დაურქმევიათ მისთვის თურქული სახელი ასტამური. ასევე მაჰმადიანური ოჯახებიდან იყვნენ ქობულეთელებიც — მოწყობილი და ლლონტი. ვეფხიამ ჩუმად ჰკითხა არჩილს:

— ეგენი ქართველები? — თვალთ აჰმედზე და ჯემალზე მიუთითა.

— ქართველებია. — მიუგო ღიმილით არჩილმა.

— მაშ, მაჰმადიანნი რად არიან?

— თურქებმა აიძულეს მიეღოთ მათი სარწმუნოება. ამათ ახლა აღარც მაჰმადი სწამთ და აღარც ქრისტე, მაგრამ ამათი წინაპრები თურქებად მოინათლენ.

— ჩვენი რჯული დასტოვეს?





— მაშ რა ექნათ. როდესაც აჭარა-ქობულეთს თურქები დაეპატრონენ, ორასი წლის წინათ, მათ ისეთი აუტანელი გადასახადი დაადეს ქრისტიან მოსახლეობას, რომ გლეხებს სული აღარ მოათქმევინეს, ყველაფერს ართმევდნენ, მოსავალს, საქონელს, ერთის სიტყვით, შიმშილით ამოწყვეტას უქადდნენ. ამავე დროს ვინც მათ სარწმუნოებას იწამებდა, მაჰმადიანობას აღიარებდა, მას გადასახადისაგან სრულიად ანთავისუფლებდნენ. ამიტომ ესენიც იძულებულნი იყვნენ მათ ნებას დაჰყოლოდნენ და ელიარებინათ ისლამი.

— ეგ რაღაა?

— ამ სარწმუნოებას მეორენაირად ისლამს უწოდებენ. ასე მოინათლენ აფხაზებიც, ჭანებიც, ლაზებიც, მესხებიც...

— ჭკვიანურად უყვიათ.

— როგორ? — ღიმილით იკითხა არჩილმა.

— მაშ რა. შიმშილით ხომ არ ამოწყვდებოდნენ. სამაგიეროდ ქართველობა არ დაუტარავათ. ახლა ყოველი რელიგია ხელიდან წასულია. ჩვენში მარტო მოხუც ბეწიკასლა სწამს ღმერთი.

ამის შემდეგ ვეფხია განსაკუთრებული გულისყურით და ცნობისმოყვარეობით სათითაოდ კითხულობდა თავის ამხანაგების ვინაობას და სადაურობას. მის თვალწინ იშლებოდა საქართველოს ყოველი კუთხე და ვეფხიამ აქ გაიცნო გურულებიც და რაჭველებიც, სვანებიც და ლეჩხუმელებიც, მეგრელებიც და იმერლებიც. მართალია, აქამდე მას თითოთიროლა მოგზაურის სახით გაცნობილი ჰყავდა როგორც ქართველი, ისე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომელნიც ხევსურეთს ეწვეოდნენ ხოლმე, მაგრამ ასე ახლო, ასე თვალნათლივ მათ პირველად ეცნობოდა. ყოველი მათგანი ერთმანეთისაგან, კილოკავის გარდა ხასიათით და ყოფაქცევითაც განსხვავდებოდა. გიგა მთელი დღის განმავლობაში ან წიგნს კითხულობდა, ან დინჯად საუბრობდა არჩილთან. ქობულეთელები აჰმედი და ჯემალი ლანჩხუთელ ბისმარკთან ერთად სულ სიმღერის გუნებაზე იყვნენ და რიგრიგობით ამბობდნენ კრიმანჭულს. ასევე რიგრიგობით ამღერებდნენ თანდღურზე მთიელი ალფაიძეები. ჰაიკა ანეგდოტებს ყვებოდა. მარტო კუხელი ვანიკო ლეჭვანიძე ვერ ისვენებდა და ყოველ გაჩერებაზე აუცილებლად ძირს ჩახტებოდა. ჯერ გაიხედავდა, რომ დარწმუნებულიყო მალე წავალთ თუ არაო და თუ შეატყობდა, რომ ცდა მოუხდებოდათ, მთელ ეშელონს თავიდან ბოლომდე აურბენდა და ჩამოურბენდა, როგორც კი გაუსწორდებოდა სანიტარულ ვაგონს, ხმამაღლა ასძახებდა:

— გოგოებო. გენაცვალეთ!

თანაც იმ წამსვე ვაგონის ქვეშ დურთავდა თავს, მეორე მხარეს გაძვრებოდა და მოჰკურცხლავდა.

ქალიშვილები ჯერ ყურადღებას არ აქცევდნენ; მაგრამ მალე ამ „გენაცვალეს, გენაცვალეს“, ძახილმა ისე მოაბეზრა თავი ყველას, გადაწყვიტეს სანიმუშოდ დაესაჯათ. ზოზომ ტალანში ვედროთი წყალი მოამზადა, ჩაუსაფრდა და როდესაც ერთხელ ვანიკომ კვლავ ასძახა გოგოებს გენაცვალეთო და ვაგონის ქვეშ გაძვრა, რომ თავი სამშვიდობოს დაეგულებინა, გამართვა ვერ მოასწრო, რომ ერთი ვედრო ცივი წყალი თხლამანით დაეცა თავზე და თავიდან ფეხებამდე გაწუწა. გაცეცხლებული ვანიკო მაშინვე შეხტა კიბეზე და კარებს დაუწყო ჯაჯგური, მაგრამ გოგოები ეცნენ სახელურებს და გაღების საშუალება არ მისცეს. ვანიკომ უშვერი გინება დაიწყო. ხმაურზე თალიკო გამოვიდა, გოგოები კარებს მოაცილა და ჭაბუკს თავზე დაადგა.

— რა გაყვირებს, ბიჭო, შენ? მკაცრად ჰკითხა მან, მაგრამ ვანიკომ ყოვლად





უმჯობესი გინებით აირბინა საფეხურები, უხეშად ჰკრა ხელი თალიკოს, მლიგინი მივარდა შიგნითა კარებს და დაუწყო ჯაჯგუთი, თან კარებზე მუშტებს აბაგუნებდა და ისე ილანძღებოდა, რომ ყველაზე წყალწაღებული ხულიგანიც კი ყურებზე თითს დაიცავდა. თალიკო არ მოელოდა ასეთ თავხედობას და ცოტა არ იყოს კიდევაც შეშინდა. იბლად, ხმაურზე, ახლო ვაგონიდან ბიჭები გამოცვივდნენ, მათ დანახვაზე ვანიკომ კარებს თავი ანება, ძირს ჩაირბინა, დაავლო ქვეს ხელი და ცოტა მოშორებით ვაგონის გასწვრივ დაიწყო სირბილი, მას უნდოდა ფანჯარაში რომელიმე გოგოსთვის მოეკრა თვალი, რომ ქვა ეთხლიშა. ბიჭებმა გაუწუწულ ვანიკოს რომ შეხედეს, სიცილი დააყარეს, მაგრამ როდესაც ქვა დაუნახეს ხელში, უყვირეს. ხმაურმა და ყიჟინმა მთელი ეშელონი ააფორიაქა. ამხანაგების დამტუქსავემ შეძახილებმა ვანიკო, დამშვიდების ნაცვლად, კიდევ უფრო გადარია. ბიჭებმა ველარ მოითმინეს და საცემად მიიწიეს. ვანიკომ მათ ქვა ესროლა და მეორეს უნდოდა დასწვდომოდა, მაგრამ ამ დროს ვეფხია დაეძგრა, მკლავებით გათანგა, კატასავით აიტაცა და თავის ვაგონისაკენ წაათრია. ბიჭები დაედევნენ და მალე მთელმა ეშელონმა შუა ვაგონთან მოიყარა თავი.

არჩილი ახალი დაბრუნებული იყო. ის თავის მნესთან ერთად პურის საკითხს აწესრიგებდა, ვაგონიდან გადმოიხედა და დანახა, რომ ვეფხიას გაფთრებულ ვანიკოსათვის მაჯებში ჩაეველო ხელი და ცდილობდა გაეკავებინა, ის კი ლამობდა დასხლტოდა და მუშტებით გამასპინძლებოდა, მაგრამ ხაფანგში გაბმულივით უმწოდ ფართხალებდა და სასაცილოდ იგრიხებოდა.

— რა მოგივიდათ, რა ამბავია? — დაიძახა არჩილმა ზემოდან.

ვეფხიამ გაიგონა თუ არა არჩილის ხმა, მაშინვე გაუშვა ხელი ვანიკოს. მან კი ისარგებლა ამით, გაექანა და ვეფხიას სახეში თავი დაარტყა. არჩილმა ჩაირბინა კიბე, მაგრამ სანამ შეჯგუფულ ახალგაზრდების წრეს გაარღვევდა და ვანიკომდე მიადწევდა, გასროლასავით მაგარი ლაწანი მოესმა. როდესაც ახლოს მივიდა, დანახა, რომ ვანიკო გაბურბუსალებული ეგდო ძირს და წამოდგომას ლამობდა. ვეფხია დასისხლიანებულ ცხვირბირს იწმენდა. ხოლო დანარჩენები ცდილობდნენ სიმონა ალფაიძე გაეყვანათ წრიდან. არჩილი მაშინვე მიხვდა: რომ ეს მისი ნამოქმედარი იყო.

— გაუშვით ხელი, — უბრძანა მან ახალგაზრდებს და სიმონას მკაცრად მიმართა, — რა მოხდა. ეს შენ ჩაიღინე?

— მაპატიეთ, ამხანაგო არჩილ, — მშვიდი, ოდნავ გაჭიანურებული ქართულით უპასუხა მან. — ამ თითისტოლა ბიჭმა მთლად აბუჩად აგვიგდო დიდიც და პატარაც. ველარ მოვითმინე და ერთი ალიყული სილა გავაწანი.

ამასობაში ვანიკო გონზე მოვიდა და ზეზე წამოიწია. აღგომა დააპირა.

— რისთვის? — ჰკითხა არჩილმა, თან ვანიკოს მისწვდა, ილიეებში ხელები ამოსდო და ფეხზე დააყენა.

ვანიკოს ისევ მოეკვება მუხლები. ბიჭები შემოესივნენ, ხელი შეაშველეს და ვაგონისაკენ წაიყვანეს, მალე არჩილიც, გიგაც, სიმონაც, ვეფხიაც და გალახული ვანიკოც ვაგონში ისხდნენ. დანარჩენები არჩილმა გარეთ გაყარა და სხვებსაც უბრძანა დაშლილიყვნენ. მერე ლოგინზე ჩამოჯდა და გამოკითხვა დაიწყო.

— აბა, ახლა გამაგებინეთ, რა მოხდა? — იკითხა მან უმისამართოდ.

ყველანი ჩუმად ისხდნენ და ხმას არ იღებდნენ. ვეფხია ცხვირზე ხელს ისვამდა და ცდილობდა სისხლის დენა შეეჩერებინა. გაფთრებული ვანიკო თავდახრილი იჯდა და ეტყობოდა კიდევ არ იყო ხეირიანად გონს მოსული.

— რას გაჩუმებულხართ? აღარ იტყვით, რა მოხდა? — გაიმეორა არჩილმა.

— აბა რა გითხრა, პატივცემულო არჩილ, — დაიწყო გიგამ, — კარგად არც



მე ვიცი რა მოხდა. გოგოებს ამ ვაჟბატონისათვის თავზე ერთი ვედრო წყალი გადაუსხამთ. ამას კიდე დაუვლია ქვისათვის ხელი, ურბენს ვაგონს გარშემო და ისე იგინება, კაცს არ გაეგონება. ვეუბნებით, გაჩერდი, ვის ესმის? უფრო გადაიხრა. ვერც ვერაფერს მიეკარა, ამოდენა ქვა, რომ ვინმეს სთხლივოს, მოკლავს. მერე ვეფხნის დასტაცა ხელი და აქ წამოიყვანა.

— დანარჩენი გასაგებია ჩემთვის. — უთხრა არჩილმა და ვანიკოს მიუბრუნდა, — მაშ გოგოებმა გაგწუწუს? რისთვის?

ვანიკო ტუჩებმოკუმული იდგა და ხმას არ იღებდა.

— შენ გეკითხებიან, არ გესმის? — აუწია ხმას არჩილმა, — რისთვის გაგწუწუს?

— რა ვიცი რისთვის. — ძლივს ამოილულლულა ვანიკომ. ხმაზე ეტყობოდა, ბოღმა აღრჩობდა და ცდილობდა ტირილი შეეკავებინა.

— ისე, ტყუილუბრალოდ? კარგი, კარგი, გავიგებ მავას და თუ მართლა ტყუილუბრალოდ, სასტიკად დავსჯი.

— აბა, რა! — ვანიკოს სლუკუნით აღმოხდა: — რა დაუშავე. ვაგონთან გავიარე და გენაცვალეთ-თქო, გავემასხრე...

— შენ უთხარი, გენაცვალეთ-თქო?..

— ჰო... ჰო!.. — დახარა ვანიკომ თავი.

— მერე მაგისტვის გაგწუწუს? ალბათ მარტო მავას არ ეტყოდი და საქმეც მავაშია.

— ეგ ვუთხარი, აბა რა?

მეტი არაფერი? იცოდე, მართალი მითხარი. სიცრუეს არ გაპატიებ.

— გოგოებო, გენაცვალეთ-თქო. ვემასხრე.

— ჰოო, ემასხრე. ისინიც ვემასხრენ. შენ კი გული მოგივიდა. თუ ხუმრობის ატანა არ შეგიძლია, თვითონ რად ხუმრობ?

ვანიკომ თავი ისევ დახარა და ხმას არ იღებდა.

— ახალგაზრდა კაცს არა გრცხვენია, ქალებთან იგინები და ქვის სროლით გინდა თავი მოაწონო. აფერუმ შენს ბიჭობას! ვაჟაკი ყოფილხარ და სიტყვა-პასუხი ხომ უკეთესი გცოდნია! ახლა მესმის, რისთვის მეხვეწებოდა მამაშენი. ეს ბიჭი აქედან მომავორეთო. ერთხელვე აგიშვია თავი და ვეღარ მოურჯულე-ბიხართ. ბეკეკასავით უქკუოდ დახტიხარ. აი რას გეტყვი, ჩემო ვანიკო. პოდი წასულს ყოველივეს ხაზი გავუსვავთ და დავივიწყებთ. გადაწყვიტე, ან ნამდვილი ადამიანი გახდე, ან აიკარ გულა ნაბადი და წადი აქედან. არჩევანი შენთვის მომინდვია და პასუხიც ახლავე უნდა მომცე. თუ გადაწყვეტ ჩვენთან დარჩენას, მაშინ ჯობია თავიდანვე იცოდე ჩემი პირობები: უსიტყვოდ უნდა დაემორჩილო ჩვენს დისციპლინას. რასაც ვიბრძანებ, შენთვის კანონი უნდა იყოს და სიტყვის შეუბრუნებლად უნდა შეასრულო. მე სამ წელზე მეტი ვიყავი ჯარში და როდესაც ჩემი უფროსი მიბრძანებდა ისეთი საქმის შესრულებას, საიდანაც ჩემი ცოცხლად დაბრუნება საეჭვო იყო, უსიტყვოდ ვემორჩილებოდი. წვიშასავით მოდიოდა ტყვია და ასეთ დროს დასაზვერავად წავსულვარ, იერიშებში მიმიღია მონაწილეობა. აი, რას ნიშნავს დისციპლინა. შეგიძლია დაემორჩილო ჩვენს დისციპლინას?

— ჩვენ ხომ ომში არ მივდივართ? — გულუბრყვილოდ და სულელურად წაიდუღუნა ვანიკომ. ის ახლა ოდნავ დაბნეული იყო. უარესს მოელოდა, მაგრამ ამის ნაცვლად მას სულ სხვაგვარად დაუწყეს ლაპარაკი. ამან ოდნავ დაამშვიდა და თითქოს ჭკუაში ჩაავდო.

— მაშ შენის აზრით ვინც ომში არ მიდის, უფლება აქვს თხასავით თავაშ-



ვებული დახტოდეს? ჩვენ ახლა სტუმრად მივდივართ ისეთი ხალხის პირდაპირ რომლის სახელი ახლა მთელ მსოფლიოს პირზე აკერია. რა გითხარით მაშინ, თბილისიდან რომ მოვდიოდით? ყოველი თქვენგანი თავდაპირის, ზრდილობის და სანიმუშო ყოფაქცევის მაგალითი უნდა იყოს-მეთქი. ასე უცბად დაგავიწყდა ყოველივე? მაშ შენ გინდა უცხო ხალხში ასეთი ყოფაქცევით მისახელო? ქართველი კაცის საამაყო თვისება სწორედ ისაა, რომ ქალთან განსაკუთრებით თავაზიანია. განა არ იცი, რომ ეს საერთოდ ვაჟკაცის თვისებაა? ქალს მხოლოდ ლაჩარი, მხალღი და გათახსირებული ადამიანი თუ შეუტაცყოფს. შენ რა გინდა იყო ცხოვრებაში, თავმომწონე ვაჟკაცი თუ ლაჩარი? წყალი გადაგასხეს! მერე რა მოხდა. გავიცინებდი და წავიდოდი. თვითონ იმ გოგოებს გაუხდიდი საქმეს საბოდიშოდ. ახლა კი შენ უნდა მოიხადო ბოდიში. ამ საღამოს კომკავშირის საერთო კრებას მოვიწვევ და აბა ერთი ვნახოთ რას იტყვიან ახალგაზრდები და იქ როგორ იმართლებ თავს. ახლა ვეფხნასთან ბოდიში მოიხადე და შეუტრივდი.

ვანიკომ მალულად შეხედა ვეფხიას. ის ისევ ისევამდა ცხვირზე ხელს და სისხლით დასვრილ თითებს ქაღალდის ნაგლეჯით იწმენდა.

— ჩვენი შერიგება არ იქნების. — უთხრა არჩილს ვეფხიამ. — სისხლი სისხლით უნდა მიზღას.

არჩილმა წარბები შეიკრა. საქმე უკვე ცუდ მიმართულებას ღებულობდა. ამიტომ ამ ცხელ გულზე ეს ამბები რომ მიეფუჩეჩებინა, ფუსფუსით ჩაილაპარაკა:

— კარგი, მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა წადით ყველანი, პური მიიღეთ. ვეფხია, შენ მიდი ონკანზე, ეგ ცხვირი წყლით მოიბანე, შეგიჩერდება. — მხარზე ხელი მოუთათუნა ხევსურს და როდესაც ის ვაგონიდან ჩახტომას აპირებდა, არჩილმა ვანიკოს მალულად თვალებით ანიშნა, ხომ ხედავ, შენი უჭკუობით რა დავიდარაბაში გავბიო.

\*  
\* \*

სადგურზე დიდი ხნით ღვამამ ისე მოაბეზრა თავი ყველას, როგორც კი მატარებელი დაიძრებოდა და გზას გაუდგებოდა, ახალგაზრდები უსაზღვრო სიხარულის ჟრიაშულს ასტეხდნენ ხოლმე. არჩილს უნდოდა კომკავშირელებთან ერთად საერთო კრება მოეწვია და ვანიკოსათვის საჯაროდ მოეხდევინებინა ბოდიში, მაგრამ მატარებელი მოსლოდნელად გაუდგა გზას. არჩილმა ძლივს მოასწრო შეხტომა წინა ვაგონში, სადაც შეშინებული გოგოები საცოდავად მოკრუნხსულიყვნენ ერთ კუბეში და კარების გაღებაც კი არ უნდოდათ. თალიკოც მათთან იყო.

— რა მოგივიდათ, რამ დაგაფრთხოთ? — ღმილით შეათვალიერა ყველანი არჩილმა და კუბეში შევიდა.

გოგოები ერთხმად აზრიალდნენ. ერთმანეთს არ აცდიდნენ ლაპარაკს.

— ბიძია არჩილ, ჩვენი ბრალი რააა...

— ისე გაგვიჭირა საქმე...

— ყოველ გაჩერებაზე მოვარდებოდა...

— კინაღამ ქვით ჩავვილეწა ფანჯრები...

— მოიცათ, მოიცათ, ყველა ერთად ნუ ლაპარაკობთ. — შეაჩერა არჩილმა ისინი და მერე თალიკოს მიუბრუნდა. — შენც აქ იყავი მაშინ?

— ცხადია.

— მერე?





— რა მერე, — წარბეჭვრით უპასუხა თალიკომ, — ჩემს დღეში არ შემიძლება ასე. ეგ ვილადა, ნამდვილი მხეცია. ბიჭო, რას შერები-თქო, რო ვუთხარი, მკრა ხელი და კინაღამ ვაგონიდან გადმომაგდო. ბიჭები რომ არ მომშველებოდნენ, არ ვიცი რა მომივიდოდა. შენ გენაცვალე, თუ ჩემი ხათრი გაქვს, თუ გინდა, რომ ეს გოგოები არ დაგვიფრთხო, მაგ ბიჭი მოგვაშორე აქედან. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ მაგისთანა უზრდელს და ნამდვილ მხეცს.

— ნუ გეშინია, მოვარჯულებთ. მაგისთანები მოგვირჯულებია. — დაამშვიდა არჩილმა.

— არა, შენი ჭირიმე, მაგის მორჯულება არ შეიძლება. მაგას მოშლილი აქვს აზროვნების აპარატი და როდის წამოუვლის კიდევ, ასე, რა ვიცი! თავი გაწირული-კი არა გვაქვს. ამ გოგოებს სულ ხომ ვერ გადავეფარები თავზე, არა და მაგისთანა სულელი რომ წამოებაროს რომელიმეს და თავში ქვა დათხლიშოს. მე შენ გეტყვიდა ჰკუა დაუშლის, ან ვაჟკაცობის ნამუსი შეაჩერებს თუ რა? მერე რაღას უშვები საქმეს?

— თვითონ რომ მოვიყვანო და თქვენს წინაშე ბოდიში მოვახდევინო?

— აპაპაა, აპ, არავითარ შემთხვევაში. — იტყვიც თალიკომ და მას ერთხმად აპყვენენ გოგოები.

— არ გვინდა...

— თვალთ არ დაგვანახვო...

— თუ იმას არ ვაგადებთ, მაშინ ჩვენ სუყველა დაგვაბრუნეთ უკან...

— ბოდიში! — ტუჩი დამკინავად აიბზუა თალიკომ, — მაგისთანა ლაწირა-კი ცხრაჯერ მოიხდის ბოდიშს. მაგრამ მერე ჩაგისაფრდება და დანას დაგარტყამს...

— კარგი ერთი, ასე როგორ შეგაშინათ იმ ერთმა ცინგლიანმა ბიჭმა. — დამტუქსავე ხმით შეუტია არჩილმა თალიკოს, — მართლა აგრე როდია საქმე. იმას ახლა თქვენთვის აღარა სცხელა. ჯერ მარტო ალფაიძის სილა ეყოფა საკენესად და ახლა ერთი ხევსური მყავს, ისიც კი მოსისხლედ გადაევიდა. კარგი, დამშვიდდით და ყველაფერს მოვაგვარებ. ბიჭს აფექტის გამო ისტერიული შეტევა ჰქონდა...

— შენ რომ მოგესმინა, როგორი უშვერი სიტყვებით გვაგინა და გვლანძღა... დედა! დედა, დედა!... — გადაასავსავა ხელები თალიკომ და ყურებში თითები დაიცო, თითქო იძულებული იყო ხელახლა მოესმინა ის ლანძღვა-გინება, — ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია ისეთი საზიზღრობა...

— მესმის, მესმის, ყველაფერი მესმის, მაგრამ მაგისთანას სჭირდება სწორედ მოვლა-პატრონობა, აბა, როგორ გგონიათ. უნდა ვეცადოთ და გამოვასწოროთ, თუ არ გამოსწორდება, გაგდებთ ვინ აკმარებს! რომ გააგდო, სად წავა, ისევ ჩვენს მიწაზე არ უნდა იტანტალოს? ფრონტზე მაგისთანებს სხვაგვარად ვუვლიდი ხოლმე...

— როგორ, როგორ? — ცნობისმოყვარეობით შეეკითხნენ გოგოები.

— როგორ და... — არჩილმა ხელით ვითომდა დამბაჩა გაიძრო, თითი საფეთქელზე მიიბჯინა და ტუჩებით დააძახა: ტყუი! — აბა მაგისთანების სულისბერვისათვის იქ ვის სცალია. აქ კი სხვა საქმეა...

— იცი რა გითხრა... — რაღაც თავისებური ჟინიანობით წამოიძახა თალიკომ, — ჩემს სიცოცხლეში სულდგმული არ მომიკლავს, ერთხელ თავიცი კი გავაშვებინე კატას, ისე შემეცოდა, მაგრამ მაგისთანას უნდა ჰკრა ტყვია და გაავრო, ჩემი დედამამის სულს გევიციები, იმ ჩემს ორ პატარა ბავშვს ვფიცავ, თუ





შემეცოდოს. ისეთი ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ადამიანობა სახე, მორიელზე უფრო საიზიარია...

— თქვენ იმდენს იზამთ, მართლა მომაკვლევინებთ იმ უბედურს. — გაიცინა არჩილმა, — ახლა გულახდილად მითხარით, რომელმა გადაასხა ცივი წყალი იმ ყმაწვილს.

— ყველამ, ყველამ. — იყვირეს ერთხმად გოგოებმა.

— ყოჩაღ. მომწონს ეგ თქვენი სოლიდარობა. — შეაქო არჩილმა, — მაინც რომელი იყავით.

— მე. — წამოდგა ფეხზე ზიზო.

— აი, რა ჩემო ზიზო, — უთხრა არჩილმა, — მე მოვიყვანე იმ ბიჭს და არა მარტო შენს წინაშე, ყველას წინაშე ბოდიშს მოვახდევინებ, მაგრამ მოდი შენც გასწიე სულგრძელობა და მოიხადე მის წინაშე ბოდიში. ზოგჯერ მაგისთანა ადამიანს, ასეთი უბრალო რამით საბოლოოდ დაიმორჩილებ. გამიწივე ამ ხათრს?

— როგორც თქვენი ნებაა. — წაიღუდუნა ზიზომ და მორცხვად თავი დახარა.

— აი ეგ მომწონს. ვაყვაცურადაც აღიარე, რომ შენ იყავი ამ ხუმრობის ავტორი და ახლავ ვაყვაცურად იქცევი. ნება მომეცი ასე ვაყვაცურად ჩამოგართვა ხელი მადლობის ნიშნად.

თალიკო იღიმებოდა. მერე დერეფანში გავიდა. ფანჯარაში გაიხედა და იკითხა:

— რომელ სადგურში მივდივართ? — მას უნდოდა ცოტახანს მაინც განმარტოვებულიყო არჩილთან და ისე, თავისთვის ტკბილად ესაუბრა.

არჩილი კუბიდან გამოვიდა და პაპიროსის კოლოფი ამოიღო. თალიკომ ალმაცერად გადახედა. ჩუმჩუმად ისიც ეწეოდა, მაგრამ არჩილის ეხათრებოდა.

— გინდა? — გაუწოდა არჩილმა კოლოფი. — აილე, ნუ გრცხვენია, ახლა გოგოები უფრო მეტი ეწევიტ ბიჭებზე.

თალიკომ გამოართვა და ძველი მწვევლივით პაპიროსი თითებში ოსტატურად მოსრისა, მერე ლეროში ჩაბერა და არჩილის ბენზინის ასანთზე მოუკიდა.

— დღეს ვაგონები არ დამივლია. — უთხრა მან არჩილს, — იმ ბიჭმა ისე დამაფრთხო, გარეთ გამოსვლის მეშინოდა.

— არა უშავს რა, მოასწრებ. ჰო, მართლა, — ჯიბეში ხელი ჩაიყო არჩილმა, — მორიგი დეპეშა დამხვდა სადგურში, ბავშვები კარგად არიანო.

თალიკომ ჩამოართვა დეპეშა და თვალბეზე სიხარულის ცრემლები აუციმციმდა. ყოველ დიდ სადგურზე მუდამ უხვდებოდა არჩილს მშობლების გამოგზავნილი დეპეშა მოთხოვნადე, მოხუცები იტყობინებოდნენ ბავშვების ჯანმრთელობას და ითხოვდნენ, თქვენი ამბები გვაცნობეთო.

„ბავშვები ძალიან შეგვეჩვიენ და დიდად შეგვაყვარეს თავი. გვაცნობეთ თქვენი ამბავი“.

თვითონაც ვერ შეამჩნია თალიკომ, როგორ დაუტურდა ცრემლები ღაწვებზე. რა დიდი სიყვარული ყოფილა შესაძლებელი ადამიანთა შორის და როგორ დაამსხვრია თურმე ეს სიყვარული თალიკომ. რა კარგი იქნებოდა, რომ შეიძლებოდეს ყოველივე იმის წაშლა, რაც შენს მოგონებებს სიმწრით ადავსებს და გზარავს. რა კარგი იქნებოდა, შეგეძლოს დაივიწყო, სულ დაივიწყო ის წარსული, რომელიც შვიი აჩრდილივით დაგდევს უკან და მოსვენებას არ გაძლევს.

წარსულის მოგონების ეს მძიმე გრძნობები მით უფრო აწუხებდა თალიკოს, რომ ყოველ დღე სულ უფრო და უფრო განიცდიდა იმ განუსაზღვრელ, მწვავე



და ამაღლეველ სიყვარულს არჩილისადმი, რომლისაც მას ყველაზე უფრო უყვარებოდა. თალიკოს ეგონა, რომ არჩილს ძმად იწამებდა და მომავალში გაუწევდა ნამდვილ დობას, თამამად შეიჭრებოდა მისი გულის საიდუმლოებაში, გაიხარებოდა მისი ახალი სიყვარულით სრულიად სხვა ქალიშვილისადმი, ადვილად დააქრობდა გულში ჩაფარვლილ და საკუთარი ხელით წყალგადასხმულ სიყვარულის კოცონს. მაგრამ მისდა საუბედუროდ ეს ჩამქრალი ცეცხლი სულ უფრო და უფრო ღვედებოდა, უკვე აღმაც იფეთქა და ახლა იგი მთელი ძაღლივით გიზგიზებდა. თალიკოს უფრო ის ამწარებდა, რომ არჩილის გულში ის ვეღარ ხედავდა იმ საპასუხო ცეცხლის ალის ელვარებას, რომელიც ერთ დროს ისე ანათებდა, რომ მისი სინათლე და სითბო რამდენიმე ათასი კილომეტრის სიშორის მიუხედავად მაინც აღწევდა თალიკომდე. ახლა არჩილი მართლაც რომ ძმა იყო თალიკოსი, მზრუნველი, მოსიყვარულე ძმა და მეტი არაფერი. სწორედ ამაზე ოცნებობდა ეს თავისივე თავის უბედური ქალი, რადგან იცოდა, რომ დამსხვრეული და მერე შეწყებებული სიყვარული არ შეიძლებოდა ყოფილიყო მათი მომავალი ბედნიერების მტკიცე დასაყრდენი. ამაზე ოცნებობდა, თითქოს კიდევაც უსრულდებოდა ეს ოცნება, მაგრამ ეს ცეცხლი, გულში რომ ასე უცბად იფეთქა, რითი დაექრო!

— არჩილ... — თალიკომ მიმოიხედა, ხომ არავინ გვიცქერსო. გოგოები კუბებში შეყუჟულიყვნენ.

— რა მოვივიდა, შე ქალო. შვილები შენს მეტს არავის ჰყოლია? რა გატირებს?

— არაფერი, ისე, — სლუჟუნით სული მოითქვა თალიკომ. — არ შეიძლება ვიტირო?

— რატომ არა. ტირილს სულის სიმშვიდე მოაქვს.

— ქალისთვის ტირილი პირველი წამალია.

— შე ქალო, ქალისთვის კი არა, იმისთანა ვაჟკაცი, როგორც ტარიელია, ისიც კი არ თაკილობს ტირილს და დილიდან სადამომდე ღრიალებს თავისი სატრფოს დაკარგვის გამო.

ამ სიტყვებზე თალიკოს უცბად წასკდა ქეითინი და თვალბზზე ხელები აიფარა, აქაოდა და გოგოებმა არაფერი შემამჩნიონო, მიბრუნდა და თავის კუბეში გაიქცა.

არჩილი შეკრთა. ახლა კი მიხვდა, თუ რის გამო ტიროდა ეს ქალი. თავის დაკარგულ სიყვარულს დასტიროდა...

კარგახანს იდგა ფანჯარასთან არჩილი. თვალუწვდენელი, გაუთავებელი, მოსაწყენი ტრამალები კვლავ ნელა ტრიალებდა.

კუბეს კარები ნახევრად ღია იყო.

შეიკვიტა.

თალიკომ სწრაფად მოიხედა და თვალებით ანიშნა, შემოდით.

— დაჯექი. — მიუთითა თავის გვერდით და კარები ხრაგუნით მოკეტა.

არჩილი თალიკოს პირდაპირ დაჯდა. უნდოდა გვერდით დამჯდარიყო, მაგრამ რატომ მოიქცა ასე, თვითონაც არ იცოდა.

— დამშვიდდი?

თალიკოს ხელში ცხვირსახოცი მოემუჭა. არჩილის შეკითხვაზე თითქო გაახსენდა, რომ თვალეები უნდა მოეწმინდა, ცხვირსახოცს დახედა, ჯიბეში იყრა და ღიმილით უთხრა:

— დამცინი, არა?

— რად დაგცინი, — გაუკვირდა არჩილს, — განა ყოველი ტირილი დასაცი-



ნია, ტირილი ხშირად ერთგვარი კათარზისია. იგი სულის განსპეტაქებასთან ერთად თავან განტვირთვის უწყობს ხელს.

— ეეჰ, — მიმედ ამოიოხრა თალიკომ, — ტირილით ბევრი მიტირია, მაგრამ შვება არ მიგრძენია.

— არა, ცხადია, ტირილსაც გააჩნია! თუ წარსულ დიდებას მასტირი, ტირილი უფრო გაფორიაქებს და გაღიზიანებს, თუ დაკარგულ სიმდიდრეს, ვერც მაშინ ნახავ შვებას, მაგრამ თუ ადამიანური სიყვარულის გრძნობა გატირებს, მაშინ... მაშინ იგი ისეთივე სასიამოვნო მოვლენაა, როგორც სიხარულის სიცილი.

თალიკო ზურვით კედელს მიეყრდნო და არჩილის ამ უკანასკნელ სიტყვებზე სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— არ ვიცი, თუ ასეთი ფილოსოფოსი იყავი. შენ ალბათ შეგიძლია დამტკიცო, რომ თეთრი შავია...

— არც ეგაა ძნელი.

— ხომ არ გშია? ბადრიჯნის თესლის კონსერვი მაქვს. გინდა, პურზე წავუტყებ.

— არ მინდა.

ლაპარაკი თითქო ამოიწურა და ორივენი გაჩუმდნენ. ცოტა უხერხულად გრძნობდნენ თავს. სულ ახლო, თითქოს ყურთან ხვნეზოდა და სისინებდა ორთქლმავალი, გუგუნებდნენ ბორბლებიც, კედლებიც, გაუთავებლად ელავდა ტელეგრაფის ბოძები და სარკმლის მინახე ხან მალა ასწევდა მავთულებს. ხან დაბლა.

ისხდნენ ასე ჩუმად, მაგრამ ორივენი გულში ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. თალიკო უცქეროდა არჩილს. თვალეზში კი არა, ისე უცქეროდა განუსაზღვრელად და ტუჩებმოკუმული, უხმოდ, გულის სიღრმეში ეჩურჩულებოდა:

„იცი რა, არჩილ, მე არასოდეს არ გავხდები შენი ცოლი“.

„რატომ არ გავხდები?“ — ეკითხებოდა არჩილის მაგივრად თავის თავს თალიკო.

„არ გავხდები, რადგან ეს ყოვლად შეუძლებელია. არ შეიძლება შენი ცოლი იყო ისეთი ადამიანი, როგორც მე ვარ, ისეთი, რომელიც ასე მოეპყრა შენს უწმინდეს სიყვარულს. მართალია, მე მაშინ თურმე არ მცოდნია, უბედურსა და სულელს, რა არის სიყვარული, საჭირო ყოფილა ჩემს ბედში ჩართულიყო ეს უმწარესი და საბედისწერო შეცდომა, რომ დამენახა, თუ სად ყოფილა და რა ყოფილა ნამდვილი სიყვარული. ამიტომ ეს შესაძლებლობა, რომ ოდესმე შენი ცოლი ვიყო, გამორიცხულია, მაგრამ მე ვხედავ, რომ ან უნდა თავი მოვიკლა ან უნდა... შენი ვიყო. გესმის? მე მინდა შენი ვიყო, იმიტომ, რომ გაგუჩებით მიყვარხარ და გემუდარები, გემუდარები, დაანებე თავი ამ შენს კეთილშობილებას. მოდი ჩემთან. მე ვხედავ, რომ შენ გაშინებს ჩემთან მოახლოება, რადგან თუ მომიახლოვდი, მაშასადამე, უკანაც აღარ დაიხვე და შენს გულში კი ვხედავ, უკვე სხვები ისადგურებენ. დაე, დაისადგურონ, დაე ბედნიერი იყვნენ სხვანი, ღირსეულნი, რომელნიც შეძლებენ, ღირსეულად დააფასონ ეგ შენი კეთილშობილური გულისძგერა, მაგრამ მანამდე... მანამდე, მანამდე შენ ჩემთან მოდი, ბიჭო... მოდი, გამაბახე შენი შეურცხმყოფელი სტრფო“...

და თავის ოცნების მორევში ჩაძირულმა წარმოიდგინა, ვითომ ორივე ხელი მოხვია კისერზე და გააფთრებით დაეკონა ტუჩებზე. თითქო სურდა თავისი ცხელი ბავით გაეღზო ის ყინული, რომელიც არჩილის გამოხედვაში და მოპყრობაში იგრძნობოდა და სულ მუდამ უსიამო სიცივეს განაცდევინებდა.





აჰ, რა კარგი იქნებოდა მართლა, რომ შეიძლებოდა, ასე მოქცეულიყო წამოჭრილიყო ფეხზე, მოხვეოდა, ეთქვა ეს ყველაფერი, რაც გულში გაივლიდა და მისი სიყვარულის სამსხვერპლოზე ასე უღმობლად დაენარცხებინა და გაეწირა თავისი ნაშუსი.

მაგრამ მას არ შეეძლო ასე მოქცეულიყო, არ შეეძლო, იმიტომ, რომ მის ასეთ მონანიების სურვილს აღარ ახლდა ის უმანკოება, რომელიც ასეთი თავგანწირვის ძალას მისცემდა, ის უმანკოება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ეს კოცნა წარსულის მონანიების გულწრფელ მსხვერპლად და დიდი სიყვარულის, ნამდვილი სიყვარულის შემდუღებელ ძალად ქცეულიყო.

მას უნდოდა უმანკოების შარავანდები ისევ აციმციმებულიყო მის თავზე, იგი დაენახა არჩილს და თუ ამ შარავანდელის ჩაქრობას მოინდომებდა, თალი-კო სიხარულით დათანხმდებოდა.

მაგრამ არჩილი ამ შარავანდელს ვერ ხედავდა, ჩუმად იჯდა ვაგონში და ლანჯარაში იცქირებოდა.

თვალუწვდენელი, გადარუჯული ტრამალები კვლავ ნელა ტრიალებდა.

ტელეგრაფის მავთულზე ჩამოშვდარი მარტოხელა ყვავი მოწყენილი უცქეროდა მატარებელს. შემდეგ უეცრად აფრინდა და დააპირა ორთქლმავალს სისწრაფეში გაჯიბრებოდა.

ის გამწარებული იქნევდა ფრთებს და გვერდით მოსდევდა ვაგონს, ერთხანს კიდევაც გაუსწრო, მერე ნელა ჩამორჩა, ეტყობა დაიღალა, უცბათ გვერდზე გაუხვია, თვალთავან მოწყდა და გაქრა ამ უსაზღვრო სივრცეში.

მეზობელ კუბეში გოგოებმა ყვირილ-ხივილი ასტეხეს. ისინი უცქეროდნენ ყვავის შეჯიბრებას მატარებელთან, ერთმანეთს ენაძლევებოდნენ, აბა აჯობებს თუ არა ეს ყვანჩალა ორთქლმავალსო და კისკისებდნენ.

\*

\* \*

მგზავრობის უქანასკნელ დღეებში მატარებელი სულ ტყიან მიდამოებზე მიდიოდა. გარშემო თოვლი იდო და ნაძვებს დამძიმებული მკლავები ძირს დაეშვათ.

ქარხნის დირექციის ვარაუდით ეშელონს ექლენზორუდოსკოემდე დაახლოებით ათ-თორმეტ დღეში უნდა მიეღწია (ამ მანძილის გასავლელად ნორმალურ პირობებში, სულ სამი-ოთხი დღე იყო საჭირო). მოლოდინი არ გამართლდა. მხოლოდ მეორმოცე დღეს მიადღწიეს დანიშნულების ადგილს. კიდევ კარგი, რომ მთელი ამ ხუთასი ახალგაზრდისათვის საჭირო სურსათი თბილისიდან მოჰქონდათ, თორემ, გზაში, სარეისო ბარათებით ამდენი ხალხის მომარაგება ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა.

ყველაზე უფრო სადგურ გუდერმესამდე მიღწევა გაძნელდა. ლიანდაგი გადატვირთული იყო სამხედრო მატარებლებით. მართალია ამ გზაზე ტრამვაის ხაზით ორი ლიანდაგია და ავტობლოკირების საშუალებით სადგურიდან სადგურამდე, ერთი მიმართულებით, რამდენიმე მატარებელს უშვებენ, მაგრამ არჩილის ეშელონს ხშირად მთელი დღე უხდებოდა ცდა რომელიმე მიყრუებულ სადგურზე. ხან ორთქლმავალს წართმევდნენ, ხან ორივე ლიანდაგზე შემხვედრი მატარებლები მოდიოდნენ, ხან წამოწყულ ეშელონებისათვის გზა უნდა დაეთმოთ და ვინ მოსთვლის, რამდენი დაბრკოლება ელოებოდათ წინ. საქმე არც გუდერმესის შემდეგ გაუმჯობესდა. აქედან უკვე ლიანდაგის ერთი ხაზი მიუყვება. თანაც ყიზლარ-ასტრახანის გზა ომის დროს იყო სასწრაფოდ დაგებული და





მატარებლები კუს ნაბიჯით მოძრაობდნენ. საერთოდ ახლად გაყვანილნი და დაგზავნილი მატარებელი მეტად ნელა მოძრაობს, ხოლო აქ კიდევ უფრო ნელი სვლა იყო საჭირო. ამ მიმართულებით გზის გაყვანა, მთელი ასეული წლის მანძილზე გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა. მართალია კასპიის ზღვის ეს სანაპირო უბანი დაცემული ვაკეა, მაგრამ საოცრად ჭაობიანი, გაუვალი ნიადაგია, მცურავი ქანებით. ასეთ ადგილზე ლიანდაგის დაგება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა ჩვენმა ინჟინრებმა ნამდვილი სასწაული გვიჩვენეს და მოკლე დროში ბაქოს ხაზი ასტრახანს შეუერთეს. ამიტომ იყო, რომ ამ უბანზე ორთქლმავალი, მართალია გულმოდგინედ ქაჩანებდა, და მილიდან ამოდენილ ბოლს აქეთ-იქით მათრახავით იქნევდა, მაგრამ ისე მიჩანჩალებდა, რომ გულმოსული ფინიაც კი ადვილად დაურბენდა თავს. თანაც გულს აწყალებდა თვალუწვდენელი ტრამალების ერთფეროვნება. თუ აქამდე ბიჭები ერთმანეთს ეცილებოდნენ კარების ღრიტოდან ეთვალეირებინათ მიდამო, ახლა აღარავინ იწუხებდა თავს, თუნდაც ერთხელ გაეხედა გარეთ. ყველანი ისე დაძაბუნდნენ, გაჭუჭყიანდნენ, რომ დილიდან საღამომდე ნარებზე იწვენენ და თავის აწვევაც კი ეზარებოდნენ.

მარტო ვეფხია არ სცილდებოდა ხან ფანჯარას, ხან კარს და ხარბად ათვალეირებდა მიდამოს.

ასე გალეს მათ მთელი გზა, მიაღწიეს ურალის ტყიან მიდამოებს და ბინდბუნდში მივიდნენ იმ სადგურზე, სადაც საბოლოოდ უნდა გადმოზარებულიყვნენ.

ერთის ზოხინით და ვაი-ვაგლახით წამოიშალნენ ბიჭები. ჩამოვიდნენ და მიმოიხედეს. სადგურის გაღმა-გამოღმა თხელი თოვლით დაფარული ბეჭობები მოჩანდა და მეტი არაფერი. თითონ სადგურიც ერთი რალაც უხვირო პატარა შენობა იყო. ბაქანზე სულ სამიოდე სათადარიგო ლიანდაგი მიუყვებოდა და არცერთზე არ იდგა არათუ მატარებელი, უბრალო ვაგონიც კი.

— სად მოვედით ამ უდაბურ ადგილს? — გოაცებით იკითხა გიგამ და ამხანაგებს გადახედა.

— აი დალაზვროს ეშმაკმა, სახლს არ დავებებ, ერთი ხე მაინც დამანახვა. — დუღუნით წამოიძახა ჭიჭიკო შუბითიძემ და მოკუტული თვალებით მიდამო შეათვალეირა. — ასეა ნეტა სულ, თუ მარტო აქაა?

— რა იყო, ბიჭო, პალმები ხო არ გინდოდა აქანეი? — ჩაიჭიჩქილა ბისმარკა სამსონაიშვილმა.

— პალმა მე თვალითაც არ მინახავს, რა არი, სასმელია თუ საჭმელი, არ ვიცი, მე ხეს გეუბნები.

— აი, თლა აბდალი ყოფილა, პალმა არ მინახავსო. გესმით თქვენ, ბიჭებო? პალმა არ მინახავსო... — საოცრად დამცინავი კილოთი აღაპარაკდა ბისმარკა და ამხანაგებს მუჯღუგუნები წაპკრა სათითაოდ, თითქო უნდოდა ამ შენჯღრევით მათში სიცილის აფეთქება გამოეწვია, — გესმით, რას ამბობს? საიდან მოი ბიჭო, შენ?

შუბითიძეს გული მოუვიდა, სახე აუჭარხლდა, ერთი კი მოწყდა ადგილიდან, გულის საკინძეში ხელი ჩაავლო და შეჯგუფებულ ბიჭების გუნდზე მიახვეტა.

— შენ... შენ... რო მოგკიდებ ხელს... — სიბრაზისაგან ენა დაება შუბითიძეს — რ... რო... მოგკიდებ ხელს...

ვანიკო ლეჟინიძე ცოტა მოშორებით იდგა. მაგრამ გაიგონა თუ არა, ვიღაცეები შეძიძგილდნენო, ცუგრასავით ცქვიტა ყური და მათკენ გაიქცა. მას



შემდეგ, რაც ის ერთ-ერთ სადგურზე საერთო კრებაზე გაწეწ-გამოწეწეს როგორც ჩვენში იტყვიან, დაამუშავეს, ახლა გაფაციცებით აღეწეწება თვალს. აბა ერთი სადმე იქნება ჩხუბი ატყდეს და ასეთი ცოდვის ჩამდენი მარტო მე არ ვიქნებოდეთ. მის ჯიბრზე გზაში ტყუილუბრალოდ ერთი წაკინკლავებაც კი არ მომხდარა. ახლა კი მოკრა თუ არა ყური, ჩხუბიაო, გული სისხარულით აუტოკდა, მაგრამ აქაც უმტყუნა ბედმა. ბიჭებმა სწრაფად გააშველეს მოჩხუბარნი.

— გაჩუმდით!

— სირცხვილია!

— ხედავთ მათი წარმომადგენლები გვხვდებიან.

— ნუ მოგვეჭერთ თავი.

ასეთი ჩუმი, მაგრამ ამავე დროს მკაცრი შეძახილებით დაამოშინეს ბიჭებმა ორთავენი, ჭიჭიკო წინ გაიგდეს, თუმცა იგი მაინც იხედებოდა უკან. სახე აღეწილი და გულმოსული, ხოლო დამფრთხალი ბისმარკა ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს და თავისი ქურთუკის გულისპირზე ხელს ისვამდა.

— მასხრობა არ იცი, ბიჭო, შენ? — ძლივს ამოილულულა ბისმარკან.

— რა იყო, რა? — მივარდა მას ვანიყო. — რას გერჩოდა?

მაგრამ სანამ რაიმე პასუხს მიიღებდა. გაისმა არჩილის ბრძანება. რომ ახალგაზრდები ოთხ მწკრივად ჩარაზმულიყვნენ. ყველანი ერთის ჯიკავჯიკავით და ხორხოციტ როგორც იქნა წესიერად გამწკრივდნენ და გზას გაუდგნენ.

ბიჭები არეული ნაბიჯით მიდიოდნენ, აქეთ-იქით იხედებოდნენ. მალე შიშველმა ბეჭობებმა დავაკება დაიწყო და გამონდა მესერაშემოვლებული ეზოები და ძელური რუსული ხის სახლები, დარბებიანი ფანჯრებით.

— ავერ სახლები. შენ რომ გინდოდა. — დაბალი ხმით გადაულაპარაკა ვეფხიამ ჭიჭიკოს.

— მაგას ხეები უნდოდა ენახა. — ჩაიცინა გიგამ და გარშემო ისე მიმოიხედა, თითქო ჭიჭიკოს თვალი უნდოდა თან აეყოლებინა, — შეხედე რა ტყეებია! მართლაც ოდნავ მთავორიანი მიდამო, რომლის მსგავსს ჩვენში ვაკიანს უწოდებენ, უღრანი ნაძვარით იყო დაფარული.

მალე ხის ხიდი გადაიარეს და ქალაქის მთავარ ქუჩაზე გავიდნენ. სახლები აქაც პატარები იყო. მხოლოდ შორს, ქალაქის შუაგულს, მოჩანდა ახალი შენობების ოთხსართულიანი კორპუსები.

ჭუჩაში თითო ოროლა გამვლელს თუ მოკრავდი თვალს. თბილად ჩაცმული ვალენკებიანი ქალები და მამაკაცები გაკვირვებით უცქეროდნენ ამ უცხო ახალგაზრდებს და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ესენი რაო, ახალწვეულები არიან?

— ჩვენიანებს არ გვანან.

— ეტყობა ახალწვეულებია.

— ტანია, ტანია, შეხედე რა ლამაზი ბიჭებია!

ორი ლოყაწითელი გოგო ტროტუარის ნაპირზე შედგა და კოლონას თვალიერება დაუწყო. ისინი რაღაცაზე ჩურჩულებდნენ და იცინოდნენ. მერე გაიქცნენ და სიცილ-კისკისით რიგრიგობით ერთმანეთს ზურგში მუშტები დაუბაგუნეს.

ახალგაზრდები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ. გაიარეს ქალაქის შუაგული, სადაც ოთხსართულიანი თეთრი შენობები იყო აღმართული და ფართოვიტრინებიან მაღაზიების აბრებზე ეწერა: „Культтовары“, „Мебель“, „Продмаг“, „Спорттовары“, „Хлеб“, „Универмаг“, „Парикмахерская“.

მერე თავი ამოჰყვეს თვალუწვდენი გუბის პირას, რომლის ზედაპირი

თხელი ყინულით იყო დაფარული. აქ ბიჭები უნებლიეთ შეჩერდნენ და აღნიღმა აუხსნა მათ, რომ ეს ტბა კი არ იყო, არამედ დაგუბებული მთის მდინარე, რომელიც ამარაგებდა წყლით ქალაქს და მრეწველობას. ისინი პირველად ხედავდნენ ასეთ ზღვასავით გუბეს და ისიც გაყინულს.

კოლონა კვლავ გაუდგა გზას, მარტო ვეფხია არ იძროდა ადგილიდან და უნებურად სულ ბოლოში მოექცა, სადაც გოგოებს თალიკო მოუძღორდა.

— წამოდი, ბიჭო, რას უცქერი ამდენხანს. — უთხრა ვეფხიას თალიკომ.

ხევისური შეერთა, თითქოს ფიქრებიდან გამოერკვა, ზურგჩანთა შეისწორა და გოგოებთან ერთად გზას გაუდგა. ხანგამოშვებით ისევ იცქირებოდა ტბისაკენ.

— ნეტავი, რომ შედგე ზედ, თუ ჩატყდება ყინული? — იკითხა ლამარამ. — მოდი შევდგები ზედ, რა იქნება?

ის იყო დააბირა კიდევაც ჩაერბინა ნაპირზე და შემდგარიყო ყინულზე, მაგრამ ვეფხიამ გზა გადაუღობა.

— ჯერ არ იქნების. ყინული ჩატყდება.

— შენ რა იცი? — შეანათა თვალები ლამარამ.

— ვიცი. ჩვენშიაც არის ასეთი უძირო ტბა საყორნის მთაზე, ზამთარში იგრე იყინება, ზედ დავრბივართ და არ ტყდება.

— შენ სადაური ხარ. — ლამარამ რაღაც უცნაური სიახლოვე იგრძნო ამ ჯემუხ ახალგაზრდა კაცისადმი.

— ხევისური. შენა?

— იმერელი. იცი იმერეთი?

— რაიდ არ ვიცი.

— სახელი რა გქვია?

— ვეფხია.

— ეი, შენ იყავი, ის გიყი რომ გააკავე მაშინ?

— შენ რაი გქვია? — არ უბასუხა კითხვაზე ვეფხიამ.

— ლამარა.

— კარგი ქალი ხარ ლამარაუ.

— დეიკარგე აქედან. — ნახევრად ხუმრობით უთხრა ლამარამ და გოგოებს მიუბრუნდა, — ამან მგონია არსიყოფა დამიწყო ახლა! ჯერ რძე არ შემრობია პირზე.

— მოეწონე, გოგო! — უთხრა ქეთომ და თვალი გააყოლა აჩქარებულნი ბიჭებით დაწინაურებულ ვეფხიას.

— მანამდე არაფერი ჭამა მაგისმა ღრანჭებმა.

— წუნობ? — არ ეშვებოდა ქეთო.

— არაა შენი საქმე. ჯერ რა ღროს ჩემი დაწუნება-მოწონებაა და მერე ამ ყინვაში მაგის თავი გვაქვს ახლა ჩვენ? ვერ ხედავ რას დავემგვანეთ მატარებელში? ერთი სული მაქვს, როდის დავიბანთ და დავივარცხნათ.

ახალგაზრდები საერთო საცხოვრებელეში მოათავსეს, ორსართულიან სამშენობაში. თითო ოთახში ოცდაათი საწოლი იდგა. ყოველ საწოლზე თევით გატენილი უთეთრეულო ლები და ჯვალოს შალის საბანი იყო გადენილი. დაწყობინეს თუ არა ბარგი, ყველანი მაშინვე აბანოში წაიყვანეს, ტანსაცმელი სადუზინფექციო კამერაში გაუტარეს, ტანი დააბანინეს, შემდეგ რიგში ჩააყენეს, რათა თეთრხალათიან სანიტარ ქალს ამ ტიტლიყანა ბიჭებისათვის, ოყნის ვასაკეთებელი რეზინის ბურთით ქშული-ქშულით ტანზე დედეტეს მტვერი შეეფერქვია. ბიჭებს ცოტა არ იყოს ეუხერხულებოდათ შიშვლად ქალის წინაშე



დგომა და სარტყვენელ ადგილებზე ხელს იფარებდნენ. ის კი მკაცრად ეუბნებოდა ხოლმე:

— Уберите руки!

და სწორედ იმ ადგილზე, მერე ილიებში და თავზე აფრქვევდა ამ ფხვნილს და მოკლედ უბრძანებდა, გაიარეო.

ბისმარკა ამის შემდეგ სულ იმეორებდა ბიჭებში:

— კი მექნება სატრაბახო, რო ჩავალ სახლში. ყველაფერს ვიფიქრებდი, მარა, თუ იქინე პულრს მიმაყრიდნენ, მაი სწორედ ვერ წარმომედგინა. რას არ მოესწრები თურმე კაცი.

ვეფხია, ასტამური და თედო ერთად მოხვდნენ მწკრივში. სამივე ერთმანეთს უთვალთვალებდა, აბა, როგორ დაიჭერდა თავს თვითეული მათგანი, რომ მისთვის მიებაძნა. ყველაზე უფრო აღანძული ვეფხია იყო. ხევსურისათვის ტანთ გახდა უდიდეს სირტყვილად ითვლება, ხოლო შიშვლად დიაცთან გამოჩენა, ეს ხომ ნამდვილი თავისმოჭრა, ვაჟკაცის შერტყვენაა. არც ასტამურისა და თედოსათვის იყო ეს ამბავი ჩვეულებრივი მოვლენა. ამიტომ სამთავენი ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, არა შენ მიდი პირველად, არა შენო. ბოლოს თედომ გაბედა.

— რა იყო კაცო, მივალ, — დინჯი გაკვიანურებით თქვა მან და პირველ დადგა ექთანის წინ. ხოლო როდესაც თეთრხალათიანმა ქალმა მისი შემტვერვა დაამთავრა, შეეხვეწა, — დეიდა მომეცი ეგ საქშუტუნო და იმ ბიჭებს მე მივაყრი მტვერს.

— რატომ?

— ისინი მთიელები არიან და ქალის წინაშე შიშვლად დგომა ეუხერხულებათ.

— მე აქ თქვენთვის ქალი კი არა ექთანი ვარ. გაიარე. შენი საქმე არ არის აქ საკუთარი წესრიგის დამყარება.

ასტამური აიწურა და ისე მოიხარა ბეჭებში, გაპუტულ წიწილას დაემსგავსა. მან მორჩილად აწია ხელები.

ვეფხიამ კი ის გამოსავალი ნახა, რომ როდესაც ექთანის წინ დადგა, თვლები დახუჭა და პროცედურის ჩატარების შემდეგ, სანამ კისერში არ წაუთაქეს, ადგილიდან არ დაძრულა.

\*  
\*  
\*

სამი დღის განმავლობაში შეგირდები კარანტინში ამყოფეს და გარეთ არ გამოუშვიათ. ბიჭებმა იჯერეს გული ძილით და ისე იყვნენ გაბურბუსალებულები, ვასართობსაც კი არ ეტანებოდნენ. მარტო ვანიკო ვერ ისვენებდა, ყველას აფორიაქებდა. ერთ საღამოს სიმონას აუტყდა, მეჭიდე და მეჭიდო.

— კარგი, ბიჭო, წერას ნუ აუტანიხარ, აქ რა საჭიდაო ადგილი მიხახე. — იშორებდა სიმონა.

ვანიკო მაინც არ მოეშვა. კისერში ხელი მოსდო და ბლლარძენი დაიწყო. მას ეტყობოდა ვერ მოენელებინა სიმონას მიერ ნაჭმევი სილა და, ახლა, რაკო ხედავდა ჩხუბში ვერ აჯობებდა, იქნება კიდაობაში მაინც მოვერიოო. სიმონამ სცადა მოეშორებინა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიწიწნა თავიდან. ვანიკო დაუზოგავად უგრებდა კისერს და ცდილობდა სარმა გამოედო. მაშინ სიმონამ სწრაფად დაიქნია ტანი, მოსდო მოგვერდი. გადმოაყირავა და იატაკზე დაანარცხა. ვანიკო უხერხულად დაეცა, ერთი კი მოისმა რალაც უჩვეულო ტკაცანი და





ამ ჩვენმა თავზეხელაღებულმა ყმაწვილმა გრძნობა დაჰკარგა. ახალგაზრდები აზრიალდნენ და გულმეწუხებულს გარს შემოეხვივნენ. ყველაზე მეტად სიმონა შეშფოთდა და ცდილობდა ვანიკო გონზე მოეყვანა.

არჩილი ქარხნის სამმართველოში თავის საქმეებზე ტრიალებდა, თალიკოც არ იყო შინ, უკან გასამგზავრებლად ემზადებოდა და ბილეთის ასაღებად დილიდანვე წავიდა ქალაქის სადგურში.

ბიჭები იძულებული გახდნენ სასწრაფო დახმარება გამოეძახებინათ. საავადმყოფოში ვანიკო ძლივს მოიყვანეს გრძნობაზე. მას ხერხემალი აღმოაჩნდა გადატეხილი და ექიმებმა თქვეს, ძალიან გვეუქვება, რომ გადაარჩეს.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ყველას და საერთო საცხოვრებლების სამივე შენობა სკასავით აზუზუნდა. ყველანი სიმონას ამშვიდებდნენ, რომელმაც თავში ხელები წაიშინა, ეს რა მომივიდაო.

— შენი რა ბრაღია, — ეუბნებოდა ვეფხია, — მე აქ ვიდექი, ჩემი თვალით ვნახე, ფოცხვერივით ჩაგაფრინდა. ეტყობა მაგის წერა ეგა ყოფილა.

— ნუ გეშინია, მორჩება. — დაამშვიდა ასტამურმა. — ჩვენს სოფელში ერთი კაცია; აბა ის რომ იყოს აქ, სამ დღეში ფეხზე დააყენებდა. რანაირი მოტეხილიც უნდა იყოს, მორჩენს.

— მაი ჩვენშია, თქვენში კი არა, ასინეთ შარაშიძის ქალი. — წამოიჭრა წინ ბისმარკა, — თლა დამტერეული რო იყო და დაღეწილი, ისე ავაწყობს, ვერც გაიგებ.

მალე დაბრუნდა თალიკო და ბიჭებმა მაშინვე უამბეს ყოველივე. მან მშვიდად მოუსმინა ახალგაზრდებს და უნებურად დახედა თავის ხელჩანთას, სადაც რკინიგზის ბილეთი ედო. თალიკოს უძიძიდა არჩილთან განშორება და ფეხს ითრევედა. მართალია იქ თავისი პატარები ელოდებოდა, მაგრამ თბილისში არჩილთან თავს იმედიანად გრძნობდა, ახლა კი უცხო ოჯახში უნდა დაბრუნებულყო; სამსახურის საქმე, ბინის საკითხი, ყველაფერი მოუგვარებელი ჰქონდა. ყოველივე ამის წარმოდგენა შიშსა გვრიდა და ამიტომ, როგორც კი გაუჩნდა საბაბი, მაშინვე თავში გაუელვა, გამგზავრება ცოტა ხნით მაინც გადაედო.

— ექიმებმა რა თქვეს, არ იცით? — იკითხა მან.

— ხერხემალი აქვს გადატეხილიო, — უპასუხა სიმონამ და სინანულით მწარედ ამოიკვნესა, — ოჰ მე, რაღა მე შემემთხვა ეს უბედურება...

— შენ გექიდა? — გაიოცა თალიკომ — ეგ რომელი იყო?

— აი ის, გოგოებს რომ უპირებდა ქვით გამასპინძლებოდა...

— ის გიჟი? — ოდნავ გაკვიანურებით აღმოხდა თალიკოს. მის ხმაში თავისებური სინანული გამოსჭვიოდა, სინანული იმისა, რომ ასეთისათვის, როგორც ვანიკო იყო, დარჩენა არ ღირდა.

— წავალ, ვნახე მაინც. — წაილულულა სიმონამ.

— დაიცა, შენ რა გინდა იქ. მე ვინახულე. — უთხრა თალიკომ და მაშინვე საავადმყოფოს მიამშურა.

ვანიკოს კვლავ დაეკარგა გრძნობა და თვალდანუქული იწვა ლოგინზე. მორიგე ექიმმა, ირიბთვალეზიანმა, ფართოსახიანმა თათრის ქალმა, უამბო თალიკოს, რა მდგომარეობაშიც იყო ავადმყოფი და თანაგრძნობით დასძინა:

— მეუქვება, რომ გადაარჩეს. მეცოდება საბრალო, რა ლამაზი ბიჭია.

— დიდი თავზეხელაღებული იყო. — უთხრა თალიკომ და ავადმყოფს დახედა. ვანიკო მიუხედავად იმისა, რომ თავი გადაპარსული ჰქონდა და სიფთორე დაჰკარავდა, მართლა ლამაზი ჩანდა.



— თქვენში ყველა ასე ფიცხია? — ღიმილით ჰკითხა მორიგე ექიმმა.  
 — თქვენ სად დაამთავრეთ საექიმო?

— თბილისში. თქვენ?

— ყაზანში. — უპასუხა მორიგემ და ცოტახნის სიჩუმის შემდეგ დასძინა, — იცით, მე სულ ვოცნებობ, როგორმე თბილისში მოვხვდე. ამბობენ, რომ ძალიან საინტერესო ქალაქიაო.

— არ ვიცი, ჩემთვის ძნელია რაიმეს თქმა, ბევრი ამბობს, საინტერესოაო, — ცოტა აბნეულად ჩაილაპარაკა თალიკომ და ისევ შეხედა ავადმყოფს. მის გულში ახლა იმდენად ძლიერად იფეთქა სინანულის გრძობამ, რომ ცრემლებიც კი მოადგა თვალებზე. შეებრაღა ეს თავაწყვეტილი ბიჭი, თავისი უკუკუობის და ბედისწერის მსხვერპლი, თავის სამშობლო კუთხეს მოწყვეტილი, აქ ამ სიმორხზე გადმოკარგული სულს რომ ლევდა საავადმყოფოს სარეცელზე და ასე უხეიროდ ამთავრებდა თავის სიცოცხლეს.

— არ ვიცი როგორ მოვიქცე, ბილეთი უკვე ავიღე და... — თალიკომ უმწეოდ მიმოიხედა.

— დღეს მიდიხართ? — ჰკითხა მორიგე ექიმმა — წადით, რად უნდა დარჩეთ. ამას მოვლას არ დავაკლებთ. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ გადავარჩინოთ. პროფესორმა თქვა, საეჭვოაო, მაგრამ იმედი მაინც აქვს. თქვენ გაემგზავრეთ.

— მეუხეხრულება. ასე მგონია...

— თქვენ თქვენს მისია უკვე შეასრულეთ. — დაამშვიდა მორიგემ და კარებამდე მიაცილა.

თალიკო უკვე გამოდიოდა საავადმყოფოდან, როდესაც არჩილს შეეჩხება.

— შენ აქა ხარ? — ჰკითხა მან თალიკოს, — როგორ არის?

— ცუდად. გრძნობაზე არაა მოსული.

— ექიმები რას ამბობენ?

— პროფესორს გაუსინჯავეს. საეჭვოა, რომ გადარჩესო. ისე მეცოდება, ისე მეცოდება, — თალიკოს ტირილი აუვარდა და ცხვირსახოციტ ცრემლები მოიწმინდა, — ისე მეცოდება ეგ უბედური, ვერ წარმოიდგენ, ისეთი საცოდავია ლოგინზე მწოლიარე, ისეთი, პირდაპირ გული დაგეთუთქება. წავალ ბილეთს დავაბრუნებ.

— არა, რა საჭიროა. შენზე უკეთესი ექიმები ადგია თავზე. წამო ახლა...

— არ მეგონა, თუ ასე უგულო იყავი. — საყვედურით კუშტად ესროლა თალიკომ და ოდნავ წინ წავიდა.

არჩილმა გაიღიმა.

— ეეჰ, ჩემო თალიკო. შენ ახლა ამ ერთი თავზეხელაღებული ბიჭის გამო ღვრი ცრემლებს, თავის სისულელით კისერი რომ მოიტეხა. აბა ერთი ფრონტზე გენახა მომიკილი პურივით დაგებული ვაჟაკები, და, მაშინ, რამდენ ხანს გეყოფოდა ეგ შენი ცრემლები, იმასაც ვნახავდი.

სალამოს საავადმყოფოდან დარეკეს, თქვენი ავადმყოფი გრძნობაზე მოვიდა და ითხოვს, უფროსმა მნახოსო. არჩილი მაშინვე წავიდა და თან თალიკო და სიმონა გაიყოლა.

არტახებში გაკრული ვანიკო თვალგახელილი იწვა ლოგინზე. არჩილს და თალიკოს ოდნავი ღიმილით შეეგება. სიმონა დერეთანში იცდიდა.

— როგორა ხარ, ბიჭო? — ჰკითხა არჩილმა.

— რა ვიცი, უფროსო. გლახათაა მგონია ჩემი საქმე. სიმონას არაფერი დააბრალოთ, სულ ჩემი ბრალია ყველაფერი. ნეტავი მოსულიყო...

— აქაა, დავუძახო? — არჩილმა პასუხს აღარ დაუცადა და დღეობის სიმონას გასძახა, — მოდი, გეძახის.

თეთრხალათწამოსხმული სიმონა მობუზული შევიდა პალატაში და ნელა მიუახლოვდა საწოლს.

— მოდი, სიმონა, მოდი. — ჩურჩულით წაილაპარაკა ვანიკომ.

— როგორა ხარ? — ხმის კანკალით ჰკითხა სიმონამ.

ვანიკომ არ უპასუხა, ეტყობოდა დაიღალა და ღონეს იკრებდა.

— ნუ გეშინია, ვანიკო, მალე ფეხზე დადგები, აქ ისეთი კარგი ექიმები არიან, პროფესორები. — ანუგეშა თალიკომ, შუბლზე ხელი დაადო და შემდეგ მჯჯა გაუსინჯა.

— თქვენთანაც დამნაშავე ვარ ექიმო. — ამოილულულა ვანიკომ და თვალბზე ცრემლები მოადგა — მარა, მარა, უნდა მაპატიო. ერთი წლის ვიყავი, მაშაჩემმა რომ მიატოვა დედაჩემი. პატრონი არ მყავდა და ქუჩაში გავიზარდე. ჩემს ყურებს მეღინეიკებისა და შოფრების გინების და ჩხუბის მეტი არაფერი მოუსმენია და ჩემგან რაფერ უნდა გამოსულიყო კაცი.

მერე სულ ჩაუწყდა ხმა და ჩურჩულით დასძინა:

— ახლაც რაფერ ვლაპარაკობ და არ ვიგინები, ისიც მიკვირს. — და გალიმება სცადა.

— არ შეშინდე, ბიჭო, ვაყვაცი არა ხარ? მარცხი ყველას შეემთხვევა, მაგრამ რა ვუყოთ მერე. — ანუგეშა არჩილმა, — მე ისეთი ვიყავი ტყვიებით და ყუმბარის ნამსხვრევებით დახეულ-დაცხრილული ფრონტზე, კაცი ვერ იფიქრებდა, თუ მოვრჩებოდი, მაგრამ ახლა ხომ მხედავ, როგორა ვარ? მეტყობა რამე?

— ეჰ, თქვენ კარგად გამყოფოთ ღმერთმა, ჩემი საქმე წასულია, უფროსო, წასული.

სამივემ კიდევ რამდენჯერმე სცადა ენუგეშებიანთ ავადმყოფი და გარეთ გამოვიდნენ.

თალიკო ცრემლებს იწმენდა.

— დავრჩები არჩილ...

— არაფერი საჭირო არა ხარ. — ცივად უთხრა არჩილმა, — იქ შენი პატარები გელოდებიან.

ამ გულცივობამ კიდევ უფრო შეაშფოთა თალიკო. მას ეგონა, და კიდევ უფრო სურდა, რომ არჩილი შევედრებოდა ჩემთან დარჩიო. სული ძლივს მოითქვა და ცრემლები თქრიალით წამოუვიდა თვალთაგან. მაშ, იოტის ოდენა სურვილიც კი არა აქვს, რომ თუნდაც ერთი დღე დარჩეს აქ. ნუთუ ვერ ხვდება, რომ თალიკოს მხოლოდ არჩილის გულისთვის უნდა გადადოს ეს გამგზავრება და ცდილობს, ხელსაყრელი მდგომარეობით ისარგებლოს.

— არჩილ, გემუდარები... — ცრემლები ყელში გაეხირა თალიკოს.

— კარგი, რა მოვივიდა, დამშვიდდი. — გაკვირვებით და თან ლმობიერებით დაუყვავა არჩილი, მკლავში ხელი გამოსდო და სიმონას ღიმილით გადაულაპარაკა, — ნამდვილი ბავშვია ეს უბედური.

ღამით მატარებელზე თალიკო არჩილთან ერთად გოგოებმაც გააცილეს. გულაჩუყებული ქალი რიგრიგობით ეხვეოდა ქალიშვილებს და ცრემლებით რამდენიმე ცხვირსახოციც კი დაასველა.

● — გოგოებო, თქვენ კი გენაცვალეთ, როგორ შემეყვარდით, როგორ მიძიმს თქვენთან განშორება. რა გეშველებათ უჩემოდ.

ხოლო როდესაც საღაურის დირექტორმა გამოაცხადა, გამცილებლებს:



ეთხოვთ მატარებელი დასცალეთო და გოგოები ჩიტებივით რიგრიგობით მოფრთქილდნენ ვაგონიდან, თალიყო გადაეხვია არჩილს და ისეთი გულამოსკენით ახუხუნდა, რომ ახალგაზრდა კაცმა მხოლოდ ახლა იგრძნო, თუ ვის გამო იღვრებოდა ამდენი ცრემლი. სწრაფად დაიხარა, სველი თვალები დაუქოცნა და უთხრა:

— კარგია, გეყოფა. მეც მალე ჩამოვალ თბილისში, მომიკითხე მოხუცები. პატარებს გაუფრთხილდით...

შემდეგ ორიოდე სიტყვა დააბარა თავის ქარხნის დირექტორთან და სწრაფად ჩავიდა ვაგონიდან.

მატარებელი ნელა დაიძრა. გოგოებით გარშემორტყმულმა არჩილმა თვალი მოჰკრა ფანჯარაზე აკრულ თალიკოს. იგი ხელისქნევით ეთხოვებოდა ყველას და, სანამ მიიმალებოდა, რაღაც ანიშნა არჩილს. თითი ასწია, მერე ეს თითი ვითომ შუაზე გაჰყო და ბოლოს მუშტი მუშტზე დააჩაჩქუნა, ვითომ თუ არ დასრულებ რაც განიშნე, გცემო.



დილით შევირდები ქარხნის დასათვალეიერებლად წაიყვანეს.

ვეფხია მოუთმენლად მოელოდა ამ დღეს. სხვებთან ერთად მანაც ჩაიცვა თავის დაბამბული ქურთუკი, თავზე ჩამოიფხატა ასეთივე დაბამბული „უშანკა“ და მწყობრში ჩაღდა.

გარეთ მაგრად ყინავდა და მთელი მიდამო უცნაურ ლურჯ ნისლში იყო გახვეული.

ქარხნის ტერიტორია მდინარის განიერ კალაპოტში იყო მოთავსებული და ქალაქი მას ზემოდან გადაჰყურებდა. ამიტომ, როდესაც ახალგაზრდები ქალაქის განაპირას გავიდნენ, მოულოდნელად მათ თვალწინ გრანდიოზული პანორამა გადაიშალა. თვალუწვედნ ველზე მიმოფანტულიყო სხვადასხვა საამქროს უზარმაზარი კორპუსები. უამრავი მილიდან უხვად ამოდიოდა ბოლი, ზოგან ყომრალი შავი, ზოგან ბამბასავით თეთრი, ზოგან ყვითელი და ამ ბოლთა გიგანტური ფთილები ზეცას ებჯინებოდა. ალაგ-ალაგ მილები ცეცხლს აფრქვევდნენ. ქარხნის კორპუსებს შორის ლიანდაგებზე მიმოდრიდნენ ჯართითა და მადნეულით დატვირთული მატარებლები, ხოლო ასფალტით მოგებულ გზებზე დაჰქროდა მანქანები.

— რამდენი ქარხანაა! — აღმოხდა ვეფხიას, — ნეტავ ჩვენი რომელია?

— ეს სულ ერთი ქარხანაა. — განუმარტა მას გიგამ.

— როგორ ერთი?

— როგორ და ისე. ერთი მეტალურგიული ქარხანაა. აი იმ შენობებს რომ ხედავ, ისინი ცალკე საამქროებია.

— რად მატყუებ?

— არ გატყუებ, ბიჭო. თუ გინდა აგერ არჩილს ჰკითხე.

— რად არა ვკითხავ, ვკითხავ!

ვეფხია წინ გაიჭრა, მაგრამ ამ დროს მათმა კოლონამ ქარხნის კარიბჭეში დაიწყო შესვლა. აჰ, მოხუცი თოფიანი დარაჯი თვლით უშვებდა ყველას და ამიტომ ახლა შეუძლებელი იყო არჩილთან მიახლოება. იგი კარიბჭის შიგნით იღდა და თვალყურს ადევნებდა, რომ წესრიგი არ დარღვეულიყო.

როდესაც ყველანი ეზოში შევიდნენ, არჩილმა გამოუცხადა ახალგაზრდებს,





რომ ისინი დაათვალიერებდნენ მთავარ საამქროებს, ბრძმედებს, ბლუმინგს და საგლინგს.

— თუ დრო დაგვრჩა, დანარჩენ საამქროებსაც ვნახავთ, მაგრამ მეექვსეზე, ამათი ნახეაც რომ მოვასწოროთ.

ვეფხიამ ვერ მოითმინა და არჩილს მიუახლოვდა.

— ეს რაც ჩვენ უნდა ვნახოთ, მართლა ერთი ქარხანაა? — ჰკითხა მან და გულუბრყვილოდ შეაკვირდა თვალბეჭდში.

ბიჭებმა სიცილი დააყარეს და ვეფხია ცოტა არ იყოს აიბუზა.

— რას იცინით. — შეუბღვირა არჩილმა ბიჭებს, — აბა, ერთი თქვენ რას უბასუხებთ, მითხარით, თუ ასე განათლებული ხართ?

— მაგას რა ცოდნა უნდა, — იყვირა უკანა რიგებიდან ბისმარკამ, — ერთი რაფერ იქნება ამდენი ქარხანა.

— შენ ბევრი გცოდნია, — ხუმრობით წაუთაქა კისერში ბისმარკას თედო გაგლოშვილმა, — ერთი ქარხანაა, აბა რამდენი იქნება.

— რას მელაპარაკება, აი აბდალი!

ატყდა ერთი ყაყანი. ზოგი რას იძახდა და ზოგი რას. ბოლოს არჩილმა ჩააჩუმა ყველა და უთხრა, რომ ეს არის ერთი მეტალურგიული ქარხანა, რომელიც წარმოადგენს მრავალი ქარხნის კომპლექსს და ყოველი საამქრო თავისთავად დამოუკიდებელი ქარხანაა, თავისი მეურნეობით, პროდუქციით და მმართველობით.

— აი ხომ ვამბობდი, ბევრი ქარხნებია-თქვა, — იმართლა თავი ბისმარკამ და შემდეგ თედოს მიუბრუნდა, — შენ გგონია მარტო შენ იცი, ბიჭო, ყველაფერი?

— ქარხანა ერთია, დანარჩენი საამქროებია, — არ ეშვებოდა თედო, — მე-რე რა, რომ საამქროები დიდია.

— ორივე მართალი ხართ. მოლასი არ იყოს, — გეყოფათ ახლა კამათი, — ჩააჩუმა ორთავენი არჩილმა და წინ წავიდა.

პირველად ბრძმედი დაათვალიერეს. ახალგაზრდების თვალწინ წამოიშარათა ზღაპრულ არსებებასავით უზარმაზარი და უცნაურად დახლართული ფოლადის ნაგებობა. ბრძმედის მაღლა ატყორცნილი რკინის ხარისხებიანი კოშკები, გიგანტურ მანჩრხობელა გველებივით დახვეულ-დაკლკანილი მილები, ჰაერის სათბობი უზარმაზარი ბალონები, ნახშირისა და მადნის ბუნკერები ერთმანეთში ისე იყო ჩახლართულ-ჩახვეული, ზოგან ისე უშვებდა ორთქლს საულვაშეებიდან, ზოგან ცეცხლს გავარვარებული ხახიდან, ზოგან სუნთქავდა, ხროტივებდა, ან გულმოსული გუგუნებდა და ცხვირს აცემინებდა, თითქო ახალგაზრდების წინ მართლაც ცოცხალი ბაყბაყ დევი წამოშართულიყო.

შიშითა და რღივით შემოუარეს ახალგაზრდებმა ბრძმედს, შემდეგ ჭიანჭველებივით შეესივნენ დაკიდულ კიბეებს, უყურეს ღუმელიდან თუჯის გამოშვებას. გამდნარი ლითონი გაუთავებელ ნაკადად, ცეცხლიანი ნაპერწკლების ფრქვევით გადაეშვა გიგანტურ როფში და ახალგაზრდებს გავარვარებული ჰაერი შეანათა სახეზე.

შემდეგ მარტენის საამქროსაკენ გაემართნენ.

შთაბეჭდილებათაგან გაბრუებული ვეფხია უხეიროდ მიფრატუნებდა და წამდაუწუმ წამოჰკრავდა ხოლმე ფეხს ან ლითონის კუნძივით ნაჭრებს, ან ქვას, ან ლიანდაგს. ის მართალია აღტაცებული იყო ნახულით და უაღრესი პატივისცემის გრძნობით გაიმსჯვალა იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც ასეთი რამ აეგოთ, და ახლა ასე ოსტატურად მართავდნენ, მაგრამ ამავე დროს შიშმა შეი-



პყრო. მთაში, სალამურზე გაზრდილ ბიჭს აქ რა მინდოდა, ან რა უნდა გავუგებოდა ამ ჯოჯოხეთურ მანქანებსო.

მარტენის საამქრომაც არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ვეფხიაზე. ის ხახნადაფენილი შეაჩერდა ცამდე აზიდულ ჭერის გასწვრივ მოძრავ ხიდურ ამწეს, რომელიც რაღაც უზარმაზარ მანქანას დასწვდა, ილიებში ხელბივით ყავები ამოსდო, აიტაცა და გრიალით გააქანა საამქროს ბოლოსაკენ, ხოლო ეს საამქრო ისე გრძელი იყო, დასასრული არ უჩანდა.

მერე ლურჯი სათვალით რიგრიგობით მარტენის ღუმელში შეიხედეს.

გამდნარი ფოლადი ადუღებული წყალივით ხაფხაფებდა. ვეფხიას ისე მოეჩვენა, თითქო მის წინ მთელი ზღვა იყო ამ დამდნარი ფოლადისა, რადგან ნაპირების გარჩევა შეუძლებელი იყო.

— აი ხარჩოა? — იხუმრა ბისმარკამ.

ბიჭებმა კისერში წაუთაქეს.

ამ დროს ოსტატმა მეპულტე ქალიშვილს ხელით ანიშნა, ღუმელის სარკმელზე ჩამოფარებული ფარი ააწეინა, ახაფხაფებულ ფოლადში გრძელტარინანი კოვზი ჩაუყო, ფოლადის სინჯი ამოიღო და იატაკზე დაღვარა. დამდნარმა ფოლადმა ვარსკვლავებვით ნაპერწკლები დაათრქვია.

— არიქა, ბისმარკას გვიქმით, გაასინჯეთ როგორია ეს ხარჩო, — დაიძახეს ბიჭებმა.

ვეფხია კი ცვლავ ღუმელს უცქერდა. ნუთუ ამდენი ფოლადის ერთად მოდუღება შეიძლება, ფიქრობდა იგი.

მერე სად მიაქვთ ამდენი ფოლადი?

— არჩილ, რამდენ ხანს ადუღებენ ამ ქვაბში ფოლადს? — ჰკითხა ვეფხიამ.

— ათ თორმეტ საათს. ჩქაროსნები უფრო ადრეც ადნობენ.

— მერე რომ დაცლიან?

— მერე ისევ ჩაასხამენ დამდნარ თუჯს, დაუმატებენ ჯართს და ახალს ადუღებენ...

— სულ განუწყვეტლად?

— სულ. წლიდან წლამდე, კვირა დღესაც. — არჩილი ცოტა ყვიროდა და ისე ჩასძახოდა ყურში ვეფხიას.

— აქ რამდენი ღუმელია ასეთი?

— ამ კორპუსში ექვსი ასეთი ღუმელია.

ვეფხია გაჩერდა. მას ოდნავ თავბრუ ეხვეოდა და გულის რევაც კი იგრძნო.

— მერე და, სად მიდის ამდენი ფოლადი? — აღმოხდა ვეფხიას და არჩილისაკენ მოიხედა, მაგრამ ის ღუმელის უკანა მხრისაკენ მიდიოდა, საიდანაც დამდნარ ფოლადს უშვებდნენ.

ვეფხია დაედგინა. ყველანი საამქროს მეორე მხარეზე გავიდნენ და ვიწრო მოაჯირის გასწვრივ გამწყრივდნენ. გივანტური ხიდური ამწეები აქაც მძიმედ მიცურავდნენ ჭერის გასწვრივ გამართულ ლიანდაგზე და ეზიდებოდნენ უზარმაზარ ციცხვებს. აქ იატაკი ერთი საართულით უფრო დაბლა იყო ჩაწეული, ზედ რკინიგზის ორი ლიანდაგი გადიოდა, ხოლო ლიანდაგების ორთავე მხარეზე მიმოფანტული იყო წილის გადასახიდი ციცხვები, ფოლადის ჩამოსასხმელი ქვაბები, გატეხილი ბოყვები და ყოველივე ამაებიდან ცეცხლი გამოიყურებოდა და ყოველივე მათგანში ცეცხლი ტრიალებდა.

— ე, ბიჭო, ბებიაჩემი რომ ზღაპარს მიაშობდა ჯოჯოხეთზე, იმას არ გავს ყოველივე! — წაულაპარაკა ვეფხიას ბისმარკამ, — ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა.



— ჯოჯოხეთშიაც ამისთანა ანგელოზები არიან? — ჰკითხა ასტამურმა ტანტამ.

— სადა ანგელოზები? — გაფაციცებით გადმოქაჩა თვალები ბანძელმა ძიკი დანელიამ, რომელიც, რაც ჩამოვიდა, სულ გოგოებს უკირიტიტბდა და ახლა ყურები ცქციტა, — სორე წიე ანგელოზი? — მიუბრუნდა ის ტანტიბას.

— ჟირი ცირა, ავგრ, შეხედე. — მიუთითა ასტამურმა ხიღურ ამწეზე, რომლის სამართავ კოშკში მართლაც მოჩანდა ორი ლოყადაქდაჯა ქალიშვილი.

— აუიპ, სკანი გოლუაფირო, — ზრასტი, ზრასტი დარავაია, — დაუქნია ზელი ძიკიმ, მაგრამ მისი ეს აფოფინება ქალიშვილებს არ შეუძინევით. მათ გრიალით გადაატარეს ხიღური ამწე და საკმაოდ მოშორებით დააყენეს.

— ჯოჯოხეთი? — გაიმეორა ფიქრებში წასულმა ვეფხიამ.

— რა იყო შე კაცო; რა გაგიკვირდათ, — უთხრა ბიჭებს ტიჭიკო შუბითიძემ, — ზესტაფონში რო განახათ ფერომარგანეცის ღუმელები, ის ამაზე უფრო შაშინელი სანახავია.

— ჯოჯოხეთი? — ისევ აღმოხდა ვეფხიას, მაგრამ ახლა ის სულ სხვაზე ფიქრობდა. მას მოაგონდა აპარეკას სამჭედლო ხევსურეთში, პატარა ძველებური ქუჩა, დახეულ-დაღწეული საბერველით და ხევსურების საუბარი იმაზე, რამხელა უნდა იყოს ეს რუსთავის ქარხანა, ახლა რომ ამენება განუზრახავთ, ათი ამ ჩვენი სოფლის ოდენა თუ იქნება, მეტი ხომ არაო.

ჩაეცინა ვეფხიას.

ხევსურული სახლი ერთ ვაგონზე თამამად დაეტევა. აი აქ, ახლა, ორთქლშავალმა მატარებელი შემოაგრიალა, ოცამდე ვაგონი დაითვალა ვეფხიამ და მატარებლის სიგრძე საამქროს მესამედსაც ვერ გასწვდა. მარტო ამ საამქროში ასზე მეტი ხევსურული სოფელი დაეტევა.

აქედან ახლავაზრდები ბლუმინგის სანახავად წავიდნენ. აქაც იგივე ზვიადი პანორამა გადაიშალა მათ წინ. აქაც ქალიშვილები მიაგრიალებდნენ ხიღურ ამწეებს, ზედ დაკიდული ჭაღებით იღებდნენ გახურებული ჭიდან ორტონიან გავარვარებულ ბლუმებს, ანუ ჩვენებურად, და, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ფოლადის კუნძებს და როლგანგზე დებდნენ. როლგანგი, ქართულად რომ ვთარგმნოთ, დაახლოებით მასრებზე სასელელს ნიშნავს. ჩართავს ოპერატორი დენს, მასრები ტრიალს იწყებენ და ასოც, თუ ორასფუთიან ბლუმს წაგორებენ გასაწელავ მანქანისაკენ. იქ კოშკში ჩამჯდარი ოპერატორი სამართავი სახელურების ტრიალით ბლუმს ისე დააყენებს, რომ იგი გამწელავ კოჭებში ადვილად გაძვრეს. დატრიალდებიან ეს უზარმაზარი კოჭები, გაისვრიან ოდნავ გაწევილ ბლუმს როლგანგის იქითა მხარეს, ახლა უკუღმა დატრიალდებიან, როლგანგის მასრები ბლუმს უკან დააბრუნებენ, მოიგდებენ მას მბრუნავი კოჭები თავის უფრო ვიწრო კალაპოტში და ასე, წაღმა უკუღმა გასროლ-გამოსროლით, გავარვარებულ ბლუმს გრძელი ზოლივით გაწელავენ. შემდეგ როლგანგი ამ გრძელ ზოლს წააგრიალებს გიგანტურ მაკრატელთან, რომელიც მას საჭირო ზომის სიგრძეზე დაჭრის და ამ წითლად გავარვარებულ ფოლადის მორებს ხიღური ამწეები ამოსდებენ გიგანტური ხელის ფოლადის თითებს, წაიღებენ და კოცონებად აწყობენ.

მთელი მთები ნახეს ბიჭებმა ასე კოცონებად დაწყობილი ფოლადისა. ზოგი ჯერ კიდევ ისევ გავარვარებული იყო, ზოგი საკმაოდ გაცივებული და ლურჯად ლამლაპბდა.

დადლილ-დაქანცული ვეფხია ძლივს დალასლასებდა. მას გული ერეოდა და თავბრუ ეხვეოდა.



სადაც გაიხედავდა, ყველგან ფოლადის მანქანები გრიალებდნენ. დადუნენ, ხერხავდნენ, მალლა ეზიდებოდნენ, აწყობდნენ. ისმოდა განუწყვეტელი ჭახჭახი, ზუზუნი, ღუმელებში ატრიალებული ცეცხლის გუგუნი, ბორბლებისა და კბილანების ხრიალი. ხანდახან მოისმოდა მეგაფონში მორიგე ინჟინრის განკარგულებები.

„ეს სად მოვედი? — ფიქრობდა ვეფხია, — ეს რა ყოფილა, მთელი ქვეყნის ფოლადი აქ კეთდება?“

ახალგაზრდებმა ძლივს მიათრიეს ფეხები თავიანთ ბინამდე.

ვეფხია მოწყვეტით წაიქცა თავის ლოგინზე და, ჰერს რომ შეხედა, ეგონა ყველაფერი ტრიალებდა. ყურებში ისევ ისმოდა ყრუ გუგუნი.

თვალები დახუჭა.

მინც ტრიალებდა და ბრუნავდა ყველაფერი.

სცადა თავი დაედგია ამ გამაბრუებელი ორომტრიალისათვის და ოცნებით თავის ხევესურეთის იალალებზე გაჩნდა. ვითომ აბიზინებულ ბალახზე იწვა, მაცოცხლებელი სიო რომ ელამუნებოდა სახეს, ცაში რომ დაკიდულა არწივი, ზოლო ჭიუხებზე წამოწოლილ ფუნჩულა ღრუბლებს ხართუთასავით შესწითლებიანთ ლოყები. თავთან გაგიბზულიებს კორაბუში, მოშორებით ყვავილებთან ფარფატებს ჭრელი პეპელა და თოლია ნავაზი კბილების წკაპუნით იჭერს ბუზებს.

კაი ყმა. მგელი. არწივი.

არცერთი არ გაიწერთება,

მგელი არ მოშლის მგლობასა...

კაი ყმა მამაცობასა,

არწივი არწივობასა

მთის ყურეს ნადირობასა...

მოაგონდა ვეფხიას თორღვას ნათქვამი, ბარისახოში რომ ეუბნებოდა არჩილს.

ცოდნია თორღვას, რომ ხევესური არ დაბადებულა ქალაქში, ქარხნებში სამუშაოდ.

უნდა დაბრუნდეს თავის სოფელში. წავიდეს აქედან, თავის მოშველ მთებში, მოჰკიდოს ხელი კომბალს და გარეკოს ნახირი საბალახოდ, თორემ ეს დევები ან ვეშაპები ისე შეისრუტავენ და გადაყლაპავენ ვეფხიას, როგორც ბუზს.

მაგრამ როგორღა წავიდეს ამ სიშორიდან. თვენახევარი მოუნდნენ აქ მოსვლას და ისიც მატარებლით.

„ნუთუ მარტო მე შევდრკი“, — გაუელვა თავში ვეფხიას, მაშინვე წამოიწია და ოთახს თვალი მოავლო. დაღლილი ბიჭები ლოგინებზე გამხლართულიყვნენ, ზოგს ეძინა, ზოგი ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდა.

ღერეფანში გავიდა.

კიბისთავთან მაგიდას უჯდა საერთო საცხოვრებლის მორიგე რეგისტრატორი, ახალგაზრდა ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წლის გოგონა.

იქვე მაგიდასთან იდგა დიდი კასრი გადაღულებული წყლით, კასრზე ძეწკვით დაბმული თუნუქის ფათქა ეკიდა.

წყალი კი უგემური იყო და ყვითელი.

ვეფხიამ მინც დალია და მორიგესთან სკამზე ჩამოჯდა.

— რაო, დღეს ქარხნის სანახავად იყავით? — ჰკითხა გოგონამ ვეფხიას, გაულბმა და თავისი მარგალიტით კასკასა კბილები გამოაჩინა.

— ვიყავით, დავიღალე. — ვეფხია თავის ამხანაგებზე უკეთ ვერ ლაპარაკობდა.





კობდა რუსულს, სიტყვებს საოცრად ამტერევედა და ბევრის მნიშვნელობა მტერი რიანად არც ესმოდა.

— მოგეწონა?

— რა გეკვიათ? — არ უპასუხა კითხვაზე ვეფხიამ.

— შურა.

— გვარი?

— ნიატილოვა. რად გინდათ ჩემი სახელი და გვარი?

— ისე, უნდა იცოდე, ვის ელაპარაკები.

— თქვენ რა გეკვიათ?

— ვეფხია!

— ოჰო, ეგ რა სახელია? გვარი?

— ხალიბაური.

— რა უცნაური სახელი და გვარი გქონიათ. ვერც კი გამოვთქვამ.

— ვეფხია თქვენებურად ტიგრს ნიშნავს.

— ოო, ეს რა საინტერესოა. თქვენთან სულ ასეთ სახელებს არქმევენ?•

— არა, ეს მარტო ხევსურეთში იციან, მთებში.

— სად არის ეგ ქვეყანა?

— საქართველოში.

— თქვენ განა ქართველი არა ხართ?

— ქართველი ვარ, ხევსური.

— ეგ რას ნიშნავს?

— მთებში ერთი კუთხეა, ხევსურეთი ჰქვია.

— თქვენთან მაღალი მთებია? ჩვენს მთებზე მაღალია?

— აქ სად არის მთა?

— როგორ თუ სად? ავერ ხედავთ? გარშემო სულ მთები გვარტყია.

— სად, ერთი დამინახეთ.

— აი, შეხედეთ. — თითოთი ანიშნა ტყიან მომადლო ადგილზე შურამ.

— ეგ მთაა? — ჩაიციან ვეფხიამ, — ეგ ვაკეა და არა მთა. ნამდვილი მთა ცას უნდა ებჯინებოდეს და ზედ მუღმივი თოვლ-ყინული უნდა იყოს.

— თქვენთან ასეთი მთებია? მე მინახავს ასეთი მთები კინოში. ალბათ იქ ძნელია ცხოვრება. მართლა, მართლა თქვენ თუ ნამდვილი ქართველი ხართ, ხანჯალი რატომ არა გაქვთ? თქვენთან თურმე ყველა ხანჯალს ატარებს და ქალებს იტაცებს.

ვეფხია აიწურა, ეგონა დამცინისო და აღარ იცოდა რა ეპასუხა.

— თქვენთან არ იტაცებენ? — ჰკითხა ხმის კანკალით ვეფხიამ და თვალეზში ჩახედა, რომ მიხვედრილიყო, გულწრფელად უპასუხებდა თუ აპაპულებდა.

— ჩვენთან? ჩვენთან პირიქით გოგოები იტაცებენ ბიჭებს. — სიცილით უპასუხა შურამ და კვლავ გაიღღვეს მისმა კასკასა კბილებმა.

ახლა შეამჩნია ვეფხიამ, რომ შურას სახეზე ცოტაოდენი ჭორფლი ჰქონდა, მაგრამ ეს სულაც არ აუშნოებდა მას, პირიქით კიდევაც შეენოდა.

დერეფანში ხმაური ატყდა. ვეფხიამ მოიხედა და დაინახა ძიკი დანელია, რომელიც ოთახში ხელს უქნევდა ბიჭებს, გამოდიოთ, რა დაგანახოთო. ისინიც გამოცვივდნენ და ვეფხიას შეაცქერდნენ.

— ამას ხედავთ, — დაიძახა ძიკიმ, — რა ხელათ გაუცვია. მერე ეგ ყველაზე კაია. ყოჩაღ შენ! მაღაღეც შენ!

და თან მეტისმეტად უწმაწური შეკითხვა მისცა ქართულად.

ვეფხია წამოიჭრა, ძიკის გულსპირში ხელი დასტაცა და ალბათ ცუდ დღეს



დააყენებდა, ბიჭები რომ არ მიშველებოდნენ. ორივენი ერთმანეთს დააშორეს, ძიკი ოთახში შეაგდეს და თითო-ოროლა, ხუმრობით, კიდევაც წაუთაქეს.

— რა მოხდა, რატომ წაიჩხუბეთ? მითხარით, რა მოხდა? — მივარდა ახალგაზრდებს შურა და ხან ერთს შეაკვებდა თვალეზში ხან მეორეს.

— არაფერი, ძვირფასო, არაფერი. — უთხრა მას ასტამურ ტანტიბამ, — უზრდელია, დაიგინა და ჩვენს ვეფხიას გული მოუვიდა.

— დაიგინა? — გაიმეორა შურამ და მთელი სახით გაიღიმა, — მერე რა? აქ დიდი და პატარა იგინება.

მერე ვეფხიას მიუბრუნდა და უკვე შინაურივით უთხრა:

— ნუ ბრახობ. განა ღირს ამისთვის გულის მოსვლა!

ვეფხიამ ისევ შეხედა შურას და პირველად თავის სიცოცხლეში იგრძნო გულის საამო ტკივილი.

\*  
\*  
\*

მთელი ღამე ესიზმრებოდა ხევსურეთის მთები. დადიოდა ამ მთებში, დაატარებდა შურას და ეუბნებოდა, აი ეს არის ჭაუხი, ეს დიკლო, და აი იქ, შორს, თებულო მოჩანსო. შურას ხევსურული კაბა ეცვა და სულ ამ კაბაზე იცქირებოდა. მერე შურას უჩვენა თავისი ხმალი, მაგრამ ვერაფრით ქარქაშიდან ვერ ამოიღო. ეზიდება ვადაში ხმალს, ეზიდება, ისე ძალუმად ეზიდება, რომ ლამის არის გული გაუსკდეს, ხმალი კი თითქო ჩაყირულა თუ ჩაყანგულა ქარქაშში, არ ამოდის და არა.

შურა კი იცინის, იცინის.

მერე გაიქცა შურა, ხილურ ამწეზე აირბინა, გააქანა და ვეფხიას ეუბნება, ამოდო. სამართავ კოშკში შურას გვერდით მოულოდნელად ძიკი დანელიამ ამოპყო თავი და ვეფხიას ენა გამოუყო. შურას ხელი მოხვია. ეს კი ველარ მოითმინა ვეფხიამ, ისევე ეცა თავის ხმალს, მოზიდა, მაგრამ ხმლის ნაცვლად გული ამოუვარდა ბუდიდან, სტაცა ხელი საკუთარ გულს და შეეცადა თავის ადგილას ჩაედება, მაგრამ შეშინებულს გამოედვიდა და ზეზე წამოიჭრა.

ოთახში ბნელოდა. ყველას ეძინა.

ფანჯრებში იჭრებოდა ქუჩის ნათურების შუქი. მინები დანისლული იყო. ვეფხიამ მკერდზე მოისვა ხელი. გული ბაგაბუგით უცემდა.

ნელ-ნელა დამშვიდდა. სცადა მოეგონებინა სიზმარში ნახული. ისევ შურა წარმოუდგა თვალწინ.

გაახსენდა, რომ იგი ოცდაოთხი საათი მორიგეობდა.

ალბათ ახლაც მაგიდას უზის. ან იქნება სძინავს. მორიგე გოგონები იქვე იძინებენ ხოლმე მერხზე, წაიფარებენ საბანს და სძინავთ.

ვეფხია ფრთხილად წამოდგა, ჩაიცვა შარვალი, წამოისხა ქურთუკი და გუნებაში რამდენჯერმე გაიმეორა, წყლის დასალევად მივდივარ, წყლის დასალევად მივდივარ, წყლის დასალევად...

გაალო კარები, გაიხედა.

შურა მაგიდასთან იჯდა და ელექტრონის ლამპის შუქზე აგურისოდენა სქელ რომანს კითხულობდა.

„ნეტავ რა წიგნია!“ — გაუელვა ვეფხიას და ცოტა არ იყოს თავის თავზე გული დასწყდა, მას არასოდეს არ წაეკითხა ამოდენა წიგნი.

რატომღაც მოეჩვენა, რომ ბიჭებს გაღვიძებოდათ და ყველანი მას უცქეროდნენ. სიმწრით ზურგი აეწევა, მოიხედა და როდესაც დაინახა, რომ მათ კვლავ ტკბილად ეძინათ, მობრუნდა, გაიხადა და ლოგინში შეგორდა.



დაწვა, მაგრამ ისევ დაუტრიალდა თვალწინ დღისით ნახული ქარხნის სხვა-სხვა კუთხეები, გავარვარებული ღუმელები, ხიდური ამწეები, წყალივით ახაფხაფებული ფოლადის მორევეები, ჯართით დატვირთული მოძრავი მატარებლები, წითლად ალაბლაპებული ბლუნხები და ყველაფერი ეს კვლავ მახჭახებდა, გუგუნებდა, ბრგვინავდა და ტრიალებდა.

სცადა არ დაეგდო ყური ამ ხმაურისათვის და მოინდომა სიჩუმე მოესმინა.

გიგას ხვრინვა მოესმა და შვება იგრძნო. მერე რა გემრიელად ხვრინავდა გიგა, თითქო რაჭველი მხერხავები მუშაობდნენ და ჩაბუქვანი ხერხავდნენ შორს. ისმოდა გადაბმული ხრრ... ხრრ...

ალარც კი ახსოვდა, რამდენხანს გაგრძელდა ეს ხრიალ-ხრიალი, როდესაც მოულოდნელად გაბმული ზუზუნი მოესმა და ფეხზე წამოიჭრა.

ქარხნის საყვირი ზუზუნებდა. ბიჭები უკვე აშლილიყუნენ, ზოგი ტანსაცმელს იცვამდა, ზოგი პირსახოცით პირის დასაბანად გარბოდა.

იწყებოდა მათი სწავლისა და შრომის პირველი დღე.

\*  
\* \*

ხუთი შეგირდი: გიგა ბეჟანიშვილი, ვეფხია ხალიბაური, კიჭიკო შუბითიძე, თედო გაგლოშვილი და ძიკი დანელია წარუდგინეს მეფოლადე ვასილ ივანიჩ ბულატოვს. ეს იყო, ასე, ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი, საშუალო, ჩასკენილი ტანადობისა, ოდნავ მრისხანე სახით, მაგრამ კეთილი ცისფერი თვალებით. მას თავბირი პირწმინდად ჰქონდა გაპარსული და ღუმელთან ტრიალში სულ ოფლით დაცვაოდა.

— ვასილ ივანიჩ, აი, თქვენი შეგირდები, ახლავე ჩააბით საქმეში, — უთხრა ბულატოვს ცვლის ოსტატმა, მაქსიმ გორკვივით უღვაშებდაკიდულმა მამაკაცმა და მაშინვე გაემართა სხვა ღუმელებისაკენ, რომ ასე ჩამოერიგებინა შეგირდებდა დანარჩენი ახალგაზრდები, რომელთაც მარტენის საამქროში უნდა ემუშავათ.

ვასილ ივანიჩმა ოდნავ მიმოავლო თვალი შეგირდებს და თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ნუ, ხოროშო! — და ცოტა სიჩუმის შემდეგ დასძინა, — ბუდეტე პუტატსია უ მენია ვ ნოგახ!

მერე მოულოდნელად გაუღიმა ყველას და მით გათავდა მათი პირველი საუბარი. მობრუნდა და მარტენს მიაშურა. ლურჯი სათვალეებით ღუმელში შეათვალღერა ახაფხაფებული ფოლადი, შემდეგ იქვე გვერდზე ერთმანეთში ჩახლართული მილების ონკანები და ვენტილები ზოგი მოუშვა, ზოგი დაკეტა და თავის თანაშემწეს რალაც დააეალა, შემდეგ მობრუნდა, ბახალეებით ერთმანეთზე მიხუტებულ ბიჭებს ხელი დაუქნია და უთხრა:

— ახლა წამოდით, ვისაუბროთ. — მერე მიმოიხედა და დაიძახა, — გენია! პასუხი რომ ვერ მიიღო ხმამალა იყვია:

— ბურაკ, სად ხარ?

ბიჭებს ბურაკი „დურაკად“ მოესმათ და სიცილი დაიწყეს. ყველანი სამართავი პულტის უკან გავიდნენ, აქ შედარებით ნაკლებად ისმოდა ხმაური, და თავის ოსტატს გარს შემოერთყუნენ.

— ნუუუ...ს! მოდი გავეცნოთ ერთმანეთს. ვასილ ივანიჩ ბულატოვი. — გაუწოდა ბიჭებს სათითაოდ ხელი ოსტატმა და პირველად გიგას შეხედა, — თქვენ რა გქვიათ?

— გიგა, გრიგორი!  
— თქვენა? — მიუბრუნდა ვეფხიას, მაგრამ სანამ პასუხს მიიღებდა, ახლადმოსული თანაშემწე გააცნო, — აი, ეს არის გენია ბურაკი, გაიცანით.

ბიჭებს ისევ „დურაკი“ მოესმათ და უხერხულად შეიშმუშნენ. მათი აზრით, ეს ყმაწვილი სულაც არ ტოვებდა ასეთის შთაბეჭდილებას, მათ წინ იდგა მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, საოცრად ჭკვიანი თვალებით.

— გენია, ესენი ახალი შეგირდები არიან, ჩვენ მათ ოსტატობა უნდა ვასწავლოთ.

— ა, ქართველი ბიჭები? — გაიღიმა გენიამ და ბიჭებს სათითაოდ ჩამოართვა თავისი ნიჩაბივით განიერი თათი, — რატომაც არ ვასწავლით!

— შენ გებარებოდეს. აუხსენი ზოგი რამ, მერე ყველანი სამუშაოზე დააყენე. ახლა კი განვაგრძობ ჩვენი საუბარი. შენ გიგა გქვია, შენა? — ახელ-დახელა ხალიბაურს ვასილ ივანიჩმა.

— ვეფხია.

— რაო, რაო? — ყურზე ხელი წაიშველა ბულატოვმა.

— ვეფხია ხალიბაური.

— არაფერი არ მესმის. ეგ რაო, სახელია შენი თუ გვარი?

— ტიგრ! — უთხრა ვეფხიამ.

— რა, ტიგრ?

— ვეფხია, ეტო ტიგრ.

— ოო, ვეფხი? — წარბშეკვრით შეხედა ოსტატმა ხალიბაურს, მერე მკლავში ხელი მოჰკიდა და შეაჭანჭყარა, — ვეფხებთან ხუმრობა საშიშია. შენ რა გვარი ხარ? — მიუბრუნდა მესამეს.

— შუბითიძე.

— შენც ქართველი ხარ?

— იმერელი.

— ოო, იმერელი? მე გამიგონია, იმერლები საშინელი ხალხია თურმე.

ამის გაგონება და ბიჭებში თოფის წამალივით იფეთქა სიცილიძა.

— რა, არ არის მართალი? — გაიღიმა ვასილ ივანიჩმა — შენ რა გქვია?

— მე მქვია დიმიტრი, მაგრამ ისე მიძახიან ძიკის. — უბასუხა დანელიამ, — ეს შინაური სახელია.

— როგორ, როგორ?

— ძიკი.

— დიკი. გვარი როგორი გაქვს?

— დანელია.

— მაგას კიდევ ეშველება რამე. ენას არ მოიტეხს კაცი. შენც ქართველი ხარ?

— ქართველი.

ბულატოვი თედოს მიუბრუნდა.

— ალბათ შენც ქართველი ხარ. რა გქვია?

— თედო, ფედორ გაგლოვე, ოსი.

— ოო, ოსებს ვიცნობ. მე მყავდა მეგობარი ერთი ოსი. ხასბულატოვი იყო გვარად. სულ მეუბნებოდა, ბულატოვ, შენც ოსი ხარო. ეს ცხადია, არ იყო სწორი. ჩემი გვარი მეცხრამეტე საუკუნეში დარქმევია ჩემს წინაპრებს იმის გამო, რომ ჩვენს პაპის პაპას პირველად უსწავლია დამასკური ფოლადის ანუ ბულატის მოდულება, თორემ ისე ჩვენ ძველად ანიკევეები ვყოფილვართ. აქ ამასწინათ ერთი მკვლევარი იყო, იგი ერთი რუსი მეცნიერის. თუ გაგიგონიათ





ანოხივე, ფოლადის მოდულები საიდუმლოების ცნობილი ამომხსენებლის ბიოგრაფიის მასალებს აგროვებდა და ჩვენს ოჯახში რაც კი რამ საბჭოები ნახა, სულ გადაქეჩა, აი, იმან მითხრა ეს ყოველივე. ახლა, ტიგრ, წამო, თქვენც წამოდით, გავიცნოთ მარტენი.

ვასილ ივანიჩმა წაიყვანა ახალგაზრდები და დაწვრილებით აუხსნა, თუ რას წარმოადგენდა ეს მისი ჯოჯოხეთური ღუმელი, წამდაუწუმ რომ აღებდა გავარარებულ ხახას და ცეცხლის გრძელი ენებით რომ ცდილობდა მიწვდომოდა ბიჭებს. ასწავლა, საიდან წარმოებდა ჩატვირთვა, საიდან აწვდიდნენ საწვავს, როგორ ხდებოდა ფოლადის გამოშვება, შემდეგ ყველანი გენადი ბურაკს ჩააბარა და აუთხრა:

— დღეს ამათ ნუ ამუშავებ. დაე გვიყურონ, თვითელი ჩვენგანი რას აკეთებს. ხვალდან ნელ-ნელა ჩავაბათ საქმეში. შენ კი ცოტ-ცოტა აუხსენი.

ბიჭები ცვლის განმავლობაში ტრიალებდნენ ღუმელთან და თვალყურს ადევნებდნენ მეფოლადეთა ბრიგადის მუშაობას. ხანდახან კიდევაც ცდილობდნენ ოსტატებს წაშველებოდნენ; ხან ნიჩბებს აწვდიდნენ, ხან ქანგბადის ბალონებს, ხან რკინის გრძელ მილებს.

ხანდახან ვასილ ივანიჩი ოფლით დაფარულ შუბლს მოიწმენდა და, როდესაც ვეფხიას თავის ახლოს მოკრავდა თვალს, ყოველთვის ეკითხებოდა:

— ნუს, ტიგრ, ხომ არ შეშინდი?

ვეფხია მორცხვად იმშუშნებოდა.

— ნუ გეშინია, ვისწავლით მე და შენ ფოლადის მოდულებას.

ცვლის დამთავრების შემდეგ ვასილ ივანიჩი თავის შეგირდებთან ერთად გამოვიდა საამქროდან.

გარეთ უკვე ჩამოწოლილიყო საღამოს ბინდბუნდი და კარგა მაგრა ყინავდა. ქუჩის სინათლე აენხოთ. ქარხნის ტერიტორიაზე მიმოფანტულ სვეტებზე დადგმულ ლამპიონებს შარავანდედი შემოკროდათ და გიგანტურ მზესუშიბირებს წაავადნენ.

— ესეც ასე ბიჭებო, — თქვა ვასილ ივანიჩმა. მას პირიდან ორთქლის ქულები გამოუფრინდა, — ცოტა არ იყოს გრილა, მაგრამ არაფერია. თქვენ ალბათ გცივათ.

— მე არ მცივა. — უთხრა ვეფხიამ.

— წამოდით, გზა ერთი გვაქვს. ტრამვაის გაჩერებამდე ერთად მივიდეთ.

ყველანი ასფალტით დაგებულ გზაზე გავიდნენ და ქარხნის ალაყაფისაკენ გაემართნენ. შეგირდები ორივე მხრიდან შემოერტყნენ ვასილ ივანიჩს და სულ თვალბეჭდში შესცქეროდნენ, აბა რა გვითხრასო.

— არაფერი ძნელი არ ყოფილა ფოლადის მოდულება, ხვალ ამას მეც გავაკეთებ! — ღიმილით გამოსთქვა შეგირდების აზრი ვასილ ივანიჩმა და ბიჭებს გადახედა, — ასეა ხომ?

— ა... არა, არც მთლად აგრეა. — უპასუხა გიგამ, — ჩვენთვის ჯერ ბევრი რამ გაუგებარია.

— არა, რაც დღეს თვალთ ვნახეთ, ღუმელის გაწყობა, ჯართის ჩატვირთვა, თუჯის ჩასმა, მოდულება და გამოშვება, ერთის შეხედვით არც ისე ძნელია. ფოლადის მოდულება, რაც ნახეთ დღეს, ეგაა და ეგ. მაგრამ... მაგრამ მაგალითად სუბს მეც მოეხარაშვ და ჩემი ცოლიც, იმ განსხვავებით, რომ ჩემი მოხარშული სუბი პირში არ ჩაიკარება, ხოლო ევპრაქსია ივანოვნა რომ სუბს დაამზადებს, როცა მასალა ემოვება, ცხადია, თორემ ამ გაჭირვების დროს აღარც იმას გამოუღის, როცა ის სუბს დაამზადებს, ეს ნამდვილი ხელოვნებაა.



ასეა ფოლადის საქმეც. თქვენ იცით რამდენი მარკის ფოლადია ამ ქვეყანაზე  
საჯავშნო ფოლადი სხვაა, სარესორო სხვა, საზარბაზნე სხვა და მანქანების  
ნაწილებისა სულ სხვა. აი, ბულატს რომ უწოდებენ, ის კიდევ სრულიად განსა-  
კუთრებულია. ასეთი ფოლადისაგან ძველად ხმლებს ამზადებდნენ...

ბიჭები ახორხოდნენ და ვეფხიას წაუჯიკავეს.

— ასეთი ფოლადის მოდულება ამას ასწავლეთ, ძია ვასილ? — უთხრა გი-  
გამ და ვეფხიაზე მიუთითა, — მაგას ხმალი გასტეხია და არ იცის სახმლე ფო-  
ლადი სად იშოვება.

ვეფხიას შერცხვა და სახეზე სიწითლემ გადაუარა. ვასილ ივანიჩმა ეს  
შეამჩნია და ახალგაზრდა კაცი რომ უხერხულ მდგომარეობიდან გამოეყვანა,  
გაამხნევა:

— ვერ უშოვნია და ჩვენ ვუშოვნით. ჩვენ ამასწინათ მოგვივიდა შეკვეთა,  
ცივი იარაღისათვის საჭირო ფოლადი უნდა დავამზადოთ. შენ რა, ხმლები  
გიყვარს? ჩვენშიაც არიან ხოლმე ასეთები, ძველებური იარაღის მოყვარულნი.  
მეც მყავს ერთი ახლობელი, როგორმე გაეაცნობთ, იარაღის მოყვარული.  
თქვენში კი, კავკასიაში, გამიგონია, თურმე ყველას უბეში ხანჯალი აქვს დამა-  
ლულიო.

ბიჭებმა გადაიხარხარეს.

— რაო, არ არის მართალი? — იკითხა ვასილ ივანიჩმა.

— ცხადია, არა, — უბასუხა ერთხმად თითქმის ყველამ ვეფხიას გარდა.

— ეგ, აი, ამათ, ხევსურებს აქეთ ხოლმე, მხოლოდ უბეში კი არა, ქამარზე  
ჰკიდიათ. — უთხრა გიგამ ვასილ ივანიჩს.

— ეს ხევსურები ვინ არიან?

— მთიელები. ეგენი ისეთ მიუვალ მთებში ცხოვრობენ, რომ ძალაუნე-  
შურად უნდა სცემდნენ პატივს იარაღს.

— ეგ გასაგებია, — უბასუხა ვასილ ივანიჩმა და ბიჭებს გამოეთხოვა, —  
აბა, ნახვამდის ყმაწვილებო, მე მარჯვენე უნდა გავუხვიო.

შინ ვასილ ივანიჩი ცოტა არ იყოს აღელვებული დაბრუნდა. მისმა მეუღ-  
ლემ ევბრაქსია ივანოვნამ, საკმაოდ უღამაზო და თმაშევერცხლილმა ქალმა,  
მაშინვე შეამჩნია ქმარს ეს ოდნავი აღგზნება.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მან ვასილ ივანიჩს, როდესაც უკანასკნელმა  
ხელები შეიმშრალა და მაგიდას მიუჯდა.

ვასილ ივანიჩის უფროსმა ქალიშვილმა, თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის  
ანისიამ, ანუ როგორც მას შინ უწოდებდნენ, ანისკამ ცნობისმოყვარეობით შე-  
ხედა მამას და თქვა:

— ალბათ სარეკორდო დნობა ჩაატარა:

— არა, — ვასილ ივანიჩმა გულისწყვეტით მოაელო მაგიდას თვალი, —  
კარგი იყო ახლა ერთი ასი გრამი თეთრუკა!

— იქნება კაგორსაც მიირთმევ! — დაცინვით უთხრა ცოლმა და მერე გან-  
მეორებით ჰკითხა, — რა მიზეზის გამო აპირებთ ქეიფს?

— შეგირდები მომგვარეს, ივანოვნა, შეგირდები!

— დიდი ამბავი. ერთი გამაგებინე, როდის არ გყოლია შეგირდები.

— კავკასიელი შეგირდები, ახალგაზრდა ბიჭები, სულ ვეფხები, ლომები  
და კიდევ რა, დაიცა მოვიგონო...

— ბიჭები? — ჰკითხა ალტაცებით ანისკამ და აციმციმებული თვალებით  
მამას მიაშტერდა.

— ცხადია, ბიჭები.



— მე ისინი ვნახე ქუჩაში, როდესაც მოჰყავდათ, — თქვა ევპრაქსია ნოვანამ, — არაფერი ვეფხები და ლომები არ არიან. ჩვეულებრივი ბიჭებია.

— შენ ბევრი იცი. — შეჭმუხვნით უთხრა ვასილ ივანიჩმა და წყალწყალაწვენი საინზე დაისხა. — ისევ ეს წუმვე გვაქვს სადილად?

— რაც მომცეს, ის გვაკეთე. ორი კილო უვარგისი კარტოფილი და...

— უპ, რაც არი არი. — შეაწყვეტინა ვასილ ივანიჩმა, — ეს კავკასიელები კი საინტერესო ხალხია. იცი, ივანოვნა, ერთი შეგირდი მყავს სახელად ვეფხიჭკეია.

— კარგი რა! — ევპრაქსია ივანოვნას სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— ვეფხი? — ივითხა ანისკამ და ტაში შემოჰკრა. — მამა ის მართლა ვეფხივით საშინელია?

ვასილ ივანიჩმა წაიფრუტუნა და პირთან მიტანილი კოვზი საინში ჩაუვარდა.

— ლამაზია? — არ ეშვებოდა ანისკა.

— ეგ არი, გიშოვა საქმარო, მაინც სულ ბიჭებისაკენ მიგირბის თვალი. — შეუტია შვილს დედამ.

— ის მართლაც ლამაზი ბიჭია. — თქვა ვასილ ივანიჩმა, — მარტო ის კი არა, ყველანი კარგები არიან, ერთიმეორეს ჯობნიან.

— მამა, მოიყვანე რა ჩვენთან, — შეევედრა ანისკა, — ოპ, როგორ ვასკედებთან გულზე გოგოები, მე რომ პირველად გავიცნო ერთი მაინც. მოიყვანე რა, მოიყვანე რა!

— კარგი, გაჩუმდი! — უყვირა დედამ და ხუმრობით ხის კოვზი თავში ჩაუკაჟუნა, — ის დიდი ბიჭია და აქ სწავლისათვის ჩამოსულა. ხოლო სანამ შენი გათხოვების დრო დადგება, უმჯობესია შენც კარგად ისწავლო.

— პასპორტი ხომ მივიღე, მამ ალრა ვარ პატარა, — თქვა ანისკამ, — მამა, მოიყვანე რა, მოიყვანე რა, მოიყვანე? შემპირდი, რომ მოიყვან. მარტო ის კი არა, ყველა მოიყვანე. მერე ნახე კატია და ლენა როგორ გავხეთქო გულზე.

— ალბათ ველურებია ყველა. — უთხრა ევპრაქსია ივანოვნამ ქმარს, — მე გამიგონია, კავკასიელები თავზეხელადებული ხალხიაო. რად გინდოდა, რომ აიყვანე. ემანდ რამე შარში არ გაება. მაგათ რა უნდა გაიგონ ფოლადის მოღულღების... თუ ვერ ისწავლეს, შენ დაგაბრალებენ, მერე ისეთი შურისძიების მოყვარული არიან თურმე. მართლა არ მოიყვანო სახლში. ვინ იცის შეიძლება გავგძარცვონ კიდევაც. ყოველ მათგანს უბეში ალბათ ხანჯალი აქვს დამალული.

— შენ ბევრი იცი. — მოიწმინდა ტუჩები ვასილ ივანიჩმა და კარტოფილის შეჭამადს მისწვდა. ისინი ჩვეულებრივი ყმაწვილები არიან, ხათრიანები და მორიდებულები.

— ვიცით ჩვენ მაგისტანა ხათრიანები, მერე მოვლენ და გირას თავში დაარტყამენ.

ანისკამ ალარ იცოდა, ვის მიმხრობოდა, ხან დედას უტყებოდა, ხან მამას. დედის სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, დააფრთხო და ახლა ველარ ბედავდა მამისთვის განმეორებით ეთხოვნა, შეგირდები მოიყვანეო, მხოლოდ, როდესაც მამამ ისაძილა, სათვალეები გაიკეთა და მოემზადა გაზეთის წასაკითხად, მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— შენ მაინც მოიყვან იმათ, ხომ მამიკო?

— რაო, — ვასილ ივანიჩმა ჯერ ვითომ ვერ გაიგონა და წაიყრუა.

— როგორი ხარ! — დააპირა გაბუტვა ანისკამ.

ვასილ ივანიჩმა აქეთ-იქით მიმოიხედა და დაინახა თუ არა მისი მეუღლე



სამზარეულოში გასული, ქალიშვილს ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და წაიფრებინა:

— შენ მხოლოდ... — ტუჩზე ხელი მიიღო იმის ნიშნად, რომ არაფერი წამოგედესო. — მერე ნახე, დედაშენს როგორ ვახდევინო ბოდიში იმ ბიჭებთან.

\*  
\*  
\*

საერთო საცხოვრებელში წარმოუდგენელი ყრბამული იდგა. ცვლის დამთავრების შემდეგ ბიჭებიც და გოგონებიც ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. ყოველი მათგანი ცდილობდა სხვებისათვის დაესწრო და პირველს ეამბნა, ან სად იყო, ან როგორი ოსტატი შეხვდა მასწავლებლად, ან რა ხასიათის სამუშაოზე იყო გამწესებული. უმეტესობას არჩილის გარშემო მოეყარა თავი. აქ იყვნენ ვეფხია, გიგა, ჭიჭიკო და ძიკი. აქვე იყვნენ აჰმედ მოწყობილი, რომელიც ბლუმინაზე დააყენეს ბისმარკ სამსონაიშვილთან ერთად, ჰაიკევიანგულოვი, ასტამურ ტანტიბა და სიმონა ალფაიძე. იგი თავის დანარჩენ ოთხ მოგვარეს ყოველთვის ყოჩივით უდგა ხოლმე თავში და წინ უძღოდა.

სამუშაოთი თითქმის ყველანი კმაყოფილნი იყვნენ და საამქროებში გატარებული დრო ყოველ მათგანს ძალიან ხანმოკლედ ეჩვენებოდა. მართო ასტამური იყო ცოტა მოწყენილი. არჩილმაც შენიშნა ეს.

— რაო, ასტამურ, რამ დაგაღონა, არ მოგეწონა სამუშაო?

— არა, რატომ, არაა ცუდი, ცოტა ხმაურია და ყურები მეტყინა.

— შენ სად გაგიშვით? — შეეცადა არჩილი მოეგონებინა. — ჰო, მილსაგლინავში. არაა იქ ისე ძლიერი ხმაური.

— რა ვიცი, მე ასე მომეჩვენა.

— ეგ არაფერია. ვარდ-ყვავილების ბაღებში გაზრდილ კაცს, რა გასაკვირველია, პირველად აგურ მოგეჩვენოს. როდესაც შეეჩვევი, მაგ ხმაურს ველარცკი გაიგონებ. იცით. აფრიკაში მოგზაურობის დროს სახელგანთქმულმა მოგზაურმა დავით ლივინგსტონმა მდინარე ზამბეზიზე აღმოაჩინა უდიდესი ჩანჩქერი, რომელსაც ინგლისის დედოფლის ვიქტორიას სახელი უწოდა. წყალი იქ ასოცი მეტრის სიმაღლის ვერტიკალური კედლიდან ეშვება ძირს და, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორი ხმაური დგას გარშემო. მიწა პირდაპირ ზანზანებს. ჰო და, ზედ იმ ჩანჩქერის ძირას სახლობენ ადგილობრივი მკვიდრი ზანგები. როდესაც გაცეხულმა ლივინგსტონმა მათ ჰკითხა, როგორ შეგიძლიათ იცხოვროთ ამ ჯოჯოხეთურ 'ხმაურშიო, მცხოვრებლებმა გაკვირვებით თქვეს, სად არის აქ ხმაური, ჩვენ არავითარი ხმაური არ გვესმისო. ასე რომ, ყველაფერი შეჩვევის საქმეა!

— შევეჩვევით? — რაღაც უიმედოდ იკითხა ვეფხიამ.

— აჰა, რაღა გგონია შენე. — ჩაერია ლაპარაკში შუბითიძე, — ეს ხალხი რომ მუშაობს, აქ, ჩვენსავით ადამიანებია ყველა!

— ყოჩაღ, ჭიჭიკო, შენ მარჯვე ბიჭი მყავხარ. — შეაქო არჩილმა, — შენ თუ ერთი კარგი ქალი არ გაგირიგო, ბიჭი არ ვიყო.

შუბითიძე რატომღაც გაწითლდა და თავისთვის წაიდუღუნა:

— ქალს რა, თუ მინდა, მე თვითონ გავირიგებ.

დერფენის ბოლოში რაღაც საექვო ჩოჩქოლი ატყდა. მერე ყველანი აიშალნენ და ქვემო სართულისაკენ გაიქცნენ. არჩილის გარშემო შეჯგუფებულებმა უნებურად მიაქციეს ყურადღება ამ აურზაურს.

— ვანიყო მომკვდარა. — დაიძახა ვილაკამ.





ახლა ამათაც მიაშურეს ქვემო სართულს, სადაც ყველა მოგროვდებოდა. შევირდები ჩუმიდ იდგენენ და თუ დაილაპარაკებდა ვინმე — აუცილებლად ჩურჩულით იტყოდა რამეს, თითქო მიცვალებული იქვე ყოფილიყოს დასვენებული.

გოგონები მერხზე ჩამომსხდარიყვნენ და თავჩაქინდრული დასცქეროდნენ იატაკს, მარტო ზიზო იდგა ფეხზე, პატარა ცხვირსახოცი თვალის უპეებს იწმენდდა და თავშეკავებით ფშლუტუნებდა.

— ასე... ასე მგონია, ჩემი ბრალია ყველაფერი... — წაიდუღუნა მან.

— კაი ერთი, კაი. — შეუტია ლამარამ, — შენ რა შუაში ხარ. თავის თავს დააბრალოს ყველაფერი. სიმონაც არაფერ შუაშია თუ მკითხავ მე. მარა...

უეცრად ლამარასაც ამოუჯდა გული.

— მარა მაინც მეცოდება ის უბედური... ასე დასაკარგავში რო ამოხდა სული, უპატრონოდ, უდემამოდ... თავისი უჭკობით...

ვეფხიამ მიმოიხედა. სიმონას დაეძებდა. ის ფანჯარასთან ატუზულიყო და ფიქრებში წასული გარეთ იცქირებოდა. მასთან ჰაიკ ევანგულოვი იდგა და რაღაცას ხმადებდა ჩასჩურჩულებდა, ეტყობოდა ამშვიდებდა. სიმონას კი თითქო არაფერი არ ესმოდა, ისე დაჟინებით იცქირებოდა ფანჯარაში.

— კარგი, რა, ტო, შენი ბრალი ხომ არ არის. — მოესმა ვეფხიას ჰაიკას სიტყვები, როდესაც მათთან ახლო მივიდა: — ახლა იმან, ვდრუგ მაშინას დასჯახებოდა, ვითომ რაო, მაშინის ბრალი იქნებოდა?

სიმონამ არ უპასუხა.

ვეფხია გვერდში ამოუდგა და ხმაგაკმენდილმა დარბაზს თვალიერება დაუწყო, თითქო ვილაცას დაეძებდა. მერე თავისთვის წაიდუღუნა:

— ჩემი მოსისხლე იყო და ივრე მებრალედა, თითქო ძმა მომკვდომოდეს. რა სცოდნია საკუთარი მიწის მოშორებას!

— ეგ არის კაცო და! — მოულოდნელად გამოცოცხლდა სიმონა და ვეფხიას მკლავზე ისე შეახო ხელი, თითქო სურდა თავისკენ მიეხედებინა. — მეც მაგ არა მკლავს! ასეთ გადაკარგულ ადგილას მოკვდე და შენ ქვეყანაშიაც კი ვერ წავიდონ...

— როგორ, არ წაასვენებენ თუ! — მოულოდნელად მელიასავით საიდანაც თავი ამოჰყო ძიკი დანელიამ და წვრილი თვალებით ისე მიმოიხედა, თითქო საკბილოს დაეძებდა, — დიდუ, რა მითხარით, კაცო მაგ? როგორ შეიძლება, კაცო მაგ? საკუთარ ქვეყანაში არ უნდა წაიღონ? აჰ, შეუძლებელია, კაცო, მაგ!

— შენც ერთი... რა არის შეუძლებელი, — შეუბღვირა გიგამ.

— შეუძლებელია, კაცო, მაგ, არ შეიძლება, კაცო, მაგ! დეპეა უნდა მისცენ ნათესავეებს. ისინი მაშინვე ჩამოვლენ...

— ეს მეორე სულელი გავვიჩნდა. შენ ერთი ფრონტზე უნდა იყო და მოჭკვიანდები. მაგ კი არა... — სიმონას უნდოდა ეთქვა, ბრძოლაში დაღუპული გმირებიც კი ვერ წაუსვენებიათ თავიანთ ქვეყანაში და მაგ ვის გაახსენდებოთ, მაგრამ მოაგონდა, ვანიკოს დაღუპვის უნებლიე მიზეზი თვითონ რომ იყო და შედგა. ხელი ჩაიქნია, მობრუნდა და კვლავ ფანჯარაში დაიწყო ცქერა.

არჩილი პირველად დაიბნა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, მერე ტელეფონს მივარდა და საავადმყოფოში დარეკა. ის წარბშეკრული უსმენდა მორიგე ექიმის ახსნა-განმარტებას და თან ცალი თვალით ახალგაზრდებისაკენ იცქირებოდა.

— მაშ ჩვენი მოსვლა არ არის საჭირო? — ჩასძახა არჩილმა ყურმილში, შემდეგ იგი უღელზე დააგდო და გარშემოხვეულ ახალგაზრდებს ისე დაუწყო



ლაპარაკი, თითქო თითონ ყოფილიყოს ამ საქმეში დამნაშავე და ახლა თავის მართლებას აპირებდა, — რა ვუყო, რა ჩვენი ბრაღია. ის უბედური თავის თავის მტერი თვითონ ყოფილა. აქ არც სიმონაა დამნაშავე, არც სხვა ვინმე. კარგი იყო ეს უბედურება არ დაგვეტეხოდა თავს, მაგრამ ახლა დარდით და შუბლზე ცემით იმას ველარას ვუშველით. წადით თქვენს ოთახებში. ხვალ კი ცვლის შემდეგ ყველამ მივიღოთ მონაწილეობა იმის გასვენებაში. ამით მაინც ვცეთ პატივი იმ უბედურს, იმას.

ვეფხია გარინდებული უსმენდა ამ ლაპარაკს. მას გუნება აემღვრა და უსიამოვნო ფიქრებმა შეიპყრო. მხოლოდ ახლა იგრძნო, თუ რა სუსტი და უსუსური ყოფილა ადამიანი სიკვდილის საფრთხის წინაშე და ისევე შეიპყრო თავის ქვეყანაში დაბრუნების სურვილმა. ისევე მოენატრა, დაენახა ნისლით დასველებული კლდოვანი მწვერვალები, თქორით გაღუმბული იალაღები, ღორღებზე ჩამოფრქვეული ჩანჩქერები, აპარეკას სამკვედლოზე აქმუტუნებული ძველი საბერგელი და მამიდა სანდუას ხელით გაკეთებული ხინკალი... ენახა ალუდას უმცროსი ქალი მზექალა, შუბლზე რომ შეკრეპილი წინამო გადმოჰფენია და რამდენჯერაც ჩაუვლია, ყოველთვის ქვეშევემად შეუხედავს ვეფხიასათვის.

მზექალა!

თვალნათლივ წარმოუდგა იგი ხევსურული ტალავარით, ხელით ნაქსოვი ჭრელი წინდებით, ლამაზად ამოსხმული ქალამნებით, სადაფის ღილებით შემკული გულისპირიანი ზედაწელით, ჩასკენილი და ტანმკერივი მზექალა მხარზე რომ სპილენძის თუნგს შეიდგამდა და მიდიოდა ერეკლე მეფის წყაროზე...

მოაგონდა და როგორც კი გაახსენდა, თუ რა დიდი მანძილი ამორებდა საკუთარ მიწა-წყალს, გული უსიამოდ შეეკუმშა.

რად არ დაბრუნდა თბილისიდან თავის სოფელში. იქიდან ხომ სულ ადვილი იყო, თუნდაც ფეხით შეეძლო ასულიყო ხევსურეთში.

აქედან კი...

ველარ წავა აქედან.

იქნება სულაც ველარ წავიდეს, როგორც ის უბედური ვანიკო.

ფანჯარას მოშორდა და ისევე თავის სართულზე წავიდა.

— რადა ხართ ყველა ასე დაღვრემილები, რა მოხდა? — მოესმა ვეფხიას. მოიხედა. მის წინ ტანწერწეტა შურა ნიატილოვა იდგა და თავისი თეთრი კასასა კბილებით იღიმებოდა.

— ამხანაგი მოგვიკვდა. — დაღვრემილად უპასუხა ვეფხიან.

— რომელი? — შურას უცბათ მოედრებულა სახე.

— აი აქ რომ იჭიდავა...

— ჰოო, მახსოვს, საბრალო. თქვენ ნუ იდარდებთ. ეტყობა, ბედი ჰქონია ასეთი.

— სულელურად მოკვდა. ფრონტზე მაინც ყოფილიყო.

— ეგ სწორია. ჯობდა. თუმცა ადამიანისათვის სულ ერთია. სიკვდილი სიკვდილია. არ უნდა იფიქრო ამაზე.

— რაო? — ვეფხიას უჭირდა სწრაფად ნათქვამი რუსული სიტყვების გაგება.

— მე ვამბობ, არ უნდა იფიქრო ამაზე.

— თავის მიწაზე... (ვეფხიამ რუსულად თქვა „სვოი ზემლია“).

— რა თავისი მიწა? — ვერ გაიგო შურამ.

— წარამო უმერ სვოი ზემლია. — ვეფხიას უნდოდა ეთქვა, კარგი იქნე-



ბოლა თავის მიწაზე მომკვლარიყო, მაგრამ შურამ პირიქით გაიგო, კარგად მიწაზე მოკვდაო.

— რასაკვირველია, კარგია, — უპასუხა შურამ და მერე დასძინა: — ეჰ, არც მაგას აქვს მნიშვნელობა. დღეს იმუშავეთ?

— ვიმუშავეთ.

— მერე, როგორ? კარგია?

— კარგია.

— დაიღალეთ? არ შეშინდით?

— არა.

— სად არის თქვენი უფროსი?

— იქაა. — თვალთ ანიშნა ქვემო სართულზე ვეფხიამ.

— ძალიან მომწონს თქვენი უფროსი, აჰ, რა შესანიშნავია. ის ინჟინერია-ბომბ?

— ინჟინერია.

— გუშინ კლუბში ჩვენთან ცეკვები იყო, თქვენ რატომ არ დადიხართ?

— რაო? — ვეფხიამ ვერ გაიგო რას ეკითხებოდნენ, რადგან შურამ რამდენიმე სიტყვა თავისებურად გამოთქვა.

ჰაიკ ევანგულოვმა და სიმონა აღფაიქემ კიბეები ბრიგინით ამოიბრინეს. ორთავეს საქმიანად მოღუშულ სახეზე ეტყობოდა სადღაც მიდიოდნენ.

— ვეფხო, წამო ჩვენთან. — უთხრა ჰაიკმა ვეფხიას და შემდეგ შურას თავისი კარგი რუსულით ჰკითხა, — არ იცით, სად აკეთებენ კუბოებს?

— ოო, არ ვიცი. — შიშით წამოიძახა შურამ და მიმოიხედა, მერე გაახსენდა და ფუსფუსით უთხრა, — დიკათ, ვიცი, როგორ არა, პარტიზანის ქუჩაზე კომუნალური მეურნეობის განყოფილებაა, იქ აკეთებენ. მხოლოდ, ჯერ ერთი. იქ არავინ იქნება ახლა, დილას უნდა წახვიდეთ. მერე, ცნობა უნდა მიიტანოთ მმართველს და ჩვენი კომენდანტისაგან ქალაქის საბჭოში მიიღოთ ორდერი ფიცრების მისაღებად. ოო, ეს არც ისე ადვილი საქმეა. ფიცარი ძალიან ჰირს, მაგრამ თქვენ მე მგონია მოგცემენ.

— თუ ღია არ იქნება, მაშ რალაზე მივდივართ. — თქვა წარბშეკრულმა სიმონა აღფაიქემ.

— მაინც წავიდეთ, იქნებ ღიაა. — არ დაეთანხმა ჰაიკა.

სამთავემ ჩაიცვეს და ქუჩაში გავიდნენ. ბნელოდა. ნისლში გახვეული ლამპები შარავანდედიანი წმინდანებივით ჩამწკრივებულებივით ქუჩაზე გადმოხურობდნენ. სიბნელის თალის გასწვრივ და მათი ბოლო სიერცეში იკარგებოდა.

ადამიანის ჰუკანება არ იყო. ფანჯრებიდან ოდნავ ბეჭტავდა სინათლე. სველი ტროტუარები და ელექტრონის სვეტები შეჭირბოლებული იყო.

ჩუმად მიდიოდნენ სამივენი, ხელები ქურთუკის ჯიბეებში ჩაეყობთ და მათი სალდათური ბატინკების ხმაური ყრუდ ისმოდა ნისლით დაბამულ ქუჩაზე.

— ეს არის, აი, ჩვენი მომავალი. — წამოიძახა ჰაიკმა და შეჩერდა, რომ პაპიროსი გაებოლებინა. — ერთი გამაგებინა, რისთვის ვწვალობთ. ვაშენებთ, მერე ვაქცევთ, ერთმანეთს ვბოცავთ, სულ რომ ეს იყოს? ერთი ხელი აიღე, თუ ძმა ხარ. რათა სვაშენო. მა რა ჩემი ფეხები აკეთონ. კაცმა სიკვდილს უყუროს, აღარც დალიოს? წამოდით, აქ ახლოს ლუდხანაა, კამერჩესკი ლუდსა ჰყიდის..

— შენ ბარათაშვილი წაგიკითხავს? — ჰკითხა სიმონამ.

— რაო? — ვერ გაიგო ჰაიკმა.

— ბარათაშვილის ლექსი არ გისწავლია სკოლაში?

— რომელი?



— არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს...

— იცი რა გითხრა თუშო, ლექსის-მექსის მე არა გამეგება რა, ყველა თავისთვისაა ზრუნავს, სოფელში კიდევ კოლხობია, ჩვენ კი ქალაქში ვცხოვრობთ. წამო და ჩვენი ძმაცაცისთვის თითო შესანდობარი დავლიოთ. ყველაზე კაი ჯილდო ადამიანისათვის ისაა, ძმაცაცი სიკვდილის შემდეგ მოგიგონებს და შენზე კარგს იტყვის, გინდა შენი მტერიც იყოს. ასე არ არის?

— აგრეა, — დაეთანხმა სიმონა და პირველმა შეუხვია ლუღხანაში.

— კარებში მათი თეთრხალათიანი დამლაგებელი ქალი შეეგება, სამივეს წინ გადაეღობა და გამოუცხადა:

— ლუდი გათავდა.

— ჩვენ ღვინო გვინდა. — უთხრა ჰაიკმა.

— ღვინით არ ვვაჭრობთ. აქ მარტო ლუდია.

— არაყიც არაა?

— არ არის, არ არის. — გულმოსულად დაუცაცხანა ბიჭებს დამლაგებელმა და კარი მაგრად მოაჯახუნა. ეტყობოდა პირველად არ ისტუმრებდა მუშტრებს ასეთი პასუხით.

(გაგრძელება იქნება)





## პახანე ჯახეხაძე

სულში იზრდება უკვდავ ვენახად  
და გულში ჰყვავის უპკნობ ვარდებად, —  
მე ძველ წერილებს არ ვხევე,  
ვენახავ,

გამახსენდება — გამიხარდება.  
დამძიმებული,  
წყნარი ხელები,  
მონატრებულნი უღრუბლო ამინდს,  
ისეთ წერილებს გაიხსენებენ  
წვიმიან ღამით,  
წვიმიან ღამით.  
ზოგჯერ კი ხევენ ასეთ წერილებს  
და ივიწყებენ თავისთავადა,  
როდესაც ბინას გამოიცვლიან,  
ან იყიდიან ახალ კარადას.  
მე სტრიქონების შუქმა დამინდო;  
ოდეს დავკარგე კვალი კინალამ,  
სწორედ ამიტომ,  
სწორედ ამიტომ  
მე ძველ წერილებს არ ვხევე,  
ვენახავ.

და თუ მეწვევა ნადველი ისევ,  
და თვალს ჩამირცხს ცრემლების ღელე,  
გამიჭირდება  
და გავიხსენებ  
წერილებს — როგორც გამოწვდილ ხელებს.

\*  
\* \*

მე შემოვედი შენს ცხოვრებაში,  
როგორც წვიმის დროს შედიან სახლში,  
პატარა დარდი კარებთან დამჩჩა,  
გავლადლი —

როგორც კეთილი ბავშვი.  
ნაწვიმარს არვინ გამიღო კარი,  
არვინ ამინთო გზაზე ლამპარი,  
გამოვექეცი წვიმებს და ქარებს  
და შენ მომეცი თავშესაფარი.  
შენლა გამიღე ნაწვიმარს კარი,  
მაჩვენე შენი პატარა ბინა,  
მაშინ —

როდესაც ავობდა ქარი,  
მაშინ —

როდესაც მძლავრობდა წვიმა.  
შენლა ისმინე ჩემი მუდარა,  
შენი თვალების ჩეროში შევდექე,  
შენა ხარ ჩემი ნავსაყუდარი  
დიდი წვიმის და ქარიშხლის შემდეგ.  
მოვუბოდიშებ გაზაფხულს მზიანს  
და ისევ შენთან დავრჩები წყნარი  
მაშინაც —

როცა გადიღებს წვიმა,  
მაშინაც —

როცა ჩაღვება ქარი.

\*  
\* \*

მხატვარს უყვარდა ღვინო და წვიმა  
და შავი თმები ლამაზი ცოლის.  
ბევრჯერ მისულა მდინარის პირას,  
დაბრუნებული ბოლოს და ბოლოს.  
ზეცის წყალობას ელოდა მუდამ,  
ქუჩაში დიდხანს უსმენდა ორღანს,  
გადაივიწყა — რა იყო ქული,  
ცოლს გაუყიდა ჩინური ქოლგა.  
ცის ქვეშ ეძებდა ადგილს ყოველთვის,  
მოსწყინდა ყველას სახლის კარები,  
თითქოს ამ ქვეყნად აღრე მოვიდა,  
ანდა მოვიდა დაგვიანებით.  
ცა იყო მისი ჭერი მაღალი,  
სახლად ქუჩები ჰქონდა პარიზის,  
უსმენდა წვიმას — ძვირფას მომღერალს,  
ათრობდა ჰანგი უნარნარესი.

ღვინო და წვიმა უყვარდა იმას,  
 უბირველესად უყვარდა ყოვლის,  
 ათრობდა მხოლოდ ღვინო და წვიმა  
 და შავი თმები ლამაზი ცოლის.  
 ბოლოს მოვიდა მდინარის პირას,  
 ბოლოს ყველაფრის გამოჩნდა ბოლო,  
 და წამოვიდა შხაპუნა წვიმა.  
 ...ადრე დაქვრივდა ლამაზი ცოლი.

\*

\* \*

მას შემდეგ,  
 რაც ამ ქვეყნად მოვედი,  
 გული ლოდინით გადაიქანცა,  
 მარად და მარად,

ყველგან,  
 ყოველთვის

ველი რაღაცას,  
 ველი ვიღაცას.  
 ველი გაზაფხულს,

ლექსებს,

მეგობარს,

იანვრის თოვლს და აპრილის მერცხლებს,  
 ერთი შეხედვა როგორ მეყოფა,  
 მე ახალ-ახალ შეხვედრებს ვეძებ.  
 ხვალაც მექნება იმედი ხვალის,  
 მე მოლოდინი მექნება მყოვარ,  
 თუმცა ყველაზე ძვირფასი მაინც  
 ის არის, ვინაც არასდროს მოვა.  
 ხანდახან ცაზე ღრუბლები ყრია  
 და ქვენა ქარი უბერავს ნოლმე.  
 მაგრამ მე მჯერა:

ადრე თუ გვიან,  
 ადრე თუ გვიან ყველანი მოვლენ.  
 წვიმებიც მოვლენ,  
 ქარებიც მოვლენ.

გამოიზამთრებს გული კვირტივით,  
 ბოლოს და ბოლოს,  
 ბოლოს და ბოლოს,  
 ბოლოს და ბოლოს მოვა სიკვდილიც.  
 გული კი ახალ სიმღერას ითხოვს  
 და ენატრება მწვანე კორდები,  
 დაე, სიკვდილი მელოდეს თვითონ,  
 მე გაზაფხულებს დაველოდები.



ნახატები მერაბ ბერძენიშვილისა

# ფართალ სიყვარული



„ყოველი მხრით დაჩაგრული  
მე ვარ სიმონა დოლიძე“.  
ხალხური.

— აი, აქ იდგა ის წყვეული ნალია! — მითხრა ჩემმა გამყოლმა მოხუცმა კოლმეურნემ და მუქმწვანედ აბიბინებულ ყანაში აშოლტილ აკაციისკენ მიმიითთა.

კახეთის მოვლის შემდეგ გურიაში ჩამოვედი ჩემი წიგნის „ცხრასხუთელი პარტიზანებისათვის“ საჭირო მასალების მოსაგროვებლად და რევოლუციონერ ფირალთა სახელებთან დაკავშირებული ადგილებშიც მოვიხანაულე.

ნასაკირალის, ასკანისა და დეაბზუს შემდეგ ნატანებს ვესტუმრე და ახლა სწორედ იმ ადგილას ვდგავარ, სადაც მუხანათურად მოჰკლეს სიმონა დოლიძე.

სიმონა დოლიძე!  
ზოგს ეს სახელი ტყეში გაჰრილ ფირალს აგონებს, ზოგს რევოლუციის საქმისათვის თავდადებულ რაინდს, ზოგს კი იმ ტკბილსა და მგრძნობიარე სიმღერას, რომელსაც ხშირად გადასცემენ ზოლმე ჩვენს რადიოში.

ვიდექი ნასიმინდარზე და მღუმარედ გავუტრებდი ვარემოს: აღმოსავლეთით აჭარა-გურჯის მოლურჯო მთები მოჩანდა, დასავლეთით კი უსასრულობამდე გადაშლილიყო ვერცხლისფრად მოლივლივე შავი ზღვა...

გვიან ღამით ჩემმა მოხუცმა მასპინძელმა მთვარის შუქით აბრწყინებულ კოინდარზე





ფეხმორთხმულს მიაბმო სიმონა დოლიძის მკვლელობის ამბავი.

ვათენებამდე ძილი არ მომკარებია და ნათლად აისახა ჩემს გონებაში ამ ვეჟაკური სიცოცხლის დასასრული.



ალიონი ექადისთან წამოეწია მხედრებს.

წინ სიმონას ფეხკავმა ულავი მინავარლობდა, უკან ბურჭულამისა და ანდრო დოლიძის ფაშატები მიჰყებოდნენ.

სამივე სდუმდა და ირგვლივაც ვასაოცარი სიჩქმე ვაწოლიოყო, მხოლოდ ცხენთა ნალეების თქარათქური ისმოდა მოკენწელ შარაზე.

გზაჯვარედინთან ულავს ლავამი დაუჭირა სიმონამ, თანამგზავრებს შეუცადა და, როცა ისინი მხარში ამოუდგნენ, არც მობრუნებულა, ასე წარმოთქვა:

— გვეყოფა შარაზე სიარული, ბიჭებო აწი საშიშია და ლეულ-ლეულ ვაგწით ნაღობილევისაკენ, იქიდან კი ფეხით ხელად ჩავალთ ნატანებში.

— შევაცო, ჯერ არც ვათენებულა, რაა საშიში?! იარაღიც არ ვიჩანთ და... — წამოიძახა ანდრომ.

— რომ გეუბნები, ალბათ ასეა საჭირო! ნუ იცი, ანდრო, ყველაფერზე აჯიჯღინება, —



მწყურალად მიუგო სიმონამ და ცხენს პირველმა გადაახვეინა ბუჩქნარში.

ისევ მღუმარედ მიდიოდნენ.

მხედრები ძლივს იკვლევდნენ გზას ატეხილ ჩქოლებსა და გადახლართულ ბარდნარში. ცხენები მძიმედ ქშინავდნენ და წამდაუწყუმ უსხლტებოდათ ფეხი დაეკარულ ქეა-ლორღზე. ორსამ ადგილის საწისქვილე ღელეებიც ვაარღივის დგაფუნით.

ამომავალმა მზემ ზურგი ვაუთბო მგზავრებს

და ცხენების ვაოფლილი სხეულებსაც ვაგწით დილ ოზვიარში ვახვია ისინი...

— ანდრო, ახლა შენ გზავიძეხი, მარა ფრთხილად იყავი, გეზი არ დაკარგო — მიმართა თანამგზავრს სიმონამ და ცხენი მძიმედ დაძრა მკერდამდე ქალტამში.

ანდრომ ქუსლი ჰკრა თავის ფორეჯებიან ფაშატს და მიეწინავედ ჩააყენა. სიმონამ თვლი ვააყოლა სახლიაკის ლევა ბოხობიდან ჩამოშლილ ცეცხლისფერ ქოჩორს და უსიამოდ შეაქრქოლა — ბავშვობიდანვე ვერ იტანდა ჰროდა თვალებიან და წითურ ხალხს...

ისევ მღუმარედ ვანავარქეს გზა.

სიმონა ფიქრებში ჩაიხიდა და თავი ჩაქინდრა.

ემშვიდობებოდა მშობლიურ გურიას სიმონა დოლიძე. ემშვიდობებოდა და, ვინ იცის, რამდენი ხნით... ვინ იცის, როდის დაადგება ამ გზას უკანვე, პირით აღმოსავლეთისაკენ, მზისაკენ... ახლა კი ზურგს უნათებს მისი სხივებ დასავლეთისაკენ მიმავალს. ასევე მიდიოდა ათიოდე წლის წინათ ბათუმისაკენ, მამინაც ზურგს უთბობდა მზე, მაგრამ მიდიოდა საქვეყნოდ, თამამად...

ო, მაინც რა ელვასავით ვაირბინა მთელმა ცხოვრებამ, თუმცა ხანმოკლემ, მაგრამ ასე ბობოქარმა.

თითქოს გუშინ იყო: მხარბილე ნაჭრის საწიგნე ვადავიდებული ანცი სიმონიკა ფეხშიშველა დატანტალებდა სოფლის სკოლაში... ტოლებთან დანასობისა და კენჭობის თამაშით გულის მოჯერების მერე სუფსაზე ვაიბარებოდა ხოლმე საბანაოდ.

თითქოს გუშინ იყო: მეორე კლასში უკანასკნელად ჩაუბუღებულა „ზაკონ ბოეი“ იონა მღვდელს, გულისტივილით ვამოეთხოვა თავის შემჭვარტლულ ისლიან ფაცხას და ბათუმის ნავთსადგურში მამამისს მიამურა „სასოფარზე“.

თითქოს გუშინ იყო: საცოდავმა ნიკომ, სიმონას მამამ, უშველებელი ყუთი წამოიკიდა და სისხლი წასკდა პირიდან... მისი სიკვდილის მერე მტვირთავებმა ცეცხტი და ღონიერი სიმონა აირჩიეს აისთავად. შემდეგ... შემდეგ კი შრომა და ოფლი, ოფლი და შრომა...

თითქოს გუშინ იყო: პირველად მოუსმინა „მოძღვარს“. როგორ ვაოცდა მამის, ჰალარა მამაკაცის ნაცვლად თითქმის მისივე ტოლი, გრუზთმთიანი ჰუბუტი რომ შერჩია ხელში... კობას ევახდნენ როტშილდისა და მანთაშვიის მუშები.

შემდეგ გურიამი ვამოგზავნა კომიტეტმა და ისევ აღმოსავლეთისაკენ მოდიოდა, თავისი სოფლისაკენ, თავისი ამაღლებისაკენ, ისევ სახეზე დასთამაშებდა მზე... როგორ უხაროდა, რომ აქ აჯანყება და გულის სატრფო ელოდებოდა.

ექვსმა წელმა ვანვლო მას შემდეგ და ეს



ექვსი წელია სიმონა დოლიძე ფირალის სახელს ატარებს. რამდენი უძილო დამე, რამდენი ვერაგული მახე, რამდენი ქურდული ტყვია გადაიტანა ვაბუქმა. რამდენჯერ წამოუღვია შმაგ სურვილს სადღაც. ტყეში წიფლის ძირას ნაბადზე მიგდებული სიმონასათვის — ჩავარდნილიყო სოფელში, შეჭრილიყო თავის ღარიბულ ფაცაში, გულში ჩაგრა და მხურვალედ ჩაეკოცნა ოჯახის წევრებში... მაგრამ ავაზაკივით ჩუმად, ქურდულად მიიპარებოდა საყუარე კერისათან და ყოველ წამს ზურგში ელოდა ტყვიას.

სიმონას ისიც გაახსენდა, ორიოდ წლის წინათ რუსეთში რომ მოითხოვა კომიტეტმარუს ვაჟაკებთან ერთად დაუხვდა ცარიცინთან დათოვლილ ტრამპლზე მიმავალ ეშელონს, რომელიც პოლიტკატორდებლით იყო გაქვდილი... მაშინ აჩუქეს ცხვირბაჭუა და ქერა ბიჭებმა ლამაზი სათუთუნე, ვანუყრელად რომ დააქეს თან. „ჩემი ხელით ვავაქეთ პუტილოვის ქარხანაშიო,“ — თქვა რაზმის მეთაურმა, მატყვის რომ ეძახდნენ რევოლუციონერები, ჩვენებურად მოესტეს.

სწორედ ეს მათესეული სათუთუნე ამოიღო სიმონამ და ვაჭეთის ქალღღმში გახვეულ თუთუნს კეეს-აბედით მოუკიდა. ესამოვნა აკვამლებული აბედის სუნი, მანამდე ვაჩერა ხელში, სანამ თითი არ აეწევა... თანამგზავრებს გადახვდა, ისევ დაწალიკებით მიარღვევდნენ ბუჩქნარს გაქაფული ცხენები...

სიმონას სახსრების ტკივილმა მოუმატა უნაგირზე დიდხანს ჯდომისაგან. „შემუბა ამ ქარებმა, დაეკუტდები და ისაა, — სიბრაზით ვაიფიცია, — ამან უნდა მომიხელოს?!“ თუკ ექვსი თვია მთელ ძვლებში მომედვა... თუ სიკვდილი მიწერია, ტყვიით სიკვდილი მიჩრეენია უნდომობით სიკვდილს... ამაში მაინც დამარჩეს ილბალი...“

ცულ ხასიათზე იყო სიმონა დოლიძე. მოდი და თუ მავარი ბიჭი ხარ ნუ იქნები! შარმაწინს საწამლაღისაგან გულმობარშული დათიყო შევარდნაძე თოვლში ჩაჰკლეს იმ ძალღებმა, შარშან ჩელტებში შემალულმა ერასტი ჯგობენამე მტრის ხელით სიკვდილს საყუთარი მათუზერის ტყვია არჩია, ვანელი სამსონ წითელიშვილი კაცმა ვერ ვაიგო, როგორ ვაჭქრა — ზოგი ამბობს შამშაის ტყეში მოჰკლა სურებელმა ეზრეშვილმა, ზოგი ამტკიცებს ოღესამი ვაიპარაო. მცხეთელი ილიყო იმერლიშვილი, რომელიც ღვიძლ მასავეთ შეიყვარეს გურულებმა, ისევ თავის ქართლს დაუბრუნდა. ახლა მარტო კიცია მამულაშვილი დამარჩის ტყე-ტყე, არც იმ უბედურის დაადგება აღზბთ კარგი დღე... ეს ბიჭია — მეღჭო ბურჭულაძე და ესეც თვითონ მიჰყავს ბათუმში. მაინც როგორ ვათახსირდა

ხალხი, ყველა ფირალი ღალატით იღუბებოდა ყველგან ჯაშუშის ხელი ურევია.

თვითონ ალბათ გადაჩენილია უკვე, ჩავაბათუმში, ამ მტკივან სახსრებსაც უმკურნალებს და მის გამო ჯარიმა-ეგზეუციებისაგან წელში გაწყვეტილ ხალხსაც დაასვენებს... თუმცა რა დაასვენებს იმ საწყლებს!

ამიტომ იყო, დღეს რომ ნამულამევეს ჩამოვიდა ტყიდან ბურჭულაძის თანხლებით, გამოემშვიდობა ოჯახს, წინასწარ მოლაპარაკებულმა ანდრომ ცხენები მოგვარა და შეჰპირდა, მტარებელამდე მე ჩავაცილებ, ცხენებსაც მევე დავაბრუნებ უკანო. მუზობელია და სახლკაციც, ერთად არიან ვაზრდილი, თორემ წითური და ჭროლა თვალუბიანიც რომ არ იყოს, სიმონას მაინც არ ეყვარებოდა — შიშობარა და წერილმანი კაცია, მაგრამ ღალატს... აჰ, ღალატს მაინც ვერ ვაბედავს, სულს ასე როგორ წაიწყმედა — სიმონა ვაჰყიდოს და არც იმდენი ვაჟაკობა აქვს ამ ტურას... სიმონას ჩაეცინა ანდროს ბავშვობის ზედმეტი სახელის მოლონებაზე და ისევ თავის ფიქრებს დაუბრუნდა.

ჰო, მერე ენახობი მოვა დრო და ისევ გურიას, ისევ თავის ამაღლებას დაუბრუნდება სიმონა დოლიძე, ისევ აღმოსავლეთისაკენ იზამს პირს, ისევ სახეზე დაენთება მზის შუქი, ახლა რომ ბეჭებს უწყავს დასავლეთისაკენ მიმავალს...



ნაღობილეში ანდრომ ცხენები ნაცნობ გლეხკაცს მიაბარა და ახლა სამთავემ ფეხით გასწიეს ნატანებისაკენ. სიმონას ძალიან ვაუჭირდა სიარული და მეღჭისედეგმა ღობიდან გამოძრბილი სარი მოაწოლა საბიჯავად.

მზე საშუაღღოზე იდგა, როცა გამოჩნდა ნატანების სადგური — ლიანდაგიდან გადაყენებული ძველი საბარგო ვავონი. მგზავრებმა სადგურიდან მოშორებით სასიმინდეს მოჰკრეს თვალი და იქითკენ ვაუჭურნენ. ძლივს ვაარღვიეს ჩაყუთილებული სიმინდის ხშირი ყანა, რომელშიაც ცხენიანი კაცი ჩაიმალეზოდა, და პატარა მოტიტკლებულ ადვილას დამდგარი ნალის ჩრდილს შეეფარნე. ოთხ მალღ ბოძზე შესკუპული შქვრით დარწმუნე და ყვდრით ვადახურული სასიმინდე ცარიელი იყო. საცაა სიმინდის ტეხა უნდა დაეწყო ალბათ პატრონს და საგულდაგულოდ დაესუფთავებინა იგი.

— ანდრო! ჩენი მატარებელი შეზინდებამდე არ ჩაივლის ბათუმისაკენ, აქ მოგვიწევს მაინც მოცდა. მე და მეღჭო სასიმინდეში ავალთ, შენ რაიმე საკუმელი მოგვიტანე, გუშინს აქეთ ლუკმა არ ჩასულა ჩემს პირში... — მიმართა სიმონამ ანდროს და თუმინიან დაეწოდა, — არ შეგაწუხებდ, მარა ხომ იცი...

— რა საკადრისია, ჩემო სიმონ, — უსაყვე-



დურა ანდრომ, — ახლავ გვაიჩენ ყველაფერს, დასალეხსაც ეიშოვნი... — და ყანას შეერია.

— არ დაიგვიანო, თუ კაცი ხარ! — მიაძახა სიმონამ და ბურჭულაძეს მიუბრუნდა..

— აბა, ძამია, მიჰოპოტე ერთი!

მელქისედევი მიეხმარა და სიმონა ძლივს შებოძდა ნალიის ვიწრო კარებში, შემდეგ ჰაბუტს გადმოუწოდა ხელი და ისიც ცქერტად ჩახტა სასიძინდესში.

ფარალალა ნალია ვერ აკავებდა მზის მცხუნვარე სხივებს, და ისინი ყოველი მხრიდან დაშენებოთ იტრებოდნენ შუგ.

სიმონა კუთხეში მიჯდა. მოსირბული ყაბალახი მოიძრო და ხეჭუტა ქოჩორი ტალღებად ჩამოედგარა ოფლით დაცვარულ მაღალ შუბლზე. საყველო შეიხსნა, ჰრელი ბელყაიშიც შეიშლიდა წელზე, ქარებისავე დახუთული მუხლები წვალებით გამართა და ჩაიდუღნა:

— უფ, როგორ მტებს ეს ოხერი! — გაედარდება ალბათ, მზეც რომ ბზიკივით იკბინება!

— ძალიან გტკივა, სიმონ? — თანავარძობით შეეკითხა მის პირდაპირ მოკალათებული ბურჭულაძე, რომელსაც უყვო ამოუძვრინა ჩაქურის უბიდან უფდო, გაცრეცილი პატარა წიგნი.

— მტკივა, ჩემო მელქო, მტკივა! ექვსი წელია ლოგინზე არ დამიძინია, ხან სად ვავდივარ უპატრონო ძაღლივით და ხან სად, ახლა გზამ მთლად მომიბთავა ხელი...

ჩვეულსისამებრ ნახევრად მიღულა თვალები სიმონამ, მუხლებზე ამკრიკლებული აზიურების ყელი გადაიკეცა და კვირისტაგების სრესა დაიწყო. შიგნიდან მთელი ტანი უხურდა, კანზე კი ცევი ტროლვა უფლიდა. „მგონი სიცხეც მაქვსო“, უნდოდა ეთქვა ბურჭულაძისათვის, მაგრამ თავი შეიკავა. ისედაც არ უნდოდა მელქისედეგს გურიის მიტოვება და ახლა უფრო ატყდებოდა — უკან დაებრუნდეთო. იქნებ თვითონაც მოიხედოს ქალაქში და ეს ბიჭიც გადაარჩინოს ამ ჯოჯოხეთს.

ახსოვს სიმონას, ძალიან კარგად ახსოვს, სამიოდე წლის წინათ ჩამოჰყავა მელქო ლანჩხუთელ ტრასტი ჯორბენაძეს და ქართლელ ილიყო იმერლიშვილს გურიაში. მეტეხის კარები აეფეთქებინათ ვაჟაკებს და ოცდახუთი სიკვდილმისჯილი პატიმარი გაქცეულიყო ციხიდან. მაშინ მთლად ბავშვი იყო ბურჭულაძე, საუღვაშე ჰქონდა მხოლოდ შედინდლული და როცა თავისი უფროსი მეგობრების, განსაკუთრებით კი იმერლიშვილისა და ისაკია თიომის გადაგრეხილ უღვაშებს გადახედავდა, წამაღუნუნებო იფხეკდა სამართებლით, ჩქარა ამომივო. დაუწერელი კანონის მიხედვით მაღლა აწვევრტილი უღვაშები ფირალისათვის ისეთივე აუტოლებელი იყო, როგორც გრძელღულიანი მათხერი და ამასი რატომ უნდა ჩამორჩენიდა სხვებს მელქო ბურჭულაძე?!

იმის შემდეგ დაეკაცადა ჰაბუტს, მელქოს ტყვია დაემოზილენ მას, ფირალის ფათეარკიანმა ცხოვრებამ, ყოველ წამს სიყვდილის მოლოდინმა ვასაღლდდა მელქოს აასიითი და არაფერში უღებდა ტოლს თანამებრძოლებს. ერთხელ, ბურჭულაძის მამაკობით აღტაცებულმა დათიყო შევარდნაძემაც კი, შექებაში ტუნწრა და ამავსა ვაჟაკებამ, მაინც თვისებური გამჭრიაკვი კილოთი წამოიძახა: „უყუყუ შენი ამ ყაზილარს, რამხელა გული ჰქონია, ქე არ ვვაჯობა ყველას!“ და შემდეგ თვისებურად გულიანად ჩართობოხა: „მიდი, მიდი შე დედაგაღლუტოლო!“ მელქო ქალიშვილივით წამოერთო სიხარულისაგან ფირალთა ბელადის ასეთ შექებაზე, მაგრამ ეს წყველი „დედაგაღლუტოლო“ თუ არ დაყოლა დათიკომ, ხომ არ შეიძლება!

სიმონამ სიყვარულით შეხედა ბურჭულაძეს, რომელიც სალოც თითს აქეთ-იქით დაატარებდა წიგნის სტრეიონებზე, და ტუჩების მცაუნდით, როგორც ჩანს, დამარცვლით კითხულობდა. ახლა უყვე კოკობი უღვაშები ამწვენებდა მელქოს, სწორედ სიმონასავით აეწვევრტა ზეეთი და ყოველ წუთში იგრებდა თითზე.

სიმონას რული მოერიო. ბურჭულაძიდან თვალი ნალიის იატაკზე გადაიტანა. ტყავგაცილი თხმელის მრგველი ჰერები მეჩხრად იყო ჩაწყობილი, რომ აღვილად განიყვებულიყო სიმინდის ტრაიები. რატომღაც ჰერები დათიკომ სიმონას და კინაღამ შეჰყვირობდა: „ოცდაექვსი ცალი აღზინდა.. საბედისწერო დამთხვევა... თვითონაც ხომ ოცდაექვსი წლისა... სამჯერ დათვალა... მაინც ოცდაექვსია! საითთაოდ დააკურდა ყველაის, რაღაც საოცარი სახალოვე იგრძნო ამ გლუვი და ხმელი ჰერებისადმი... მხოლოდ ბოლო ჰერი ვაზხარულიყო შუაწელში და სხვებთან შედარებით ოდნავ ჰქვეით იყო ჩაწეული... უსიამოვნოდ შეაგრყოლა სიმონას... რაღა მაინც დამაინც ოცდაექვსია ეს უპატრონო, ცაფთქა და თვალები დახტუა..“

უღაბნოს სიჩუმე გამეფებულიყო გარეთ... მხოლოდ რაღაც უცნაური ზუზუნი იდგა პაერში, აი, თაკარა შუადღზე რომ იცის ხოლმე, და წიფთბელები ჰრიალებდნენ გამამზებულად...



სიმონას წრიალმა კითხვა შეაწყვეტინა ბურჭულაძეს. ელედის საყინძე გადაეფხრინა სიმონას და ორივე ხელი ყვლზე წაყელო... სიმწროის ოფლს ასხამდა სახეზე და კბილებს აკრაპუნებდა.. თითქოს უხმოდ ებრძოდა ვილაცას თუ რაღაცას ძილში... ბურჭულაძეს შეეცოდა და ფრთხილად შეანჯღრია... ფირალის დამახასიათებელი სისწრაფით გაახილა თვალები სიმონამ, მაგრამ სრულად უარსოდ მიაშტერდა ჰაბუტს...

— ოპ, შენა ხარ, მელქო?! — როგორც იქნა





მოვიდა გონს და ავადყოფურად გაიღიმა... ვული ისეთი ბავაბუტით უტყვდა, რომ მთელ სასიმილდში ისმოდა მისი ხმა... ბურჭულაძემ შეამჩნია, რომ გამოღვიძებულმა სიმონამ ერთხელ კიდევ მოისინჯა ყელი აქანკალებული ხელებით...

— რა იყო, სიმონ, რამ შეგაწუხა ასე?!

— არაფერი, ჩემო მეღქო! არაფერი... თუმცა, რა დაგიბოლო... სიზმარი ვნახე, ბიჭო, ვალხა სიზმარი... ჭრელი გველი შემომეხვია კისერზე და რამდენიც არ ვეცადე, ვერ მოვიშორე... უფრო და უფრო მიჭრდა ყელში... მერე შენ გამომაღვიძე და ის იყო...

შეშვითდა ბურჭულაძე:

— შენი ჭირიმე, სიმონ, ახლაც ვაგბრუნდეთ უკან... ვული რაღაცას ცუდს მეუბნება... ფარსაგი რამე შეგემთხვებოდა... დაგბრუნდეთ მთებში და კიციას ავაკიბოთ ვაიჯუარში... ეს შემოდგომა-ზამთარი ან თავსურებს გადავიტანოთ, ან ხინოში გადავიდეთ აქარლებთან...

— არა, ძამია, ახლა დაბრუნება აღარ შეიძლება!

— სიმონ, დამიჯერე, ტანი მიგრძნობს...

— რა მოგივიდა, ბიჭო, სიზმარი რა ფეხები! მაგან რავე შეგაშინა, ჰაიტ, შე ვალხა... — შეუტია სიმონამ, თუმცა თვითონაც რეჩხი უყო გულმა და მწარედ გაიღიმა:

— დავიხოცეთ შიშობით, ანდრო სად დაიკარგა მაინც ამდენ ხანს?! — ჯიბიდან ვერცხლის გრძელქვეყვიანი საათი ამოიღო და დახედა, — კმ, ორი საათია უკვე... სადაა ის ბიჭი, ა?!

— სიმონ, შენი ჭირიმე, უკან თუ არ დავბრუნდებით, ადგილი მაინც გამოვიცვლოთ! — ისევ შეევედრა ბურჭულაძე. — სხვაგან შევიცადოთ საღამომდე...

— კარგი, ახლა, მეღქო! რა დაგემართა! შენ არ მომიკვდე, მაწყენინებ მასეთი დაყინებული ლაპარაკით!

მეღქოს სიმონას წყენინებას ცხელი ტყვია ერჩია, შელაპარაკება ვეღარ გაუბნდა და გაბუტული ზღაპრით დაჯდა თავისთვის.

სიმონამ ღიმილით გადახედა და დათიყო შევარდნაძის ლექსი წამოიწყო ღლინით:

მტარვალების ტლანქმა ძალამ  
გამომავდო მინდორ-ველად,  
მოდით, ძმებო, და ვიბრძოლოთ  
აწყო დროის შესაცვლელად.  
ხალხს ვუსურვოთ, რომ შეიგნოს,  
არვინა ჰყავს მას მამუელად,  
გარდა ერთი თავისთვის  
გამომსვლელი ბრძოლის ველად.  
საჭიროა შეერთება  
ჯალათების შემუსვრელად,  
ძირს, ძირს დავუტეო მუქთახორა,  
ჩვენვე დავდგეთ ჩვენს დამცველად.

...გარედან ჩახველება მოისმა. ერთხელედაც ყურები ეჭვითა, ჩახველება განმეორდა.

— ანდრო! ეღირსა მოსვლა! — წამოიძახა სიმონამ. ბურჭულაძე ნაღის კარებთან მივიდა, გადაიწია და უხმოდ შემოიტანა მოწოდებული კალათა. შემდეგ ანდროს მიეხმარა ამოსვლაში.

— მოვედო კაცი! მთელი სოფელი მოვიარე და ძლიეს ვიშვო ხემსი. ვაციგუნებულია ხალხი, მამასისხლად ყიდიან ყველაფერს.

— შეკაცო, ამდენხანს ძროხა მოიხარშებოდა! — უმპაყოფილოდ უთხრა სიმონამ და ბურჭულაძეს მიუბრუნდა:

— აბა, ერთი შენებურად გამაღე სუფრა!

მეღქომ კალათაზე გადაფარებული კეახის დიდრონი ფოთლები სასიმილდის იატაკზე დააწყო და საჭმლის ამოლაგებას შეუდგა.

— ამ დედალი ათი შაური გადამახდევინეს, ამ ყველში აბაზი, ამ ქაღში... — დაიწყო ანდრომ და ზურდა ამოიღო ჯიბიდან.

— არ გრცხვენი, ბიჭო, ანგარიშს მახარებ?! — გაუწყრა სიმონა და ფულიც უკანვე შეანახვია.

— უფ, არაყი წამოიღე?! ღვინო ვერ იშვო, თუ რა?! — შეეკითხა სიმონა სიმინდის ნაკორტალით თავდაცული ბოთლის დანახაზე.

— ჭურდი არ მოხადა იმ ოჯახქორმა და ნაკულულად არ ჰქონდა. სანთლის არაყი წაიღე, ვადსაბევიო... მანათი გადამახდევინა...

— ოჰ, კარგი ახლა, იყოს რაღაცა! აგერ მეღქოს არ უყვარს, თორემ ჩემთვის სულერთია...

სიმონა და მეღქო გამგებულნი დააცხრენ საჭმელს. მრგვალად მოხარშული დედალი, პიტნაშეხედილი ჭყინტი ყველი, ნიგვზიანი წითელი ფხალი, პრასის გამოჩნსკული წილი და კიცის ყვითელი ქაღი სანუყვარი რამ იყო მათთვის.

ანდრო ცოტ-ცოტას წიწნიდა და უგემურად იღქებოდა...

— რა დაგემართა, ბიჭო, რავე პატარძალივით იქცევი! — შეუტია სიმონამ.

— მე ვკაბე სოფელში, მასპინძელმა არ დამაყენა! — ჩაიბუტბუტა ანდრომ და ჭროდა თვალები აბორიალა, სიმონას ცქერას რომ არ წაწყდომოდა.

— აბა, მერიქიფეოვა იკისრე!

— კი, ძამია, ახლაც, — და ანდრომ ვათილი ჭიქაც ამოაძვრინა კალათის ფსკერიდან, ქარვისფერი არაყით აავსო და სიმონას გაუწოდა.

— ჯერ შენ გადაჰკარი, ჩემზე უფროსი ხარ! — თავაუღებლივ მიუტოვა სიმონამ და ქათმის ფილტვი მოიშადა დასაყოლებლად. ანდრომ უხმოდ გადაჰკრა სასმელი.

სიმონამ მოკაყული ცერით შეისწორა უღვა-





შები, მოწოდებულ არაყს დახედა და როგორც  
ყოველთვის, ახლაც ჩურჩულით წარმოთქვა:

— დათიკოს შესანდობარი იყოს!

მელქომაძე მოინდომა ვეცაკურად დალევა,  
მაგრამ თითქოს ადუღებული ტყვია ჩაასხესო  
ყელში, ცეცხლი მოეკიდა, თვალები კურცხ-  
ლით აივსო და ხველება აუტყდა...

სიმონას გაეცინა და დაამშვიდა:

— ნუ გეშინია, ბიჭო, მაგას კი არა შხამს  
მიეჩვენე კაცი!

მეორეჯერაც დაასხა ანდრომ, ბურჭულაძემ  
იუარა, მაგრამ მესამეჯერ ველარ გაუძლო ცდუ-  
ნებას...

სიმონას საოცრად ენაბრაყი, თითქოს თბი-  
ლი სისხლი აუჩქეფდა სხეულში, სასიამოვნოდ  
მოღუნდა, მუნლების ტკივილიც მიუყუჩნდა და  
ხუმრობის ხასიათზე დადგა:

— ანდრო, ის რაა იყო, შენ და ლენტორა  
საქათმეში რომ შეძვერით კახაკების შიშით?!

— ოჰ, კარგი ახლა, რა დროს მაგია — ეწყვი-  
ნა ანდროს.

— არა, არა! მოყევი, თუ ძმა ხარ! — შეეხვე-  
წა სიმონა, რომ ამ დროს გარედან სიმინდების  
ლაწალუწი მოისმა...

— მელქო, გახედე! — წამოიძახა სიმონამ,  
მაგრამ ანდრომ დასაწრო კარებთან მივიარდნა...  
გაპყო თავი და აღარც მოუხედა უკან, ისე ის-  
კუბა გარეთ... გაოცებულმა ბურჭულაძემ მიირ-

ბინა და მხოლოდ ანდროს ფეხებს შეტყუა...  
ლი, ანდრო სიმინდებში მიფოტხებულ  
ლებით...

— სტრავა! — წამოიძახა მელქომ წითელი  
სამხრეების დანახვაზე, უკანვე გადმოხტა და  
ამვე დროს გაისმა პირველი ზალპიც.

— დაწევი! — უყვირა სიმონამ და კარების  
მოპირდაპირე მხარეს მიხსოდა ქუტურუტანასთან.

— ალყაში ვართ!.. გავეყვია მაგ ურჯუ-  
ლომ! — კბილების ღრქუნით წამოიძახა სი-  
მონამ და წიხლი ჰკრა ანდროს მოტანილ პურ-  
მარის...

მეორე ზალპა ყავრის ნატეხები დააყარა  
თავზე ფირალუმს.

— ეჭვი, დოლიძე! დაგვენდები! — მოისმა  
ჩახლეჩილი ძახილი სიმინდებიდან.

— ოი, შე ძაღლო! ათას კაცში ვიციან შენ  
ხრინწიან ხმას! — გააფრთხილეს წამოიძახა სი-  
მონამ და მაუზერი დააყარა ხმის მიმართულე-  
ბით...

— ვინაა, სიმონა?! — შეეკითხა იქვე მიწოლი-  
ლი ბურჭულაძე და მანაც აახშიანა ქუტურუტა-  
ნაში ლულაგაყოფილი მაუზერი.

— ვინაა და ურიადნიკი ჯაფარიძე! სამჯერ  
გადამირჩა სიკვიდის და ახლა მაინც ვაჭმევ მი-  
წას, თუ ვარ დოლიძე!  
სროლა გახშირდა...

ფირალები ხაფანგში იყვნენ... მოწინააღმდე-  
გეს ვერ ხედავდნენ და  
ბრძალ ისროდნენ, ალა-  
ბედზე...

ისევ დაიძახა ურიად-  
ნიკმა, — დოლიძე, დაგ-  
ვენდები!

გინებით უპასუხა დო-  
ლიძემ და მაუზერი გა-  
აწვიმა... რკალი ვიწროე-  
დებოდა, ტყვეები უკვე  
ნაღის კედლებს ლეწ-  
დნენ... სიმონა შემობ-  
რუნდა:

— მელქო! აქედან  
ჩვენი გასვლა ზღაპარია...  
უღმერთოდ ვარ და ჩი-  
ხლი... შენ უნდა გადაარ-  
ჩე, ბიჭო... სწრაფი მუხ-  
ლი გაქვს, მე ახლა და-  
ფხვებილი ვარ... ჩაებტე-  
ბი ძირს და დამაყრიან  
ტყვიას, ამასობაში შენ  
მეორე კედაროს გადა-  
ფრინდი და უშველე  
თავს...

— რას ამბობ, სიმო-  
ნა, ახლა დაგტოვებ?!

— არაა ახლა ლაი-  
ლის დრო! რომ გეუბ-  
ნები, გაიგონე, თვარა...—





სისხლწაწოლილი თვალები დაუბრიალა დოლიძემ, დასტა ფული მიაწოდა, ჯიბიდან სათუთუნე და საათი ამოიღო, ძველკვი ვერ შეხსნა, მოგლიჯა და ისიც ჩაუტენა ჩაქურის უბეში.

— აბა, შენ იცი... არ შემეღობარავო, ვუბნები! — მაუზერიანი ხელო მოხვია აცრემლებულ ბურჭულაძეს და ცხელი ტუჩებით ჩაეკონა, — მშვიდობით, ბიჭო, არ დამვიფიწო...

ცივიანივით აცხცახებული მობრუნდა და ჰერების ჩაყრა დაიწყო ძირს... ერთი... ორი... სამი... ოთხი... ხუთი... ექვსი... ევოფა, გაეტევა!.. ორივე ხელი დააბჯინა და ტანი ჩაუშვა... იმავე წაშში მოისმა მწყობრი ზალბი და სიმონას ჯოჯოხეთურმა ტყვიელმა დაუარა სახეზე... სიმწრის ღიმილით ახედა ბურჭულაძეს და, სიტყვის თქმის თავი რომ არა ჰქონდა, თვალით ანიშნა — გადახტოი...

მელქომ ძლივს შეიკავა თითქმის ყელში მომსყდარი ცრემლები, ღონიერი წიხლით გაანგრა ნაღის სარაბაღი და ავანსებური ნახტომით ისკუბა სიმინდებში...

მაშინ სიმონამაც ნელ-ნელა გაუშვა ხელები ჰერს და ზღართან დადგინა ძირს...

სტრატეგიების მთელი გულისყური სასიმინდიდან ჩამოშვებულ გასისხლულ ფეხებზე იყო მიყრობილი და გვიან გაიგეს სიმინდებში ბურჭულაძის ნახტომი... იმავე წაშ სიმონაც ჩამოვარდა ძირს და მთლად დაიბნენ... მაგრამ სწრაფად გაისმა ჩახლეჩილი ბრძანება:

— სამი მღვეარი, ჩქარა!

ყანაში შლივინ-შლივინი და დატარებულ სიმინდების მტვრევა მოისმა...

სიმონამ ძლივს გაათრია ბერღანკის ტყვიებით დაღვეჯილი ფეხები, ვახურებული თავი ნაღის ბოძს მიყარდნო და მაუზერი მოიმარჯვერაფერს ვერ ხედავდა სიმინდის კედლის გარდა, თვითონ კი ხელისგულზე დასმულივით იყო გამოთოფილი...

— დოლიძე, დაგენებდი! — სიხმარივით მოესმა ჯაფარიძის ხმა.

სიმონამ უმისამართოდ გაისროლა იქით მაუზერი.

ისევ ზალბი და კრაზანებივით დავსიენენ ტყვიები ფირალის ხეულს... თავი ჩამოუვარდა დოლიძეს და შეგარძნების უნარი დაკარგა... აღარც ესმის ტყვიის მოხვედრა...

სიმინდები აშრიალდა...

„მოახლოვდნენ... — გაუელვა სიმონას, ანგურობისა ტა რა ქნა მელქომ, ვადარჩა თუ...“

თითქოს პასუხად, მის დაბნელებულ გონებას ყანიდან ჯაფარიძის ხრინწიანი შეგინება და ღრიალი მისწვდა.

— აი, თქვე მათხოვრებო, როგორ გაგეცათ?!

სიხარულისაგან გაიცინა დოლიძემ, ძალღონეც შეემატა და აზრიც გაუნათდა...

— დაგენებდი, ყაჩაღო! — ისევ გაიგონა უფრო გამწარებული ურიადნკის ძახილი.

— აბა, დაიქი! — წამოიძახა სიმონამ და მაუზერი ხმის მიმართულებით გადაავლო...

მაუზერი სიმინდს მოხვდა, ვადაამტვრია და მძიმედ დაეცა მიწაზე... მაშინვე წამოიჭრა ბრჭყვილა სამხრეთიანი ოფიცერი საფარიდან და მიმინოსავით დააცხრა მაუზერს... ხუმრობაა, სახელგანთქმული ფირალი აბარებს საკუთარ იარაღს! სისხლის ჯვარი არ ასცდება პრაბორშიც ჯაფარიძეს!...

მეორე მაუზერი ამოაძვრინა უბიდან სიმონამ... აკანკალებული ხელით უსწორა ოფიცრის მარცხენა ჯიბესთან აპრიალბულ ღილს და ზეღოვდ დაყარა ტყვიები...

ჩვირივით ჩაიკეცა ჯაფარიძე... სისხლი გადმონახია პირიდან და უკანასკნელად მოფხაქნა ღიხაშხო მიწა...

დაბნეულ სტრატეგიებს არაბუნებრივი სიცილი შემოესმათ ნაღის ქვეშიდან... გამხეცებულებმა ზალბი ზალბზე დაყარეს დოლიძეს... სიმონამ ხელი ვეღარ ასწია, მაუზერის ლულა მიწას დაადო და ყველა ტყვია დასცალა... მტვერი ავარდა მშრალი მიწიდან და წუთით ვადავფარა ფირალს...

ტყვიებისაგან საცერივით დაცხავებული ვეკაცია არაადამიანური ძალდატანებით გადმობრუნდა გულღმა... გადმობრუნდა და დაჩეჩქეილი ფეხები გაუირვებით შეატყუბა, გაასწორა... მერე დაცხრილული ხელები ძლივს დაიკრიფა მკერდზე... მშვიდად დახუჭა თვალები და გარინდდა...

სიმონა უკვე აღარ სუნთქავდა... ხუჭუჭა ქოჩორი ნაღის ლაფაროში ჩაფენოდა და ლამაზ სახეზე თითქოს დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა...



შალვა ღვინია

რაც გამახსენდა

28

მგონი რამდენიმეჯერ ვთქვი ამ ჩემს ნაწერში, რომ პირადად მე არტისტული მოგზაურობით თავის დროზე შემოვიღილი მაქვს-მეთქი თითქმის მთელი საქართველო, ხოლო როდესაც 1913 წელს ბათუმში ამხანაგებთან ერთად „მოგზაური დასი“ დავაარსე, რუსეთის ზოგიერთ ქალაქშიც ვაემართე ქართული წარმოდგენები. ეს იყო პირველი ვასვლა ქართული მთლიანი დასისა რუსეთში. დასში ირიცხებოდა თორმეტი მსახიობი: ორი ქალი და ათი მამაკაცი. მათ შორის იყვნენ ანდრონიკაშვილი ელო, ბეჟანიშვილი რუხანა, ყალაბეგაშვილი სანდრო, ხარაზიშვილი სტიკოპა. ხურციძე სამსონ, ურუშაძე ზაქრო და ამჟამად ქუთაისის თეატრში მომუშავე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მურუსიძე ანდრო.

უნდა ითქვას, რომ მართლაც აკრებ ამხანაგობა გვექონდა ჯერ თვითონ ბათუმში, იქაურ კარგა მხორცილ დასში, სადაც მუდმივად ირიცხებოდნენ მეტად ნიჭიერი არტისტები: მიხეილ გელოვანი, შემდეგში ცნობილი კინომსახიობი, და დათიკო მგალობლიშვილი, რომელმაც აგრეთვე გადანიანცვლა მოსკოვის ოპერეტაში და დიდი სახელიც მოიხვეჭა იქაურ საზოგადოებრიობაში. ამათ გარდა დასში ირიცხებოდნენ ოლია ლევაია, რიონელი ბაბო, ლოლობერიძე ლიპა: იყვნენ კიდევ ჩვენთან ლადო სარელი, ალიოშა ჯაყელი, კოლია მამულაშვილი და სხვანი. ბათუმშივე საქმე ისე გამოეწყო, რომ პრესისა და საზოგადოების დიდი ყურადღება მიექცეოდა და ჩვენს წარმოდგენებზე დასასწრებლად გურვიდან, ფოთიდან და ქუთაისიდანაც კი მოდიოდნენ მსურებლები. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ არ გვეყავდა რჩეულები, არ ვიცოდით უფროს-უმცროსი აქტიორის რანგები. დღეს თუ ერთი რომელიმე ჩვენთაგანი ასრულებდა წამყვან და დიდ როლს, ხვალ მეორე პიესაში სრულიად უბრალო და თითქმის უსიტყუო როლში გამოდიოდა, ე. წ. სტატისტის როლს ასრულებდა. ამიტომაც საქეტაკლები გამოგვდიოდა დიდად მწყაზარი, ანსამბლიანი. იმავე დროს ჩვენ თბილისიდან მოგვეყავდა ვასტროლებზე ჩვენი სახელოვანი არტისტები: ფეფიკო მესხი, ნუცა ჩხეიძე, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია და სხვ. აი ამ ბათუმის დასმა წარმოშვა „მოგზაური დასის“ შემადგენლობა. ჩვენ არ შეგვექმო დიდი დასი ვადაგვერიცხა „მოგზაურში“, რადგანაც ამას დიდი ნიუთიერი ღონე სჭირდებოდა. ამიტომაც „მოგზაური“ მხოლოდ თორმეტიოდე კაცისაგან შევადგინეთ. რამდენიმე თვის განმავლობაში ვდგამდით წარმოდგენებს სხვადასხვა დაბა-ქალაქში, მაგრამ ესეც ისე გავგვირდა, რომ ბოლოს, უსახსრობის გამო, დავიშალენით, ჩვენი არტისტები სხვადასხვა თეატრში მოეწყვენ და განაგრძეს თავიანთი სასარგებლო მუშაობა.

იმავე დროს მე აზრად მომივიდა, რომ თბილისში მოგვეწყო ქართველი არტისტების და საერთოდ ჩვენს თეატრში და თეატრისათვის მომუშავე ადამიანთა ყრილობა.

ამისათვის წერილი დავბეჭდე მაშინდელ გაზეთ „ცნობის ფურცელში“. ამას სხვა მწერლები და არტისტებიც გამოეხმაურნენ და იმ ზაფხულს, მგონი 1914-1915 წ., შესდგა კიდევ ეს ყრილობა თბილისში. ყრილობის თავმჯდომარედ ავირჩიეთ ჩვენი დიდებული მწერალი აკაკი პრეზიდენტ-მსიცი აგრეთვე არჩეული იყვნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები და თვალსაჩინო არტისტები. ყრილობამ დიდი გამოხმაურება პპოვა მთელ საქართველოში, რადგანაც ეს იყო პირველი ყრილობა არა თუ რომელიმე ოფიციალური დაწესებულებისა, არამედ შეკრება თეატრალური ხელოვნების თაობაზე. წაკითხული იქნა რამდენიმე მეტად საგულსხმო მოხსენება, აგრეთვე გაიმართა მეტად წესიერი, თითქმის აკადემიური პაუკრობა ორატორებისა. სხვა ღონისძიებათა შორის ყრილობამ დაადგინა, რომ შექმნილიყო საქართველოს მსახიობთა პროფესიული კავშირი. დიდხანს არ გაუვლია.





რომ დაარსდა ეს კავშირი, რომელიც მუშაობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების რეჟიმზე.

ასე რომ, როგორც ხედავთ, მთელი ჩემი სიჭაბუკე შეგწივრე უფრო თეატრს და ისიც მეტწილად ამ დარგში ქუთაისში ვმუშაობდი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა თეატრმა გამოიწვია უნივერსიტეტის მაგივრობა. ჩემი საზოგადო აზროვნებაც აქ, ამ აბსოლუტურად მომწიფდა. ბევრი რამ შემძინა დრამატულმა რეპერტუარმა და სასცენო ოსტატობამ, ხოლო ცხოვრებას კარგად გამიცნო აღმდინათა ურთიერთობამ. ბევრი რამ შევიძინე როგორც ჩვენი კოორდინაციასთან, ისე დასის რაგიით წევრებისაგანაც.

და ვიყავ ისევ და ისევ მოფილოსოფოსო „ტლუ ბიჭი“, ცოტა უფრო „ფეხმოკიდებული“. ჩემი უდიდესი მრწამსი მაინც ის იყო, რომ ხელოვნება იხსნის კაცობრიობას ცხოვრების დუხვიორ მხარეთაგან და მეც თეატრალური ხელოვნების ხაზით განვავარძობდი ხალხის სამსახურს. თუმცა სხვა დარგიც მჭონდა სასპარეზოდ.

ეს იყო მწერლობა.

მსახიობობის დროსვე მწერლობასაც ვეწეოდი და აქა-იქ ვებეჭადავი კიდეც ჩვენს პერიოდულ ორგანოებში ჩემს ნაწარმოებებს. უფრო ნაყოფიერი მაინც დრამატურგიაში ვიყავ.

ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენი დრამატული რეპერტუარი საერთოდ ღარიბი იყო და თითო-ორიჯის ვარდა, მაშინ არცა ვგვყავდნენ ქართველი დრამატურგები. ცნობილი მუჟაჟგინი, გედევანიშვილი და შანშიაშვილი ჩემ დროს და თითქმის ჩემთან ერთად გამოვიდნენ დრამატურგების ასპარეზზე.

მე კი იმიტომ ვაგებდევ მეცადა თავი დრამატურგიაში, რომ მეგონა, ცხოვრების ცოდნაც საკმაო მქონდა და თეატრალური ხელოვნებისაც.

სწორედ ამ დროს არის დაწერილი: „მღვიმეში“, „შენი ჭირი მე“, „გუშინდელი“ და სხვ.

რაც ერთხელ ფეხი შევდგი დრამატურგიაში, დღევანდლამდე განვავარძობ ამ ქანრში მუშაობას. ორმოცამდე ორიგინალური პიესა მაქვს დაწერილი, ამდენივე თარგმნილი და გადმოკეთებული.

ხედავთ, როგორ ვტრიალებ!

საერთოდ კი ვაბტყობ, რომ იმ კაცის ცხოვრება, რომლის აღწერაც მე ვიკისრე, ე. ი. ჩემი თავისა, მაინცაღამაინც საინტერესლო არ გამოდის.

მკითხველი უთუოდ მოელოდა, შალვა დადიანი თუ შესამჩნევი არა, განსხვავებული პიროვნება მაინც იქნებოდა, მაგრამ მოტყუვდა ამ ნაწერის ავტორი, ამის გამო მოტყუვდნენ მკითხველებიც. შეიძლება ისიც კი ვაიფიქრონ, ბევრი ვერაფერი შვილი ყოფილა ეს კაციო.

აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ როდესაც ამ „რაც გამახსენდას“ დაწერა განვიზრახე, ასე მქონდა წარმოდგენილი, რომ ეს ნაწერი დანაწილებული იქნებოდა შემდეგ ვანყოფილებებდა: ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე და შემდეგ სულ ბოლომდე, ხანდაზმულობამდე. ამათ შორის კი უნდა ყოფილიყო დაწერილი ჩემი მსახიობობა და თეატრალური მუშაობა, მწერლობა, მუშაობა საზოგადოებრივ დაწესებულებებში, თან უნდა ყოფილიყო ასეთი თავებიც: „სიკვდილსაც დაიფიქვბიხართ“ და „შიშველი მე“.

ამიტომ, თუმცა ჩემი ცხოვრება დიდს არაფერს წარმოადგენს, მე მაინც ნაწერში შუა თავებამდე მლივს მივაღწიე. მეც და ჩემი მკითხველებიც კიდეც უნდა აღვიტუროთ მოთმინებით, რომ ჩემი განვავარძო.

## 29

მასასაღამე, გაკვრით მაინც მინდა მოვიხსენიო, თუ რას წარმოადგენდა იმ დროს ქართულ თეატრი თავისი შინაარსით, შემადგენლობითა და საქმიანობით.

მაშინ შინაარსით მეტწილად პატრიოტული პიესები იყო ვაბატონებული: „სამშობლო“, „ღალატის“, „ღა-ძმა“. ყოველ სეზონში ეს პიესები უნდა დადგმულიყო, ხანდახან რამდენიმეჯერაც. მაშინ, როდესაც სხვა პიესებს სეზონში ერთჯერ თუ მოუწევდათ დადგმა. სეზონი უმეტეს ნაწილად „სამშობლოთი“ უნდა გახსნილიყო.

ჩვენ დროს კი მოხდა ერთი ვასაკვირველი ვარემოება: რუსთაველის თეატრმა დადგა პიესა „ფლანდრია“, საიდანაც არის გადმოკეთებული ეს „სამშობლო“. პიესა ეკუთვნის ფრანგ ცნობილ დრამატურგს ვიქტორიენ სარლუს, მაგრამ ფრანგულად „ფლანდრია“ კი არა ჰქვია, არამედ „ლაპარტი“, რაიც ქართულად ნიშნავს „სამშობლოს“. ეს პიესა თავის დროზე ქართულად გადმოაკეთა დრამატურგმა დავით ერისთავმა, და ამბობენ, მისმა წარმოდგენამ თბილისსა და ქუთაისში დიდი აღწევება და აღტაცება გამოიწვიაო, მეტადრე იმ ალაგას, როდესაც სცენაზე გამოაქვთ საქართველოს დროშა. ეს იყო ცარიზმის შავბნელი რეაქციის დროს, ეროვნული გრძობა საქართველო-





ში ძლიერ-ძლიერ ღვიოდა, და აი ამ პატრიოტული წმიდა გრძნობის გამოღვიძლებას ემსახურებოდნენ, უწინარეს ყოვლისა, მაშინდელი ვაზეთი „ღრობა“, ქართული თეატრი, ილიასა და ჰაქაბუცის ღრმად ბული კალამი და გოგებაშვილის „ღეღა-ენა“. „სამშობლოს“ დადგამა კიდევ უფრო ცხოვლად იმოქმედა მაყურებელზე, და აი ხსენებული ღრობის გამოტანის დროს აუღივრია ფეხზე დგებოდა თურმე და ცრემლმორეული ერთიმორეს ეხვეოდა. ასეთი დიდი სამსახური მიუძღვის პიესა „სამშობლოს“ ეროვნული გრძნობის გამოღვიძების საქმეში, ასე რომ ეს პიესა, მიუხედავად მისი დრამატული ნაკლოვანებისა, ქართულ თეატრს მოკრძალებით უნდა ჰქონდეს შენახული თავის დიდ საგანძურში. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „სამშობლოს“ დადგამა ქართულ სცენაზე დიდი განგავში გამოიწვია რუსულ რეპეტიციონერ პრესაში, რაზედაც ჩვენში ხმა ამოიღეს ჩვენმა მოწინავე მწერლებმა ილიას მეთაურობით და რუსეთში ცნობილმა დიდმა მოაზროვნემ და კრიტიკოსმა მიხაილოვსკიმ. ჩვენ კი ამას წინათ დავდგით „ფლანდრია“, და როდესაც ამის შემდეგ იმავე რუსთაველის თეატრმა დადგა „სამშობლო“, დამსწრე ახალგაზრდობამ თქვა თურმე: ოჰ, ეს ხომ იგივე „ფლანდრიააო“. ასე რომ სარდუს პიესის პირდაპირმა თარგმანმა, იმერულად რომ ეთქვათ, გამოიწვია „გაცუცურაკება“ ქართული თეატრის ტრადიციისა, — ქართულ თეატრში, როგორც ვთქვით, იმ დროს მეტწილად იღვებოდა ისტორიული პიესები და ამან გამოიწვია მიმბაძველობა, ასე რომ ზოგჯერ შემთხვევითი მწერლების მიერ დაწერილი დაბალი ხარისხის ისტორიული პიესებიც იღვებოდა.

სხვა ორიგინალური ქართული პიესები არსად სჩანდა, თუ არ ვიანგარიშებთ ჩვენი სასახლო დრამატურგის ავქსენტრი ცაგარის ზოგიერთ მახვილ ნაწარმოებს და დიდი აკაკის გამოღვიძების ქართულ დრამატურგიაში.

დრამატურგიაში მუშაობდა აგრეთვე ჩვენი ცნობილი ხალხოსანი პოეტი ზაფიევი ერისთავი, ოღონდ ის უფრო ვადმოკეთებდა ხოლმე პიესებს რუსულიდან და ძალიან მარჯვედაც, ისე რომ კაცს ორიგინალად ეჩვენებოდა. მაგრამ ვადმოკეთებამუ პირველი ძალიანი დაიკავა ვაფერხიან გუნიაძე. ზშირად მთელი სეზონები იკვებებოდა გუნიას მიერ ვადმოკეთებული პიესებით. ამისთვისაც დიდი მადლობის ღირსია გუნია, რომ ქართულ იერს არ ამორებდა ჩვენს რეპერტუარს.

იმავე დროს ქართულ თეატრში იღვებოდა უცხო კლასიკოსებიც, ვანსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენი თეატრი დაამშვენა უებრო ლადო მესხიშვილმა. შექსპირი, შილერი, გუცოვი და სხვ. ლამაზ სვეტებად ჩაუდგნენ ქართულ თეატრს. მაშინ წერდა დიდებული ილია ქართველ არტისტებზე დაახლოებით ასე: ჩვენმა არტისტებმა მსოფლიო გენიოსები ვავიშინაურესო.

რეპერტუარის მხრივ ასე იყო საქმე, ხოლო რაც შეეხება დასების შემადგენლობას, გარდა ჩვენი დიდი კორიფებისა, დასები შედგებოდა უფრო შემთხვევითი ელემენტებისაგან: ოთხ კლასამდე მიღწეული ახალგაზრდა, რომელმაც სწავლაში ვერ იხეირა და თვითონ გამოვიდა ან ვამოავდეს სასწავლებლიდან, მოდიოდა ქართულ სცენაზე; მოდიოდნენ ისინიც, ვინც სამსახურში ვერსად ვამოვდა, — და ეს იმიტომ კი არა, რომ მათ მიწოდება ჰქონდათ სასცენო ხელოვნებისადმი, არც იმისათვის, რომ ქართული სცენა მათ ნივთიერად უზრუნველჰყოფდა, არამედ იმათ მსახიობობა იოლ სამუშაოდ მიჩანდათ; ამას გარდა თეატრში სამსახური საზოგადოებაში ერთგვარ მდგომარეობას უქმნიდა მათ. ამიტომაც დასში დენაობაც დიდი იყო, რაზედაც სასცენო ნიჭი იშვიათად თუ ვინმეს ვამოაჩნდებოდა, არც ვანათლება, არც ცხოვრების ცოდნა ამკობდა მათ, თუმცა იმავე დროს ზოგიერთი მათგანი, თითქმის უსწავლელი, მეტად სასარგებლო წევრიც ხდებოდა ქართული დასისა, როგორც ვავალიად ქართველი თეატრის ცნობილი მოკარნახეები: კოლია ვალუსტრევი და ზეგლარ ახოსპირელი, რომელიც იმავე დროს იყო მშვენიერი პოეტი და შეიტანა წვლილი ქართულ პოეზიაში. ასეთივე იყო აგრეთვე თამაშავი, ერთგული მუშაკი თეატრისა, რომელიც დაბალი წრიდან იყო ვამოსული, მაგრამ მშვენიერი მსახიობიც იყო.

ზშირად ხდებოდა, რომ თეატრში მოვიდოდა და მსახიობად ჩაირიცხებოდა ფრიად მწეაზარი, ლამაზი ვარეგნობის ახალგაზრდა, დარდიმანდი, მახვილი ვენის პატრონი, მომღერალი, მოცეკვავე, ვაბედული ცხოვრებაში, მაგრამ სცენაზე არაფრად არ ვარგოდა, — ეს იყო ერთი ფენა ქართულ დასში მომუშავეთა; მეორე ფენისანი კი იყვნენ ბუნებით სასცენო ნიჭით შემკულნი, მომზადებულნი, ვანვითარებულნი, მაგრამ ისინი თეატრის ვარდა სხვა დაწესებულებებშიაც მსახურობდნენ. უფრო ამის ვამო იყო, რომ რეპეტიციები ქართულ თეატრში მეტწილად საღამოობით მიმდინარეობდა, რადგან დასში მომუშავეთა ნაწილს დღისით არ ეცალა, რაც, რასაკვირველია, სასცენო მუშაობას დიდად აბრკოლებდა.

ქალების მხრივ ხომ უფრო ცუდი მდგომარეობა იყო: იმ დროს. საზოგადოების ყველა ფენაში ვაბატონებული იყო ის აზრი, რომ ქალს სცენაზე მუშაობა სახელის ვატეხის მეტს არაფერს მოუტანს, რომ სცენაზე საერთოდ ვარეგნილება ვამეფებული და სხვ. თუმცა სცენის-



მოყვარებულნი მაშინაც ერთნენ ნიჭიერი ყმაველი ქალები, ისინი ჩვენ გვეხმარებოდნენ განსაკუთრებით პროვინციაში, სადაც გვიხდებოდა წარმოდგენების მართვა; ზოგიერთები სასტიკი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებული და გულთ უნდოდათ დასმი ჩარიცხულიყვნენ, მაგრამ დღე-მამა და ნათესაობა ნებას არ აძლევდა. რამდენჯერ შევსწრებოვარ მათს უმანკო ცრემლებს, მაგრამ ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის შეუძლებელი იყო ასეთი ოჯახების რწმენის შერყევა.

ახლა გავისვენოთ, თუ ნივთიერად რა ასაზრდოებდა ქართველ მსახიობს. რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა, წარმოდგენების შემოსავალი, მაგრამ ეს იყო ისეთი მერყევი წყარო, რომ ხშირად სალაროში შემოსული ფული იმ ღამის თეატრის ხარჯსაც ვერ წვდებოდა.

ამისათვის კვლავ დიდი ილიას მეოხებით, დიმიტრი ყიფიანისა და დიდებული აკაკის დახმარებით, ოთხმოციან წლებში დაარსდა თბილისის ქართული დრამატული საზოგადოება. წესდებოდა ის ძალით, გარდა საერთოდ ქართული თეატრის დონის ასამაღლებელი ღონისძიებებისა, საზოგადოებას დავალებული ჰქონდა დასის ნივთიერი უზრუნველყოფა და, მართლაც, ზოგჯერ დრამატული საზოგადოება თვითონ ინახავდა დასს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებით შემოსული ფულით, ზოგჯერ კი, როდესაც ნივთიერი საშუალება არ ჰყოფინდა, სეზონი რომ არ გამცდარყოფო, მსახიობთაგან შედგებოდა ამხანაგობა, ის უძღვებოდა საქმეს და დრამატული საზოგადოება კი ზოგჯერ, შედგებისდავგარად, აძლევდა სუფილას. როდესაც დრამატული საზოგადოებას დასი თავის ხარჯზე ჰყავდა აყვანილი, მაშინ თვითველ მსახიობს განსაზღვრული ჯამაგირი ენიშნებოდა. ჯამაგირებში სხვაობა იყო, რადგანაც გამოჩენილ დიდ მსახიობებს ეძლეოდათ მეტი და დანარჩენებს კი ნაკლები. ამხანაგობის დროსაც ასე იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთ მსახიობს განსაზღვრული ჯამაგირი კი არ ჰქონდა, არამედ შემოღებული იყო ე. წ. სამარკო სისტემა. დასი სამ კატეგორიად იყო გაყოფილი — დიდსა და წამყვან მსახიობებს ეძლეოდათ, ვთქვათ ათი მარკა, მეორე კატეგორიისას, — ექვსი და მესამეს — ოთხი. მთელი შემოსავალი ამ მარკების ჯამზე იყოფოდა და ხშირად ვიანჩრობით გაგვექნა სეზონი.

პირადად მე ჯამაგირზე იშვიათად ვყოფილვარ და თუ მქონია ჯამაგირი, ხუთ თუმანს არ ავიცილებივარ. საერთოდაც ასი მანეთი იყო უდიდესი განაკვეთი ჯამაგირისა და ისიც ეძლეოდა ლდო მესხიშვილს ან ვასო აბაშიძეს, ზოგჯერ ვალიყო გუნდისაც, როდესაც ის იყო დასის ხელმძღვანელი და რეჟისორი.

იყო კიდევ ერთი თითქოს საკვირველი სახელმწიფო კანონი: თეატრების სეზონი უნდა დაწყებულიყო შემოდგომაზე, არა უადრეს სექტემბრის თვისა, და დასრულებულიყო თებერვალში, როდესაც დიდი მარხვა იწყებოდა; ეს შემოღებული იყო სასულიერო სინოდის დადგენილების თანახმად. ასე რომ ქართველმა მსახიობმა, გარდა ამ მოხსენებული ექვსი თვისა, არ იცოდა შემდეგში რითი ეცხოვრა. წარმოდგენის ნებას იძლეოდნენ მხოლოდ ნაადვლოვეს და რაკი მაშინ ჩვენ არც ანტრეპრენიორი გვყავდა და არც მეცენატი ვინმე (დრამატული საზოგადოება ზაფხულში არ კისრულობდა სეზონის ვადილას), ამიტომ მსახიობები იძულებული ვიყავით შეგვედგინა ამხანაგობა, მაგრამ ამ ამხანაგობასაც ხომ სჭირდებოდა ერთგვარი თანხა საქმის წასაყვანად, — ამიტომ ყველა ჩვენგანი, ვისაც ამხანაგობაში შესვლა გვიწოდდა, შევეგროვებდით ჩვენ-ჩვენს წელიწადს ჩვენს ოჯახებში ვალდ ვისესხებდით და მოვაბამდით საქმეს თავს.

ამ შემთხვევაში მე სხვებზე უფრო ბედნიერი ვიყავი, რადგან მე ხომ ცოტაოდნად შეძლეული ოჯახიდან ვარ გამოსული, მაშინაც, სხვათა შორის, ჭიათურაშიაც ჰქონდა მამული შავი ქვისა. როდესაც ჩემზე გადმოვიდა მაშინემის მემკვიდრეობა, შავი ქვა მეც მებრკო. ცხადია, მე თვითონ არ ვეწეოდი შავი ქვის მრეწველობას, საერთოდ ცხოვრებაში ცუდი პრაქტიკოსი ვიყავი, მაგრამ დადგებოდა თუ არა დიდი მარხვა, ჩემთან ჭიათურიდან მოდიოდნენ პატარა მრეწველები შავი ქვისა: ბერძენები, ქართველები და შემომთავაზებდნენ, რგანში რომ „მაჰუკიასო“ გაქეთ (შავქვიანი ადგილის სახელი), ის მოგვეცი იჯარით და ხუთას მანეთს მოგართმევთ. მეც ვპირობას არ დავუწყებდი, სიხარულით ვართმევდი ამ ფულს. ისინი, კი, რომ წავიდოდნენ, თურმე სულ მაგინებდნენ: სულელია ეს დადიანი, „მაჰუკიასო“ ხუთასი მანეთი კი არა, ათი ათასი მანეთი ღირსო. ამის გამო ჭიათურის არემარეზე, იქაურ მემამულეებსა და მრეწველებს შორის, დიდხანს მქონდა შერჩენილი სულელის სახელი. მე კი მოვიგდებდი თუ არა ამ ხუთას მანეთს ხელში, დაუფაჩებელი ჩვენს მსახიობებს, — ეს უფრო ქუთაისში, — დავეუძახებდი ვეტიყოლი: „აბა, ბიჭებო, შევადგინოთ ამხანაგობა, ხუთასი მანეთი გვაქვს, ხუთასი!..“ და იყო ერთი ზეიმი და ხტუნვა-ცეკვა. თან მეხვეოდნენ და მკვიდნენ, რომ ასე ვტრუნავდი მათთვის.

აქვე უნდა ითქვას ქართული დასის ზნეობის შესახებ. მე არ მახსოვს, რომ მსახიობებს ერთიმეორეში რაიმე ინტრიგა ჰქონოდათ, შეიძლება იყო პატარა რამ უსიამოვნება, რომელიც არა-



სოდეს არ გადაზრდილა დიდ შურიანობასა და სიხარბეში; თუკი ვინმე ამისთანა გამართმევდა მსახიობს დასში მომსახურე მსახიობ ქალთან რომანი არ გაუჩაღებია, ხოლო თუ ერთიმეორე შეყვარებიათ, შეუღლებულან კიდევ. ქართული დასი, განსაკუთრებით ქუთაისში, წარმოადგენდა თითქო ერთ ოჯახს, ყველანი და-მანი ვიყავით და არასოდეს არც ერთი ჩვენთაგანის ერთიმეორისადმი დამოკიდებულება არ ვაცდენია ამ კეთილშობილურ გრძნობას.

ჩემსობას ქუთაისის დასში მუდმივად ირიცხებოდნენ ჩვენი სასახელო არტისტი ნუცა ჩხეიძე და განსვენებული დესპინე ივანიძე.

ნუცა ჩხეიძეს ზომ ღვლის გულზე ატარებდა მთელი ქუთაისის საზოგადოება და ჩვენ ის ჩვენიანად, ჩვენი ოჯახის წევრად, თითქმის ნათესავად მიგვაჩნდა. „ნუცა უჭეიფოდ არის“, „ნუცას რაღაცა უჭირს“ და თვითმული ჩვენგანი მზად იყო მისდა სამსახურად. საზოგადოებიდან ზომ ბეგერი ჰყავდა თაყვანისმცემელი, მაგრამ არასოდეს მათი გულისთქმა კეთილშობილ თაყვანთან კარგის არ ვასცილებია. რასაკვირველია, ამის მიზეზი თვითონ ნუცას მალაო ზნეობა იყო და იმავე დროს დასის მისადმი ოჯახური განწყობილება, ხოლო როდესაც დრო დადგა, მას შეუყვარდა ცნობილი პირველი ქართველი საოპერო მომღერლის ფილიპონ ქორძის ვაჟი — მიხეილი, კაცი ფრიად განსწავლული, უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი და შემდეგში დიდი გამოვლენის რეჟისორი ქართულ თეატრში.

ღვსინე ივანიძეც აგრეთვე იყო დიდად სპეტაკი ზნეობის ადამიანი და როდესაც გულწრფელად შეუყვარდა ქართული თეატრის მსახიობი დიტიკო ჩარკვიანი, მას ცოლად ვაჰყვა კიდევ. ასეთივე იყო სამწუხაროდ ადრე გარდაცვლილი გვეტაძის ქალი, რომელმაც თავისი სასცენო ნიჭით თავი იჩინა საზოგადოებაში და შემდეგ გათხოვდა ერთ ახალგაზრდა მასწავლებელზე.

ზოგჯერ ქალთაგან სხვა შემთხვევითი სცენისმოყვარეებიც გამოდიოდნენ ჩვენიან დასში. ზოგი მათგანი ეტანებოდა კიდევ ფლიორტს, მაგრამ როდესაც მოხვდებოდა ჩვენს თითქმის მონასტრულ რეჟიმში, ძალიან მალე ჩამოგვეცლებოდა ხოლმე. ქუთაისის ჩემსობას მრავალრიცხოვანი მოწინავე ინტელიგენცია ჰყავდა, მაგრამ ჩვენი დასი მათ შორისაც ოაზისს წარმოადგენდა, რადგან, როდესაც ჩვენ, მსახიობები, მეცადინეობის შემდეგ ერთად ვრჩებოდით, თუნდაც უბრალო პურის კამის დროს, გვექონდა კამათი საჯარო საკითხებზე და ვიწყოდით დიდ პაქრობას.

30

ეხლა კი დავეთხოვით ამ ამბებს და გადავიდეთ ჩემს მწერლობაზე. ჩემი მწერლობა უფრო გადავიდა თბილისში.

თბილისი!

რამდენი მიმზიდველობა, რამდენი მომზიბლველობა აქვს ამ სიტყვას ყოველი ქართველისათვის თუნდაც თბილისში არასოდეს ყოფილიყოს, განავიზონით მაინც იცის მორჭმულობა თავისი დედაქალაქისა, ამაზე უდიდესი ქალაქი მას არ ეგულება საქართველოში.

ის დედაქალაქია!

საქართველომ შექმნა თავისი დედაქალაქი თ ბ ი ლ ის ი და თბილისმა შექმნა საქართველო.

ეს იცის ისტორიაში ჩაუხვდავმა ქართველმაც, თითქოს შეუხვებლად, მაგრამ ინტუიციით კი თავი მოაქვს თავისი თბილისით, განსაკუთრებით ბოლოხანებში.

აქ არის მისი საკუთარი ქართული მთავრობა — ქართველების მიერ შემდგარი;

აქ არის მისი საკაცობრიო მწვერვალესი ცოდნის კერა: სამეცნიერო აკადემია, სამხატვრო აკადემია, სასოფლო-სამეურნეო აკადემია, კონსერვატორია, ახალგაზრდობის განმანათლებელი, სპეციალური თუ საერთო დიდი ცოდნის მიმნიჭებელი უნივერსიტეტი და სხვადასხვა ტექნიკური და სასწავლებლები;

საუცხოო თეატრები, მათ შორის ორი დიდი ქართული თეატრი რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობისა, რომელთაც დიდი სახელი აქვთ მოხვეჭილი მთელს კავშირში და საზღვარგარეთაც იცნობენ;

მწერალთა კავშირი და აგრეთვე სხვადასხვა დარგის დაწესებულებები, სადაც მუშაობენ და მტკიცებენ რესპუბლიკის საერთო აზროვნება საჭირო საკითხების გადასაწყვეტად და სხვადასხვა...

... მე ბავშვობისას ჩამოვედი პირველად თბილისში. მაშინაც კარგა მოზრდილი ქალაქი იყო. მაშინაც კარგი ქუჩები ამშვენებდნენ ქალაქს, განსაკუთრებით ე. წ. გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტები — ახლანდელი რუსთაველისა და პლენანოვის გამზირები. გოლოვინზე იყო ჩა-





შორიგებულ მამონდელ მთავრობის საადმინისტრაციო სახლები და მათ შორის დიდი სასახლე „ნამესტნიკისა“ თავისი დიდი ზალით, სადაც ახლა ბიონერთა სასახლეა მოთავსებული. მის წვივზე, ორივედ ნაბიჯზე, სამხრეთით, იყო კარგა მოზრდილი ქარვასლა სათავადანაწარმო ბანკისა, რომელსაც მეთაურობდა დიდი ილია ჭავჭავაძე. მისი მეოხებით სწორედ ამ შენობაში, სადაც ამჟამად გრიბოედოვის საბ. რუსული თეატრია, მოთავსდა ქართული დრამატული თეატრი და აქვე გაიშალა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა, მისი გამგეობა, წიგნის მაღაზია, ძველ მანუსკრიბთა წიგნსაცავი, მუზეუმები და სხვ.

აქ, ილიას კაბინეტში, იკრიბებოდნენ მამონდელი თბილისისა და ხუბარ კუთხეებიდან ჩამოსული ინტელიგენციის წარმომადგენლები და ჰქონდათ სჯა-ბაასი მამონდელი საქართველოს საკვიბრობო საკითხებზე. ამ ქარვასლის პირდაპირ, დავით სარაჯიშვილის სახლში, მოთავსებული იყო ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ რედაქცია, რომელიც შემდეგ გადავიდა კუკიის ზიდგალა, ნიკოლოზის ქუჩაზე (ნომერი ოცდაერთი), სადაც ერთხანს თვითონ ილია ცხოვრობდა. ასე რომ, თუ შევიძლება ასე ითქვას, ეს არემაზე იყო კიბი ქართული აზროვნების აღორძინებისა.

თვითონ ქალაქი ჩემსობას იწყებოდა ნავთლულიდან და თავდებოდა ვერის დაღმართის დასაწყისში, ამის იქით კი ვერაზე თითქმის სრული სიცარიელე იყო, აქა-იქ თუ იდგა ქოხმახები.

ჩემ თვალწინ გაიხარდა თბილისი, მაგრამ განსაკუთრებით აღორძინდა ის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ასტორიულად კი თბილისი, როგორც ვიცით, საქართველოს მედრომე იყო და ამ დროშის წართმევას ელაშქნებოდა ირგვლივ შემორტყმული მუსულმანური სახელმწიფოები: სპარსეთი, თურქეთი და, ასე განსაჯავთ, პატარა ლეკეთიც კი. მაგრამ დავეთხოვით დედაქალაქის ამ შვეზნული დღეების აღწერას და გონების თვალთვალთ წარმოვიდგინოთ მშვენიერი და ბედნიერი დღეების წუთები დედაქალაქში.

აი თუნდაც ვახტანგ გორგასალის დროს. წარმოვიდგინოთ, რომ მან მცხეთიდან თუ უფლისციხიდან თბილისის მიწდგრებისაკენ გადინაღირა. თქმულების თანახმად წინ ზოხობი აუფრინდა და თავისი შვევარდენი მას მიუტია. ფრინველებმა კი იფრინეს, ერთმა გულგახეთქილმა, მეორემ კი საომარ გუნებაზე მდგარმა, მიაღწიეს გოგირდის ცხელ წყალს და ზოხობი შიშისაგან შიგ ჩაფრინდა, შვევარდენიც თან ჩაჰყვა და ორთავენი შიგ ჩაიხარშნენ. გორგასალიც მივიდა და ნახა, როგორ დაღუპულიყვნენ ფრინველები. თქმულება ამბობს, გორგასალმა მაშინ გადაწყვიტა, დედაქალაქი აქ გაეშენებინაო. რასაკვირველია, სინამდვილეში ასე არ იყო. აქ ქალაქის გაშენება დაიწყო იყო სხვადასხვა სიცილიური, ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზებით. ქართველობა გორგასალამდე მოიწეოდა თბილისისაკენ, ოღონდ ვახტანგმა მათ დაეწინაურა თავი მოახა.

საქართველოს მატანებში კი სწერია, ქალაქი ვახტანგის ვაჟმა დაჩიმ გააშენაო.

ასე იყო თუ ისე, მე რომ მკითხოთ, თბილისის ლერბად ზოხობს და შვევარდენს ავირჩევდი, რადგანაც ზოხობი მეტად ლამაზი, კობტა და უწყინარი ფრინველია, რაც გარეგნულად ძალიან შეგუფრება ქართულ სილამაზესა და მოხდენილობას, ხოლო „შიგნითიკურად“ (ილიას სიტყვება) თითქმის გამომთქმელია ქართველობის ძირითადი ხასიათი — უწყინრობისა, შვევარდენი კი, იმავე დროს, ქართული გმირული სულის გამომხატველია.

მაგრამ ჩვენთვის თბილისი და მისი არემაზე ისტორიულად საყვარელი უნდა იყოს იმ მხრივაც, რომ სხვა დიდ წინაპართა გარდა აქ ბრძანებულია დიდი დავით აღმაშენებელი და აქ გაუცია თავისი ბრძნული განკარგულებები ქვეყნის ასაღორძინებლად; აქ უსერიანი უებრო თამარ მეფეს და თან ხლებია ამაღა მამონდელი ფილოსოფოსებისა, მხედართმთავრებისა, პიოტიკოსებისა და, მათ შორის, გენიოსი რუსთველი. წარმოვიდგინოთ ეს ხალხი, ჩაცმული მეთორმეტე საუკუნის ფარჩისა და ატლასის ქსოვილისაგან ნაკერ ქართულ ლამაზ ტანსაცმელში, თან მათი საუცხოო ქართული მწყაზარი და ლამაზი სახეები, დინჯი, ტკბილსამინარი ქართული საუბარი...

აქვე შეიძლება წარმოვიდგინოთ რომელიმე ბრვე მოყვანილობის ვაჟკაცი, რომელიც დგას უნარჩურსი ქალწულის წინაშე სადღაც განრიდებულ ალავას. მარტონი არიან და ვაჟი მოუთხობისა ქალიშვილს რომელიღაც უკანასკნელი ნაღობის ამბებს.

— რატომ არ იყავ, ნახიბროლა? — ევითება ვაჟი და ლამაზ, წარბაქ სიტყვებში გამოხატავს თავის ატაკებას ნაღობობის გამო, თან, ეტყობა, მის გულს ბავაზუვი გააქვს; ქალი ზოგჯერ შეანათებს თავის სხიოსან თვალებს ვაჟის მთელ აღნაგობას და შემდეგ დარცხენით ქუთუთოებს ჩამოუშვებს, თან წითლდება. ორთავეს ეტყობა, რომ იმას არ ამბობენ, რაც გულში აქვთ, — ჩვეულებრივ საუბარში მარხავენ თავიანთ წმინდა გრძნობებს. ასევე იმყოფებიან კარგა ხანს, სანამ ამხანაგები ან უფროსები არ დაუქაზებენ.





აქ კარგი იყო მთვარეც მეხსენებინა, რადგანაც ასე იყო მიღებული ძველ მწერლებში დღესაც განმარტოებულ ახალგაზრდა ქალ-ვაეს დაგვიხატავდნენ. ახლაც ხომ ზოგჯერ მიზნად მთვარის შუქზე გვიჩვენებენ შეყვარებულებს...

მაგრამ აქ მალა მოგწოდებთ ერთ სენაქში: სენაკი განათებულია მხოლოდ კრატის სინათლით და კიდობნისებრი მავლდათან მიმდღარი მიხუცი, რომელსაც თეთრი წვერი მუხლამდე სცემს, სწერს საქართველოს მატანეს...

ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ იმ დროს დიდად გავლევებული იყო ქალაქის ხელისუფლების საუცხოო საქმიანობა და მათი ნაწარმოებით: ბეჭდებით, სამაჯურებით, ცხენის უნავიერებით, მათრახებით, ქალის და ვაჟის ფარჩისა და ატლასის საუცხოო ტანსაცმლით და სხვა სამკაულით ივსებოდა დედაქალაქი. იმავე დროს თბილისში იჭედებოდა და მტკიცდებოდა ქართული ეროვნული თუ საეკონომიკო მაღალი აზროვნება, დამყარებული სხვადასხვა გამოკვლევებზე. სამხედრო მორკმულობა ხომ ყველასათვის დისანახავი იყო და ირგვლე მდებარე სახელმწიფოებს, დაწყებული ბიზანტიითა და სპარსეთით და ვათავებული წინა აზის პატარა სასულთნოებით, ეკრძალებოდათ და ერიდებოდათ საქართველოსი.

და ასე, სულ დღევანდელ დღემდე, მოდის ჩვენი დედაქალაქის ცხოვრება მაღალ საეკონომიკო სავანთა გამოკვლევასა და შესწავლაში, სატრფიალო უბიწო შეხვედრებში, აღამიანთა მეგობრობის განმტკიცებაში.

დღეს ხომ, საბჭოთა ხელისუფლების დროს, სრულიად განათლებული და კომუნისმის ბრწყინვალე მზით განათებული, მოწინავე რიგებში დგას ჩვენი რესპუბლიკაც.

მე რომ ჩამოვედი თბილისში ჩემი მოწიფულობისას, ჯერ კიდევ ცარიზმის დრო იყო, ცხრაასიანის მეორე ნახევარი, და მაშინდელი რუსული რეჟიმი დიდად ხელს უწყობდა „ტუხუმცეების“ გარუსებას. მაგრამ საქართველოს ეროვნული ნაკადული ძლიერი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ვაქრობა-მრეწველობაში და სხვა მაშინდელ სახაზინო დაქსეპებულეებში მეტწილად არაქართველები იყვნენ, თბილისი მაინც ქართული კულტურის კერად გამოიყურებოდა.

მეც, როგორც კი დაარსდა ქართველ მსახიობთა პროფესიული კავშირი, რაც ზევით მაქვს მოხსენებული, ცოტა ხნის შემდეგ არჩეულ ვიქენ ამ კავშირის თავმჯდომარედ. ამის გამო უკვე ჩატრიალდ თბილისის მოწინავე ინტელიგენციაში და გავეცანი თბილისში მცხოვრებ საზოგადო მოღვაწეებს.

იმ დროს უკვე მთელ საქართველოში, მამასადამე, უმთავრესად თბილისში, სამი პარტია იყო ჩამოყალიბებული: სოციალ-დემოკრატებისა (თავისი ორი შტოთი — ბოლშევიკები და მენშევიკები), ფედერალისტებისა და ნაციონალ-დემოკრატებისა. ყველა ამ პარტიას თავისი გაზეთი ჰქონდა და მე დრო-დროთი ყველა ამ ორგანოში ვთანამშრომლობდი. ისე კი ლიტერატურული გზა გავიკაფე უფრო გაზეთ „ცნობის ფურცელში“ და ეს იტიტო, რომ რედაქციაში ჩემს მწერლობას გაუჩნდა დიდი ხელისშემწყობი და მფარველი ილია ალლაძე.

ილია ალლაძე იყო თვალსაჩინო ჟურნალისტი და იმავე დროს მეტად ნათელი პიროვნება, რომელსაც ძალიან აფასებდნენ საერთოდ თბილისის ლიტერატურულ წრეში. დიდად ხელისშემწყობი იყო ახალგაზრდა მწერლებისა, ასე რომ მე მისი მეუხებით თითქმის ჩემი ყველა ჩამოკრული გავით „ცნობის ფურცელში“ მაქვს მოთავსებული. ამგვარმა მისმა გამხსენებებამ ძალიან დამაახლოვა პირადად მისთან და მისი ტკბილ-სამშინარი საუბარი ჩემთვის მეტად სასარგებლო იყო. ასე დაერჩით ნამდვილ მეგობრებად სულ, მის გარდაცვალებამდე, რომელსაც ის უკვე გაზეთ „ლიტერატურულ გაზეთში“ მუშაობდა. ილია ალლაძე ბაქოში ყოფნისასაც იქაური სეზონების მოუწყინარი და გონიერი რეცენზენტი იყო და იქაც დიდად ხელს უწყობდა რეპერტუარის მაღალ დონეზე დაყენებას და არტისტების ღირსეულ გაწერტანას. გარდა ჟურნალისტობისა, ის ეწეოდა მთარგმნელობასაც, მაგალითად, ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ პირველად მის მიერ არის თარგმნილი ქართულად.

ილია ალლაძეს მუშაობის დიდი უნარი ჰქონდა და მისი აზროვნება მედამ შეფარდებული იყო ქართულ პატრიოტობასთან და საეკონომიკო მოწინავე ზრახვებთან.

ის ერთ დროს ილია ქუვეჯაძის ვაზ. „ივერიაში“ მუშაობდა და იქიდან ჰქონდა გამოყოლილი დიდი კაცის ზოგიერთი თვისება, როგორც მაგალითად: სიდიხჯე აზროვნებაში, სისპეტაკე ლიტერატურულ საქმიანობაში და ქართული ენის სიწმინდის დაცევაში. მშვენიერი მოქართული იყო. ცნობილია, რომ ილიას თავის რედაქციაში შემოკრებილი ჰყავდა თვალსაჩინო თანამშრომლები: გრიგოლ ყიფშიძე, არტემ ახანზაროვი, ივანე ახალშენიშვილი და სხვ. მათ შორის ილია ალლაძეც მისი ხელდებული იყო.

ჩემი ბებერი გული დიდის მაღლობით იხსენიებს ილია ალლაძის ამავს ქართულ ჟურნალისტობაში და პირადად ჩემთვის ხომ მისი ხსოვნა წარუშლელია.



იმხანად მე ძალიან დავუახლოვდი ვაზ. „საქართველოს“ რედაქციას. ეს უფრო იმიტომ რომ ამ ვაზეთის რედაქტორი სანდრო შანშიაშვილი მის რედაქტორობამდე მყავდა ვაცნობილად და მეგობრებად ვითვლებოდით და ვითვლებით დღესაც, ოღონდ ეს პირადი მეგობრობა მარტო ჩვენს ერთმიმეორისადმი დამოკიდებულებაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ ორთავენი გულითადად ვავსებდით ერთმანეთის ლიტერატურულ შემოქმედებას — და აი, მე, პირველად დავდგი ქუთაისში მისი ისტორიული პიესა „უგვირგვინო მეფენი“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ქუთაისისა და თბილისის სცენებზე, ხოლო მან პირველად დაბეჭდა თავის „საქართველოში“ ჩემი ისტორიული რომანი „უბედური რუსი“, შემდეგში „გიორგი რუსად“ წოდებული, თუმცა ამ ვაზეთში რომანის ბეჭდვა არ დასრულებულა, რადგანაც მაშინდელმა ცენზურამ ვაზეთი დახურა.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ ამ რომანის დაბეჭდვა ვანაგროს პატივცემულმა პავლე ინგოროყამ თავის ჟურნალ „კავკასიონში“.

იმ ხანებში ჩამოყალიბდა საქ. მწერალთა კავშირი, რომლის პირველი ქართული წესდებაც — უნდა დავიტარებო, — ჩემი შედგენილია.

იმ დროს თბილისში სრულიად ახალი კაცი ვიყავი და რაკი ვარემოებამ მოიტანა, რომ მე საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობა მიმიღო, დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ ჩემს საქმიანობას და ხშირად მიხსენებდნენ ხოლმე; მაგალითად, როდესაც კავშირის წესდება შევიდგინე, რასაკვირველია, კავშირის დამაარსებელ საორგანიზაციო კომისიას წინასწარ წვეულებით და მასხოვს — ნიკო ნიკოლაძემ ძალზე მომიწონა. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნებაზედაც დამაყენებდა ასეთი დიდი კაცის ვამხსენებდა. ამას ბანი მისცა ცნობილმა მოწინავე პოეტმა კოტე მყავშვილმა და ამის შემდეგ დიდხანს ყველმოდებულ დავდიოდი.

და აი კოტე მყავშვილი. ჯერ ვარემოებით: მალალი, ტანადი, ლამაზი პირისახის, შავგვრემანი კაცი, მეტისმეტი თავაზიანი, გულკეთილი, გრძნობიერი. უმაღლესი ცოდნით იყო აღჭურვილი, რუსეთში ჰქონდა დამთავრებული უნივერსიტეტი და სტუდენტობიდანვე ანეთარებდა თავის უთუოდ შესანიშნავ პოეტურ ნიჭს ქართულ ენაზე, მაგრამ საქართველოში დაბრუნდა თუ არა, მაშინვე ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში და პოეტური შემოქმედებისათვის ნაკლები დრო დაუტრაჩა, ასე რომ მისი მწერლობითი შემოქმედრობა მცირე მოცულობისაა.

ის ხშირად იგონებდა ერთ ჟურნოვს თავისი ცხოვრებიდან: როდესაც რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე სტუმრად ჩამოვიდა თბილისში, რასაკვირველია, მას დახვდნენ წარმომადგენლები თავადაზნაურობისა, ქალაქისა და სხვა ასეთი დაწესებულებისა. მაშინდელმა ქალაქის თავმა ხატისოვმა იცისრა, რომ იმპერატორისათვის გაეცნო ინტელიგენციის წარმომადგენლები და. სხვათა შორის, წარუდგინა კოტე მყავშვილი, როგორც საქართველოს ცნობილი პოეტი. ამაზე იმპერატორმა ხელი ჩამოართვა კოტეს და უთხრა: „Я вас знаю, князь, я читал ваши произведения“. ირგვლივ აქა-იქ ჩაიფრუტუნეს, კოტემ კი დაბლა თავი დახარა და გულში გაიფიქრა: რას ამბობს ეს ნიკოლოზ მეორე, ქართული არ იცის და რუსულად სად ვეძნები წაკითხული, როდესაც ქართულადაც კი ცალკე წიგნად არა ვარ გამოცემული. ამის გასენებაზე მუდამ გულთანად იციანოდა და ჩვენც გვაცივებდა. როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში იყო დიდად სპეტაკი აღამანი, მოუფერავი, დიდი პატრიოტი და მუდამ საწაღმართო აზროვნების მიმდევარი, ამიტომ იყო, რომ მის მცნობს ყველას უყვარდა და არ იყო ისეთი საზოგადოებრივი რამ წამოწყება, რომ ის არ გაერთიანდებოდა. და აი ეს საუცხოო კაცი, როდესაც მწერალთა კავშირი დაარსდა, არჩული იქნა მის თავმჯდომარედ და ის იყო თავმჯდომარე საბჭოთა ხელისუფლების დროსაც, სულ, მის გარდაცვალებამდე. მუდამ დიდხანს იცოვებდა ამ დაწესებულებას და ბევრი რამაც გაუკეთა თავის დროზე, რაც ახლა შეიძლება წვრილმანად გვეჩვენოს, მაგრამ მაშინ კი ძალიან საჭირო იყო. თვით ის შენობაც კი, სადაც ახლა მწერალთა კავშირია მოთავსებული, კინაღამ სხვა დაწესებულებამ წავგართვა, მაგრამ კოტეს უშეამდგომლობამ და ახსნა-განმარტებამ შემდგომი ორგანოების წინაშე მწერლებს დაუტოვა ეს საარაჯიშვილის ყოფილი სასახლე.

მყავშვილი შედარებით ახალგაზრდა გარდაიცვალა, — სწრაფი კლემი შეეყარა და ეს ბრგე კაცი ავად ვახადა. ამბობდნენ, ამ ხნის კაცს ასეთი სენი არ ემართებაო. უკვრდით მისი ავადმყოფობა. ჩვენ, მწერლები, რასაკვირველია, მივედით მის სანახავად. უნდა გენახათ, როგორ გავხარდა, როგორ გველერსებოდა თვითეულ ჩვენგანს, სულ „გენაცვალე“ და „შენი ჭირიმეთი“ გველაპარაკებოდა. ეტყობოდა, გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს, მაგრამ თავის შესაბარებლად სიტყვაც არ წამოსცდენია.

დიდად დააღონა საქართველოს მოწინავე საზოგადოება მისმა სიყვდილმა და დიდის გამოჩინებით დაიმარხა კიდევ დიდუბის პანთეონში, სადაც, სხვათა შორის, პოეტმა პაოლო იაშვილმა წარმოსთქვა თავისებური ბრწყინვალე სიტყვა.

როგორც ვთქვი, ჩემი მწერლობა თბილისში უფრო გაღვივდა, მაგრამ ამავე დროიდან თბილისში დაიწყო ჩემი, თეატრის გარდა, საზოგადოებრივი მუშაობა. ეს იყო 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს. მართალია, წინათაც ვიყავ თბილისში მენშევიკების დროს ნაცხოვრები და ქართველი მსახიობების პროფკავშირის თავმჯდომარედაც ვიყავ არჩეული, მაგრამ ჩემი უფრო ინტენსიური მუშაობა საზოგადოებრივ დაწესებულებებში დაიწყო მხოლოდ 1921 წლიდან, რის შემდეგაც მე თითქმის თბილისში დავსახლდი, აქ მივადგა უფსი და დრო-დროითი თუ არა, სხვაგან საცხოვრებლად ფეხი აღარ გამოდგამს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან სრულიად შეიცვალა, უწინარეს ყოვლისა, დედაქალაქის ცხოვრება და ქართული კულტურული დონეც ამაღლდა, განშტოვდა და აღორძინდა. მაგალითად, დაარსდა სამეცნიერო აკადემია, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, მწერალთა კავშირი ხომ არსებობდა, მაგრამ ამას მიემატა „ციხფერყაწყულების“ მძლავრი ჯგუფი, რომელმაც ხელმძღვანელობდნენ ბაოლი იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდავილი; აგრეთვე უფრო დახვეწილად ჩამოყალიბდა პროლეტარული მწერლობა ნოე ზომლეთელის და სანდრო ეულის მეთაურობით. ამ ჯგუფებს კიდევ მიემატა სრულებით ახალგაზრდა მწერლებისაგან შემდგარი „მემარცხენეთა“ წრე, რომელშიაც ირიცხებოდნენ — სიმონ ჩიქოვანი, ბესო ჟღერტი, ჩახავა და სხვანი, ყველა ამათ გაიჩინეს თავ-თავიანთი ორგანიზაციები, რომელთა შორის უფრო ხანგრძლივად იარსება „ქართულმა სიტყვამ“ და „ლომისმა“. ერთ დროს კიდევ მწერალთა კავშირის უფროსი თაობიდან გამოიყო ერთი ჯგუფი, რომელმაც თავის თავს უწოდა „არტიონი“ და გამოსცა აღმანახისებური კრებული. კრებულში მონაწილეობდნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო შანიშავილი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე ჰიქინაძე, გერონტი ჭიჭიბუძე, მიხეილ მრეკელიძე, ბასილ მელიქიშვილი და ამ სტრუქტურების დამწერი. არტიონის კრებულმა დიდი აურზაური გამოიწვია დანარჩენ მწერლებში და ხშირად თავს ესხმოდნენ ამ ჯგუფს როგორც პრესაში, ისე სხვადასხვა საზოგადო კრებაზე. პროლეტარული ჯგუფის მწერლებიდან სხვებზე უფრო მწვავედ გამოილაშქრა ბელეტრისტმა პავლე საყვარელიძემ, რეაქციონერებად მოიჩინა არტიონელები და ამ ჯგუფის საწინააღმდეგო ბრძოლისაკენ მოუწვია ახელიტორიას. არც ერთ ამ ჯგუფს დიდხანს არსებობა არ დასცლია, რადგანაც პარტიისა და ხელისუფლების ზემოქმედება ორგანიზებმა გააერთიანეს ყველა ესენი და შექმნეს ერთი დიდი სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელიც დღესაც არსებობს. და აი იმ დროს იყო, რომ მეც დავიწყე ჩემი პირველი ისტორიული რომანის „უბედური რუსის“ — შემდეგში „გიორგი რუსალ“ წოდებულის — წერა.

რამ გამოიწვია ამ თხზულების დაწერა?

რომ მოვიწიე, ჩემს ერთგვარ აღშფოთებას იწვევდა ის ვარემოება, რომ ჩემის ფიქრით, ჩვენი ისტორიის წარსული არ იყო სათანადოდ გაშუქებული, განსაკუთრებით ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში.

ჩვენი დიდებული პოეტები: ილია და აკაკი წერდნენ თავის შედეგებს პოემების სახითაც, მაგრამ მათ შინაარსად აღებული ჰქონდათ ისეთი ეპიზოდები, როდესაც საქართველო გაბმული იყო მოგერიების ომში და დიდ ვაეკაცობას, დიდ სულიერ სიგმირეს იჩენდა, მაგრამ საქართველოს წარსულის მაღალი დონე, მისი სულიერი სიმაღლე აქ ნაკლებ სჩანდა. მამ რაღას მოვეითხოვდნენ ჩვენი ძველი მტრიანები, რომ ჩვენ გვექონდა საოცარი თავისთავადი ხუროთმოძღვრება, რომლის გეგმა და მშენებლობის სიმწყაზრე ახლაც აყვირებს საზღვარგარეთელ სპეცილისტებსაც კი; უბედურად შესაძლებელი მუსიკა, თვით ხალხის მიერ შექმნილი კონტრაპუნქტი, რაიც ძველთაგანვე, საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებიდან, საუკუნეების მანძილზე გვექონდა საგანძურში, მაშინ როდესაც ამისთანა რამ X — XI საუკუნეებში ევროპასაც კი არ გააჩნდა; ბრწყინვალე საერო და სასულიერო ლიტერატურა, პოეზია, ფილოსოფია და სხვა მეცნიერული დარგი; ჩვენი საკუთარი აკადემიები გელათში, იყალთოში და სხვა. სადაც მაშინდელი ახალგაზრდობა ეწაფებოდა უმაღლეს საკაცობრიო ცოდნის მწვერულებს. იმას გარდა, რომ ქართველი ახალგაზრდობა საბერძნეთში იგზავნებოდა განათლების მისაღებად და აქ კიდევ, შინ, არაბულ და სპარსულ ლიტერატურას უშინაურდებოდა, — სადა მოსჩანდა ყოველივე ამისი კვალი XIX საუკუნის მწერლების ნაწერებში? ან მაშინდელი სამეფო წესწყობილების ანარეკლი, თუნდაც, მაგალითად, თამარ მეფის დროს, მაშინდელ მოწინავე პირთა და მკოდნეთაგან განსაკუთრებულ „კარავში“ დამუშავებული დებულება კონსტიტუციისა, და ეს იმ დროს, როდესაც ინგლისის თავისი „ხარტია“ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული, და ბევრი სხვა საწინაო წამოწყებანი.





ან საიდან განჩნდა რუსთაველი? ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა, თუ მას თავის სახელში, თავის სამშობლოში არ ჰქონდა მომზადებული ნიადაგი თავისი გენიოსობისათვის?

ყველა ამაზე ეწუხდი ჩემებურად და აფორიაქებული ვიყავი. მართალია, ახალგაზრდობაშივე გადაკითხული მქონდა დაბეჭდილი ისტორიული თხზულებანი როგორც ძველი, ისე ახალი: „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი, ცამცივეი-ძამაშვილიც კი, მაგრამ, ჯერ ერთი, ბელეტრისტის მუსტრის თვალთ არ ეუკვირდებოდა იმას, რაც საქართველო იყო და, მეორე კი, სანამ ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა არ გამოაქვეყნა თავის ნაშრომები, მანამ კიდევ არა მქონდა ჩვენი წარსულის თვისება კარგად წარმოადგენილი.

რალა თქმა უნდა, მაშინაც ვგრძნობდი, რომ რაც მე აქ ზემოთ ჩამოვთვალე, იმის აღწერას ვერ შევძლებდი, მაგრამ სადმე ერთი საყურადღებო ეპიზოდის გამოქვეყნას კი ვლამობდი.

და აი თამარ მეფე და მისი ხანა.

იმ დროს დიდად მოკეთებული, გაძლიერებული, მორჩმული და სახელოვანი ბიზანტია ისტორიული პირობების გამო უკვე ჩამოქვეითებული იყო და არაბეთსაც თავისი ძველი ვაჟუნა აღარა ჰქონდა. საქართველო კი ამ დროს თავისი კულტურისნობითა და სამხედრო ძლიერებით უკვე დიდად შესამჩნევად იყო. ამისთანა ხანა გვექონია ქართველებს და ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს?.. მერმე კიდევ თამარის დროს მეტად საყურადღებო ეპიზოდს წააწყვდი, თამარის გათხოვების საკითხს, რასაც მოჰყვა ტრავიკული ბედი იური დოლოგორუქისა.

როგორც იტყვიან, შემოვიწყე საჭირო წიგნები, შევაწუხე ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჩემი შეკითხვებით: რა ტანისამოსი ეცვათ XII საუკუნეში ქართველებს — ფეოდალებს, ვაჭრებს, ველახობას, მეომრებს; რას სვამდნენ, რას ჭამდნენ, როგორ იღნენდნენ, როგორ ცეკვავდნენ, როგორ მღეროდნენ, როგორი საქრავიერები (თვითონ ჯავახიშვილის ტერმინია) ჰქონდათ და სხვა. ისიც ჩვეული თავაზიანობითა და დაუზარებლად იძლეოდა ხან ზეპირ პასუხს და ხან მიმოითვებდა, აჟა და აჟ, ამ მანუსკრიპტში მიიღებ ახსნა-განმარტებასო. აგრეთვე ვაწუხებდი მოსე ჯანაშვილს და თითქმის ყველა სამართი იარაღის სახელწოდებანი მან მომაწოდა, განსაკუთრებით ისრებისა, რაც მე ჩემს რომანში უხვად მაქვს წარმოადგენილი. არქივებშიაც მომიხდა მუშაობა და ასეთი გარჯითა და მეცადინეობით თითქმის მთელი ათი წელიწადი ვწერდი ამ ნაწარმოებს. დაბეჭდვის შემდეგ რომანმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა და უმეტესობას უეკირდა, ნუთუ ამისთანა წარსული გვექონდაო? მე კი გულში, როგორც ყველა ავტორს. მხარტრება ჩემი ნაწერის ასეთი გულთბილი მიღება, განსაკუთრებით კი ის, რომ ახალგაზრდობას აღვეძარი ინტერესი თავისი სასახელო წარსულისადმი, რათა ჩემზე უფრო კარგად შეესწავლა და ემამყა თავისი წარსულით.

მხოლოდ ახლა, ბოლო ხანებში, ერთი-ორი-სამი წელიწადია, რაც ზოგიერთი შემთხვევითი კრიტიკოსი მოუბრუნდა ამ რომანის გარჩევას და, მე ვეჭვობ, დაუეკირებლობის გამო დამიწუნა მთელი მიმართულება რომანის შინაარსისა. ამას სამწუხაროდ აჰყვა ზოგიერთი თვალსაჩინო პიროვნება და მხარი დაუჭირეს ასე თვალთმომხედებს. ამას იმიტომ ვამბობ ასე ემამად, რომ ერთმა თვალსაჩინო პიროვნებამ, როდესაც მწერალთა კავშირში მორიჯ კრებაზე არჩეულდნენ ამ ჩემს რომანს და მე ჩემს საპასუხო სიტყვაში გამოვეყავათე მომხსენებელს, შესვენების დროს მითხა: კუზმა რუსი მართლა გყავთ გამოყვანილიო? მე დიდი ბოღნივ მოვახსენე, არ გქონიათ წაკითხული-მითქი და ასე... ბევრი რომანის წაკითხვადალ მაკრიტიკებდა.

მთავარი ბრალდება ის იყო, რომ მე რუსეთის სასიყულოთა გავლენა საქართველოზე არ აღვნიშნე თუ ვერ აღვნიშნე, და თვითონ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობაც მეტად შელამაზებულად მქონდა აღწერილი.

ჩემი პასუხი მაშინაც ის იყო და დღესაც ეს არის, რომ მე არაფერი შელამაზებული არა მაქვს, არამედ ყველა ჩემ მიერ გამოყვანილი მოვლენა და სახე ისტორიულ დოკუმენტებზეა დამყარებული, რადგან მე, გარდა ქართული წყაროებისა, ამ ეპოქის ვარშემო გადაკითხული მქონდა რომანის დაწერის დროს ბიზანტიური, არაბული, სომხური, რუსული და სხვა დოკუმენტები — რუსულის გარდა, რასაკვირველია, ყველა თარგმანებში და აქედან ჩემს მიერ დიდის მოკრძალებით აშენდა, ასე ვთქვათ, ეს ჩემი ბელეტრისტული „კოტეჯი“.

მოკლედ, ასეთია ჩემი რომანის „გოგორგი რუსის“ დაწერის და ბედის ისტორია.

მას შემდეგ ძალიანაც ვამიზინაურა ჩვენმა ლიტერატურამ და მეც შეძლებსამებრ ებეჭდვადი პატარ-პატარა მოთხრობებს და პუბლიცისტურ წერილებს ჩვენს ორგანოებში.

ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, როდესაც ფართოდ გაიღო კარები ყოველგვარი კულტურული მუშაობისათვის და აღორძინდა როგორც ქართული მხატვრული ლიტერატურა ყველა თავისი შემავალი დარგებით: პოეზია, პროზა, დრამატურგია, ისე მუსიკა თავისი ოპერებითა და სიმფონიური ნაწარმოებებით; ზეპროთმოდერნა თავისი





ახალი ძიებებითა და მიდგომით; ფერწერა და ქანდაკება, რომელთაც გაუჩნდნენ დიდად ხელმძღვანელი ოსტატნი ქართველთაგან და სხვ.

მე კი განსაკუთრებით დრამატურგიაში ამ დროს შევეჭმინე „თეთნულდი“, „აკაკლ ვულში“, „ნაპერწყლიდან“ და სხვ. პიესა „ნაპერწყლიდან“ ისეთი პოპულარული გახდა და იმდენად გაითქვა სახელი, რომ ვადიითარგვნა რამდენიმე ენაზე და დაიდგა კიდევ მოსკოვსა და ლენინგრადში და რუსეთის სხვა თვალსაჩინო ქალაქებში. დაიდგა აგრეთვე სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, დაღესტანში, ბელორუსიასა თუ უკრაინაში. არ დადგმულა, მაგრამ გადათარგმნილია ჩინურ და ჩეხურ ენაზე.

სულ ბოლო ხანებში კი, 1957 წელს, კვლავ ბელეტრისტული ნაწარმოებით გამოვმზებურდი. ეს არის ჩემი უკანასკნელი რომანი „გვირგვინიანების ოჯახი“, რომელმაც არამც თუ ჩვენში, არამედ მოსკოვში, თავი დეკადის დროს, მეტად კარგი შეფასება მიიღო და დღეს ეს 85 წლის კაცი, — თუმცა იწვევს დიდებულ მიყვარს, — როდესაც წამოვდგები და გავცეცი, ჩემი დამფასებლების მიერ გამხნეებული წელში ვსწორდები და ყელი მოღვრებული მაქვს.

აი ეს არის სულ ჩემი ცხოვრების საგზალი მწერლობაში, რომელიც მე გგონია ურცხვენლად მიმიყვანს საფლავამდე და მეც ჩემი აღსასრულის დროს ლოცვა-კურთხევას შემოვუთვლი ჩემს სათაყვანო სამშობლოს, მის ნიჭიერს და გონიერ ხალხს, გარეგნულადაც სანაშინუო სილამაზით შემყვალს, ცხოვრების სიხალისით აღსავსეს, გამარჯვება და მოწინავეს.

ახლა მინდა გავიხსენო ის გარემოებაც, თუ, საერთოდ, მე როგორა ვწერ, როგორი „მარიფათის“ მწერალი ვარ.

როდესაც რაიმე იდეა, თემა დამიპყრობს, ან თუნდა სრულიად უბრალო რამ სიუჟეტი, მაშინ ამის გარშემო დიდხანს ვფიქრობ (მე ამჟამად ვეხები ჩემს მოცულობით დიდ მხატვრულ ნაწერებს, პუბლიცისტიკა კი საყოველღაობო ამბავია).

დიდხანს ვფიქრობ, ზოგჯერ წლობითაც კი, და რაკი თავში ჩამეკვდება იდეა, ჩემი ფიქრი სულ მის გარშემო ტრიალებს, სულ ერთია მარტო ვარ თუ საზოგადოებაში, ჩემ გარშემო ქეიფია, ლხინი და მოღზენა თუ გლოვა და ტირილი. უბრალო შეხვედრის დროსაც მეგობრებთან, ნაცნობებთან, — რასაკვირველია, მხარს ვუბამ მათს გასაუბრებებს, ჩემი სახის გამომეტყველება სადღაც სხვაგან არ გამიბრბის და ვერაფერს შემამჩნევს, თუ რაღაც საკუთარ დიდ ფიქრს შევუპყრია.

ერთხელ ვწერდი: ჩემ თითებს ვერასოდეს ნახავთ მელნით დასვრილს, როგორც ეს წერის დროს ზოგეირთებს ემართებათ ხოლმე, ასე რომ ვერაფერს იტყვის ამ მხრივ, რომ მე მწერალი კაცი ვარ-მეთქი. აქვს ვერაფერს იტყვის, რომ მე მოაზროვნე კაცი ვარ, მართალია, თითქოს უფრო მოღუშული სახე მაქვს, მაგრამ სხვები ამბობენ, შალვა მუდამ იღიმილი, უღარდელი კაციო, და ეს უფრო მაშინ შემჩნევა, როდესაც ჩოხა-ახალუხით ვარ გამოწყობილი.

ასეთი მატყუარა კაცი ვარ და აი გავიდა წლები: ჩემი იდეა თითქოს უფრო მომწიფდა და მეც ჩემს თავს გუნებაში უფრო ვარწმუნებ, ეხლა შემიძლიან წერაც დაეწყო-მეთქი, და სადაც უნდა ვიყო, მივეუღლები მაგიდას, შეიძლება ფანჯარასაც და ირგვლივ რაც უნდა ხმაური და ვაი-უშველებელი იყოს, მე ხელს ვერ შემიშლის. ის კი არა, ასეთი წერის დროს რაიმე გარეშე კითხვით თუ მომმართა ვინმემ, მე მზამზარეულ პასუხს ვაძლევ, შემდეგ კი კვლავ ჩემს საწერს განვაგრძობ.

წერით კი ძალიან ჩქარა ვწერ და წლობით მოფიქრებულ თხზულებას ხშირად რამდენიმე თვეში ვთავაგებ. იმავე დროს ჩემი ნაწერის შავს, საკვირველია, მაგრამ არასდროს არ ჩავასწორებ ხოლმე. პირდაპირ ჩემს შავს გადავცემ რედაქციას ან გამოცემელობას.

დიდად ვაოცებულნი შევიქნა, როდესაც გავიგე, რომ ლევ ტოლსტოიმ თვითონ, საკუთარი ხელით თექვსმეტჯერ გადაწერა თავისი დიდებული რომანი „ომი და მშვიდობა“; ამას გარდა ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოი თავისი ნაწერების ანაბეჭდში იმდენ რამეს ჩაასწორებდა და ჩაუმატებდა, რომ ასოთამწყობები ჯავრობდნენ თურმე — ეს რა დიდი სამუშაო მოუციაო, ანუ იქცვიან თურმე სხვა დიდი მწერლებიც როგორც უცხოეთში, ისე ჩვენშიაც. მე კი ამ მხრივ დამჩაგრული კაცი ვარ. ეტყობა, არა ვარ მაღალი დონის მწერალი. რაც შეეხება ჩემს სიჩქარეს წერაში და საერთოდ ჩემი ნაწერის გამოქვეყნებისას, მეგობრები და ამხანაგები დიდად ვაკვირებულნი იყვნენ: ზოგჯერ მართლა უღარდელ კაცად მივაჩნდი, პირდაპირ ვთქვით — ქარაფშეტად, და ამიტომ არც ჩემი აზროვნებისა სწამდათ რამე. ისე კი ამხანაგები მეტუბრებოდნენ: შალვა, როდის ასწერს წერას, სულ სარდაფებში ხარ, რესტორნებში, ჩაის ჭიქით ხელში ღვინო გიჭირავს, როგორ ახერხებ ამასო.

და იყო ერთი ხორხოცი.

აქ ესეც გამახსენდა და უნდა ვთქვა: განსაკუთრებით ახალგაზრდობისას მსახიობებს არ სწამდათ ჩემი მსახიობობა, გაიძახოდნენ — რა მსახიობია, რას გვეჯავჯავრებს, ეგ უფრო მწე-



რალია, დაჯდეს და წეროს; მწერლები კი ამბობდნენ — რა მწერალია, რომ მსახიობობს დარჩეს მსახიობად, ამ მწერლობას რას ეძალებათ. და ასე კინადამ აკაკის ივანე-არაკის გმირად გამხადეს ზოგიერთის თვალში, რომ გახსოვთ: «ერთმა უგუნურმა თავუნამ იუკადრისა თავგონა». მაგრამ ჩემი სიცოცხლის მანძილზე ჩემმა მოუწყინარმა გარჯილობამ ეტყობა ამ ბოლო ხანებში გააბათილა მათი მოსაზრება.

(დასასრული იქნება)



## საგმი ჭიდავი

### კონსტანტინე გამსახურდია

ქართული მხატვრული სიტყვის ფრიალ გამოჩენილმა და სახელმწიფოებრივმა ოსტატმა კ. გამსახურდიამ მეტად რთული შემოქმედებითი გზა განვლო. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რთული, წინააღმდეგობის შემცველი გზა, ამავე დროს მუდამ ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში მდგარი შემოქმედებითი ბიოგრაფია ბევრ ქართველ მწერალს არ ჰქონია. ძნელი იქნებოდა წარმოგვედგინა საქართველოს მწერალთა კავშირის ცხარე დისკუსიები და კამათი, კერძოდ, ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორია, — გამსახურდიას გარეშე. კ. გამსახურდიას — ევთანხმებით მას თუ არ ევთანხმებით — თავისი გამოხატებით, თავისი ნაწარმოებებით ყოველთვის დიდი ვნებათაღელვა და ინტერესი შეაქვს ქართულ მწერლობაში, ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ძნელია ყოველთვის პირუთენელი ვიყოთ კ. გამსახურდიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის შეფასების დროს. აქ საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ყველა ჩვენთაგანს მასთან პირადი ურთიერთობა და დამოკიდებულება ჰქონია მთელს იმ ლიტერატურულ ბრძოლებში, რომელიც ამ 40 წლის მანძილზე ყოფილა ჩვენში. ამისდა მიუხედავად ყველა ჩვენთაგანი, განსაკუთრებით კი კრიტიკოსი, ვალდებულია ამ სუბიექტურ მომენტებზე მალა დადგეს და, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტებას, ლიტერატურულ ფაქტებს გაუწიოს ანგარიში. ჭეშმარიტება ყველაფერზე მაღლა დგას, იგი და მხოლოდ იგი უძლებს დროსა და გარემოების ვამოცდას.

კ. გამსახურდია სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა როგორც პოეტი (იგი კ. აბაშიასპირელის ფსევდონიმით წერდა ლექსებს). ამ ყრმობის პერიოდის ლექსების ლიტერატურული ღირებულება არ არის იმდენად მნიშვნელოვანი და სრულფასოვანი, რომ საგანგებო განხილვის სა-

განი გავხადოთ, მაგრამ საყურადღებოა ერთი ფაქტი: კ. აბაშიასპირელის ამ ადრინდელ ლექსებში ქართული მწერლობის ტრადიციის ძლიერი იერი, საერთო გავლენა იგრძნობოდა. ეს ლექსები უშუალოდ ესმაურებიან XX საუკუნის ათიანი წლების ქართული მწერლობის საბრძოლო განწყობილებას. 1909 წელს დაწერილ ერთ ლექსში («აკაიას») კ. აბაშიასპირელი (კ. გამსახურდია) ა. წერეთელს ჩაგრული ერცხა და ხალხის მგოსანს უწოდებს და მიმართავს: „შენ გვიძღვებოდი ბელადად, გზა გავგვიყავე ბნელია“, მერე იქვე დასძენს: ჩვენ შენი მიმდევრები ვართ, და მუდამ შენი გზის ერთგული ვიქნებითო. კ. გამსახურდია ამ ლექსის მიხედვით წარმოგვიდგება, როგორც 60-იანი წლების სახელოვანი პლედის დიდი ტრადიციების ერთგული. არც ისეო შემთხვევითი, რომ ამ წლებში კ. გამსახურდიამ რამდენიმე კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა (მაგ. „გულგაცის საკითხი მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში“). აქ მწერალი რეალიზმის პრინციპს იცავს და ყურადღებას ამახვილებს სოციალურ და ეროვნულ საკითხებზე; მწერლობის დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ ემსახუროდეს ხალხს, გამოხატავდეს მის ჭირ-ვარამს, მის ფიქრს, ოცნებასა და სიხარულს. ეს მოტივები და განწყობილებები კ. გამსახურდიას ადრინდელ ლექსებში ისე მკაფიოდაა გამოხატული, რომ არ შეიძლება თავისი გარკვეული კვალი არ დაეტოვებინა მის შემოქმედებითს სამყაროში. სამწუხაროდ, ყრმობის წლების ეს განწყობილებანი შემდგომ წლებში დაიჩრდილა, უკანა პლანზე გადავიდა. კ. გამსახურდია სხვა გზების, სხვა ლიტერატურული პრინციპების ტყვეობაში აღმოჩნდა.

კ. გამსახურდიას პირველივე ნოველები იმპრესიონისტული მანერითაა შესრულებული. იმპრესიონისტული სტილი ენობრივი ქსოვილისა და ფრაზის აგებულებაშია თავისებურად გამოვლინდა. ამ სტილის ერთგულებას თავისებურად

გვერდი 109

ხელს უწყობდა ის იდეური სამყაროც, რომელსაც მწერალი ამ ადრინდელ მოთხრობებსა და ნოველებში იცავდა. მარტოობის, სევდის, აღამიანის ძალისაღმი ურწმუნოების განწყობილებები და აქედან წარმომდგარი ერთგვარი სკეპტისი წარმოშობდა იმ იდეურ სამყაროს, რომელშიაც ლალად იფურჩქნებოდა ევროპიდან მოტანილი მოდერნისტული სტილი. კ. გამსახურდიას ყველა ადრინდელი ნოველა მკაფიოდ ატარებს ამ მოდერნისტული სკოლის სტილურ ნიშნებს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ის არ ყოფილა ბრმა მიმბამველი დეკადენტობისა, კერძოდ, იმპრესიონიზმისა. ქართული მწერლობის დიდი ტრადიციები, ქართული ხალხური ანდაზებისა და ოქმულებების მდიდარი შობიერებებიანი, ქართველი კაცის ფსიქოლოგი და ხასიათი მის მოდერნისტულ სტილს თავისებურ იერს აძლევდა და რეალისტული ნაკადი შექმნიდა მასში.

კ. გამსახურდიას ადრინდელ ნოველებს შორის მწერლის განწყობილებას ყველაზე ნათლად გამოხატავს ნოველა „მკვდართან შეხვედრა“. მოქმედება ბერლინში სწარმოებს. ბერლინის საშინელი სიცხისაგან გათანგული ლირიკული გმირი ქალაქგარეთ გაისეირნებს, რათა შეისვენოს, ამოისუნთოს, გადაიჩრდილოს. საღამოა. ნოველის ლირიკული გმირი ტყეში უზღდის, საშინელ სიჩუმეს მოუტაცავს არა. აქ აღამიანთა ნელი ჩურჩული და სქესთა ვენებიანი კენესა გაისმის მხოლოდ. აღამიანი აღამიანს ძეგბს ტყეში. ნოველის გმირი კი არავის ელის და მწარე კენესა აღმოხდება: „მე მარტო ვარ ჩემს ფიქრებში, მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე“. ამ ფიქრებით გართული ტყეში ხეზე ჩამომხრჩვალ კაცს ვადაეყრება. შიშით შეპყრობილს სურს დაიბნავოს ისე, როგორც ბღაეის ხოლმე სოფელში პირუტყვი დაკლული ცხოველის სისხლის დანახვაზე. შეშინებულ უკან გამობრბის. თოახნილ დაბრუნებულ ფიქრობს და განაჩენს გამოქაჩეს თავისი საქციელისთვის: „ფუი შენს კაცობას, შე შვიშარა, შე შვიშარა!.. ვწევარ პირადმა იატაკზე და ვფიქრობ: ჩვენ ყველანი საგნების თოჯე კვიდივართ დიდელამ და გამგულ-გამომკლულს ვეღროჯებით: ძირს ჩამომიდგ, დამსვენე, შე ქრისტიანო“. ასეთია დასკვნა. აქ სრული განწირულობისა და უპერსპექტივობის სურათია დახატული, მუქი ფერებისა და ჩრდილების თამაშითა გადატანილი სიკვდილის სიშოით გამოწვეული სულიერი სევდა. ნოველა ერთი მოსმით, ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი. ყოველ ფრაზაში, ყოველ დიალოგში სიტყვიერი მასალის დიდი ეკონომიაა, მაგრამ ყველაფერი ეს მოდერნისტულ სტილსა და ასპექტშია წარმოდგენილი.

ასეთივე სულიერი განწყობილება და წერის

მანერაა გამომქლავებული მის ნოველებში „პორტეალინი“. ქრონოლოგიურად ეს ნოველა უფრო ადრეა დაწერილი, 1916 წელს. მოქმედება მიუნხენში წარმოებს. ხელოვანთა მასკარადზე ერთმანეთს გაეცინა ორი ნიღბისანი, შემდეგ ისინი მეგობრდებიან, ხშირად საუბრობენ ხელოვნებაზე, მწერლობაზე, მხატვრობაზე. აი ერთი ადგილი ამ პაექრობისა:

— საერთოდ ხელოვნება დღესაც ბანალურ რეალიზმში იღრჩობა.

— მერმე რაო, გათხოვება აქ რა შუაშია?

— აი, გეტყვით. მე ბარონ როსტრუბი მიტომაც შემიყვარდა, რომ იგი უფანტახიო კაცია. იმ ხანებში იგი ბაქტერიოლოგიით იყო ვატაცბული. ერთხელ, მარტო ყოფნის დროს, მეც ავიღე ხელში მისი მიკროსკოპი. ნამდვილი სინამდვილე მაშინ ვნახე. სულ სხვა ფერები, სულ სხვა ხაზმოსმა, ვიდრე ის სინამდვილერეალისტულად ჩვენ შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ.

— მაშასადამე, — ვიფიქრე მე, — ჩვენი სინამდვილე მტკნარი სიცრუე ყოფილა-მეთქი. კიდევ ყოფილა მეორე სინამდვილე. ხელოვნება კი მესამე სინამდვილეა, მხატვრის მიკროსკოპი დანახული. ამ შეგნებამდის ამ ათიოდ წლის წინად მივედი და ირაციონალის ფერების შეხამება დაიწყე. მაშინ სად იყვნენ ექსპრესიონისტები? მე მათა დამოუკიდებლად მივაგენი ირაციონალ ექსპრესიონიზმს. სულ მიკროსკოპის წყალობით.

იგი გაჩუმდა. ჩემს სულს ახალი ჰემშარიტება ჩაეწყეთა.

ასეთ რემარკას უკეთებს ავტორი მხატვართა საუბარს. და აქ სრული სიმართლეა. ევროპაში მოგზაურობამ, ბურჟუაზიულ ხელოვანთა და შეხედულებათა გაცნობამ კ. გამსახურდიას სულიერ სამყაროს ჩააწვთეს ეს „ახალი ჰემშარიტება“ ექსპრესიონიზმისა, შემდეგ ეს წვეთი იქცა მთელ მიმდინარეობად, შეხედულებად, რომლის ერთგული დიდახს დარჩა კ. გამსახურდია. ამ ნოველაში, და საზოგადოდ მის ადრინდელ ნოველებში, დიდი ადგილი აქვს დათმობილი მსჯელობებს, მაგრამ ეს არ არის მსჯელობა აღწერითი, — აქ საქმე გვაქვს ვარკვეულ ფილოსოფიურ შეფიქრებებთან და დახასიათებლთან, რაც მისი წერის მანერაში შედის, როგორც საგნებისა და მოვლენებისადმი მწერლის დამოკიდებულების გამომქლავების საშუალება. აი რამდენიმე მაგალითი: „მე მგონია ყოველი ერი და ყოველი პიროვნება ყოველდღიურ წერტილმანებშიაც ისე აშკარად აჩენს თავის სულიერ სახეს, როგორც თავის ფილოსოფიისა და მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებში. ცხოვრება სხვა რაღაა, თუ არა საგნებისადმი დამოკიდებულების გამომქლავება. აღამიანი წვრილმანში იჩენს თავის





ხასიათს, რადგანაც დიდ საქმეში მის არაფრის დამატება არ შეუძლია“. „ადამიანი ნელ-ნელა ამჩნევს ცვლილებას, ცვლილება რომ ერთბაშად შეგვეჩინოს, ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცეოდა და არავის დაჭირდებოდა მეორე ჯოჯოხეთის გამოგონება“.

„არიან ადამიანები — ნებაყოფლობით მგლოვიარენო. ისინი არ გრძნობენ არც ძრწოლას, არც მოწყენას, რადგან მათთვის უტყნობია დიდი სიხარული. ისინი არ გრძნობენ გლოვას, რადგან მათ სულში არავის დაუთესია იქვის ვესლი. ისინი უყუთეს არ ინატრიან, რადგან უყუთესი ვერ წარმოუდგენიათ“.

ჩვენ განგებ სხვადასხვა ნოველიდან ამონაწერები მოვიყვანეთ. აქ ოდნევი განსხვავებული ფერები და საღებავებია და ასევე განსხვავებული განწყობილებაც. მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეინიშნავს, რომ ამ შეგონებებსა და მსჯელობებში ისევე მკლავდება იმპრესიონისტული წერის მანერა, რომელსაც მწერალი ამ ნოველებში იცავდა, როგორც საერთოდ მთელს მის აზრანდე შემოქმედებაში. ოღონდ მწერალი აქ ერთგვარად განაოგადებს ამ შეხედულებებს და ჰქმნის გარკვეულ სისტემას.

კ. გამსახურდიას დამახასიათებელი სტილური თვისება ყურადღების გაღატანა არა იმდენად სიუჟეტის გამოგონებაზე, რამდენადაც ხატვაზე, სურათოვნებაზე. გამსახურდია ხატვის ოსტატია უტირველესად ყოვლისა. ხასიათის გამოსახვა, მოვლენისა და საგნის აღწერა სიტყვიერ ხატოვნებას ეფუძნება. ამიტომ ის უდიდეს ყურადღებას უთმობს სიტყვიერი მასალის შერჩევას; აქ სიტყვა ეფუძნება არა იმდენად ხედვას, რამდენადაც მუსიკალობას, სმენას. XX საუკუნის ქართულ პროზაში გამსახურდიასავით ორიგინალურად არავის არ გაუერთიანებია პროზაში ხედვა და სმენა. ცნობილია, რომ კლასიკური პროზა მეტწილად ხედვას, დაკვირვებას და ამის მიხედვით სიუჟეტის თხრობას ეფუძნებოდა. XX საუკუნის პროზამ ყურადღება სმენაზე, მუსიკალობაზე გადაიტანა, რიტმის ელემენტები შემოიტანა პროზაში. ეს ხაზი უკიდურესობამდე მიიყვანეს სიმბოლისტებმა. ისინი უარყოფდნენ დიდი სოციალური და პოლიტიკური ვენებების გამოხატვას, ყურადღება გადაჰქონდათ ადამიანის ხულის ინტიმზე; საესტეტიკო გამოირჩევიდნენ თხრობითს ელემენტებს, ხედვისა და დაკვირვების მნიშვნელობას მწერლობაში. XX საუკუნის ქართულ პროზაში ვხვდებით ამ უკიდურესობათა გამოხატულებას, მაგრამ მათ დაფუძნება და განვითარება ვერ ჰპოვეს. შეიძლება ითქვას, რომ გამსახურდიამ ერთგვარად აიცილია დეკადენტური სკოლების დიდი უკიდურესობანი, და ეს, როგორც ვთქვით, თავისებურად გა-

მოიხატა პროზაში სმენისა და ხედვის ერთგვარბორ მორიგებაში.

კ. გამსახურდია ერთგვან შენიშნავს:

„...მე იმ ხანებში ახალი მოთხრობების თემებს ვეძებდი.

თქვენ ბედნიერი გგონიათ მწერალი?

მუდამ, მუდამ დამკვირვებლის როლშია. მოთხრობელით უთვალთვალს ქვეყანას, ბუნებას, ადამიანებს და ყველაზე მეტად თავის თავს — ახარა შენიშნოს, რა დაიჭიროს, რა დაიხსომოს.

მწერალს არ შეუძლია თავდავიწყება თვით უაღრესი ტკობისა და ექსტაზის ყამს. საყვარლის სარეცლებზე, ხმელზე, ზღვაზე, ბუნების წიაღში — ყველგან, ყოველთვის აკვირდება იგი სამყაროს და თავის თავს („ქოსა ვახუ“).

დეკადენტ მწერლებს არასოდეს წამოსციდენიათ ასეთი რამ. მსეთ უაღრესად დეკადენტურ მოთხრობაში, როგორცაა „ქოსა ვახუ“, კ. გამსახურდია უკვე რეალიზმის საზღვარზე დგას. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქართული მწერლობის ტრადიციებზე აღზრდილმა მხატვარმა, თავისი სულიერი ცხოვრების სამყაროში მარინა შენიშნა რეალიზმის ნაკადი, როდესაც უაღრესად მოდერნიზმის გზას ქადაგებდა ლიტერატურაში.

როგორც სტილში, ასევე თავის ფილოსოფიურ შეხედულებებშიაც კ. გამსახურდიამ თავისებურად მოაოგა მოდერნისტული შეხედულებები ძველი საქართველოს გარდასული ყოფის აღწერასთან. იგი მისტიროდა ყოველივე ძველს, განსაკუთრებული რომანტიკული ფერებითა და სიყვარულით აცოცხლებდა აწ უკვე გარდასული ცხოვრებას და მისი სულიერი ცხოვრების დიდი სევდაც აქედან წარმოადგებოდა. ეს განწყობილება ყველაზე ნათლად გამოვლინდა ნოველაში — „ზარები გრიგალი“. ამ ნოველის მთავარი გმირი მნათე ოქროპირი — ეს გათლელი და უსწავლეული კაცი — „ქვეყნის გამოცვლას“ გვიან მიხვდა და გვიანაც განიცადა ეს ტრაგედია, ხოლო უფრო გაცნობიერებულნი ადრევე მიხვდნენ, და გული ტლიდათ. უფრო მოქმენილი და ეშმაკი რევოლუციის მიეტმასნენ, მაგალითად, მღვდელი გაიპარა, გაიკრიჭა და სადღაც თემშარაზე სამიკიტრო გახსნა. აი ამ ნახუცარმა მიკიტანმა ერთ დღეს დაათრო მნათე ოქროპირი, რომელშიაც გაიღვიძა ძველმა მნათემ. მოქროპირმა ეკლესიის სამრეკლოს მიაშურა. „აწვიმდა სამრეკლოს. აწვიმდა საყდარს. აწვი ვინ შეაკეთებს სამრეკლოს? — ფიქრობდა ოქროპირი. ხელების ფაფურით ადიოდა სამრეკლოს ბნელსა და მიხვეულ-მოხვეულ კიბეზე... მთავლო მნათემ სველ თოკებს ხელი, ჩამორეკა ორი პატარა ზარი. ბზრიალით, წყრიალით გაქანდა პაწია ზარების ფოლადის სიცილი. ორი თეთრი მწვევარი გამოუდგა დიკოდილ ნადირს, ვახვრიტა, ვააო მიმინებულ

სოფლის კომმარული ძილი, თავს გადაეცლო გარინდებულ, გამურულ დატებებს და ქობებს. შეკრთო მულეჯარ თხმელნარი, გადაიარდა მიყრუებული დღეში, დაიკარგა მთვარიან ღამეში ნათქვამი ზღაპარი. მოვარდა ქარი ქლოშინით, — აქოჩრილი, ხახადღებული ძე მგელი, ემგებრა სამრეკლის, შეარყია, შეიანჯღრა, შეტორტმანა. ოქრობორბა მეორედ, მესამედ დაარხია ზარები, ბოლის იმპალვრა ქარმა და წააქციეს ეს სამრეკლო და ეს ექსტაზში შესული, ზარების გრიგალში წაქცეული მნათე ოქრობორბი წმინდა ზაქარიას ეკლესიის უშველი ეგდო იგი, როგორც მკვდარი ღმერთის ეშვებულელი, უპატრონო ლეშე.

ამ ნოველაში განზოგადებულადაა დახატული პატარა კაცის, რევოლუციის გრიგალში დაღუპული კაცის ბედი. დიდი რომანტიკა წარსულია, დიდი სიყვარული გარდასულია ასევე დიდი სიყვარულით გამოხატა მწერალმა მნათე სულიერ ცხოვრებაში, ხოლო მისი შეჯახება ახალთან, რევოლუციის გრიგალთან და დაღუპვა სევდით, რომანტიზირებულად და ამადღებულადაა დახატული. რევოლუციის გრიგალისაგან წაქცეული ასეთი უღელტერ, დროგადასული ადამიანების ბედის გამოხატვაში იჩინდა დიდ ოსტატობას კ. გამსახურდია. ამ ნიჭიერ ოსტატს სამართლიანად მძაფრად ებრძოდა ჩვენი კრიტიკა წარსულისადმი სწორედ ამ გადაჭარბებული სიყვარულს გამო და უბიძგებდა მას ახალი ცხოვრების, ახალი ადამიანის გამოხატვისთვის დაეხარჯა ადამიანის ენებებისა და ხასიათის ხატვის ეს დიდი ოსტატობა. მაგრამ კ. გამსახურდია წლების განმავლობაში იცავდა თავის ამ პიზინცის და მიყვებოდა ამ გზას. ეს განწყობილება თანმიმდევრულად გამოქმდევნდა მის ნოველებში „ლილი“, „ქოსა გახუ“ და „ტაბუ“.

დროგადასული, რევოლუციის მიერ გარყეული და გაბუნებული ადამიანის სულიერი სამყარო გამოხატა მწერალმა ნოველაში — „ქოსა გახუ“. ნაყაჩაღი ტაგუს და ნახუცარა იონას რევოლუციამ ყველაფერი ჩამოართვა, არაფერი შეარჩინა ერთი მუწველი თხისა და ჩელტის ხალიას გარდა. „ნახუცარა იონაშიც გულს არ იტეხდა. ეფუთო ეტედა ბოლშევიკების წყაყლის თარიღებს. სასთუმალიდან არ იშორებდა ლოცვანებსა და წმინდა წიგნებს. დიდის პათოსით კითხულობდა იობის წიგნს, ხედავდა, აღბაღრდაც იღუმალ ანალოგიას განაწამებ ბიბლიურ კაცთან და ეს მხნეობას მატებდა ბერიკაცს“. ვინ არის ახლა ეს ტაგუ? ტაგუ მანუჩარ ბატონიშვილისა და მისი მკვიდრი დის ხათუნას შვილია. ცოდვა ადულდა ნიკო ბატონიშვილის ოჯახში, მანუჩარი სიყვარულში ავებორო იყო, ხათუნა 12 წლამდის ძიძას ჰყავდა, დაძმა ერთიმეორისა გადაეჩვია. მანუჩარი 15 წლის იქნებოდა, როცა ხათუნა ძიძამ მოიყვანა და იმ წლის

სექტემბერში დატრიალდა ეს გაუგონარ ტყვემღერა. მანუჩარს ცოლი შერთეს, ემხნეობის ქალი, ხათუნა საფხვანოში გააქროლეს მისაკლომინებულად, მაგრამ შვილისნობას გადაყვა საცოდავი. ორი წლის შემდეგ სამუგაოდ მონათლა მანუჩარმა ტაგუ. ცოლის შერთვამდის შინ ჰყავდა, შემდეგ მიწა-მამული მისცა და თავის არეში ჩამოისახლა. და აი ეს ტაგუ, ახალ დროში გადარჩენილი ძველი კაცი, წინაპრების ცოდვებით დატვირთული, სულით ცოდვილი კაცი მწერალს განსაკუთრებული თანაგრძნობით ჰყავს დახატული. მწერლის აზრით, ტაგუ სამუგაის მართლაც რომანტიკული წარსული აქვს. და იმე უმატებს: „მე ლმობიერად ვეჭყვი წინაპრების ცოდვებს“, — ამ აღიარებაში სრული ქეშმარიტებაა. კ. გამსახურდია ადრინდელ ნოველებში სწორედ სიმპათიებითა და თანაგრძნობით ხატავდა ამ ძველი ნაკაცების, ნათავადარების, ავიზნით შეპყრობილი დეგენერატების, მახინჯი და ცოდვით სავსე ადამიანების ცხოვრებას. ასეთია კერძოდ ეს საშუგა. ავანტიურისტის, კაცისმკვლელი, ნაყაჩაღი, ჩინებული მოსაუბრე, კარგი მონადირე, მაღალი და კავანდარა, მუდამ შინდისფერი მოკლე აფხაზური ჩოხა რომ აცვია, გრძელი, თეთრტარაინი სენური ხანჯალი და სმეტისა და ვესონის რევოლუციის ცარიელი ბოღჩა რომ ჰკიდა. არც ერთი რეჟიმის დროს ხელი არ შეუვლია თოხისა და ექტვანისათვის. ორი ნალია სიმინდი ყოველ წელს ჭერამდის სავსე აქვს მინც. ცალი ხარი ჰყავს და ერთი კვიციანი ჭკვი, ათიოდ თხა, ყანებიც აქვს და ბაღ-ბოსტანიც. ასეთია ამ ყოფილი ნაკაცობის სახე. ეს ნაკაცარი მენშევიკების დროს კომპერატივის გამგებობის ვაჭარა, ყოველ კრებაზე პირველი ორატორი, ყოველ სუფრაზე შეუცვლელი თამადა იყო, ღამით აზრავობდა, დღისით ნადირობდა. ახალ დროსთან შეურთებელი ეს კაცი ხშირად მოსთქვამს: ვი დედასა, რა დრო ვგვივდა, უბედურა ჩემო თავო. ასეთი დღეები მინახავს და ახლა ქუსლმოქცეული ოჩიგავა დამაჯდა თავზე.

ტაგუ წუხს, რომ მანუჩარის სასახლის პარკეტის იატაკი აღანიების ქალამნებმა წაბილწეს. ამ ადამიანის სულიერი წყვილია ქვეალმურყეული ქოსა გახუ, მანუჩარ ბატონიშვილის ცოდვების მსხვერპლი, ეს ბედდამწვარი გლახა. ეს კვიდრი ძმა ქოსა გახუ „ძლიერ გავდა ტაგუს თავის ქალის წყობითაც და შუბლითაც. ყურები ნაშღილი დეგენერატისა, ნიკაპი თითქმის სულაც არ ჰქონდა, მის პროფილში ძლიერი გაბოროტებული გამომეტყველება გამოყოფიდა — რომელიდაც უხვირო, მტაცებელი ფრინველის პროფილი. არც ისე ხნიერი ჩანდა, მაგრამ ქოსა ლოყები ნაზამირად უნაბიგით შექცნობოდა ყებებზე. ბეიტის ბურტყელით ქტარა, თხელი წვერი ხავსივით მოსდებოდა სახეზე



აქა-იქ. ტარმორჩილი, მკერდჩაყარდნილი, წელს-ში მოდრეკილი, გამხდარი, თხლის ჩურჩხელასვით ფეხმბარი, წვრილძვლებიანი, მოკლე და სწორი ფეხები, ბავშვური პატარა ხელები, ხმა დიატური, წვრილი და უსიამოა. ასეთია ამ ყოფილი ბატონიშვილის პორტრეტი. აქ შერჩეული საგნები და ადამიანები, დეკადენტური ხასიათის გამოსახატავად მომგვიან მასალას იძლევა. შემდეგ ირკვევა, რომ ეს დამთხვეული და სულელი ქოსა ვახუ თავს ვანგებ იგივნიანებს, რომ ამით რევოლუციის ქაინზხალს გადაურჩეს, ძველი ცოდვები მოინანიოს, თავისი ერთადერთი შილი გადაარჩინოს, მაგრამ როცა ვერაფერს ვახდება, თავის თავს აშხელს, თავის ნომდვილ სახელს ირქმევს. „იახადო, მოვისაზრე, თავი მოვიგოთიანე, — განავრძო ვახუმ, — სხვა გზა არ იყო.

ცხონებული მამაჩემს მთელი სოფლის გლეხობა გადაიდებული ჰყავდა, ჯერ ჩემს ხსოვნაში უღვაშებს აგლეჯდა გლეხებს. წამოაქციებინებდა მოწიფულ ვეჯაკებს, მკერდზე ცხელ ღომს დაავებდნენ და ძაღლებს დააპურებდნენ. იახადო, ხანდახან ძაღლებს წაიკვებოდნენ, და ისეთი შემთხვევაც ყოფილა, ხელფეხშერტული ვეჯაკი რომ დაუტენია ძაღლებს; მაგრამ მაშინ მე ბავშვი ვიყავი. იახადო, მე ახლა რა შუაში ვარ... იახადო, მე ჩემი თავმოყვარეობა დავთმე, ოღონდ თემრა ვადამერჩინა. აწი სულერთია ჩემთვის, გინდ გიქი ვეგონო, გინდ ჰკვიანი, აწი რაც ენებოთ, ის მიქნან“. შვილის სიყვდილის მერე სახლარი გადაწვა, ტეხურში გადავარდა და თავი დაიხარა. მისი დამხრეალი გვაში ვლეხებმა ჯერ ამოთარიეს და როცაღვაც მანუჩარ ბატონიშვილის ნაშეირი შეიცნეს, ისევ მდინარეს მისცეს. აი ამ სურათის დამსწრე ტაგუ სამუგრაში ვაიღვებო ძმობის ინსტიქტმა: „სანთელითი ვაფიორდა, ისევ ვაფიორდა, სისხლი აუვარდა სახეზე. თვალი გაციოთ: ეს მანუჩარ ბატონიშვილის ნიღაბფარებული სისხლი იყო, სისხლი ნააბრაგალისა და ფეოდალისა, რომელიც ნააშკარაოზე ვეღარ ბედავს გამოსვლას“. ეს ნიღაბსანი, რევოლუციის მოწინააღმდეგე ადამიანი კ. გამსახურდიამ ამ ნოველაში საკმაოდ ამხილა, მაგრამ, როგორც ვთქვით, თანმიმდევრულად, ბოლომდე ვერ გაიმტრა და შეიბრალა, რასაც თვითონაც შეინშნავს.

ნოველა „ტაბუში“ მოცემულია გაორებული ადამიანის ბეჭებობა თავის თათან, ლანდთან, ორეულის — ევროპული ბინოკლიანი ინტელიგენტისა და ჩოხიანი თავადშვილის — დუელი აქ ლიდ ტემპერამენტითა და გზნებითა დახატული. აქ ყველაფერი გაორებულია, ამეტყველებულია მითების, უქმურების, შელოცვების, ოჩონიტების, ლეგენდების მთელი სამყარო. ხალხის ხსოვნაში აქ აღწერილი ნაქვეყდის სოფელი მუდამ შიშის მომგვრელი იყო და ხალხი

მუდამ ეკრძალებოდა, ახალ დროწიყველამუს მოსახლეობა მიეძალა.

რუხი, პირშემოცლილი ნანგრევების კედლები სიმინდის ზღვაში იძირებიან და გარუჯული ავურის ბუხრის თავი ისევ იქვე სდგას, როგორც ამ 20 წლის წინად. „გინდ იცის რამდენი ფეოდალური იდილია ასხოს ამ ბუხრას. ყანების ვადაღმა, ცაცხვების მწვანეში, საყდრის გუმბათია, ეკლესიის გვერდით ახალი ისლით დახურული სახლები. ერთი, ორი, სამი. სამიც ყვარით გადაფარული ჩელტის ნალია, ერთიც ახალი ფაცხა, კვამლი სამ ადგილას. ჰმ, მიწის სიფიწრევეს ვადმოუსახლებია ეს გლეხები ნაქვედში. როცა ჩენი სოფლის ეკლესია უმრევლობის გამო დიხურა, დიკონი აიყარა, სოფელს დაემდურა და ნაქვეყდის მიტოვებულ საყდრის თავი შეაფარა“.

მწერალი ამ ყოფილ კაცს — დიკონს მიაშურებს.

„...უნდა მენახა საბრალო მოხუცი, მისგან მაქვს ნასწავლი ანბანი და სიზბრძნ ახსნა. პირმოთნობად ნუ ჩამომართმევთ და მე ვაკოცებდი მის დამეკნარ სახეზე, ვეტყუდი მინიც: ძვირფასო მოხუცი! ეს შენ გამდე ზღაპრებისა და მითების დახშული კარი, შენ მასწავლე მთელს ქვეყანაზე უღამაზესი ქართული ასოების მოხაზვა. შენი წყალობით ვყავ საცნაური ძველი დრო თავისი ბნელი ლეგენდებითა და სასწაულით“. და აი ესტუმრა მწერალი ამ ნაკაცარს და მწუხარება დაუფლა მის გაორებულ სულს. ოცი წლის შემდეგ ნახვარდ ბნელ საყანო შეხვდნენ ისინი ურთიერთს. ეხლა ყველაფერს უჩივის ეს ნაკაცარი, „ამ წყუელ დროში თევიც ვეშმაკებულა და ადამიანიც. ავურის ფერი ჩოხა არავის აცვია და უძიროები, ხელზე მიმინოც არავის უხის და სანადირო ძაღლებიც არავის ყავს“. ეს ყველაფერს ძველს ვეუთინა. მაგრამ, აი, მწერალს სადღაც უშოვნია ზოგი რამ ამ ძველი დროის ინენტარიდან. ჩოხიანმა მიმინო გადასცა და ხნადებლა უთხრა მონოკლიანს: „ორეული, ჩემო ჩოხიანსარო მტრო, დუშმანი. მომეწყინა ამ ქვეყნად უმირხოდ ყიალი, მინდა მატყლითი თეთრი წვერი მქონდეს, შორს ვიყო ადამიანებისაგან. განუხრახველის გამქვანება შემძლოს და გიამბო ის, რაც მოხუცმა დიკონმა მომიხბრა“.

ნაქვეყდის გამო ჩხუბი ჰქონით ჰყონდიდეულსა და ლდიანს, ბოლოს ჩოხიანმა აჯობა ანაფორიანს. ბისკაიები ჩაასახლა ნაქვედში. მათ მიმინოების მოვლის გამო აზნაურობა ებოძათ. მერე მოხდა უცნაური რამ. ბისკაიებს მიმინო დაეკარგა, ხარბედიებს მოთხოვეს მოეძებნათ იგი; ხარბედიების ქალს ზვარამზეს სატანამ აღუთქვა დახმარება, მერე დააორსულა ეს ქალი. ზვარამზემ მორიელი დაბადა, რომელმაც ბისკაიებიც და ხარბედიებიც, გლეხებიცა





და აზნაურებიც ამოწყვიტა. მწერალი აცოცხლებს მითების, ზღაპრების, სასწაულების, წარმართობისა და უძველესი დროის ჩამორჩენილი ადამიანების ავადმყოფური გონების ნაყოფს და ისეთიანად ხატავს მთელს სურათს, რომ ეს გამითებული სამყარო შიშა ვერის ადამიანს. ცხოვრებაზე, ახალ სინამდვილეზე გულუკერი კაცის წარმოდგენით გაცოცხლებულ ამ სამყაროს არაფერი აქვს საერთო ჩვენს ცხოვრებასთან, ჩვენს სინამდვილესთან.

კ. გამსახურდია თავის აღრინდელ ნოველებში უმთავრესად ამ გარდასული ადამიანების სულიერ ცხოვრებას, მათს სამყაროს ხატავდა და ამიტომაც მისი ნოველების გმირები უმთავრესად რევოლუციის მიჯნაზე მდგარი ადამიანები იყვნენ. კერძოდ ასეა ეს წარმოდგენილი უფრო რეალისტური ნოველები. მხედველობაში გვაქვს ნოველი „დიდი იოსები“. აქ აღწერილია 25 თებერვლის დამე. მენშევიკების მთავრობა გაიქცა. ყველა ბურჟუა, ყველა ფეოდალი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა. ამ რალაც საოცრისა და არანაწილის მოლოდინში მეკურტრები იოსები, დიდ იოსებად წოდებული, ვილაც დიდკაცმა წაიყვანა, ოჯახის ნივთების ჩალაგებაში მიიშველია, ამ ნაოხრალ სახლს კი 30 წლის მეკურტრე, რაჰველი იოსები დაუბატრონა. იოსებ ქველიძე ხედავს, რომ საშუთაა ხელისუფლებამ სოლოლაკის დიდი დარბაზებიდან გამორეკა ეს ბურჟუები და მემამულეები და ნაძალადევიდან მოყვანილ მუშებს დაურეკა. იოსებსაც შერჩა თითქმის ეს სახლი, მაგრამ მოსვენება დაეკარგა. ის მუქთად მონაგარი არ აკმაყოფილებს, საღდაა ის აუმღვრეველი ძილი, ის ტკბილი სიზმრები, ავლბარის სარდაფში რომ ენახა. ეზმანა დიდ იოსებს, თითქმის სახლის პატრონი დაბრუნდა და ეხლა ანგარიში მისთხოვა იოსებს. თვალებით იცნო დიდმა იოსებმა ბინის პატრონი, მუხლები მოეკვეცა, პატიება სთხოვა; მან, დიდმა იოსებმა, რომელსაც არასოდეს სხვისი ნაოფლარი არ მიუთვისებია, გამოიყენა თავისი ხელსაყრელი მდგომარეობა და გაანთავა სხვისი ქონება. მაგრამ ამათა მისი ცრემლები, მეპატრონის ზნაღმა შუაზე გაუპო თავი იოსებს. მეორე დღეს კომუნალური მეურნეობის აგენტმა მართლაც ჩაიბარა ოქმიანი დიდი იოსების ნადავლი ბინა, ხოლო თვითონ დიდი იოსები მეზოვოდ დააყენეს და ნესტიან ოთახში შეაგდეს. აქ გაიცნობს იგი ვილაც სტუდენტს გივის და მისი შეგონებით შავ საქმეში ჩაებმება, ყალბი ფულების მომპრელი სტუდენტის აგენტი გახდება. ეს სტუდენტი იოსებს ჩასჩინებს, მანქანა მალე ლტემაჟურს წართმევს ადამიანს, ყოველ ჩვენგანს შენი კურტანი მოენატრებაო. ბოლოს ამ ცუდ გზაზე დამდგარ რაჰველ კაცს მართლაც მანქანა გაიტანს. ასე უზადრუკად დასრულდა მთელი მისი ისტორია. ამ ნოველიდან გამოდის, რომ რვეო-

ლუციამ უბედურება მოუტანა მეკურტრე იოსებს. ვერ ვიტყვით, კ. გამსახურდიამ იყოს სიმპათიით გამსკველული ამ მუშისადმი, ის დიდი სიყვარულით ხატავს იოსებს; თვითონაც შენიშნავს მწერალი: „მე არ ვთავილობ პატარა ადამიანების სულში მომხდარი აღრევის გამოსახვას. ამიტომაც გულდასმით შევიწყველე დიდი იოსების ცხოვრება. თითქმის ყოველივე აქ მოთხრობილი ჩემი ზედმოწვევითი დაკვირვების შედეგია, ზოგი რამ დამსწრეთაგან გამოითხოვე, მაგრამ მრავალგზის სინამდვილესთან შეწამებული... უნდა გამოგიტყდეთ, ბავშვობიდანვე მიყვარდა რაჰველი მეკურტრეები. მხოლოდ ისენი არ თავილობდნენ ერთ დროს თბილისის ქუჩებზე რუსთაველის ენაზე ლაპარაკს. ყოველ ქუჩის კუთხეში დაბანაკებულ თუშურქუდიან მეკურტრეები ქართულ იერს აძლევდნენ ჩვენს დედაქალქს. კურტანი, ნეტავი ვის მოუვიდა პირველად თავში ასეთი ბაზაროსული აზრი: ადამიანისთვის უღელის დღემა. ბავშვობაში ფრიად სათავილოდ მიმანინდა, რომ ეს ბრგე, ახოვანი რაჰველი ვაჟაკები სოლოლაკის პლუტოკრატის ხელით დადგმულ კურტანს ატარებდნენ თბილისში“. ამის შემდეგ თითქმის მისალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ავტორი რევოლუციის მიერ კურტანისგან განთავისუფლებული ამ მუშის ცხოვრებას სხვა ასპექტით, ახალი ცხოვრებით დავიხატავდა, მაგრამ ეს არ მოხდა. ამ ნოველაშიც კ. გამსახურდიამ რიგითი კაცის ბედი ახალ მანქანური ცხოვრებას დაუბოროსიპირა და ამ ფონზე გვიჩვენა მისი დაღუბავცა და მისი ტრაგედიაც.

ცალკე უნდა აღინიშნოს კ. გამსახურდიას ნოველა „ხოვანის მინდია“. ეს ვრცელი მოცულობის ნოველი კ. გამსახურდიამ მაშინ გამოაქვეყნა, როდესაც იგი უკვე საკმაოდ დროით იყო დაცილებული თავისი აღრინდელი მოდერნისტული ნოველების სამყაროსთან. ამიტომ აქ ვითარებაც სხვანიორად არის გამოსახული. ეს არის თავისებური გააპერება ვაჟის თემასთან. როგორც ცნობილია, ვაჟამ გამოიყენა და სულ თავისებურად გარდაქმნა ქართული თქმულებების მინდიას შესახებ. ამ ხალხური თქმულებას მიმართა უფრო გვიან კ. გამსახურდიამ. ზოვანის მინდიას ხალხური ვარიანტი ვასაოცრად ძლიერია და შთამბეჭდავი, ამიტომ შეიძლება ის დიდხანს იყოს წყარო კვლავ ახალი და ახალი ნაწარმოებების შექმნისა. „ხოვანის მინდიაში“ კ. გამსახურდიამ თავისებურად დახატა ბრძენი კაცის ბედი. ხალხური ვარიანტისა და ვაჟის პოემის მსგავსად აქაც მინდიას სიბრძნის წყარო გველს, გველს ხორცის შექმას უკავშირდება. ვაჟისთან ამას განმარტებები აღარა აქვს, კ. გამსახურდია კი დაწერილობით ავეჭირს, როგორ ჩაეარდა ზოვანს მინდია ტყვედ, შემდეგ როგორ ხსნა თავი ტყვეობისაგან, როგორ





ჩაუღდა თავის მოძმეებს ბრძოლაში მეთაურად, როგორ შეიყვარა ალდიძის ქალი ფადიშაი, როგორ მოკლა საღირამ ჯიხვი მისი ხელმძღვანელობით და როგორ გაიტაცა ოზოპენტემ დამით მინდია, გადაიყვანა გულულების ქვეყანაში — აქ აჰამეს ვეგლის ზორცი და აქ გახდა იგი ბრძენი. მინდია მდინამ გადაწყვიტა ხევესუბისა და ქისტების მორიგება და თავისა პირველი სატრფოს დაბრუნება, მაგრამ ამ ბრძოლაში იგი სწორედ ვეჟაკურად მეომარ სატრფოს მოკლავს, თვითონაც გულში დაიცემს ნაწაჯალს და კვდება.

ამ ნოველის პირველი ნაწილი ბუნდოვანია, მეორე კი უფრო ნათელი, დაწერის მხრივ ფრიად საინტერესოდ შესრულებული. აი ერთი მხატვრული პასაჟი: „თოვდა და ბარდნიდა, დაუცხრომლად თოვდა და ბარდნიდა. მეზობელი მეზობელი ვერ არჩევდა მითხოს აულში. იძალა ქარბუქმა, თოვლმა დაფარა ხევესურების ზუჩენი, თორ-ჯაგშანი და ტალავარი, აულის მისასვლელთან გზირს მოჰკრეს თვალი. დაცალკევენენ ხევესურები. მინდია წინ წავიდა ფორთხებით, თოფის სასროლზე უკან მიჰყვენენ დაწარჩენები. გაეპარნენ როგორც იქნა გზირს, ახლა მეორე შემოეყარათ ხევეში, ისევ დავარდნენ თოვლში, ფორთხებით ვასილდნენ საფრთხეს. თოვდა და ბარდნიდა დაუცხრომლად, ბნელოდა აულის ქუჩაბანდებში, ქვეთვირის სახლებს სახურავამდის მისწვდენოდა თოვლი. დაიბრიალებდა ციხის კარი, გაიღვლებდა ყვითელი შექი, ისევ დაემხოზოდა დუმამი წოწოლას, ქისტურ ციხეების ზეთავზე“. ამ ნოველას თან ვასტევს ერთი ძირითადი მოტივი — მინდიას სიყვარული ნაჰმობი ალდიძის ქალიშვილისადმი. ეს შხისფერი ქალი და მისადმი უდიდლო ტრფალი მინდიას ცხოვრების ნათელი გზაა. ამ გზას შეეწირება მისი სიბრძნეც და მისი სიყვარულიც.

აღრინდელი ნოველების განხილვამ დაგვანახა, რომ ამ პერიოდში კ. გამსახურდიას განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო რევოლუციის მიერ უპოვდებულო, უარყოფილი, განწირული კლასების წარმომადგენელი ადამიანების ბედი. ამ ნაკაცების, ზედმეტ, უნიადგო და უსაპარეზო ადამიანების ცხოვრების გამოსახვისა მონაწილე მან დიდი დრო, დაუთმო დიდი ადგილი და თავისებური თანაგრძობითაღ დახატა ისინი. რასაკვირველია, არ ვიქნებოდით მართალნი, თუ ვიტყვოდით, რომ კ. გამსახურდია ყველა ამ დამთხვეული, დეგენერატი და სულით ავადმყოფი ადამიანის ბოღვას და შეხედულებებს ისევე და იმავე ზომით იზიარებდა. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია — გამსახურდია ავნიწერს ამ განწირულ ადამიანებს, და ამას იყენებს შესაფერ მასალად იმ დეკადენტური ფილოსო-

ფიისათვის, რომელსაც იზიარებდა ამ პერიოდში, როგორც მხატვარი.

ამვე მოტივებს და განწყობილებებს მან უფრო თანმიმდევრულად მოუყარა თავი 1925 წელს გამოცემულ რომანში — „დიონისოს ღიმლი“. რომანში პირველი პირით მოგვითხრობს ამბავს გულდამიერი აზნაური ემიგრანტი კონსტანტინე სავარსამიძე. ევროპის ბურჟუაზიული ცხოვრებაც, მისი მარაზმიც და საქართველოს ცხოვრებაც, მისი წარსულიცა და თანამედროვე ყოფაც ამ ადამიანის თვლით არის დანახული და შეცნობილი.

ამ ზედმეტი ადამიანების მოქმედება მსოფლიო ომისა და მისი მომდევნო ოქტომბრის რევოლუციის ეპოქას უკავშირდება და ამის მიხედვით უფრო გაღრმავებულია ამ ხელმოკარული, განწირული ადამიანების სულიერი ცხოვრების აგონია და მათი შეურთებლობა ახალ ცხოვრებასთან, ახალ სინამდვილესთან. ვარდა ამისა, აქ არის ამ ადამიანების სულიერი სამყაროს გამოსახატავად თავისებური ფორმის პოვნის ცდა, — ამ მხრივ „დიონისოს ღიმლი“ იყო ახალი ტიპის რომანი — ქართულ რომანში ექსპრესიონისტული სტილის გამოყენების ცდა.

როგორც ცნობილია, ყველა ჯურის დეკადენტები თავიანთი ეგოცენტრისტული ფიქრებისა და განწყობილების გამოსახატავად ავიღოდა „მოერიენ“ მცირე ფორმის ენარებს: მათი პოეტური სტიქის უმთავრესი ფორმა ლირიკული ლექსი იყო, ასევე მიაშურეს მათ პროზის მცირე ფორმებს—ნოველას, ეტიუდს, მინიატურას და ბოლოს დეკადენტების ხელი რომანსაც მიწვდა. ქართულ მწერლობაში ამის პირველი მაგალითი კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმლია“. ამ რომანში დეფორმაცია განიცადა კლასიკური რომანის სიუჟეტმა. ასევე უარყოფილია ხასიათების გამოხატვის თანმიმდევრობა და ლოგიკა, სოციალური ვნებების ფართო გამოხატვა და ხასიათების ამ ფონით წარმოდგენა, რასაც კლასიკური რომანი მიმართავდა. აქ ავტორი მოკლესობისა და ცხოვრების სურათების გამოსახატავად შეგნებულად იყენებს პირველ პირს, რომლის საშუალებითაც გვიჩვენებს სამყაროსთან ავტორის დამოკიდებულებას. რომანი 13 ქეპისა და 52 ნოველისაგან შეესდგება და ამ მუბებს აკავშირებს კონსტანტინე სავარსამიძე, რომანის მთავარი გმირი.

რომანი იწყება ბურჟუაზიული ევროპის ცხოვრების აღწერით. ამ ცხოვრებას კონსტანტინე სავარსამიძე გვაცნობს. მან საკმაო ვანათლება და ცოდნა შეიძინა, მრავალ წელს იხეტიალა ევროპის ქვეყნებში, მსოფლიო ომის შავნული დღეები უცხოეთის ემიგრანტის როლში გაატარა. და აქ, გერმანიაში, საქართველოს „განთავისუფლებაზე“ იოცნება, ქართველთა რაზმიც კი შეადგინა ორთავიანი არწივის ბატო-



ნობისაგან გასათავისუფლებლად. მაგრამ მისი მიზნები ისევე დაიმსჯერნენ, როგორც მისი უნაყოფო ოცნებანი ამ უცხოეთის გზაზე. ესლა ეს უასპარეზო და უნიადაგო ქართველი აზნაურ-ემიგრანტი პარიზის ლუქსემბურგის პარკში ზის და ომის ინვალიდს უყურებს. ამ დამახინჯებული არსებობის შეხედვად ზიზღსაც გერის და შიშსაც. მას უსარია, რომ ორივე ფეხი აქვს, ორივე ხელი, არც ცხვირი აქვს მოქმედი და არც სახე დასახიჩრებელი. ომის სამინელოების ამ სურათით ავტორს ბურჟუაზიული ევროპის ცხოვრების შუაგულში შეეყვართ. შემდეგ ავტორი გვაცნობს კონსტანტინე სავარსამიძესთან დაკავშირებული ამ ბურჟუაზიული საზოგადოების მესვეურებს, ამ საზოგადოების წევრებს — იქნება ეს სპარსეთის ელჩი მირზა ხანი, მისი მიუღღე კვინი თუ დამარცხებული გერმანიის სამხედრო ატამები, თუ ჩინგახუნებული პოლკოვნიკები და კაპიტნები, ფრანგი ბურჟუები თუ იტალიელი მისიონერები, — საფრანგეთის, იტალიისა და გერმანიის ბურჟუაზიის ყოფას და მათს მორალს. კონსტანტინე სავარსამიძე გრძნობს ბურჟუაზიული ცხოვრების კატასტროფას — ეს ტრაგედია გადმოცემული აქვს ერთი მეგობრის, ვილაც გერმანელი იოჰანესის პირით, რომელიც ახლა ლებორატორიაში მუშაობს: „ჰოდა ერთხელ შეეგებეწე ინგებორს, ბოლო მოეღო ჩემი ტივილებსისათვის. მან სავარსამიძე ამიყვანა ბავშვით, მოიტანა უშველებელი ცივი ქვა და თავი დამიმსხვრია. იცით რა ვნახე? ჩემი ტვივის უჯრედები სულ გამოღრღილი ყოფილა. ეს იყო დიდი ნათელიღვა და სასწაული. მთელი თავის ქალა გამჟვარტული იყო თუთუნის ნიკოტინით, დიდი ქალაქის ქარხნების ოზონივართა და მტვერით, აქ ყოფილან ნამცეცხები ასფალტის, რკინის, ფოლადის, ბრინჯაოს, საფირონის, მარმარილოსი, ქალაღბის, გაზეთების, წიგნების... მთელი ჩვენი უსულო ცივილიზაციისა და პათეტიური კულტურისა, და შიგნითა გულში, არ დაიფრებოდ, პატარა დაღმევილი, გაყინული, დაკოვრებული, დაუნდობელი ავნესას გული. მე ავიღე ხელში ეს ცივი მტკივნის ქვასავით გაყინული გული, რომელიც მამის ჩაფარდნილა ჩემს თავში, როცა იგი ცეცხლოვდებოდა და აღვზნებულ ვენახე იმ დამესკოპენჰაგენის ობერაში ჰოფმანის ზღაპრებში. მე ვთხოვე და ინგებორმა ეს უსიყვარულო გული ფეხით გასრისა, თავისი კოხტა ფეხით გასრისა“. ასეთივე ბედნი არგუნა ბურჟუაზიულმა ქალაქმა თვითონ კონსტანტინე სავარსამიძე. საც და იგი შეგნებულად აუჯანყდა ადამიანის დამაჩივებელ ამ ბურჟუაზიულ ქალაქს. კონსტანტინე სავარსამიძის აზრით საქირო იყო მიბრუნება ძველი, პატრიარქალური ცხოვრებისაკენ — ეგებ ამას გადაერჩინა ეს ცივილიზა-

ციაზე გულაყრილი კაცი. ისეც ნაცადარტყულში იყო, ყოველი ჯურის მოდერნისტების შიგნით ათასგნობი ვაჩხრეცილი და გასინჯული. ქ. გამსახურდია მაინც ამ გზით და ამ ბილიკებით გაატარებს თავის გმირს. ძველი სიყვარული განსაუთრებით გაუცხოველდა სავარსამიძეს მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუციამ საბოლოოდ გადაისრულა ისტორიის სანაგვეე პერში ბურჟუაზიული ყოფა და ფეოდალური კუთრში არქალობაც. ამიტომაც ყოყმანობს ის და ვერ უბრუნდება თავის დედაბუდეს, აღარც იმის იმედს აქვს, რომ ოდესმე იხილავს იმ ძველ მისტრებთან, ლიტანებებს, შელოცებსა და გამოლოცებებს, კინებებსა და ონოკონებს, ვეშაპებსა და დალებს, რომელთა სიყვარული ასწავლა მისმა მორდუმე, ტაია შელიამ.

ეინ იყო ეს ტაია შელია? აი როგორ გვაცნობს მას თვითონ კონსტანტინე სავარსამიძე: „აყვია, მეოცნებე, გაქსუბებული, სახნისის, ნაჯახის და თონის ხელის შევლება ეზარებოდა, არც კოვრები უნახავს ვინმეს ტაიას ხელზე, მეთვეზე და მეჯოჯო, უხალში მოჯიროთი, შეუღარებელი მსროლევი. ხელში ან თოფი ეჭირა, ან სისოლი ბაღე და ანკესი. მთელი დამებე მითიზე დავყავდი, დღისით ღუქნის წინ იჯდა, ლითობდა ან ნარდს თამაშობდა, ოხუნჯობდა, ქორწილებში პირველი თამადა, ქელეხებში მოზარეთუხუცესი. ხანდახან ისეთ მიცვალებულს დაიტირებდა, სიცოცხლეში რომ თვალით არ ვნახა. შორეულ სოფლებში მიყავდათ ტაია შეცხალებისა და ზარის მოსაწყობად. მისივე ხელობა იყო ხატზე გადაცემა, თავზე შემოვლებმა. მთელს სოფელს ეზნონდა მისი“. ეს ნახევრად გლეხი, ნახევრად აზნაური, არსებითად აზნაურული ფსიქოლოგიის კაცი ის გლეხია, რომლებიც შემდეგ კულაკებად მოველინენ სოფლებს. ასეთი ფსიქოლოგიის კაცს დაუკავშირა გამსახურდიამ თავისი გმირი. კონსტანტინე სავარსამიძეს სავარსამიძეს საქართველოში თავის წინაპრებად თავადები, აზნაურები და ამგვარი „გლეხები“ ეგულებოდა, მათთან იყო ის სულიერად დაკავშირებული. რევოლუციამ სწორედ ამათი ბუდეში აშალა, კონსტანტინე სავარსამიძეს დაუნჯარია საქართველოსთან მისახლეული ყველა ბილიკი და ამიტომ ადვილი როდია მისთვის, დაუბრუნდეს საქართველოს.

„რა ვაპაეთო, კიდევ რომ წავიდე? ჩვენი გზები რახანია გაყრილია, რაც ქამი ვადღის, მით უფრო შორედმიან ისინი ერთმანეთს. ...იგი მე არ მიცნობს, მას ჩემი არ ესმის, კიდევაც რომ დავბრუნდე უძღებ შვილივით მიმილებს? ვინ იცის, იქნებ ჩემი აღნავაობა ეუცხოვოს, მწარედ გაიცინოს!“ ასეც მოხდა. ბურჟუაზიული სამყაროს გამოეჭედა და საქართველოს მოაშურა, მაგრამ აქ სანუგეშო საბოლოოდ ვერა ჰპოვა რა. ჯერ იყო და ისევე ტაია შელიას



მიაშურა მთებში, ახასთუმანში და თითქოს აქ უბრძანა ბუნებამ, ჯოჯოხი ყოფნამ ერთგვარად განკურნა საეარსამიძე. მის სიხარულით აღმოხდა: „ისევე აქა ვარ, ჩემს მიწაზე. ყოველთვის, როცა უცხოეთიდან საქართველოში ვბრუნდები, ასე მგონია ხელახლა დავბადე, მახარებს საქართველოს მაღალი ზეცა. მე არსად მინახავს ასეთი თეთრი აქატის ღრუბლები, ასეთი გამკვირვალე ჰაერი, არც ბალახს, არც ნემოს ასეთი სურნელება არ უდის სხვაგან. ქვეყანას არ მოვლანდებია ასეთი გათენება... მზეო, ამოაშრე ჩემს სახსრებში უცხოეთში შესუნთქული ნისლი, მასწავლე შენი უშუალო მზერა და ღიმილი... აქამდე მოვალწი და ისევე ჩემი უპოვადი დედის კალთაში ეწევიარ მე დედის აღერს დანატრებული, მე შორეთს ვაფრენილი, საცოდავი, მარტოხელა, გულწითელას მართვე, შინ მობრუნებული“. ასე მიმართავს თავის ქვეყანას, საქართველოს, კონსტანტინე საეარსამიძე. მაგრამ ვერც ამ ბუნების იდილიამ იხსნა იგი. ეწერაში მდგარ უნაყოფო თხმელას ადარებს ის თავის თავს. — „ვიტარწვე უცხოებასა და მართობაში და რა უნაყოფოდ ჩაიარა ჩემმა ცხოვრებამ. ჩემი სამშობლო არც მიცნობს და არც მადასებს“. საეარსამიძე ხედავს, რომ ასიყვარულზე უფრო ძნელი დასაფარავი ყოფილა თურმე სიუფლილი“. მას კი სძულს და არ უყვარს ეს ახალი. იგი გულვრილიად შესცქერის მომავლის დღეებს და აღმოხდება: „ადარც სიცოცი შემოძლია და ადარც ტირილი. ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომამაღდა“. ასე დახატა კ. გამსახურდიამ ტრაგედია ამ ახალგაზრდა 32 წლის ქართველი აზნაურისა, რომელიც კონფლიქტშია ახალ რევოლუციურ საქართველოსთან. ავტორმა ამ რომანის პირველ გამოცემაში 1925 წელს შენიშნა, მე ნუ ამიედლებთ კონსტანტინე საეარსამიძის ცოდვებს, რადგან ჩემი ცოდვებიც მეყოფათ. რასაკვირველია, ის აქ ნაწილობრივ მართალია, რადგან არ შეიძლება რომანის რომელიმე გმირსა და ავტორის შორის იგივეობის ნიშანი დაისვას. ავტორი თავის აზრსა და შეხედულებებს არამართო ერთი გმირის ცხოვრებაში, არამედ გმირებისა და მათ აზრთა ჭიდილში წარმოვიდგენს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ რომანში საეარსამიძის ტრაგედიას მწერალი არ უპირისპირებს სხვა გმირებს, სხვა აზრებს, და ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი მას არ იმეტებს, სადღაც უტოვებს ადგილს ამ ქვეყანაზე.

აქ მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ რომანის ჯერ კიდევ იმ წლებში იწერებოდა, როდესაც გამსახურდია, როგორც მხატვარი არ იყო სავსებით განათვისუფლებული მოდერნისტული შეხედულებებისაგან, ამიტომ ამ რომანში საამისო საბრძოლო განწყობილებაც გამოსკვი-

ვის. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ ნაწილობრივ აღმოსავლეთის არ მიდის. თვითონ საეარსამიძეს აღმოხდება ერთხელ: „არ მინდა ეყო საუკუნის ნაბოლარა და დეკადენტი“. კ. გამსახურდია უთუოდ გრძნობდა, რომ დეკადენტობის გზა ქვემარტივი ხელოვნების გზად არ გამოდგებოდა, და ამიტომაც სცადა ამ პერიოდში მოდერნიზმისა და რაეალიზმის ერთგული მორიგება.

კ. გამსახურდიას ამდროინდელ შემოქმედებას ორი ნაკადი ასაზრდოებდა: საქართველოს წარსულის რომანტიკა და ევროპული მოდერნისტული მწერლობა. კ. გამსახურდიას შემოქმედებაში აღნიშნულმა ნაკადებმა უცნაური, დიდი შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე განზოგადება ჰპოვეს. ერთი მხრით, მწერალი თითქოს ებრძოდა ბურჟუაზიული „ცივილიზაციის ავადმყოფობას“ და პირველყოფილობის რუსოსეულ თეორიას ქადაგებდა (ამ გზით მივიდა ის ექსპრესიონიზმამდე), ხოლო, მეორე მხრით, სოციალისტური რევოლუციის მიერ გადახნულ ნიადაგზე აღმოცენებულ ქართულ საბჭოთა სინამდვილეში ვერ პოულობდა დასაყრდენს და კვლავ ბურჟუაზიულ კულტურას აფარებდა თავს. ამ გზაჯვარედინზე გაჩნდა „ლიონისო ღიმილი“. კ. გამსახურდიამ, როგორც ზევით ვნახეთ, აქ პირველად დასვა კატეგორიული ტონით უნადავო გზის მძიბებელი ადამიანის, უფრო სწორად, მიმავალი სოციალური წრის ზედმეტი ადამიანის პრობლემა.

ამ პრობლემას კ. გამსახურდია კვლავ დაუბრუნდა „მთვარის მოტაცებაში“, ოღონდ სულ სხვა ასპექტით. მწერალმა აქ პირველად სცადა ურთიერთსათვის დაეპირისპირებინა ორი ეპოქის, ორი სხვადასხვა სოციალური ყოფის ადამიანები — მიმავალი, თავდაზნაურულ-ბურჟუაზიული ყოფისა და ახალი, სოციალისტური ყოფის ადამიანები. ამ დაპირისპირებულ ძალთა ბრძოლაში გვიჩვენა ცხოველყოფილობა ახლისა და გარდუვალი დაღუპვა და მსხვერველმეცხლისა. და ყველაფერი ეს მძაფრ სოციალურ და ადამიანურ ენებათა ფონზე გამოხატა.

რომანის სოციალურ ფონად გამოყენებული საბჭოთა სინამდვილის დიდი ისტორიული მნიშვნელობის პერიოდი — ეს ის დროა, როდესაც ბოლშევიკების პარტიამ აიღო კურსი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ, როდესაც სოფლად დაიწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, ხოლო 1929 წლის დამიწვეს პარტიას შესაძლებლობა მიეცა კლასობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადასულიყო ახალ პოლიტიკაზე, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. ეს იყო უდიდესი რევოლუციური გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობაში. ამ დიდ ისტორიულ პროცესს ახლდა შეტდომებიც, ნაკლოვანებებიც, საკოლმეურნეო





მშენებლობაში პარტიული პოლიტიკის გამრუდებანიც. შეეცდომები, უხეში დარღვევები ჩადენილი იქნა, კერძოდ, საქართველოშიც. პარტიული ხაზის გამრუდებანი და უთავგზური „მემარცხენე“ გადახრები ლიკვიდირებული იქნა. პარტიის საკომლექტურნო პოლიტიკა სრული გამარჯვებით დასრულდა.

კ. გამსახურდიას ტრიოლოგიაში სოფლის მეურნეობაში მომხდარი ეს მოვლენები უყურადღებოდ არ არის დატოვებული. რომანში საკმაოდ არის წარმოდგენილი საკომლექტურნო წყობილების ეს უარყოფითი მხარეც.

— „აბა რას გავს ეს ამბავი, — ჩიოდა ჩალმახი, — ქათმებიც კი შეაყვანია არლანმა კოლექტივში ხალხს. მე არ მგონია ეს იყოს პარტიის პოლიტიკა. ზარები არ დასტოვა მთელს აფხაზეთში და ეს საქმე ჰგონია არლანს“. — ამგვარ დეტალებს რომანში შეხვდებით. მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი ნაწილი ის არის, რომ მასში განზოგადებულია სწორედ ის შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც პარტიამ კოლექტივიზაციის პირველსავე წლებში ამხილა და აღმოფხვრა. ამიტომ ნაცლად მოვლენები აღმსაქმეობაში დანახვისა, ნაცვლად იმ დიდი პროცესის ღრმა მხატვრული განზოგადებისა, რომელიც მოასწავებდა უღრმეს რევოლუციურ გადატრიალებას, ნახტომს საზოგადოების ძველი თვისობრივ მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობისკენ, — ტრიოლოგიაში გვაქვს ამ უარყოფითი მოვლენების წინა პლანზე წამოწევა. ძველისა და ახლის ბრძოლაში ისეა დახატული მოვლენები, რომ კულაკებს, ყოფილ თავადებს, აზნაურებს და საბჭოთა ხელისუფლების სხვა აწკარა თუ ფარულ მტრებს რომანში დიდი ადგილი ეთმობა იმისათვის, რომ აძაგონ ახალი დრო, ახალი აღმავლები — ბოლშევიკები, კომლექტურნობანი. უდიდესი ენერჯია, მხატვრული სიტყვის უდიდესი მარაგი გამოყენებულია ამ მიმავლად აღამიანთა ყოველი განცდლისა და სულიერი ღელვის გადმოსაცემად, ყოველი დეტალი დიდი ოსტატობით არის შესრულებული. ეს არ ითქმის ახალი აღმავლების შესახებ. უფრო ძუნწია მეორეი ვათ მიმართ. ახალი აღმავლები უფრო მკრთალად, პასიურად არიან ნაჩვენები.

რომანის ცენტრში დგას თარაშ ემხვარი — ძველი ფეოდალური გვარის უკანასკნელი მოპიკანი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დაშინებული მეფის რუსეთის გენერალი — თარაშ ემხვარის მამა ევროპაში გაიხიზნება და შვილსაც თან წაიყვანს. მამას დიდს გავირეხებასა და წვალებაში აღმოხდება სული. მარტოდ შთენილი თარაშ ემხვარი უცხოურ კულტურათა სამყაროში აღიზრდა. შემდეგ, კაპიტალისტურ ქვეყანაზე გულაყარი, საბჭოთა საქართველოში ბრუნდება. მისი სულიერი საყაროსათვის სრულიად უცხო აღმო-

ჩნდა საბჭოთა სინამდვილე. მის მიერ წარდგენილი სამეცნიერო შრომა საბჭოთა უნივერსიტეტში დაიწუნა, როგორც იდეურად მიუღებელი. გერც საკუთარმა დედამ გაუშთელა ჰიანაქამი გული. ბოლოს სჯანეთის შეეხიზნა — „კულტურა ავადმყოფობათა თვად, ხოლო ბუნება საჯანსაღე“, — ასე ფიქრობდა თარაში და ამ მიზნით ვადასწავლად დარჩეს სჯანეთში. მაგრამ ბოლშევიკების მეოხებით ძველი ცხოვრების ამ დავიანებულ მგზავრს სჯანეთშიც შეასწრო კულტურისა და განათლების, ახალი ცხოვრების ძალამ, და ის საუღდამოდ რწმუნდებდა: „მე საერთოდ არც უფლებად მაქვს ამ ქვეყნად და არც წილი, მე წილდაკარგული კაცი ვარ, წილწარამეული. ცაზე ღმერთი არ მეგულებდა და მაწაზე მეგობარი. ხანდახან ისე შემომეწინთა მაწაწობის ცეცხლად, ასე მგონია სჯვა პლანეტიდან პარაშუტით ვადმოვმხტარეყო“ — ათქმეიენებს მწერალი თარაშ ემხვარს. ავტორმა თარაშ ემხვარი „ფულერო ხეს, ფესემომალ, უნაყოფო ფულერო ხეს“ შეადარა და ამით საეხებით სწორად დაახასიათა ამ გმირის უნიადავობა და დროგასულობა. კ. გამსახურდია თითქოს კატეგორიული ტონით წერს: „მონანიებული აზნაურის ამბავი, ჩემის აზრით, ლიტერატურების ფანტაზიის ნაყოფია. ძერის ბახლამ რაც უნდა მოინანოს, მტრედის მართე მინც ვერ განდება“. მაგრამ კ. გამსახურდია ბოლომდე არ გაპყვა ამ სწორ პოზიციას. ავტორი ხშირად ისეთი ვადაპარბეულები თანავარძლობთ ხატავს თარაშ ემხვარს, რომ ზოგჯერ ეჭვი გვაკრებთ: მართლა შედმეტი აღამიანია ემხვარი თუ არა? ამიტომ შემთხვევითი არ არის, როცა თარაში ამბობს: „მე მინდა ვავჯანსაღდე, მშობლიური მიწის სურნელით განვიკერნო, მინდა უცხოურა ჩვეულებანი უყუვავდო და ჩემს ხალხს დავებრუნდე“. მაგრამ გმირის ეს პოზიციო არ ვითარდება ლოლიკურად, მეორე მხრით, არც მისი „მოთვინიერების“ თუ ჩვენს სინამდვილესთან შერიგების პოზიტიური გზა ნაჩვენები. თარაში იღუპება არა სოციალურ მოვლენათა ჰიდილში (ასეთი ჰიდილი მას არცა ჰქონია). არამედ როგორც რომანტიკული გმირი.

მეორე გმირი, რომელსაც რომანის სიუჟეტში ვადამწყვეტი როლი აქვს დაკისრებული, არზაყან ზემამბაია. არზაყანმა თითქოს საკმაო წრთობა მიიღო, იგი წითელ ჯარში და კომკავშირულ ორგანიზაციაში აღიზარდა, შინასკომის ორგანოებში მსახურობდა და ებრძოდა ხალხის მტრებს. „ახლა ზემამბაიების დროა, ახლა ჩვენი დროა, — ფიქრობდა არზაყან ზემამბაია. — სახნავიც ჩვენია და სათესიც, ზღვაც და ცაც“.

არზაყანი სოფლად საკომლექტურნო ცხოვრების ერთ-ერთი ინიციატორია, მან ჩამოაყალიბა ოქუეში პირველი კომლექტურნობა. არზაყანს თავი მოაქვს, რომ ახალი ცხოვრების, ახალი





სოციალისტური ყოფის მშენებელთა არმიის ეკუთვნის: „მამა ამბობდა, — დაარღვია დღემოლი არზაყანა, — ამ ველზედ ოდესღაც დადანიანსეული სანადირო ტყე იყოთ, ვაუჯვია ქაობი, ლისი, ლაქაში და უნაყოფი ეწერი. ასეთ დროს აქ შეიარაღებულ ცხენოსნსაც გაბდღენდნენ მგლები. ახლა ჩვენ ჩაის პლანტაციებს ვაშენებთ. ეგერ ხომ ხედავთ, ორნაე ბუტყავს ელექტროის ლამპონი, იქ „საქართველოს ჩაის“ მურნენობა ეწყობა“. როდესაც ამ ამბავს უყვებოდა თამარ შერვაშიძის ქალს, „ჩვენში“ საკუთარ თავსაც გულისხმობდა და ამით აწონებდა თავს სატრფოს. კულაკებმაც ნიშანში ამოიღეს არზაყანი — „უფროს ლომკაცია ტარბას დაუქადნია ოქუშში, არზაყან ზეამბაიას მოვკლავ და კოლექტივი ავცდებოა“. მაგრამ ყველაფერი, რაც ზემოთ ვთქვით არზაყანის შესახებ, მაინც ერთი მხარეა.

საბჭოთა ადამიანი შეუპოვარია, როცა საქმე ეხება საბჭოთა იდეოლოგიის, კომუნისტური მსოფლმხედველობის დაცვის საკითხს. ეს შეუპოვრობა და პრინციპულობა ხშირად აკლია არზაყან ზეამბაიას.

ზედმეტი ტრადიციულობა და რომანტიკულობა, რომლის სამოსელშიაც გვევლინება ხშირად არზაყანი, უპარგავს მას კომკავშირელის, მოწინავე საბჭოთა ადამიანის თვისებათა მატარებელი ტიპისათვის საჭირო ძალას. იგი არა მხოლოდ დაავადებულია ძველი ტრადიციებით, — მასში კომკავშირელს, მოწინავე მებრძოლ საბჭოთა ადამიანს ხშირად სცვლის ეგოისტური, მერყევი ფსიქოლოგიის ქალთან ფლორტით გართობი თავდაუპყრელი მიჯნური (საზოგადოდ რომანში ერთობილი მხარე წინა პლანზეა წამოწეული).

რომანის ძირითადი სიუჟეტური ხაზი თარაშ ემხვარისა და არზაყანის დაპირისპირებით იშლება. და ამ აქ რომანი ვითარდება ძირითადად არა ამ ორი სხვადასხვა იდეური საწყაროს, ძველისა და ახლის იდეური პოზიციების დამკვეთების ბრძოლის ფონზე, არამედ ავადმყოფური, უცნაური ვენებისა და ერთობილი გრძობების საფუძველზე. თითქოს ვენებთა დიდი გულმართავი. ჯერ არის და თამარ შერვაშიძის ქალი ასეთი ვენებთა ბრძოლის ველი, მერე ძაბული, და ბოლოს სვანი ქალი ლამპონი. ესა და ეს მათი ფიქრისა და უთანხმოების მთავარი საგანი.

„მთვარის მოტაცებაში“ ჩანს ავტორის ღრმა და დიდი ცოდნა ცხოვრებისა, სავნებისა, მოვლენებისა, პროფესიებისა და სხვ. ტრილოგიაში ბევრია საინტერესო, მართალი, რეალისტური სურათები. რომანი კოლექტივიზაციის ფონზე იშლება და ამდენად მოქმედებს უმთავრესად სოფლად წარმოებებს, მაგრამ საქმოდ არის წარმოდგენილი ქალაქიც. სოფლად სოციალის-

ტური მშენებლობის — კერძოდ, მშენებლობის, მიუვალი სვანეთის მთებზე გზების გაყვანისა და პატრიარქალური სვანეთის რღვევისა, აგრეთვე განახლებული და აღმშენებლობის გზაზე დამდგარი თბილისის სურათების აღწერისას უთუოდ მძაფრად იგრძნობა თანამედროვეობის სული. მოვეგონოთ ერთი ადგილი. რომანის გმირები ავტორთან ერთად სვანეთში მოგზაურობენ. ეს ის დრო იყო, როდესაც ბოლშევიკებს სვანეთის მიუვალ მთებში საავტომობილო გზა გაჰყავდათ. ლალუმების გრილი ვაისმა უტვდა. „ეს ცანს ელხაია შემიბის სალუტით და მთები ბანს ეუზნებთან, — ამბობს თარაშ ემხვარი, — ამ გზასაც ვაიყვანენ და მერმე მშვიდობით სვანეთის თავისებურებავ. სვანეთი და ხეესურეთი-და იყვენენ უტხო ვაგუნის კიდევან“.

„არზაყანი ცხენი შეინაცვლა. ჩვენსკენ მოვლივვია კსენი.“

— მამ, შენ გინდა ჩიყვმა იმსხვერპლოს სვანები, არა?“

„— სადაა ჩიყვი?“ — იკითხა ემხვარმა.

„— გზაში ხომ ნახეთ ჩიყვიანები? ასეთებს ვინ მოსთვლის ამ მხარეში“, — ჩაეავდევ მე სიტყვა.

„— შენ და მამჩემს არ მოგწონთ ამ ლალუმების გრილი, — ამბობს არზაყანი. — არც ჯოკის, ცხენის დალას“.

„— სვანებს არ მოსწონთ გზის გაყვანა, — მიუგო ემხვარმა.

„— გაჩნია, რომელ სვანებს: ბობოლებს არ მოეწონება, უეკველია, ბობოლებსა და ცხენის დალალუმ, — ჩაილაპარაკა არზაყანმა და ცხენი ააჩქარა“.

ამ დიალოგში უთუოდ ნათელია მწერლის დადებითი დამოკიდებულება ახალ ცხოვრებასთან და ამ ნიადაგზე იდეური უთანხმოება ემხვარსა და ზეამბაიას შორის. სამწუხაროდ, ასეთი ადგილები რომანში ცოტაა. საბჭოთა სინამდვილეს ვაცილებით მცირე ადგილი აქვს განკუთვნილი რომანში, ვიდრე მიმავალ ადამიანთა ცხოვრების აღწერას. გარდა ამისა, თანამედროვე ცხოვრების სურათები ხშირად მიმავალ ადამიანთა თვალთაა დანახული და გადმოცემული, ამიტომ ამ პასაჟებს აკლია ახალი პოზიტიური პათოსი. განახლებულ თბილისის თარაშ ემხვარი უსინჯავს პულსს, სოფელი და ბოლშევიკების საქმე სოფლად „გაკოტრებული აზნაურის, სულითა და ხორცით ბანდიტის“, გვანჯი აფაქიძის განსჯის საგანია. რაც მთავარია, ტრილოგიაში არ არის გამომდღავებული მკვეთრი, საბჭოთა მწერლისათვის აუცილებელი ტენდენციურობა, რომელსაც ენგელსი დიდი რეალისტების დამახასიათებელ ნიშნად სთვლიდა. უარყოფითი და დადებითი პირების დაპირისპირებაში არ არის



დაცული ადგილისა და მოქმედების პროპორცია, სიუჟეტური ზედაფენითი წონა.

ტრილოგიაში ყოველი უარყოფითი ტიპი თუ ხასიათი დამთავრებულია. დიდი ვიზიონერული ძაღლია და სრულყოფილი მხატვრული აქსესუარებით არიან დახატულნი ლანდალ ქვეული თავადები: ნოსრევან ფარჯანანი თუ გახუნებული მეფის გენერალი, ახლა კი მებორანე; ბანდიტები; გაკორტებული ახანური გვანჯი აფაქიძე თუ მისი სიძე ჯოტი გვასალია; გამოჩერებულნი ხუცესი ბაბუა ტარიელი თუ შულუ ლუკაია; პატრიარქალური ქორა მახვში თუ გაბორტებული ლომიკე ესეანჯია. ვასოცარი ფერწერითი ოსტატობით არის გამოხატული ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრებული ტარიელ ხუცესი, ასევე ვასოცარი მხატვრული აღლოთი არის დახატული ლენჩი ლუკიას პორტრეტი.

იგივე არ ითქმის ახალი ყოფის ადამიანებზე. როსტომ ლიჩხელის, ჩალაშაშის თუ სხვათა ხასიათები მეტისმეტად ესკიზურია და სქემატურია. რასაკვირველია, არ შეიძლება ვიდრე თიხაზე, რომ ახალი ადამიანების, საბჭოთა ადამიანების გამოვლენება, მათი მორალური და სულიერი სიმადლის ტიპიზაცია გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე კლასიკური მწერლობის მიერ ათასი გზით და მრავალი ვარიაციებით წარმოდგენილი ზედმეტი ადამიანების ხასიათებისა. საბჭოთა მწერლის უპირველესი ამოცანაა ჩვენი ეპოქის ადამიანების, ძველი ქართული მწერლობისათვის უცნობი ახალი ადამიანების გამოკვეთა და გამოქსახვა, მათი ტიპური მდგომარეობა და პერსპექტივაში ჩვენება. სწორედ ამ ამოცანებს აყენებს პარტია მწერლობის წინაშე. საბჭოთა მწერლისაგან, უპირველესად ყოვლისა, მოითხოვენ ისეთ წიგნებს, რომელშიაც მკაფიოდ იქნება ნაჩვენები მხნე, თავის საქმეში დარწმუნებული, მტკიცე, მაღალი სულიერი ღირსების მქონე საბჭოთა ადამიანის სახე.

რასაკვირველია, ამ მხრივ არზაყანს აკლია ფერები და საღებავები, რომ ტიპური წარმომადგენელი იყოს საბჭოთა ახალგაზრდობისა. ეს რომანი მეტად საინტერესოა წერის ოსტატობის თვალსაზრისით.

ტრილოგია დაძაბულად, მამისა და შვილის კონფლიქტით იწყება, ვითარდება ენგურის ტალღებთან შეჯიბრებით და შემდეგ მიემართება პერსონაჟების კონფლიქტის გზით. აქ კ. გამსახურდია ქემარტი ოსტატად ვეველინება. რომანის ამ ცოცხალ სიმძაფრეს ერთგვარად ანელებს თარაშ ეშმეგარის გაქიანურებული და არეული დღიურები. საზოგადოდ, რომანის ძირითადი სიუჟეტური რაკლი ერთგვარად გადატვირთულია წვრილმანებით, მეორეხარისხოვანი მოვლენებით. კ. გამსახურდია სწორად ათქმევინებს რომანის გმირს გვანჯე აფაქიძეს: „უკ, არა

ღირს, ბიძი; ჩემი ცხოვრების უკუღმართი სულ რომ ვიამბო, არც ერთ წიგნში არ დავტყევა“. ამ წერს. ანუ თვითონ ავტორი არ იცავს მკაცრად მაგისს.

რომანის არტიკულტონიკა, სიუჟეტის განვითარების ხერხი და მთელი მხატვრული აქსესუარი ბევრ საინტერესო საკითხს აყენებს ლიტერატურის თეორიის თვალსაზრისით. რომანი მდიდარია შესანიშნავი პოეტური საღებავებით დახატული პეიზაჟებით. „მოთვარემ გადაათვაკველებს და მერე წამოვიდა შავი ზღვით ნასუნთქი ღრუბლები, შემოუარა, შემოველო, ზედ გადაფოფრა მთვარეს, როგორც ბოლოგაშლილი ფარშევანი თავის ნამლევს“. ძნელია წარმოვიდგინოთ სენაენის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და საზოგადოდ ზღვისპირა ბარის პეიზაჟების უფრო ბრწყინვალე სურათები, ვიდრე ეს კ. გამსახურდიას ტრილოგიაშია დახატული: „და ეს საღამოც ისეთი ნაზი და მშვიდი იყო, ისე ტუბილი და აუმღვრეველი, როგორც არა ერთთა ზოლმე ზღვისპირა ქვეყნების გამოხედავულზე, როცა ნახამთრალი მიწა მზეს შეეფიცებდა, ბუნებას საოცრად ზანტი ზმორება აიტანს და მწვანე გადმოსკდება ბუჩქებით, ყლორტების და ხეების კლარტოებიდან... ზღვა უღრტენიველად თვლემდა. ასე ეგონებოდა კაცს, ზღვა კი არა, ველი არისო, მოლიბრო ჯეჯილით მოსილი. დასავლეთით ფრთაგაშლილ ქერუბიმებსავით ეთეროვანი ღრუბლები უმოძრაოდ ეკიდნენ სფეროში და ცის შუა გულიდან მოყოლებული სამხრეთისაკენ, შორს, ვიდრემდის თვალი მიწვდებოდა, გაქიმულიყო თუთარ ეტრატასავით წაგრაგნილი ღრუბელი თხელი, გამკვირვალე და მთვარისაგან გაბრწყინებული. მხოლოდ ჩრდილოეთისაკენ ზღვასა და ცას შორის გახილულიყო ორფრთიანი მრუფე, რომელსაც ისე საოცრად ეტყობოდა ადამიანური ფორმა თავისა, ასე იტყობდა, უზარმაზარი ირიბფრთებიანი სატანა გახართლად ზღვასა და ცას შორის“... ასეთი ფერწერითი სურათები უხვავა რომანში.

კ. გამსახურდიამ იდეური და მხატვრული მოქმედების მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა გაიარა. მოქმედებითი ევოლუციის ამ გზაზე პირველი ნაწარმოები, რომელიც მას საბჭოთა მწერლობისაკენ ეზიდებოდა და მტკიცედ ამავრებდა მის პოზიციებზე, უთუოდ ეს ტრილოგიაა.

კ. გამსახურდია ერთგვან წერს: „მე ისეთი უკიდურესი ესთეტიკური პედონისტური იდეებით ვიყავი გატაცებული, საბჭოთა საქართველოს ფარგლების გარეშე რომ დავრჩენილიყავი, ჩემთვის უთუოდ მიუწვედომელი იქნებოდა დიდ

შემოქმედებასთან წილნაყარობა“. ჩვენ უნდა დავეთანხმეთ ავტორის ამ სიტყვებს.

კ. გამსახურდია „მთვარის მოტაცების“ შემდეგ, მწერლის შემოქმედების მთავარ პრინციპად თანამედროვეობის ასახვას აყენებდა. როგორც თვითონ აცხადებდა, მისი შემოქმედების „დიდი ბარიერი“ ახალი ადამიანის პრობლემა იყო. 1936 წელს იგი წერდა: „უემპელოია, ისტორიული რომანი საერთოდ მეორეხარისხოვანი ამბავია, არასოდეს ისტორიული რომანი არ ყოფილა წამყვანი ქანარი. არც სტენდალი, არც ბალზატი, არც დოსტოევსკი ცნობილი არ ყოფილან როგორც ისტორიული რომანის ავტორები... წამყვანი რომანი თანამედროვე მასალაზე აგებული რომანია“, და შემდეგ ის უსაყვედურებდა თავის კოლეგებს: „ნაწილი აქტიური მწერლები ჩვენში პოპულარულ ისტორიულ თემებს და მათ დამუშავებას გადაჰყვა, მიიფიქეს თანამედროვე რომანის სიუჟეტისა და კომპოზიციის სიმძაფრისათვის ბრძოლა“. მაგრამ თვითონ კ. გამსახურდია „მთვარის მოტაცების“ შემდეგ სულ მალე თითქმის სავსებით გაიტაცა წარსულის, ისტორიული თემების ასახვამ. რასაკვირველია, ისტორიული თემა თავისთავად როდია უარსაყოფელი. ისტორიული წარსულის ადამიანთა გაცოცხლება, ისტორიული მოვლენების ტიპური დახასიათება და ამ მოვლენების შევსება გამოვლილი ლიტერატურული პერსონაჟებით, სახეებითა და ფსიქოლოგიით საკმაოდ რთული საქმეა. აქ საჭიროა დიდი ცოდნა როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურული წყაროებისა. საჭიროა მწერლის ძლიერი ფანტაზია და მხატვრული ალღო. ყოველივე ამის გამო ისტორიულ თემაზე მუშაობა ხელწამოსაკრავი საქმე როდია, მაგრამ ისტორიული თემატიკით გატაცება არ უნდა ემთხვეოდეს თანამედროვეობისგან განდგომას და თანამედროვეობის მიეიწყებას. აქ მთელი სიმწვავეით დგას საკითხი ერთგვარი პრობოროციისა. ყოველი დიდი თანამედროვე მწერალი თავისი ეპოქის, თანამედროვეობის ამსახველია, უბირველესად ყოვლისა, მაშინაც კი, როცა ისტორიულ თემას ჰკიდებს ხელს; ამ თემის დამუშავებაში მთელი სიხადით უნდა მჭიდვდებოდეს თანამედროვე მწერლის სული და დამოკიდებულება ისტორიული მასალისადმი.

კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებს შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს უადრესად საინტერესო რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. იგი ჩვენი ხალხის მეტად საინტერესო პერიოდს ეხება. ეს არის X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დასაწყისის პერიოდი, საქართველოს გაერთიანების პირველი წლების პერიოდი. ბაგრატ მეფემ თავისი შორისმკერტელი პოლი-

ტიკის წყალობით მოახერხა მკვიდრე, მკვიდრე-ლი ჩაყარა საქართველოს გაერთიანებისათვის<sup>1</sup>. მისი საქმე ღირსეულად განაგრძო ბაგრატ III-ის შვილმა, საქართველოს სახელოვანმა მეფემ გიორგი I-მა. რომანის ცენტრალურ ფიგურას სწორედ გიორგი I წარმოადგენს. რომანი მიზნად ისახავს ასახოს გიორგი I-ლის მეფობის ხანა და მისი სახელოვანი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

კ. გამსახურდია „დიდოსტატის მარჯვენაში“ სწორად შენიშნავს იმ შინაგან წინააღმდეგობას, იმ ძლიერ ვითარებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გიორგი მეფესა და სამთავროთა თვენება მფლობელებს შორის. მწერალი რომანის დასაწყისიდანვე მთლიანად ხდის ფარდას ფეოდალური სახელმწიფოებრივი იერარქიის ამ მწვევარ საკითხს. გიორგი მეფის ბრძოლა მამამუხერისათვის, თალაკვა კოლონკელიძის, ტოხაისძისა თუ კიანავის წინააღმდეგ, უბირველეს ყოვლისა, არის ბრძოლა ერთიანი საქართველოს მედროვე შექმნა და საქართველოს დანაწევრებისათვის მებრძოლ თავენება თავადებს შორის. მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს — გიორგი მეფეს არ უყვარდა მომქმეთა სისხლის ღვრა, შინაური ომი სძადაო. „ომი დიხავა ენატებოდა, მაგრამ არა შინაური, არამედ გარეშე მტერთან. შინაური ომები სძადა ეამის დღესათი მეფეს“. ამიტომ ხშირად, ვიდრე თვითონ, ტანიაშოს ვადაცმული, არ დარწმუნდებოდა „მომქმეთა“ (ერისთავთა) ღალატში, მანამ არ აღმართავდა მახელოს შინაური მტრების წინააღმდეგ. რომანში ბევრგანაა ნაჩვენები გიორგი I, როგორც ხალხისთვის თავდადებული, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მეფე. „ბასილ კეისარს უნდა, — ამბობს გიორგი, — ერთმორწმუნე საქართველო სომხების დარად ვადასანსლოს როგორმე. სანამდი პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძალთაპირი ბასილ კეისარი“. გიორგი დაუნდობელია და მრისხნე მტრების მიმართ. აი როგორ იგონებს ტოხაისძე მეფის საქციელს მტრების მიმართ: „განა არ ვახსოვს, ერისთავთ ერისთავო, ხურსი აბულერი სარკინოზეთთან რომ გაეჭვა მეფეს, ციხე წარუღო, ხურსის ვაჟების ძელები ამოსთხარა აბულეთელთა სძაქვალდნი, ღორსა და ძაღლს აორქვინა“. ამიტომ მამამუხე ერისთავსა და ტოხაისძეს შიში და რიდი აქვთ გიორგი I-ისა, მაგრამ თან თავადური შურის გრძობა ამომრავებთ მათ. გიორგი მეფე ამ ფონზე ნაჩვენებია, როგორც ვაჟაკი, წინდახეული მეომარი, გულუმიშარი რაინდი. მაგრამ „დიდოსტატის მარჯვენაში“ გიორგი I-ის მეფობის პერიოდის ისტორიული ვითარების და თვით მეფის, რო-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორია“, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, გვ. 148 — 151.





გორც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწის, თანმიმდევრულად დახასიათებას არა აქვს დათმობილი პროპორციულად იმდენი ყურადღება, რამდენიც გიორგი I-ის უიმედო ტრფობას ერისთავ კოლონკელიძის ასულის პირმშვენიერი შორენასადმი. ამ სამიჯნურო ქარგავზე იშლება რომანის სიუჟეტი. ამიტომ ხშირად გიორგი I-ის მთელი მოქმედება, იქნება ეს მეამბოხე ჭიბურძის ვერაგული მოკვლა თუ წარმართი კოლონკელიძის მიერ ხატების შემუსვრა და ამის ვაშო მისთვის თვალბის დათხრა, უპირველესად ყოვლისა, გამოწვეულია შორენასადმი ტრფობით. „ზოგს ასე ჰგონია, კოლონკელიძის მიერ შემუსრული ხატების ბედი აწუხებდა გიორგის. ჭიბურძი რომ შორენას ირთავდა, ეს ახელებდა მეფეს“, — ასე ახასიათებს მეფის მოქმედებას ჭიბურძის ძუძუმტე შევევ ტოხაისძე. და ეს ხაზი ბოლომდე გასდევს რომანს. გიორგი I-ისა და შორენას დამოკიდებულებაში მეფე წარმოვიდგება როგორც გახელებული მიჯნური. აი როგორ ახასიათებს მას ტოხაისძე: „შარშანწინ მცხეთობაში ნახა შორენა პირველად. საესებით დაავიწყდა, რომ იგი მეფე იყო და თავდაპირა მარლებდა. კათოლიკოსთა დედოფალი ტარბულს შეატოვა, ყმაწვილივით ავეციდა მე და ჭიბურძს. როცა წამოვივლა დავპირებ, შორენას მიეპრა, ცხენზე ასვლაში უშველა თავათ, საწმერთულის ტოტი აუწია და აკოცა წვიზე“. შემდეგ საქმრო მოუტულა, თვალზე დასთხარა მამას და სახლში წამოიყვანა მიჯნური, როგორც ტყვე. ცხენში ჩამწყვდია ქალი და სპეტაი შორენა მეფის სიძვის დიაცად მიიწათლა ხალხის თვალში. მწერალი გიორგი I-ს ეროტიკული, დაუოკებელი ვნებებით გვიხატავს.

ფხოვში მიმავალი მეფე და გირშელი ასე მსჯელობენ:

„ლამაზებიც არიან შიგადაშიგ, — ეუბნება ხმადაბლა ველისციხის პატრონს გიორგი. — აბა დააკვირე ქარაფის პირად მიმავალთ, აშოლტლი ვგოვონება ისინი. მე დავიანხე ჯერ კიდევ მაშინ, როცა მთავარ გზაზე გადმოუხვიეს...“

„ცხენები ააჩქარეს, გაუსწორდნენ მეწინავეთა. შეფარვით უჭკურეტდნენ ეს დიაცები თორისან რაინდებს, შესწითლებოდით დასიცხული ლოყები. უთვალთვალდებდნენ დასიცხული მეფე და ერისთავი სიმრგვლისა და სირბილის ტოკვას ძაბით შეფარებულს, განიერი თეძოების რყევას...“

„გიორგი კვლავ გადმოიხარა ცხენიდან, გირშელი ეუბნება ჩურჩულთ:

„ეინ დასწყევლაო ეს მშვენიერი დიაცები, მუდამ მგლოვიარენი იყვნენ, ჭკნობას შეუნახონ მშვენიება, რათა ერთ დღეს მოვიდეს სიკვდილი და ისე მოიმკას ისინი, რომ ერთხელ

მაინც არაინი იგემოს მათი მშვენიერი სხეულები სიმწიფე“.

და შემდეგ: „სიცხისაგან შექარხლული გირშელი გოგონებული იჯდა უნაგირზე, მაინც უთვალთვალბდა ფეხსმეველა დიაცებს. განზრახ ჩამორჩებოდნენ მეფე და ერისთავი მხოვლებს, სტკებოდნენ მრუში ამბების მოყოლითა და ბილწისიტყვაობით“.

ასეთი ეროტული დიალოგი იმართება მეფესა და გირშელს შორის იმ დროს, როდესაც ორი საერისთავო განდგომილა და ისეთ სახიფათო ექსპედიციებს აწყობენ, რომელიც შეიძლება ტრაგიკულად დამთავრდეს მთელი საქართველოსათვის. ასეა დახატული გიორგი I, რომელსაც მეფემთან იხსენიებს „როგორც ყოვლითა სიყვითათა საესეს“ და რომელსაც გარდაცვალებისას „იგლოვდა ყოველი სიჭაბუკისა და სიყეთისა და აღფრთოვანებისა მისთვის“.

გიორგი მეფეს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, თითქოს ჩრდილს აყენებს გადაჭარბებული ენებიანობა და ავადმყოფური საქციელი. მაგრამ თვით ურთიერთობა შორენასა და მეფეს შორის და მეფის სიყვარული შორენასადმი მწვავე დრამატული კოლიზიებით დაგვიხატა მწერალმა. შორენასადმი სიყვარული მეფის ჩვეულებრივი სიმრუშისაგან უთუოდ განსხვავდება. თავდავიწყებით უყვარს მეფეს პირმშვენიერი შორენა. რაც უფრო მიუწვდომელია ეს სიყვარული, მით უფრო ახლებს მეფეს იგი. „შესტკეპროდა თეთრად მოქათქათე ხილნარს. სიყვარული, ღვინო და ყვავილთა სურნელება შემოგზნებოდა გულზე.“

„კიდევ შეხედა სასახლის სარკმლებს. „დააწმუნდა, ჩამოსულა შორენა, რადგანაც ისეთი მაღალი იყო, ვარსკვლავებიც ზნაზდ ნაზადნენ იისფერ წამწამებს... ოცნებასა და ზმანებას გაებანგა ქვეყანა სრულად“.

გიორგი თავბრუდახვეულია შორენას ტრფობით. „როცა გიორგი მეფე მანდილოსნებს მიეახლა, შორენამ თავი აიღო. განსაკვირებელმა სილამაზემ შეანათა სახეში, ელდა ეცა გიორგის. მას არასოდეს ენახა ძაძას, მწუხარებასა და უბრალო სამოსის ასე გაემშვენიერებინოს ქალი... არამიწიერი მშვენიებით ბრწყინავდა იგი. ამ წუთში გაცილებით უფრო მშვენიერი იყო იგი, ვიდრე სამი წლის წინათ, როცა პირველად ხატობის დროს ნახა მცხეთაში ფხოურ ტანისამოსში მორთული, ამორძალივით მოჯირითე რაინდთა შორის“. შორენას სიყვარულისაგან გახლებული მეფე გადასწყვეტს გაეყაროს თავისი კანონიერი ცოლს და პირმშვენიერი შორენა შეირთოს. მაგრამ ეს მეტისმეტად ძნელი ამოცანაა. გიორგის წინ უდგას მელიქსედემ კათალიკოსი, დედოფალი მარიაში და სამეფო კარის





ინტრიგები. ამ მიმდე ხლართში იქმნება მიმდე სულიერი, ტრაგიკული სამიჯნურო თავდადასავალი მეფისა. შორენას სიყვარულით გახელეზულმა მეფემ ჭიაბერის სიკვდილით და თალაკვა კოლონელებიხისათვის თვალების დოხბრით მიზანს ვერ მიადღწია. მელოქსედემ კათალიკოსი მოითხოვს, შორენას ვისმე მიათხოვონ ან მონაზუნად შედგეს იგი. ამის შიშით შეპრწყუნებული მეფე გადასწყვეტს, მკვიდრ ბიძაშვილს გირშელს დაანიშნინოს ქალი და ამით გადაარჩინოს მონაზუნობას. ესეც იმიტომ განიზრახა, რომ ქალი არ დაეკარგა. შემდეგ გირშელის ჩამოცილება სცადა და ამასაც მიადღწია. გირშელის ჩამოცილების შემდეგ მეფეს ახალი მეტოქე გაუჩნდა არსაკიძის სახით, რომელსაც შორენასთან ტრფობის გამო ფარსმან სპარსის ჩაგონებით მეფემ მარჯვენა მოკვითა. და როდესაც ვერც ამ გზით მიადღწია მიზანს, საბოლოოდ განაწამებდა და სასომხიდილი, უზომოდ გამიჯნურებული მეფე სატრფოს ზაგინეთის მონასტერში მონაზუნად აღკვეთავს. მშვენიერი შორენა თვითმკვლელობით ათავებს სიცოცხლეს, მეფე კი გადაიკარგება და იღუპება.

რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი წარმართობისა და ქრისტიანობის ბრძოლის ეპიზოდებს. ხშირად გიორგი I ქრისტიანობაზე რწმენაშერყვეული და წარმართული იდეების მომხრე მეფის როლია, თუმცა ხშირადვე ქრისტიანული რწმენის შიში ძლიერ წამოყოფს ხოლმე თავს მეფის გულში. ჭიაბერის სიკვდილმა მეფეც დააეჭვა: „ვაი თუ ფარსმანს თვინოს არც კი ემოქმედოს და მართლაც ძვლისცხოველს მოეკლას ჭიაბერიო“. ოლთისში შემთხვევით დამწვარი „უფლის სახლიც“ მოსვენებას არ აძლევს გიორგის. „კავკასიის წოწოლა მწვერვალზე ცეცხლშემოგზნებული ეკლესია დგას, ვუმბათამდის მისწვდენია ხანძარი...“ შეპრწყუნდა გიორგი, მუხლი მოეჭრა, საფეთქლებიდან ოფლი გადმოსდიოდა. თვალს მოიფშენეტს, კვლავ გასცქერის მოსს. ლალაბებს ცამდე მწვდენი კოცონი, იწყის „უფლის სახლი“ ისე, როგორც იმ საღამოს ოლთისში“. ასეთი სურათი ელანდება ურწმუნო მეფეს. თუ, ერთის მხრით, მას ეჭვი შეაქვს „უფლის სახლის“ ძალაში და ამბობს: „ჰო, რა ვუწყით, თუ რა არს კონცხსა მას, ან რას ვცემთ თავყვასო“, მეორე მხრივ იგი, შიშით შეპყრობილი წმიდა გიორგის ხატის „გაპარვით“, უხმობს ეზოს-მოძღვარს და მთელი ღამე აკითხვინებს ფსალმუნს. ასეთი მერყევი ხასიათისაა გიორგი მეფე, გამსახურდაის მიერ დახატული. საერთოდ რომანში წინ არის წამოწყებული წარმართობასა და ქრისტიანობას შორის ბრძოლა და სამთავროთა უთანხმოების მიზეზიც ამ ფონზე იშლება ხშირად.

„დიდოსტატის მარჯვენა“ მდლარია მრავალ-

ფეროვანი, მხატვრულად სრულყოფილი და უკიდებელი სახის მქონე პერსონაჟების მრავალრიანი ძლიერი საღებავებით ხატავს გიორგი მეფის, მამამზე ერისთავის, შორენას, მელოქსედემ კათალიკოსის, ფარსმან სპარსის, კონსტანტინე არსაკიძის ხასიათებს და სახეებს. კონსტანტინე არსაკიძის და გიორგი მეფის შეიღვე მხატვრული საღებავებით ყველაზე უფრო სრულყოფილი სახე მაინც ფარსმან სპარსია.

ფარსმან სპარსის წარსული ბნელით და საიდუმლოებითაა მოცული. გიორგის მამას, ბაგრატ კუროპალატს ტყვედ ჩამოგუსამანა იგი. ქვისთლელთა და კირითხუროთა უხუცესი და იღუმალთა მიმთხრობი იყო ფარსმანი. არაბულ აღქმიაში ფრიად განსწავლული, უებარი ვარსკვლავთმრიცხველი, შესანიშნავი ექიმი, უცნაური მეწამელ და მხნბავი. ფრიად ბნელ ამბებს უკავშირებდნენ მის სახელს. არავენი იცობდა დაბეჯითებით მართლა სპარსი იყო იგი, სარკინოზი თუ ბერძენი. ყოველი ენა, ყოველგვარი ჯუროს კანონი ზღმნიწვენით იცოდა: ქართული, არაბული, თურქული, ირანული და ბერძნული. ეს წარმართი „45 წლის კაცი მონათვლინა მელოქსედემქა“. შემდეგ რომანში მისი ნამდვილი ვინაობა ირკვევა: ბავშვობისას იგი თუხარისის ციხის ჩარბახებზე მტარედებს დასდევდა, 16 წლის უკვე შესანიშნავი მხედარი და მეომარი იყო. ბაგრატ კუროპალატთან ურჩობისათვის ფარსმანის მამა ჩორჩანელი ოჯახიანად ბიზანტიაში გაიხიზნა. ტყვეობაში ფარსმანმა რამდენიმე ქვეყანა შემოიარა, სუფიების მოძრაობამ გაიტაცა, მერე ისევ ხელოვნების საქმეს მოკიდა ხელი და კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა. ახლა, თავის სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილი, ურჯულად, უთვისტომოდ იღუპება თვისტომთა შორის. მართალია, მეფემ გადაარჩინა სიკვდილს, მაგრამ მას გააჯიბრა ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკისძე, რომლის გეგმით დაიწყო სვეტიცხოვლის ტაძრის აგება.

ფარსმანის თანამდებობა ახლა კონსტანტინე არსაკისძის ებოძა. არსაკიძე გრძობდა, მეფემ და კათალიკოსმა უდიდეს ოსტატს რომ შეარჩინეს იგი. მოხუცებულ ბრძენ კაცს უნდა მისებოდდა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი. მის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი, ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში. ამ ნიადაგზე რომანში ძლიერ დრამატული კვანძი იქმნება. ამ კვანძს ქმნის ფარსმან სპარსისა და კონსტანტინე არსაკიძის ურთიერთობა. ამ ურთიერთობაში კონსტანტინე არსაკიძე იმარჯვებს როგორც დიდი ხელოვანი და შემოქმედი. მაგრამ იგი იღუპება ფარსმან სპარსის ვერავული დაბეზლებით.

კონსტანტინე არსაკიძე მეტად ორიგინალური სახეა გამსახურდაის შემოქმედებაში. ის არ



ჰვავს მისი ნოველებისა და „დიონისოს ღიმილის“ ნიადაგამოცლილ, რწმუნადეარგულ, ლანდალ ქსეულ ადამიანთა სახეებს. კონსტანტინე არსაკიძე ავტორმა დაგვიხატა, როგორც ნამდვილი და ჭეშმარიტი ხელოვანი, რომელიც მზად არის არა თუ სიცოცხლე, არამედ სიყვარულიც კი ხელოვნებას ანაცვალოს. მან იცის, რომ ხელოვანი თავისი მოქმედებით დიად და უკვდავ იდებს, ხალხს, სამშობლოს ემსახურება, „და თავად უნდა გახდეს შემომქმედი უფლის მეტოქე“. ეს იდეა გამოხატა კიდევ ტროლზე, სადაც დახატა იაკობის შერკინება ღმერთთან. არსაკიძე ხელოვნებას ყველაფერზე მალა აყენებს. და აი, როდესაც მის წინაშე ისმება საკითხი — სვეტიცხოველი თუ შორენა, ის გადაჭრით სვეტიცხოველს, ხელოვნების ძეგლს უთმობს პირველობას. „სვეტიცხოველი თუ შორენა? — ორივენი ერთსა და იმავეს მოითხოვენ მისგან: სიცოცხლეს. ვანა მარტო სიცოცხლეს მოითხოვდა ქალი? ვაქაცუბრი სიტყვის გატეხას, პატიონსებას და ოსტატობის ნაყოფს უძიერადესს.

„მხოლოდ ახლა ეკითხებოდა იღუმალ თავის თავს:

„ხომ არ ეწადა, წვიმას არ გადაეღო, შორენა არ მოსულიყო, არ მოსულიყო არც დღეს, არც ხვალ და არც არასოდეს, არც არაფერი ეთქვა მისთვის იმ „მეორე გზის გამო?“

„ხედავდა არსაკიძე, ეს გზა უკვე უიმედო იყო, როგორც შორენას წინაშე მდებარე ყოველი გზა“.

მიუხედავად ამისა, არსაკიძეს თავდადებით უყვარს შორენა. შორენას გულიც არსაკიძეს დაედნო. მხოლოდ მასში მონახა ქალმა გულწრფელი მიჯნური. არსაკიძემ იცის, რომ სიყვარული უძლიერესი გრძნობაა. „ან თუ ღმერთთა საღმე ამ ქვეყნად, სიყვარულია, ალბათ, ის ღმერთიც... სიყვარული თავად ღმერთთა ამ ქვეყანაზე“. კონსტანტინე გამსახურდიას არსად ისე გულწრფელად, ისე წმინდად, ისე ძლიერით რომანტიკული ფერებით არ დაუხატავს ქალ-ვაჟის სიყვარული, როგორც ამ რომანში კონსტანტინე არსაკიძისა და შორენას სიყვარული. არსაკიძე გულწრფელად ამბობს: „თუ სიყვარული ღმერთი ყოფილა, შენ ხარ ჩემი სიყვარული და ღმერთი თავად. ამიტომაც გიგულგბდი თანამდგომად მარტო ბრძოლაში“. მიუხედავად ამისა, როდესაც დადგება კითხვა — რომელი უფრო უყვარს შემოქმედ არსაკიძეს: სვეტიცხოველი თუ ქალი, ის გადაწყვეტს უპირატესობას სვეტიცხოველს აკუთვნებს. ამიტომ გულწრფელია არსაკიძის სიტყვები: „მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემეყვარებია, ჩემო. ამიტომაც ვაწიერებ მანქს თავი“. არსაკიძე სწორად მსჯელობს: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალოზობილისა, შრომა უდიდესი

სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენიერებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამსახურდიას ნილი სიმაძიე. უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება... ხელოვნება თავად უკვდავი... მხოლოდ ოსტატ ვერ დაწვევა სიკვდილი“. ასეთივე წლები წაღეკავე ირგოლე ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი. არსაკიძის აზრით, თუ გინდა დაფსადეს შენი ნამოქმედარი, ის ხალხს უნდა აჩუქო.

კ. გამსახურდიამ დაბლა ფენიდან გამოსული კონსტანტინე არსაკიძის სახით მოწინავე აზრების ადამიანი დაგვიხატა. არსაკიძემ მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ჩააქსოვა უდიდესი სიყვარულით აგებულ სვეტიცხოვლის ტაძარს და იაკობის ღმერთთან შერკინების მხატვრულ სურათს. მწერალმა დიდი ხელოვანი დახატა როგორც შრომისმოყვარე და ხალხის სიყვარულით შთაგონებული გმირი. ამიტომაც არსებობდა რომანის ცენტრალურ ფიგურას ყველაზე მეტად კონსტანტინე არსაკიძე წარმოადგენს. რომანის მთავარი გმირი არსაკიძეა, ხალხური თქმულებაც ამაზე მიუთითებს და სათაურიც რომანისა. მწერალი სწორად შენიშნავს, რომ ჭეშმარიტი შემოქმედისთვის ფეოდალიზმის შავიხელი ეპოქა სრულიად შესუსტებია ნიადაგი იყო. ამიტომაც ფეოდალიზმის, სამეფის-კარო ინტრიგის მსხვერპლი გახდა სვეტიცხოვლის უბადლო ოსტატიც. მწერალმა ძლიერად გამოკვეთა უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული დიდი შემოქმედის — არსაკიძის სახე, რითაც ისტორიულ რომანს უაღრესად თანადროული ქღერა მისცა.

ასევე საინტერესოაა დახატული შორენა. შორენა მეტად საინტერესო ტიპია ქართველი ქალისა. ქალური სათნოებე, გმირული და ვაჟკაცული სული, პატრიოტული გრძნობა და გულწრფელი მიჯნურობა — ყველა ეს თვისება შორენასი დიდი ოსტატობით და ტაქტით დაგვიხატა მწერალმა. კ. გამსახურდიას გმირ ქალთა შორის შორენა ყველაზე უფრო მაღლა დგას თავისი მორალური სახითა და კდემამოსილებით.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ავტორი, ბრწყინვალე პეიზაჟურ სურათებთან ერთად, ამდიდრებს რომანს აქსესუარის მრავალფეროვნებით, ყოფითი დეტალებით: ძველი ადამ-ჩვეულებებისა და წესების, საომარი მოქმედებისა და ციხე-ქალაქების აღწერით, რითაც აღწევს ამ პერიოდის ისტორიული კოლორიტის მოცემას. საზოგადო ისტორიულ თემებზე დაწერილი რომანების შორის „დიდოსტატის მარჯვენა“ ერთერთი პირველთაგანია თავისი მხატვრული სრულყოფითა და პოეტური ოსტატობის ძალით.



უკანასკნელი 20 წელიწადი კ. გამსახურდიამ — ამ პირველხარისხოვანმა ოსტატმა — ისტორიულ თემაზე მუშაობას მიწოდებდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს წლები არ იყო შემოქმედებითი ნაყოფიერების წლები. მან ამ ხნის განმავლობაში ზედხედ გამოაქვეყნა „ღვთის აღმშენებლის“ სამი წიგნი და მეთხუთსეულის დიდი ნაწილი. ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს დიდი ისტორიული მოვლენებით და მღვდლურად ადამიანური ხასიათებით მდიდარი ეს სამი ვრცელი წიგნი, რომლებმაც ერთხელ კიდევ გამოავლინეს ის დიდი შემოქმედებითი ბოტენცია და დაუღალავი, ჩვენ ვიტყვით, ტიტანური შემოქმედებითი შრომა, რომელსაც კ. გამსახურდიამ ეწევა როგორც შემოქმედი. ვინაიდან „ღვთის აღმშენებელი“ ჯერ დაუშთავრებელია, ვერ მივცემთ ჩვენ თავს უფლებას ამ მრავალკარიანი რომანის შესახებ ჩვენ ახრი გამოეთქვათ.

ამჟამად ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება შევანეროთ მის ახალ რომანზე „ვაზის ყვავილობა“. ამ რომანით, სადაც თანამედროვე სოფლის ცხოვრება ასახულია, კ. გამსახურდიამ კვლავ თანამედროვეობის თემას მიუბრუნდა. თანამედროვეობის თემა ცენტრალური საკითხი იყო კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. პირველ წლებში ამ თემატიკის გადაწყვეტაში ბევრი რამ იყო სადავო და საკამათო, და ეს იმას ადასტურებს, რომ თავისთავად თანამედროვეობის თემატიკა როდღი წინაშეს, რომ ის ყოველთვის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სასარგებლოდ მუშაობს, ასე იყო გამსახურდიას აღრინდელ ნაწარმოებებშიც. თანამედროვეობის ამ თემატიკაში, მის გადაწყვეტაში ბევრი რამ იყო სადავო და საკამათო და ქართული კრიტიკა წლების განმავლობაში სამართლიანად ედავებოდა კ. გამსახურდიას, ეკამათებოდა ამავე დროს სიყვარულითა და იმ შეგნებით, რომ ეს დიდი ოსტატი ქართული სიტყვისა საბჭოთა სინამდვილის, მისი ადამიანების სულიერი ცხოვრების მხატვრად გამხდარიყო;

ვიც. კ. გამსახურდიას შემოქმედების გზას დააკვირდებამ, ადვილად შეამჩნევს, რომ თანამედროვეობის თემაზე დაწერილი მის სამ რომანს — „ღიონისოს ღიმილს“, „მთვარის მოტაცებას“ და „ვაზის ყვავილობას“ სამი სხვადასხვანაირი გადაწყვეტა, განსხვავებული მხატვრული პოზიცია და თანამედროვეობისადმი ამდენადვე განსხვავებული დამოკიდებულება აქვს. ამ ნაწარმოებების ანალიზით შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ის მხატვრული ევოლუცია, რომელიც გაიარა გამსახურდიამ, როგორც თანამედროვე მხატვარი. ამ მხრივ ამ რომანებს შორის ერთი საერთო ძაბვა სულ სხვადასხვანაირი გადაწყვეტას ბოულობს. თუ „ღიონისოს ღიმილში“ აშკარა იყო მოდერნისტული სკოლების ძლიერი გავლენა, მწერლის მცდარი და

საკამათო მხატვრული პოზიცია, მის შემოქმედების ოპოზიციური დამოკიდებულება თანამედროვეობასთან, „მთვარის მოტაცებაში“ კ. გამსახურდიამ სცადა გადაეხედა ამ მხატვრული პოზიციისათვის. აქ მწერალი უფრო ახლო მოვიდა თანამედროვეობასთან, მძაფრად გამოსახა ძველის, გარდასული კლასებისა და მათი სულიერი ცხოვრების გადმონაშთების მთელი ავლადილება. მას დაუბრუნებია ახალი სამყარო ახალი ადამიანებით. ამ მხრივ მწერალმა კონსტანტინე სავარსამიძის სულიერი მემკვიდრე თარაშ ემხვარა სხვა პლანით, სხვა მხატვრული პოზიციით გამოავისახა. ახალ ცხოვრებასთან კონფლიქტში იგი ილუპება, როგორც ზედმეტი ადამიანი. მაგრამ ერთგვარი თანაგრძნობა და სიბრალული ძველისადმი ამ რომანში ჯერ კიდევ გამოსჭვივოდა.

სულ სხვაგვარი დამოკიდებულებით გამოსახა ავტორმა ძველისა და ახლის ბრძოლა რომანში „ვაზის ყვავილობა“. კ. გამსახურდიამ მთელი გულწრფელობით უმღერა ახალ ადამიანებს, სოციალისტური ყოფის გმირებს. თუ დადებითი გმირების გამოსახვის თვალსაზრისით ერთგვარ პარალელს ვაგავლებთ „ვაზის ყვავილობასა“ და „მთვარის მოტაცებას“ შორის, ნათელი ვახდებოდა, რომ არზაყან ზემამბაის მოკბილე გოდერძი ელანიძე „ვაზის ყვავილობაში“ გამოხატულია როგორც ახალი სოციალისტური მშენებლობისა და ყოფის ადამიანი, თავდადებული მშრომელი, მოწინავე კოლმეურნი, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბოლოს სამამულო ომის ფრონტზე საარაკო მამაცობისა და გმირობის გამოჩენი, დიდი პატიოტი, უზადლო საბჭოთა ადამიანი; ხოლო „მთვარის მოტაცებაში“ ვაიყოვანი კოლმეურნე ქალის ძაბულის მკრთალ სახეს ამ რომანში ცვლის ნუნუ უჯირაულისა და სუსქია მინდელის — მოწინავე პატიოტი ქალების მაღალი მორალური სხეულის განსაკუთრებით საინტერესოთა ამ მხრივ უეჭრად — ერთგული სატრფო გოდერძისა, მოწინავე მშრომელი ქალი, ბრიგადირი, დიდი მორალური სისამართის განსაზღვრება, თავდადებული მებრძოლი ყოველგვარი ტრადიციულისა და ვარდასულის წინააღმდეგ. ეს მღვდლურად ვახე ქართული კოლმეურნე ქალისა დიდი სიმართლითა და მხატვრული სრულყოფილითაა გამოხატული. დაბოლოს, რომანის მთავარი გმირის პროფესიონალი კორინთელის სახით მწერალმა დახატა საბჭოთა სინამდვილესთან სიყვარულით დაკავშირებული დიდი სპეციალისტის სახე. ამ ადამიანის სულიერ სამყაროში მოქმენა ავტორმა ის დიდი გარდატეხა, ის გულწრფელი მოსვლა რევოლუციურ საქართველოსთან, რომელიც ასე ტიპიური და დამახასიათებელი იყო ყოველი პატიოსანი, რევოლუციამდელი გამოჩენილი ადამიანებისათვის.





კ. გამსახურდიამ ძველი თაობის ეს სახელმძღვანელო ადამიანი გვერდში ამოუყენა ჩვენს ეპოქაში ფორმირებულ ახალ ადამიანებს. ამ პატოსან ადამიანთა ცხოვრების საფუძველს თავდადებული შრომა და დღე-სამშობლოს ერთგულება განსაზღვრავს. შრომის ჰეროიკა, შრომის ჰიმნი, შრომის სიხარული არის ის დიდი პათოსი, რომლითაც ცოცხლობენ და მოქმედებენ რომანის პატრიოტი გმირები.

„ვაზის ყვავილობის“ უმთავრესი ღირსება იმაშია, რომ კ. გამსახურდიამ მთელი თავისი მხატვრული ძალით, მაღალ ვრუდიაციით და მოქალაქეობრივი შეგნებით გამოსახა ჩვენი ადამიანების შრომითი ბუნება, მათი თავდადება. მწერალმა რომანტიკულ ფერებში და სიღებში ამაღლებულად, განზოგადოებულად სიმბოლურად გამოასახა შრომა, როგორც ყოველი სიყვითის, დოვლათისა და ადამიანის პირადი ბედნიერების საფუძველიც და ატმოსფეროც. ყველაფერი ეს სიმბოლურად დაუკავშირა ბერძენებს, რაც იმას აღსატურებს, რომ შრომა მუდამ იყო ცხოვრების სიყვითის, საზოგადოების საფუძველი, ისტორიის განვითარების მამოძრავებელი ძალა, ხალხი კი — მისი მატარებელი. ამიტომაც ხალხმა, მხოლოდ შრომამღმა ხალხმა გადაარჩინა ჩვენი ერი და სამშობლო.

შრომა რომ ადამიანის ღირსებისა და სახელის საფუძველია, შრომა რომ ადამიანს აქეთილშობილებს, ამაღლებს და მის სახელს უკავშირებს ანიქებს — ეს ლიტერატოვი კ. გამსახურდიამ ჯერ კიდევ „დიდოსტაისის მარჯვენაში“ წამოაყენა კონსტანტინე არსაკიძის მონუმენტური სახით. „ვაზის ყვავილობაში“ ეს ლიტერატოვი უფრო მამფრად, ნათლად, ხაზგასმით ჩამოყალიბა მწერალმა. მის იციის, რომ ეხლა შრომა არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების, არამედ ადამიანის პირადი ბედნიერების საფუძველიცაა. თუ ფეოდალური ეპოქის გიმრმა, დღემა ხელოვანმა, ხალხის წრიდან გამოსულმა კონსტანტინე არსაკიძემ პირად ბედნიერებასთან წილი ვერ დაიღო, „ვაზის ყვავილობის“ გმირები — გოდერძი, ნუნუ და სხვები შრომით აღწევენ არა მარტო საზოგადოებრივი დოვლათის შექმნას, არამედ პირად ბედნიერებასაც. მწერალმა ამით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახალი ადამიანი ახალი საზოგადოების, ახალი ცხოვრების ბატონ-პატრონია და მის მიერ შექმნილი შრომის დოვლათი ამ საზოგადოებასაც ემსახურება და მის პირად ბედნიერებასაც. საზოგადოედ უნდა ვთქვათ, რომ კ. გამსახურდია მუდამ უარყოფითად კიდებოდა მუქთახორა პარაზიტებს. მაშინაც კი, როდესაც ის თავის ადრინდელ ნოველებში ხშირად ერთგვარი თანაგრძნობით გვიხატავდა ყოფილი თავადების, ყოფილი აზნაურების, ყოფილი კუ-

ლაკების — ამ ისტორიის მიერ განიარაღებულ ადამიანების ცხოვრებას — მწერალი დაუძრავლად ამხელდა მათს უსაქმურობას, მათს პარაზიტულ ცხოვრებას. ეს ისე ნათლად გასდევს მთელ მის შემოქმედებას, რომ არ შეიძლება ერთხელ კიდევ ხაზი არ გაუუსვათ ამ გარემოებას.

ამ რომანის დიდი ღირსება ისიც, რომ დადებითი გმირები სწორხაზობრივად, სქემატიურად არ არიან ნაჩვენები. გოდერძის, ნუნუს და სხვა მის დადებით გმირებს მრავალგვარი წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდებათ, რომ დაიკვან თავიანთი რწმენა, თავიანთი დიდი სიყვარული ახალი ცხოვრებისადმი, ახალი ადამიანების მოწინავე იღალეები. კ. გამსახურდიამ იციის, რომ ცხოვრებაში მუდამ იყო ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა ჩვენს დროშიც. ახალ, ნათელ ცხოვრებას თან სდევს ჩრდილად ძველის გადმონაშთი, ძველი ფსიქოლოგია. შრომისმოყვარე ახალ ადამიანებს დაუპირისპირა მწერალმა კულაური ფსიქოლოგიის გადმონაშთის ტიპური გამომხატველი აბრია უჯირაული, ხულიგანი შოფერი კანკე, სპეკულანტი და ხალხის მძარცველი კობერიძე, ძველი ტრადიციებით დაავადებული უკულმართი ადამიანები ქეთუა, მარუა, ცეროდენა და სხვები. ყოველ ამათგანს მან საკუთარი საღებავი და ფერი მოუტეხა. მწერალმა მათ გვერდში ამოუყენა განაჩეების უკანასკნელი ნაშეირნი, ბებერ ვერობასთან სულიერად დაკავშირებული სულნამცეკა ადამიანები, რომელთაც ნაფტალინის და შორის სუნი ასდით. მწერალმა დეიდა ვარას და მედიკო განაჩეს პარიზიდან ლუსიენ შარკუტიეს, ამ პარიზელი მეგასშისა და ვაქრის ქონების წილი აქ, კახეთში ჩამოტანილი ყუთებიდან ამოთავაგებინა, ეს ვარდერობი გამოაფენინა, — ამით გვაინიშნა, რომ არა მარტო ამ ნიეთებს, მის პატრონებსაც ნაფტალინისა და სიძველის სუნი ასდით. აქ მთავარი ის არის, რომ ავტორმა ყველა ეს უარყოფითი გმირი, ყველა ეს უქნარა და თავზეხვედებული ბანდიტი გამოხატა მკვეთრი პოზიციით, დაუზოგველად ამხილა ისინი, როგორც ჩვენი დროის, ჩვენი სისტემის ხორცმეტი.

კომპოზიციურად რომანი ორი პარალელური რომანული ხაზით ვითარდება: გოდერძის იღლინის უყვარსი თუში ქალი ნუნუ უჯირაული, პროფესორ კორინთელს პარიზიდან ჩამოჰყავს თავისი ცოლი მედიკო ვანაძე, რომელსაც თან მოჰყვება დედა ვარა. პარიზულ ფუქსიატურ ცხოვრებას შეჩვეული ეს ყოფილი თავანდიშოები ვერ ეგუებოდნენ ბერძენის შრომით სავსე ცხოვრებას, სინანული იპყრობთ, რად დეტოვით მილონური, სულითა და ხორციით მახინჯი ლუსიენ შარკუტიეო. ამ სინანულს უღვივებს მედიკოს კნინა ვარა, ანტისაბუქურად განწყო-





ბილი ქალი. მშრომელი, პატიოსანი პროფესორი კორინთელი მოკლებულია ოჯახურ ბედნიერებას. ამ გზაზე იგი ვადაყვება თავის სიპაბუცის დროინდელ მეგობარს, ექიმ ქალს სუსქია მინდელს, სტოვებს ვაჩნაძეების ოჯახს და სუსქია მინდელთან ერთად შრომით ცხოვრებას იწყება. მწერალმა ძლიერი მხატვრული ძალით დაგვიხატა კორინთელის ახლად მოპოვებული ოჯახური ბედნიერება, აღსავსე შრომითი ცხოვრების სიხარულით, ბრძოლით, თავდადებათ, მძლავრებით. მართალია, საბოლოოდ ორივენი იღუპებიან, მაგრამ იღუპებიან როგორც რაიონელი ახალი შრომითი ცხოვრებისა, ერთი როგორც ექიმი ქალი ინფექციასთან ბრძოლაში, მეორე როგორც აგრონომი-მეცნიერი ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში.

უფრო სხვა პაღით გამოხატა მწერალმა გოდერძი ელანიძისა და ნუნუ უჯირაულის ცხოვრება. ბრიგადირი გოდერძი ელანიძე აქტიულობითა და შეუპოვარი შრომით მიაბიძგებს სახელს და დიდებას, ბევრ ეტლულტსა და ზარბაზნებზე ზეგავლენას მოახდენს, ბოლის მას, როგორც მოწინავე, პატიოსან და თვალდაბულ მშრომელს, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩივენ. აქაც თავს ისახელებს, როგორც მოწინავე ადამიანი. მისი მეთაურობით არაშენდაველთის ზეგანზე ბერძულსთან, ახალშენი იმართება. იქ თუშები, ხევსურები და რაჭველები სახლდებიან. ომის მძიმე დღეებშიაც ბერძულსა და გველთის ვახნარის შესანარჩუნებლად ენერგიულად იბრძვიან ელანიძის კოლმეურნეობის წევრები. ფაქსიტე ურჯულები კავკასიის მისადგომებს უახლოვდებიან. გოდერძი ომის ფრონტს მიაშურებს. მან აქაც თავი ისახელა, საშობლოს შესწირა ყველაფერი, რაც გააჩნდა. გოდერძი დაღუპულად ჩათვალეს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბერძულხაში ჩამოდის თავისი მახლობლებისა და მეგობრების მიერ უკვე გამოგლოვილი. მარჯვენა ხელზე მხოლოდ საჩვენებელი თითი შერჩენია, საშინელ ბრძოლებში ნაგებოლის მეთყველბა დაუკარგავს. ასეთია მისი შრომითი და ფრონტული საბრძოლო გზა. ასეთივე სახელოვანი გზა გაიარა ნუნუ უჯირაულმა. ეს ბრიგადირი ქალი გულთბილად შეიყვარებს მოწინავე კოლმეურნეობის მეთაურს გოდერძის. ნუნუს შრომები ძველი ტრადიციისა და კოლმეურნეობისაგან განზე გამდგარი ადამიანები — წინააღმდეგნი არიან, მაგრამ ქალი მაინც დაინიშნება გოდერძიზე. ვაჟს ისე გაიწყვევენ ომში, რომ ხელის მოწერას ვერ ასწრებენ. ნუნუ უჯირაულს შვილი ეყოლება. მისი დედინაცვალი ქეთუა, აბრია, ლუი, უთი და ფოცხვირი უჯირაულები — ეს ყოფილი შავსიელები — აღმფლეთდებიან უკანონო ბავშვის გაჩენის გამო და სიცოცხლეს უწამლავენ ნუნუს, უნდათ ძალით მიათხოვონ ქალი სპეკულანტ

კობერიძეს. ნუნუ დიდი შეუპოვრობით შექმნარჩუნებს კეთილშობილებას და პატარა გოდერძის მიმართ; ეს ქალი ვერ გასტყდა ვერც დაშინებამ, ვერც მუქარამ, ვერც იმან, რომ მოპაპარს თითო ბავშვი, რომელსაც რაიბროქტორი და პროფესორი ხიდაშელი გადაარჩენენ. და აი ომიდან დაბრუნებული გოდერძი და ნუნუ ხელს მოაწერენ, ხოლო მეთყველბადაკარგულ გოდერძის სასწავლი ვახს ყვაილობისა და ამ რომანის ავტორთან გასაუბრება ენას აშობადგმევიცნის. ასე თავდება ამ დადებითი გმირების ბრძოლით, შრომით, წინააღმდეგობათა გადალახვით სავსე, მდიდარი და საინტერესო, დიდი ვნებათა ლეღვით აღსავსე ცხოვრების აღწერა.

თავისთავად ეს ფინალი საინტერესოა. ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში გამოითქვა აზრი, არაბუნებრივი და დაუჯერებელია, რომ მეთყველბადაკარგულ კაცისთვის ავტორთან საუბარს ენა აედგაო. მაგრამ აქ სიმბოლურად საყვებით სწორად არის ნაჩვენები, რომ ძალა სიტყვისა, რომლითაც გამოიძევა ავტორმა თავისი გმირები, მისი სიტყვებით რომ ცოცხლობენ და მოქმედებენ მთელს ნაწარმოებში, კვლავ ამეტყველებს მათ. ავტორს ეს სუბიდეზა, რომ შემდეგ ისევე ათქმევივს უკანასკნელი სიტყვა თავის გმირს, გოდერძის: „გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. მე კიდევ დამრჩენია ორი თითი მარჯვენა ხელზე და თუ საჭირო იქნება, ავტომატის ჩახმახს ესეც ეყოფა!“. ამ სიტყვებით მწერალმა ხაზი გაუსვა ამ გმირების უტყვევებს, მათი შრომისა და ბრძოლის, მათი ნაამაგარის უტყვევებს და მათს მზადყოფნას — თუ საჭირო იქნება კვლავაც შესწირონ სიცოცხლე საშობლოს.

ყოველივე ზემოთქმული როდი ნიშნავს, რომ „ვახის ყვაილობა“ უნაკლო იყოს. ამ ნაწარმოების მიზვარი ნაკლი ისაა, რომ კ. გამსახურდიამ ვერ შესძლო თანაბარი ძალით დაემუშავებინა ეს დიდტანიანი რომანი, მასში ბევრა მხატვრულად ჩავარდნილი ადგილები და პასაჟები, რომლებიც ამევე რომანში წარმოდგენილი შესანიშნავი მხატვრული პასაჟების, ბუნების საუცხოო სურათების, ბრწყინვალე შრომითი და ყოფითი ცხოვრების გამოძახებელი ადგილების გვერდით უსუსტრი მოსჩანან. განსაკუთრებით სუსტად არის დამუშავებული, ჩვენი აზრით, ომის ეპიზოდები. აქ ბევრი რამ არის ულოდიკოცა და უსწოროც. ჩანს, რომ მწერალი გონების თვალთ უყურებდა და აღწერდა ჩვენს ხალხის ამ დიდ ისტორიულ გამოცდას და ამიტომ რომანს ავლია უშუალობა, ბუნებრიობა, ემოციური ძალა და დამაჯერებლობა. საერთოდ, რომანში გვხვდება ულოდიკო, დაუსაბუთებელი, აგრეთვე ზედმეტი ადგილები და ფრაზები,

რომლებიც ერთგვარად ამოვარდნილია რომანის საერთო სიუჟეტიდან. ზოგიერთ ხასიათს და ზოგიერთ საქციელს აკლია მოტივირება და დასაბუთება. ხშირად კ. გამსახურდია მეტისმეტად პირობითად წყვეტს გმირის საქციელს, ასეა კერძოდ კორინთელის რომანი როგორც მედიკოსთან, ასევე მინდელის ქალთან. რომანი არც კომპოზიციური ხასიათის ნაკლისგანაა დაზღვეული. მაგრამ როგორც უნდა იყოს ეს ნაკლოვანებანი, „ვაზის ყვავილობა“ ქართული საბჭოთა პროზის ამ უკანასკნელი პერიოდის თვალსაჩინო მიღწევათა ფონზე გამოჩნდა, როგორც ერთი საინტერესო შენაძენი ქართული მწერლობისა.

ამ მიმოხილვაში ვცადეთ ერთგვარად დაგველაგებინა კ. გამსახურდიას მეტად რთული შემოქმედებითი ცხოვრების გზა, მაგრამ ახლა ვგრძნობთ — მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების განვლილი გზა იმდენად რთულია, რომ მისი ზუსტი, მეცნიერული ანალიზი და განმარტება არც თუ ისე ადვილია. გამსახურდია ცოცხალი და აქტიური შემოქმედი ჩვენს თანამედროვე მწერლობაში და წინ კიდევ საკმაოდ დროა, რომ ზედმიწევნით გამოირკვეს და დადგინდეს მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, მდიდარი, საინტერესო მხატვრული სამყაროს თავისებურებანი და დამახასიათებელი სტილიური ნიშნები.



## ლიმიზი თხზავლი

# დადებითი გვირის შესახებ ქართულ საბჭოთა პროზაში

უკანასკნელ ხანებში დადებითი გვირის პრობლემა მწერლობისათვის ისევ იქცა დაკვირვებული შესწავლის ობიექტად. მან ქართველ მკვლევართა ყურადღებაც მიიზიდა. ამას წინათ რუსულ ენაზე გამოიცა გ. გვერდწითელის წიგნი „დადებითი გვირის სახე ქართულ საბჭოთა პროზაში“, რომელიც აქტუალურია თავისი თემით და საინტერესოა სისტემაში მოყვანილი და ნაწარმოში შეტანილი მასალის სისრულით, პრობლემის მკაფიო დაყენებით, ძირითადი დებულებების თეორიული დასაბუთებით. უდავოა, რომ წიგნი დაინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე მასობრივ მკითხველსაც.

მკვლევარის წინაშე იდგა ამოცანა თვალი გადაეკო დადებითი გვირის „ათვისების“ პროცესისათვის ქართულ საბჭოთა პროზაში, ეჩვენებინა, თუ როგორ პოულობდნენ ცხოვრების გვირები უფროდაუფრო სრულ და მხატვრულ ანარქულს ლიტერატურაში, როგორ იქცეოდნენ პროზაული ნაწარმოების გვირებად. და მართლაც, გ. გვერდწითელი არსებითად იძლევა დადებითი გვირის ისტორიას ქართულ საბჭოთა პროზაში. ავტორის ყურადღების ცენტრშია მისთვის საინტერესო პრობლემის თვალსაზრისით უმეტესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

გ. გვერდწითელი გამოიღის სწორი თეზისიდან, რომ „ქართული საბჭოთა პროზა, რომლის განვითარების ისტორია შედარებით გვიან დაიწყო, მიიღოდა ეპოქის გვირის ნამდვილი სახის შექმნის სწორი გზით... თანამედროვე საზოგადოების მხატვრული წარმოსახვის გზით“ (გვ. 41). მისი გამოკვლევა ამ დებულების შემართების ნათელი დადასტურებაა.

ავტორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წერს რომანებზე: ლ. ქიაჩელის „სისხლი“, მ. ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი“, რ. გვერდის მოთხრობაზე „თეო“ და სხვ., რომლებშიც ქართველი პროზაიკოსები ცდილობდნენ აესახათ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გვი-

რების სახეები. როგორც ყველა საბჭოთა მწერალმა, ჩვენმა პროზაიკოსებმაც სწორედ ამ პრობლემების დამუშავებით დაიწყეს.

უკეთებს რა ანალიზს რიგ მნიშვნელოვან რომანებსა და მოთხრობებს, რომლებიც ასახვენ ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებას (ბ. ჩხეიძის „ფერო“, პ. ჩხეიძის „სართულები“, ი. ლისაშვილის „ვარდნილი“, „ძახილი მთებში“ და სხვ.), გ. გვერდწითელი გვიჩვენებს, რომ ქართული ლიტერატურისათვის ეს იყო იმდროინდელი გვირის ხასიათის ვახსნის თემით გატაცების დრო, გვირისა, რომელიც აქტიურ მშენებელს და ინდუსტრიალიზაციის ისტორიული პროცესის მონაწილეს წარმოადგენდა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა 30-იანი წლების პროზაული თხზულებების განხილვას, რომლებშიც ლაპარაკია სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაზე, გლეხთა მასების ფსიქოლოგიის ძირეულ შეცვლაზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის პროცესში. საბჭოთა ლიტერატურა მართებულად ამაყოფს ნაწარმოებებით: მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, ა. ტვარდოვსკის „ჯუჯილების ქვეყანა“ და სხვ. ქართულ ლიტერატურასაც გააჩნია ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებები, როგორიცაა: ე. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ და სხვანი. ამ ნაწარმოებებმა დიდიხანა გადალახეს რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის საზღვრები და უტხოელთა მოწონება დაიმსახურეს.

კონკრეტულ თხზულებათა ანალიზის საფუძველზე ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ქართველმა მწერლებმა 20-30-იან წლებში შეძლეს აესახათ საბჭოთა ხალხის სიმწელებითა და ბრძოლით, გამარჯვებებითა და მარცხებით აღსავსე ცხოვრება, შესძლეს ეჩვენებინათ ძველი, მაგრამ დიდებით მოსილი სოციალისტური მშენებლობის გზა. — „ქართველმა მწერლებმა მთელი წყება დადებითი გვირების შექმნისას შეს-





ძლეს არა მხოლოდ კომუნისტების წამყვანი როლის, მასების ხელმძღვანელებისა და მთავურების ბრძოლის ასახვა, არამედ დიდი დამაჯერებლობით აჩვენებს ახალი საბჭოთა ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბების პროცესს. შემდეგ წიგნში ლაპარაკია დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილ ქართულ პროზაულ ნაწარმოებებზე, რომლებშიც გამოასახულია ომის-დროინდელი სბრძოლო და შრომითი საქმიანობა, ნაჩვენებია ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები. ასეთებია: ლ. ქაჩაელის რომანი „მთის თემა“, დ. შვედენაის მოთხრობა „წითელი ყაყაო“, კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები, მ. მრეკლიშვილის „ხარატანთ კერა“ და სხვ. ავტორი სამართლიანად თვლის, რომ ქართველი მწერლები ომის პირველი დღიდანვე აქტიურად ჩაებნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი მიდიოდნენ ფრონტზე, ქმნიდნენ პატრიოტულ ნაწარმოებებს და მოუწოდებდნენ მტერთან ბრძოლისაკენ. ასე ხიშტითა და კალმით ემსახურებოდნენ ისინი სამშობლოს. მაგრამ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირობის თემა იმდენად დიდია, რომ იგი კიდევ დიდხანს დარჩება ამაღლებულ თემად მწერლებისათვის. ქართველ მწერლებს ჯერ კიდევ არა აქვთ მოხდილი ელი ხალხის წინაშე. ჯერ კიდევ არაა შექმნილი ხალხის გმირობის სიდიადის შესაფერისი ნაწარმოები.

ომისშემდგომი პერიოდის ქართული პროზისათვის დამახასიათებელია მისწრაფება — ღრმად ჩასწვდეს ცხოვრებისეულ მოვლენებს, ჩახეილოს ადამიანის შინაგან სამყაროში, ასახოს საბჭოთა ხალხის გმირული საქმიანობა. გ. გვერდწითელი მოკლედ, სულ რამდენიმე შტრიხით ახასიათებს ნაწარმოებებს: თ. დონეაშვილის „საზანზე“, მ. მრეკლიშვილის „ხარატანთ კერა“, ს. თავაძის „ფოლადი“ და სხვ. ამ თხზულებებში ყველაფერი არაა სრულფასოვანი, ყოველთვის არ ასახულია რომანის ძირითად სახეებში ომისშემდგომდროინდელი ბეროდის ადამიანის საუკეთესო ნიშნები. აქ მავნე გავლენა იქონია უკანონოებების თეორიამ. გ. გვერდწითელი ლაპარაკობს აგრეთვე იმ ავტორების ნაწარმოებებზე, რომლებიც უკანონოებების ტენდენციებთან ბრძოლაში მებრუნ უკიდურესობაში გადავარდნენ (თ. ჩხეიძის „მეჩენი“, თ. დონეაშვილის „დიდება“ და სხვ.).

და ბოლოს, გამოკვლევის ავტორი ლაპარაკობს კ. გამსახურდიას რომანის „ვახის ყვავილობის“ დადებით და უარყოფით მხარეებზე, კ. ლორთქიფანიძის რომანის „ნატურის თვალის“ პირველ ნაწილზე, რომელიც საინტერესოა დადებით გმირთა სახეებით (ნადიბაძის ოჯახი).

ჩვენი აზრით, ავტორს ომისშემდგომი პერიოდის ლიტერატურაზე ზედმეტად შევიცოლია დაუწერია.

ყოველ შემთხვევაში, ის ფორმალური ნიშნები, რომ ნაწარმოებები იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში და ჯერ არ გამოცემულა ცალკე წიგნებად, არ უნდა უშლიდეს ხელს მათ ღრმა შესწავლას, თუკი ისინი ამას იმსახურებენ დადებითი გმირის თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ავტორი წერს: „...უქანასკელი წლებში ქართული საბჭოთა პროზა განიცდის აღმავლობას და... ეს იწვევს კანონიერი დამაყოფილების გრძნობას, ამაზე თამამად შეიძლება ლაპარაკი“ (გვ. 165). ლიტერატურული კრიტიკა ვალდებულია და გამოეხმარება კიდევაც ამ ნაწარმოებებს, მაგრამ არც ლიტერატურის მცოდნეები უნდა განუდგნენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

დაკვირვების შედეგების შეჯამებისას გ. გვერდწითელი ამტკიცებს, რომ ქართველმა მწერლებმა შექმნეს მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებებისა ქართული საბჭოთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე. შექმნეს მთელი რიგი დადებითი გმირების სახეებისა, რომლებიც ასახავდნენ ახალი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბების სკეანძლ მომენტებს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რადგან ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ცოტაა ნაწარმოებები, რომლებშიც უქანასკელი წლების მოვლენებმა დამაჯერებელი მხატვრული გამოხატულება პოვა. სკე XXI რიგვარზე ყრილობამ საბჭოთა ხალხის წინაშე დიდი პრობლემები დააყენა. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ამოცანებზე იდულოლოგის სფეროდან ნათქვამი იყო, რომ „ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელი იდულოლოგიური მუშაობა მორღვეულია განავითაროს საბჭოთა ადამიანების ახალი თვისებები, აღზარდოს ისინი კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი სულისკვეთებით, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით“.

წიგნს წამძღვარებელი აქვს დიდი თეორიული ნაწილი, სადაც ავტორი აყენებს დადებითი გმირის პრობლემას საბჭოთა ლიტერატურაში. გ. გვერდწითელი იზიარებს სწორ აზრს, რომ სახის დადებითობა უკავშირდება ეპოქის პროგრესული ტენდენციების განხორციელებისათვის აქტიურ ბრძოლას. უღვალოა, რომ კორჩაგინი („როგორ იწრთობოდა ფოლადი“), ლევისონი („ჯანაღვრება“), დავიდოვი („გატეხილი ყამარი“), ხაზარაძე („ოკლბეთის ცისკარი“) და სხვ. ჩვენი ეპოქის დადებითი გმირები არიან თუშუბა, ბეგრი ხუბის პერსონაჟი მხატვრულად არანალებ მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში (ა. ტოლსტოის ტრი-





ლოგის „წამების გზის“ გმირები, ან კიდევ მათში მძლავრად არის გამოვლენილი მესაკუთრული საწყისები (საშუალო გლუხობის სახეები — კონდრად მიოდანიკოვი, ასლან მარგველაძე და სხვ.). ამ შემთხვევაში ისინი არ შეიძლება აღიარებულ იქნან დადებითად. ამიტომ ავტორი ფორმულირებას არასაკმარისად თვლის. ბევრ სახეში აისახა ხალხის ისეთი თვისებები, როგორცაა შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, სპეტაკი სიყვარულის გრძნობა. მათი ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული მთლიანად ხალხის ბედთან. მაგრამ თუ გავიგებთ დადებით გმირებს, მხოლოდ როგორც აქტიურ მებრძოლებს ეპოქის პროგრესული ტენდენციებისათვის, მაშინ ბევრი მათგანი დადებითობის კატეგორიის გარეთ დარჩება.

გ. გვერდწითელი იძლევა დადებითი გმირის სახის თავისებურ გაგებას. ესენია „მხატვრული სახეები, შექმნილი მსოფლიო პროგრესულ ლიტერატურაში, რომლებშიც გამოხატულია ეპოქის მოწინავე აზრები და ტენდენციები, ხალხის, ერის საუკეთესო თვისებები“ (გვ. 62).

დადებითი გმირის ფართო გაგება ავტორს აძლევს საშუალებას, განიხილოს ისეთი სახეები, როგორცაა ლირა (რ. ვეტაძის „თეო“), ანდრო ქიაჩელი (ლ. ქიაჩელის „სისხლი“), მკვი ცისკიძე (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“), გვადი ბიგვა (ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“).

საბჭოთა ლიტერატურის დადებით გმირებს შორის ცენტრალურია კომუნისტის, მისების ხელმძღვანელის სახე. ჩვენმა მწერლებმა შესძლეს ეჩვენებინათ ხალხის მასა, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას. შესძლეს ეჩვენებინათ კომუნისტები მათ ძირითად საქმიანობაში, გ. გვერდწითელი ლაპარაკობს დადებითი გმირის უფრო ვიწრო გაგებაზე (გვ. 28), ის განსაზღვრავს ადამიანის დადებითობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მისი მონაწილეობის მიხედვით. ე. ი. ის ლაპარაკობს ეპოქის ცენტრალურ სახეებზე, კომუნისტებზე.

უკვე 20-იან წლებში საბჭოთა მწერლებმა გადაწყვიტეს ეპოქის ცენტრალური გმირის პრობლემა, დეტალურად დამუშავეს პრობლემა ის ცალკეული საკითხები, შექმნეს კომუნისტების მაღალმხატვრული სახეები. ა. სერაფიმოვიჩმა „რკინის ნიაღვარი“ ვეინგენა მასა და მისი მეთაური. მ. ფურმანოვმა „ჩაპაევი“ გაამხვილა ყურადღება კომუნისტების მიერ მშრომელი მასების, ახალი ადამიანის აღზრდაზე, ხოლო ფადეემა „განადგურებაში“ კომუნისტი გააშუქა „შეგნიდან“, აჩვენა მისი შინაგანი სამყარო. ასეთია კომუნისტის სახის შექმნის მაგისტრალური გზა საბჭოთა ლიტერატურაში. ქართველმა საბჭოთა მწერლებმა ამ მხრივ

ბევრი რამ გააკეთეს. შექმნილია კომუნისტების სახეების გალერეა (ტარასი ნახარაძე, სხეთის ცისკარი“, ნიკო და ვოგია — „სისხლი“, გიგაური — „სართულები“ და სხ.). ყველა ეს სახე არაა ერთნაირად მნიშვნელოვანი და სრულფასოვანი. ყველა პროზაიკოსმა ვერ შესძლო სრულად და მხატვრული სიმართლით განხორციელებინა მათში კომუნისტის თვისებები. ეპოქის ცენტრალური გმირის გამოსახვაში არის შეცდომები, ზოგჯერ უხეშიც. მაგრამ ვაღიარებთ რა, რომ ქართველი მწერლები ამ მხრივ მეტად დავალებული არიან სამშობლოს წინაშე, აუცილებელია მივუთითოთ, რომ ისინი სწორ გზაზე დგანან, დაეინებით ეუფლებიან თემას და მიდიან საბჭოთა ლიტერატურის იმავე მაგისტრალური გზით.

გ. გვერდწითელის გამოკვლევის ღირსებები ნათელია. წიგნი გამოიჩინა პრობლემის მკაფიო დსმით, მისი თეორიული დასაბუთებით, კონკრეტული ნაწარმოებების შესანიშნავი დამუშავებით მითითებულ საფუძველზე.

დიდ კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით ავტორმა შესძლო ეჩვენებინა, რომ პროგრესული იდელების განმტკიცება საჭიროა აგრეთვე ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეების მხილობის გზით. მაგრამ სრულიად განსაზღვრებულ მნიშვნელობა აქვთ დადებით გმირებს — ისინი არიან უშუალო მატარებელნი იდეალისა ლიტერატურაში.

ამიტომ მხატვრულმა აიღო უნდა უყარნახოს მწერალს პროპორციები, რათა ავლენილ იქნეს თავიდან სინამდვილის შეფერადება, ან პირიქით — უარყოფითის ხელოვნური გაზვიადება.

მაღალ თეორიულ დონეზე დაწერილი ნაწილები: ტინიაციის თავისებურებების შესახებ ქართულ ლიტერატურაში (გვ. 35-36), რევოლუციური რომანტიკისა და რევოლუციური რომანტიზმის შესახებ (გვ. 133-134), ღრმადაა გაკეთებული „კოლხეთის ცისკარის“ ანალიზი, ანალიზი ა. ბელიაშვილის რომანის „უელეტების“ მთავარი მოქმედი პირისა, რომელიც იქცა საბჭოთა კავშირის გმირად, მაგრამ არა დადებით გმირად (გვ. 158), სიყვარულითაა ლაპარაკი გვადი ბიგვაზე, როგორც ფსიქოლოგიური ნახატის ოსტატის — ლ. ქიაჩელის საუკეთესო გმირზე.

ნაშრომის დიდი დამსახურებაა მისწრაფება, გვერდით აუაროს იარსიყვება, შტამპებს, ავტორი არავინხელ იმეორებს, რომ სახე ზნირად არ თავსდება დადებითი ან უარყოფითი გმირის სქემის ჩარჩოებში. დიდი გემოვნებითა და სითამამითაა ვანალიზებული გრიგოლ მეღვინის ტრაგიკული სახე, რომელსაც ვერ მიაწერ



დადებითობას, მაგრამ მისი მიკუთვნება უარყოფითი გმირებისადმი შეცდომა იქნებოდა.

აზრი, რომ ჩვენ გვესაჭიროება კარგი და სხვადასხვანაირი მწერლები, თავისებურად გამოძლევენა ნაშრომის მთელ რიგ ადგილებში. მაგალითად, ყურადღებას იმსახურებს ავტორის მტკიცება, რომ გმირის გამოხატვაში დაისახა ორი ნაზი. ერთი წარმოდგენილია რომანტიზმისათვის დამახასიათებელი პათოსურ-გმირული ამაღლებული სტილის ნაწარმოებებით (ფადეევი, ოსტროვსკი, ქიაჩელი), მეორე — უმეტესად რეალისტური ნაწარმოებებით (ე. პანოვას „თანამგზავრები“, ვ. ნეკრასოვის „სტალინგრადის საგრები“, კ. სიმონოვის „დღეები და ღამეები“), ორივე მიდგომა თემის მიმართ თანასწორუფლებიანია და ლაპარაკობს სხვადასხვა სტილისა და ფორმების არსებობაზე, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ნაკადში (გვ. 134).

ავტორი ამტკიცებს, რომ საბჭოთა რომანის ცენტრში შეიძლება იდგეს არა მხოლოდ დადებითი, არამედ უარყოფითი გმირიც. ეს ეხება როგორც სატირიკულ ნაწარმოებებს („თორმეტი სკამი“, „ოქროს ხმა“), ისე რეალისტურსაც (მ. გორკის „კლიმ სამგინი“, ლ. ქიაჩელის „სისხლი“).

ლ. ქიაჩელის რომანის „მთის კაცის“ კომპოზიციის თავისებურებაზე საუბრის დროს (ჯოტო რომანში დაუსწრებლად მონაწილეობს მოქმედების განვითარებაში, მართავს მოქმედ გმირთა საქციელს) ნაშრომის ავტორი ისევ ჩვენი ლიტერატურის სტილის, ფორმისა და ხერხების მრავალფეროვნების პრობლემასთან დაკავშირებითაა, რამდენადაც ყოველივე ეს სიმდიდრე ემსახურება მიზანს შეიქმნას ჩვენი დროის გმირის ნათელი სახე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი მნიშვნელოვანი ეპითეტი: წიგნის ავტორი არა ერთხელ უმართავს პოლემიკას კრიტიკოსებს კედრისა, ბელიას და სხვ. რომლებიც საერთოელების ცხოვრების ისტორიისა და ლიტერატურის ნაციონალური თავისებურებების უტოლდინარობის გამო არაერთხელ აძლევდნენ არასწორ შეფასებას ამათუიმ ნაწარმოებს. მათ შორის კი ბერია შესანიშნავი, მისაბაძი ნიმუში.

ამავე დროს აუცილებელია გვაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა.

ავტორი სავსებით მართალია, როცა გამოდის სქემის წინააღმდეგ, დადებითი სახეების კატეგორიებად დაყოფის წინააღმდეგ. უბრალოდ დადებითები, სრულიად დადებითები, დაახლოებით იდეალურები, იდეალურები და სხვ. (გვ. 25-26). მაგრამ ხომ არ ვარდება გ. გვერდწითელი წინააღმდეგობაში, როდესაც იძლევა იდეალური გმირის თავისებურ გაგებას (ყურ-

სივი 142 გვერდზე) და ბათუს იდეალური გმირების კატეგორიის მიაკუთვნებს (გვ. 143-144)?

დავიდოვი („გატეხილი ყამირი“) ნამდვილად ერთერთი საუკეთესო სახე, მისაბაძი მაგალითია საბჭოთა ლიტერატურაში, მაგრამ გამართლებულია მისი მოქცევა იდეალური გმირის რუბრიკაში (გვ. 143—144)? ჩვენი აზრით, არა. ასეთ შემთხვევაში დადავოვის სახეს „შესწორება“ ესაბურობა. მას ნამდვილად არ ყოფნის ცოდნა, გაიცხვის ღირსია მისი ლუშკასთან დამოკიდებულება, ერთგვარი გულბრყვილობა და სხვ. ხოლო შესწორება დაუკარგავდა სახეს გარკვეულობას და ის ღირს იქნებოდა დავიდოვი.

ამიტომ დადებითი გმირის ფორმულირება 142-ე გვერდზე უნდა იწყებოდეს ასე: „ჩვენი ლიტერატურის ნამდვილი გმირები...“ და შემდეგ ტექსტის მიხედვით.

ნაშრომში ყოველთვის არაა მითითებული წიგნის გამოცემის წელი (გვ. 57 და სხვ.) კარგი კი იქნებოდა წიგნის გვერდით თარიღის დაწერა, რადგან ყოველი თარიღი გვაძლევს საშუალებას გავისწავლოთ ეპოქა, ამოცანები, რომლებიც მაშინ იდგა ლიტერატურის წინაშე, ყოველი ნაწარმოების გამოქვეყნების აქტუალობა, თუ რა წიგნები ყოფილა დაწერილი მოცემულ თემაზე და ა. შ.

ავტორი გვიჩვენებს დადებითი გმირის ჩამოყალიბებას მთელი საბჭოთა ლიტერატურის ფართოდ მოხაზულ ფონზე. მისი პარალელები ყოველთვის დროულია და დამაჯერებელი. პრობლემის დაყენება იძლევა საშუალებას, არ იქნას განხილული ქართველი მწერლების ყველა ნაწარმოები, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა მათი დასახელება (მაგალითად, ე. ზედგინიძის „როცა იღვიძებენ მთები“ და სხვ.) ლიტერატურის მდგომარეობის უფრო სრული დახასიათებისათვის. მეორეს მხრივ, ზოგჯერ საჭირო იყო საბჭოთა მწერლების ნაწარმოებების დასახელება არა მხოლოდ ქართველი ავტორების წიგნების კონკრეტულ ანალიზთან დაკავშირებით („ბინდოვალექტროცენტრალი“, „დრო, წინა, ნახსენებია რომან „ფეროსთან“ დაკავშირებით, „ცემენტი“ — „სართულბთან“ და „ფეროსთან“ დაკავშირებით), არამედ იმ პერიოდის ლიტერატურის საერთო დახასიათებისათვისაც (გლადკოვის „ცემენტი“, ა. ტოლსტოის ნარკვევები, ლიაშოს „ბრძმედი“ და სხვ.). ამ თვალსაზრისით ნაშრომის პირველი ნაწილის დასაწყისი რამდენადმე აბსტრაქტულად გამოიყურება (საუბარი ეხება 20-იან წლებს). დეტალები და ფაქტებით შევსება შემატება მას კონკრეტულად, უფრო სრულად დაახასიათებდა ეპოქას.

აუცილებელი იყო მითითება, რომ მწვავე სიტუაცია — გლეხს, ღარიბს უყვარს მემამუ-



ლის, კულაის, მდიდრის ქალიშვილი — ხშირია ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში (მირზას უყვარს თეო, მექის უყვარს თალიყო და სხვა მრავალი).

ნაწრომის ღირსებებს მიეკუთვნება მარტივი, ენერგიული სტილი. მხოლოდ ერთ შემთხვევაში უღალატა ავტორს ზომიერების გრძობამ. აქ ის გულუხვად ხარჯავს ემოციებით შეფერულ სიტყვებს: „ვერავითიარი ფორიები ვერ შესძლებენ გამოვლიჯონ გვადი ახალ ცხოვრებას... ის ხელის აუკანკალეობად აყენებს სასიყვდლო ქრილობას ბედნიერი ხალხის ცხოვრების აშკარა მტერს ფორიას“.. (გვ. 103).

ავტორი ეკამათება ა. დრემოვის ფორმულირებას ლიტერატურის საგნის შესახებ, დამაჯერებლად ამტკიცებს მის არასრულფასოვნებას (გვ. 13-16), მაგრამ რამდენადაც საკითხი არ არის სადისკუსიო და არსებობს ზუსტი ფორმულირება, ცნობილი ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოდანაც კი (ლიტერატურის გამოსახვის საგანს წარმოადგენს სინამდვილე, დანახული დამაინური ცხოვრების თვალსაზრისით), შეიძლება ამ ფორმულირების მოყვანა და არ იყო საჭირო პოლემიკის გამართვა.

შეუძლებელია დავეთანხმეთ ავტორს, რომ ნაგულნოვი („გატეხილი ყამირი“) დახატულია მსუბუქი იუმორით. პირიქით, მის დახასიათებაში ჩანს სატირული ნიშნები. თუმცა ამ შემთხვევაშიც ის უღაოდ სიმპათიას იმსახურებს.

როგორც ვხედავთ, შენიშვნები არაა პრინციპული ხასიათისა. ისინი ეხება კარვად მოფიქრებული და შესრულებული წიგნის ცალკეულ ნაწილებს. ჩვენი შენიშვნები არავითარ შემთხვევაში არ ამცირებს გ. გვერდწითელის ნაწრომის „დადებითი გმირის სახე ქართულ საბჭოთა პროზაში“ ღირსებას.

დღეს უკვე შეიძლება ლაპარაკი ქართული საბჭოთა ლიტერატურის დიდ ტრადიციებზე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მთელი რიგი კარგი, მრავალნაირი ნაწარმოებებისა, რომლებმაც მოიზოვეს აღიარება ქართულ ლიტერატურაში, საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. ამიტომ არსებობს გარდაუვალად აუცილებლობა შეიქმნას საფუძვლიანი — „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“ რუსულ ენაზე, მსგავსად „რუსული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიისა“, ტომი 1, მოსკოვის უნივერსიტეტის გამოცემა, 1958 წ. და „რუსული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიისა“, ტომი 1, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, მოსკოვი, 1958 წ. ცდები აღნიშნული მიმართულებით უკვე არსებობს. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“<sup>1</sup> მეორე გამოცემა (რუსულ ენაზე) გააცნო რუს მკითხველს სისტემატური კურსი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ხალხის ლიტერატურისა. თუმცა ქართული ლიტერატურის ისტორია V საუკუნიდან ჩვენს დრომდე (ერთი წიგნის ფარგლებში) გამოვიდა მოკლე და კონსპექტური. მაგრამ ის იძლევა ბაზას შემდგომი მუშაობისათვის აღნიშნული მიმართულებით. გ. გვერდწითელის წიგნი „დადებითი გმირის სახე ქართულ საბჭოთა პროზაში“ კიდევ ერთი ნაბიჯია საფუძვლიანი ნაწრომის შექმნისაკენ. ავტორის მიერ შეგროვილი და სისტემაში მოყვანილი მასალის დიდი ნაწილი შეიძლება შეტანილ იქნეს მომავალ „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში“ რუსულ ენაზე.

<sup>1</sup> „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობა, თბილისი, 1958 წ. (რუსულ ენაზე) ავტორები: ა. ბარამიძე, შ. რადიანი, ბ. ქლენტრი.





## თაღო ბავიჯუვილი

### ქართული მკვლევრული მუშაობა

გამომცემლობა „ხელოვნება“ გამოსცა ქართული მკვლევრული მუშაობების ძეგლები და მასალები შერეული და დამუშავებული ნიკოლოზ კანდელაკის მიერ. ამ სახის წიგნი პირველია ქართული კულტურის ისტორიაში. მართალია, ქართულ ენაზე გამოცემულია რამდენიმე კრებული სიტყვებისა, ქადაგებებისა და მკვლევრული მუშაობების სხვა ნიმუშებისა, მაგრამ ესენი, თითქმის ყველა, სასულიერო პირთა მიერ წარმოთქმული, ყოველგვარ მეცნიერულ დამუშავებას მოკლებული უბრალო კრებულებია.

აღნიშნული წიგნი — „ქართული მკვლევრული მუშაობა“ პირველი ცდაა, მოგვეცეს ქართული საორატორიო ხელოვნების სისტემატური ისტორია უძველესი დროიდან (I საუკუნე) XIX საუკუნის მიწურულამდე, გავაცნოს ქართველი ორატორების ბიოგრაფიები და, რაც მთავარია, თვით მათ მიერ წარმოთქმული სიტყვების ტექსტი, იმის აღნიშვნით, თუ რა პირობებში წარმოითქვა ესა თუ ის სიტყვა.

ტექსტებს თან ახლავს კარგად შედგენილი ლექსიკონი, რომელიც მკითხველს გაუადვილებს ძველი ქართული ენით წარმოთქმული სიტყვის გაგებას; განმარტებანი, რომლებიც შეიცავენ ტექსტში ნახარი საკუთარი სახელების, ისტორიული ცნობების, გეოგრაფიული ტერმინების, ეთნოგრაფიული მასალის, ხალხთა ძველი და ახალი სახელწოდების სრულ ცნობებს; პირთა საძიებელი და საკმაოდ ვრცელი შესავალი — ნარკვევი, რომელშიც წარმოდგენილია ქართული მკვლევრული მუშაობების ისტორია, საისტორიო წყაროები, მკვლევრული მუშაობების ტერმინოლოგია, მისი გავრცელების კერები და სხვა.

შესავალში სტატიის ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ქართული კულტურის მდიდარ საგანძურს ამშვენებს ჩვენი კლასიკური მკვლევრული მუშაობა, რომ ქართველ ხალხს შეუქმნია და შემოუნახავს საჯარო მკვლევრების დიდი „საუნჯე“, რომ ეს საუნჯე დაეცა ერთი

მხრივ ზეპირსიტყვიერებაში და მეორე მხრივ მწერლობაში, და მისი შეგროვება-გამოვლინებით და მეცნიერული დადგენით უნდა შეიქმნას ქართული მკვლევრული მუშაობების ისტორია, რომლის საპირისპიროა დიდი ხანია იგრძნობა.

წიგნში საყურადღებოდ დამუშავებულია ქართული მკვლევრული მუშაობების საისტორიო წყაროები, შემონახული როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე, სადაც დაეცა ორატორული ძეგლები, მათი პარაფრაზული შინაარსი, მათივე ნაწილები, ფრაგმენტები და, რაც მთავარია, მკვლევრული მუშაობების ტერმინოლოგია, მისი დარგების და ქანების დასახელება, საორატორიო ცენტრების და საჯარო გამოსვლების აღწერილობა.

საისტორიო წყაროებს ავტორი თანმიმდევრობით იხილავს. უცხო წყაროებს გარდა (რომელიც ტაციტუსი, ბერძნები ლიბანიუსი და თემისტოქოსი) კარგად და თითქმის ამომწურავად განხილულია ქართველი ისტორიკოსები და მწერლები, რომელთაც შემოუნახავთ საორატორიო ტექსტები, მათი წარმოთქმულების ბიოგრაფიული ცნობები და სიტყვის წარმოთქმის პირობები. ასეთებია ლეონტი მროველი, ჯუანშერი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარ მეფის ისტორიკოსი, ქაიხაბაძე მწერელი, იოანე პეტრიწი, ანტონი I კათალიკოსი (XVIII ს.), იოანე ბატონიშვილი (XVIII — XIX ს.) და მრავალი სხვა.

მეტად საყურადღებო თავია „ქართული მკვლევრული მუშაობების ტერმინოლოგია“, სადაც მკვლევარი ცდილობს დააზუსტოს ქართული ჰომილეტიკის მრავალფეროვანი ტერმინოლოგია, საორატორიო სიტყვების ქანები და სახელწოდებანი: ქადაგება, მოძღვრება, სიტყვა-მკვერი, სიტყვა-ქება, სიტყვა-პოეზიური, სიტყვა-ხელოვანი, სიტყვა-მკერავი, სიტყვა-მკურნავი, რიტორობა, ოქროპირობა, უბნობა, ღალატობა, შესხმა და სხვ.

მნიშვნელოვან დამუშავებულია „ქართული





მკვერმეტყველების კერები“ ბირველ რიგში უძველესი ეთნიკური წეს-ჩვეულებანი: ქართული სუფრა და ქართული სამგლოვიარო რიტუალი, რომლებიც უსხოვარი დროიდან ხელს უწყობდნენ საჯარო სიტყვის დანერგვასა და განვითარებას. შემდეგ კი ქართული კლასიკური მკვერმეტყველების ადრინდელი ცენტრები დამოწმებული უცილობელი წერილობითი დოკუმენტებით. მაგალითად, კოლხეთის აკადემია, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ქართული ანტიკური კულტურის უაღრესად მნიშვნელოვან სამეცნიერო-პედაგოგიურ კერას, სადაც, სხვა მეცნიერებთანა ვარდა, ჰყვოდა რიტორიკული ხელოვნებაც, და რომელმაც წარუშლელი კვალი ვაავლო ჩვენი ორატორული ხელოვნების განვითარებას. აგრეთვე საყურადღებოა გელათის აკადემია, რომელიც XII საუკუნის დამდეგიდან XIX საუკუნის მიწურულამდე, ამითუიმ სახითა და ინტენსივობით, ხელს უწყობდა მკვერმეტყველების განვითარებას ჩვენში. ასეთივე მნიშვნელობისა იყო ალათის აკადემია (XII საუკ.), ძველი ქალაქი ნეკრეტი (კახეთში), რომელიც ძალბანს წარმოადგენდა მწერლობისა და მქადაგებლობის სავანეს, ჰქმნიდა, იცავდა და აგრეცვლდა სულიერი კულტურის საუნჯეებს, მათ შორის ორატორული ხელოვნების ძეგლებსაც.

უფრო საყურადღებოა ქართველ მეფეთა კართად არსებული დარბაზი, ეს ქართული სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო, საერო და პოლიტიკური მკვერმეტყველების კერა, სადაც მუშავდებოდა სადარბაზო მკვერმეტყველების ნორმები და პოლიტიკური ორატორობის მრავალსახეობითი ენარება.

ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ყველა ეს კერა დეტალურად აღწერილია. ავტორს უსარგებლია ამ საკითხებზე არსებული ძირითადი ლიტერატურული მასალით და საკუთარი ინტერპრეტაციით გაუშუქებია სადავო საკითხი.

წიგნის ძირითად ნაწილს შეადგენს ქართული მკვერმეტყველების ქრესტომათია ბიოგრაფიებით, საორატორო ძეგლებით და მასალებით. ტექსტები იწყება ფარსმან ბირველის (I საუკ.) სიტყვის ფრაგმენტით. იგი ამოღებულია რომელიც ისტორიკოსის კირენელი ტაციტუსის ანალებიდან, სადაც ფარსმანის სიტყვის ტექსტი პარაფრაზული თხრობის სახით არის აღბეჭდილი. სიტყვა წარმოთქმულია მხედრობის წინაშე ომის დაწყების წინ და წარმოადგენს სამხედრო მკვერმეტყველების უაღრეს ნიმუშს. დაახლოებით ისეთივე სახით აღდგენილია ბაკურის (IV საუკ.) ორატორული შემოქმედება ბერძენი მწერლის ლიბანიოსის

ჩანაწერების მიხედვით, გუბაზ მეფის (VII საუკ.), ქართველი ორატორების აიეტის და ფარტაზის მკვერმეტყველური სიტყვები, ჩაწერილი ზიზანტიელი ისტორიკოსების ბროკოფი კესარიელის და ალათია სქოლასტიკოსის მიერ.

ეს სიტყვები ორატორებს წარმოუთქვამთ მშობლიურ ენაზე, ხოლო ზიზანტიელ ისტორიკოსებს უთარგმნიათ ბერძნულ ენაზე და შეუტანიათ თავიანთ თხზულებებში. უნდა ვიფიქროთ, ზოგი ამ სიტყვათაგანი დაახლოვებით და შეიძლება სიტყვასიტყვითაც ჩაწერილია და ამრიგად ქართული ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებია. ასეთებია, მაგალითად, გუბაზ მეფის „სიტყვა, თქმული მხედრობის მიმართ ბრძოლის წინ“; აიეტის და ფარტაზის „სიტყვები, თქმული კოლხიდის პოლიტიკური მდგომარეობის გამო“; კოლხთა უცნობი წარმომადგენლის „სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელობა გვსამართლებს“.

ეს სიტყვები ქართული მკვერმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშებია და დამამტკიცებელი იმისა, თუ რა მაღალ დონეზე მდგარა საქართველოში კულტურის ყველა დარგი I—VI საუკუნეებში.

აქ უნდა აღინიშნოთ, რომ ზოგიერთი ორატორი ჯერჯერნად ვერ არის წარმოდგენილი. მაგალითად, ბაკურის. ეს პიროვნება IV საუკუნეში რომ დიდი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე ყოფილა, ეს მეცნიერულ ლიტერატურაში დადასტურებულია (პროფ. შ. ნუტუბიძე, ფილოსოფიის ისტორია, ტ. I), მაგრამ წინამდებარე წიგნში უფრო ლიბანიოსის ჩანს და არა ბაკური. უნდა ვიფიქროთ, რომ ბაკური დიდი მოღვაწე, მოაზროვნე და ორატორი იყო, და მასალის შერჩევაზე იმ მიმოტრულებით იყო საჭირო, რომ ასე თუ ისე გამოჩენილიყო ამ პიროვნების ინტელექტუალური სახე.

შემდეგ ამოკრფილია ორატორული სიტყვები უკვე ორიგინალური და დაცული ქართულ წერილობით წყაროებში. აქ არის ცნობილი იოანე სპანისძის პავიოგრაფიულ მოთხრობიდან ამოღებული „ქება წმიდისა მოწამისა პაბოსი“. ეს ქება, როგორც მკვლევარი წერს შესავალ სტატიაში, მსმენელებსათვის არის განკუთვნილი. იგი იკითხებოდა, ეკლესიებში წერვის დროს განიცადებენ, ანდა მონასტრებში სამო ტრაპეზის დროს და, ამგვარად, იგი ქართული საეკლესიო-რელიგიური დარგის საორატორო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქება არაჩვეულებრივი კომპოზიციით არის აგებული. აქ ისეთი შედარებები, პარალელები და ანალოგებია ნახმარი, რაც თანამედროვე მკითხველისთვის ხშირად გაუგებარი და მიუწვდომელიცაა. მაგალითად, „შენ ავაზაკსა მას ესწო-



რე სარწმუნოებთა და სამოთხესა განეწესე... მკითხველთა უმრავლესობისათვის გაუგებარია, რომელ ავაზაკთან არის აქ შედარებული და გათანასწორობული ჰაზო. აქ ყველაზე მეტად სკიპრო იყო ორატორული ანალიზი უფრო ღრმად ეწარმოებინა მკვლევარს. მართალია, დართულ განმარტებაში მკვლევარი ხსნის გაუგებარ აღვილს და დასახელებულ პერსონაჟს, მაგრამ მრავალი განმარტება მკითხველისთვის ცოტას მთქმელია. მაგალითად, საბანისქე ადარებდა ჰაზოს „ემგავეს ბერვარსა აპრონი-სა და ზაქარიასს“. მკვლევარი განმარტავს აპრონ, ზაქარია — წინასწარმეტყველი, ბიზ-ლიის პერსონაჟი. ესენი წინასწარმეტყველები არ იყენენ, მხოლოდ მღვდლები იყენენ. აპრონი ებრაული სარწმუნოების დამაარებლის მოსეს ძმა იყო, ზაქარია კი ახალი აღთქმის იოანე ნათლისმცემლის მამა. მართო თქმა — „ბიზ-ლიის პერსონაჟები“ თითქმის არაფრის თქმაა. აქ მთავარია—რატომ ადარებს საბანისქე ჰაზოს ძველი აღთქმის მღვდელს აპრონს და ახალი აღთქმის მღვდელს ზაქარიას, რა ანალოგია არის მათ შორის. განმარტებებში საერთოდ მეტი დეტალიზაცია იყო საჭირო, რომ საყურადღებო წიგნი უფრო მრავლისმომცემი ყოფილიყო.

ასევე უნდა ითქვას იოანე-ზოსიმეს შესანიშნავ სიტყვაზე „ქება და დიდება ქართული-სა ენისა“. ეს ზომ ღრმად პოლიტიკური სიტყვაა, რომელიც შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს მთლიანობისა და ძლიერების ხანაში შექმნილიყო. თვით მკვლევარი ამ სიტყვას ეპიგრაფად ცნობდა აფორიზმს უძღვნის: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების...“ მაშ საჭირო იყო დავით იოანე-ზოსიმეზე მეტის თქმა, უფრო აღწერილობითი ანალიზი სიტყვისა.

კარგად არის წარმოდგენილი საქრესტომათიო ნაწილში იოანე ბოლნელი, მეათე საუკუნის მოღვაწე, მწერალი და მქადაგებელი, ნიჭიერი მწვერმეტყველებისათვის ოქროანბრად წოდებული. მკვლევარი შესანიშნავ ანალიზს უქეთებს ბოლნელის ერთ-ერთ საორატორო სიტყვას „ღვინის მსმელთა და მემფრალთათვის“. ბოლნელი სასულიერო მქადაგებელი იყო, მაგრამ მის მრავალ ქადაგებას საერო, საყოფაცხოვრებო ელფერი აქვს და საორატორო მწვერმეტყველების საუკეთესო ნიმუშია. სასურველი იყო ბოლნელის ქადაგებათაგან კიდევ ერთი მიანიც მოეთავსებინა და გაერჩია მკვლევარს.

ყურადღებას იქცევენ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ორატორები და მათი სიტყვები—გიორგი მცირე (XI საუკუნე), დავით აღმაშენებელი, არსენ ბერი, გიორგი მესამე, თამარ მეფე (XII საუკუნე). სამწუხაროდ, აქ არ

არის წარმოდგენილი XI საუკუნის დიდი ორატორი გიორგი ათონელი, რომელიც მწვერმეტყველებით აკვირვებდა ბერძენებს და განცვიფრებაში მოიყვანა თვით ანტიოქიის პატრიარქი. გიორგის მიერ წარმოთქმული სიტყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დასაცავად, გინდ პარაფრაზულად მოყვანილი, საუკეთესო მასალა იქნებოდა ქრესტომათიისათვის.

სამხედრო მწვერმეტყველების საუკეთესო ნიმუშებია დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარ მეფის, ბექა ჯაყელის (XIII საუკუნე), კათალიკოს თეოდორეს სიტყვები მხედრობის მიმართ თქმული სხვადასხვა ლაშქრობის წინ. მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები მოწმობენ სამხედრო მწვერმეტყველების განვითარებას ჩვენში.

როგორც მოსალოდნელი იყო, უნაკლოდ დამუშავებულია მეთორმეტე და მეცხრამეტე საუკუნეები. აქ საორატორო შემოქმედების თემატიკა მრავალნაირია. განვითარებულია სახობო-პოლიტიკური მწვერმეტყველება, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვა, თქმული ლუი მეთოხმების მიმართ“, ზაქარია გაბაშვილის „სიტყვა, თქმული სოლომონ ბრველის მიმართ“, მუეჰაბუე ორბელიანის „სიტყვა, თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე“ და სხვ.; მაღალ დონეზეა მეცნიერული თემატიკა ვაიოზ რექტორის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, ზნეობრივ-დამრიგებლობითი თემატიკა ამბროსი ნეკრესელის და ანტონ ცაგარელ-ჰუმონიდელის ქადაგებებში და ბოლოს ქართული მწვერმეტყველების შედევრი სამკლევიანო თემა სოლომონ ლიონის მის მიერ „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ლერკულეს ნეტარების ღირსისა“. ეს უკანასკნელი სიტყვა, კარგად გამოცემული ნიკოლოზ კანდელაკის მიერვე ჯერ კიდევ 1957 წელს, აქაც სრულად არის წარმოდგენილი.

მეცხრამეტე საუკუნეში უაღრესად განვითარდა ქართული მწვერმეტყველება როგორც სასულიერო, ისე, განსაკუთრებით, საერო ხასიათისა. ისეთი დიდი ორატორები, როგორც იყენენ გაბრიელ ქიქოძე და ილია ჭავჭავაძე, დაამუშავებენ მსოფლიო მწვერმეტყველ კორიფეების რიგებს.

წინამდებარე წიგნში XIX საუკუნეიდან წარმოდგენილი არიან იოანე ბატონიშვილი, სოლომონ დიდაშვილი, გაბრიელ ქიქოძე, ნიკო დადიანი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. თვითვე აქ დასახელებულ ორატორს ცალკე მონოგრაფიული განხილვა უნდა, თვითველი მათი სიტყვა იმდენად საესეა შინაარსით, პოლიტიკური შორსმჭერტელობით, საორატო-



რო ხერხებით, რომ ყოველ მათგანს ცალკე გამოკვლევა სჭირდება. ალბათ ამითაც აიხსნება, რომ ნ. კანდელაკი განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდებია XIX საუკუნის ორატორებს. ყოველი მათგანი ღირსეულად განხილული და დამუშავებულია. განსაკუთრებით, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმოდგენილია ილია ჭავჭავაძის მონუმენტალური სახე. ილიას უამრავი სიტყვიდან მკვლევარს ამოურჩევია საუკეთესონი. განსაკუთრებით ამშვენებს წიგნს ილიას „სიტყვა, თქმული ნადიმზე ეეგენი მარკოვის მიმართ“. ეს სიტყვა თავისი შინაარსით, პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით, დარბაისლური ტაქტით, ორატორული ხელოვნების ყოველი ხერხის დაცვით, ერთი საუკეთესო სიტყვაა არა მარტო ქართული მკვლევარული ისტორიაში.

ნიკოლოზ კანდელაკის წიგნით „ქართული მკვლევრული მემკვიდრეობა“ დასაბამი მიეცა ქართული საორატორო ხელოვნების ისტორიოგრაფიას. ქართული კულტურის ეს უბანი აქამდის თითქმის ხელუხლებელი იყო, მისი საჭიროება კი დიდი ხანია იგრძნობა. ამიტომ არას ვამბობთ იმ ზოგიერთ ხარვეზზე, რომელიც წინამდებარე წიგნს ახლავს, მხოლოდ გამოთქვამთ სურვილს ასეთივე ნაშრომი შეიქმნას XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მკვლევრულ მემკვიდრეობაზე და საერთოდ, ქართული საორატორო ხელოვნების მთლიან ისტორიაზე.





## ქეთევან ჯავახიშვილი

### მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებების თარგმანები სხვადასხვა ენაზე

მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლეშივე მკითხველი საზოგადოების ინტერესი მისი ნაწარმოებებისადმი იმდენად დიდი იყო, რომ მწერლის მოთხოვნებისა და რომანების უმრავლესობა ქართულ ენაზე გამოქვეყნებისთანავე ითარგმნებოდა ხოლმე სხვადასხვა ენაზე.

მ. ჯავახიშვილის პირველი მოთხოვნა, რომელიც რუსულ ენაზე ითარგმნა, იყო „ხალხის სამართალი“. ეს თარგმანი დაიბეჭდა 1906 წ. გაზეთ „Тифлисский листок“-ში /№ 96/. ამ ხნიდან მოყოლებული 1937 წლამდე მისი ნაწარმოებების უმრავლესობა ითარგმნა ჩვენი მოძვე ერების ენებზე — რუსულ, უკრაინულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასე, მაგალითად, მოსკოვისა და თბილისის სხვადასხვა გამომცემლობებმა რუსულ ენაზე გამოსცეს: „ჩანჩუტა“ — 1909 წ., „ეშმაკის ქვა“ — 1909 წ., 1927 წ. გამოვიდა მოთხრობების კრებული სათაურით: „ლაშალო და ყაშა“, 1928 წ. გამოვიდა „თეთრი საყულო“, 1930 წ. — „ფინჯანი“ და „ჯაყოს ხიზნები“, 1933 წ. — „არსენა მარაბდელი“ (ეს რომანი ხელმოკრედ გამოიცა 1934 და 1936 წ. წ.). უკრაინულ ენაზე გამოქვეყნდა: „ქურდი“ — 1929 წ., „ორი შვილი“ და „ჯაყოს ხიზნები“ — 1930 წ., მოთხრობების კრებული — 1930 წ., „ლაშალო და ყაშა“ — 1930 წ., „ჯაყოს ხიზნები“ — 1931 წ., „ფინჯანი“ — 1930 წ. და „არსენა მარაბდელი“ — 1937 წ., სომხურად გამოიცა „პაპა დიშო“ — 1928 წ. და „არსენა მარაბდელი“ — 1936 წ. 1930-იან წლებში ამ ნაწარმოებების სხვა ენებზე თარგმნისა და გამოქვეყნების საქმე ჩვენი კავშირის საზღვრებსაც ვასცდა.

მ. ჯავახიშვილის თხზულებების თარგმნის, გამოქვეყნებისა და პოპულარიზაციის საქმეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე დაახლოებით 1925—26 წ. წ. ხელი მოჰკიდა იმ დროისათვის ფრიალ განათლებულმა და უცხო ენების შესანიშნავმა მცოდნემ, ცნობილმა ქართველმა მთარგმნელმა ელისაბედ ორბელიანმა, რომელ-

მაც მთელი გულისყურითა და მონღობით თარგმნა და უცხოეთში გამოსაქვეყნებლად გაგზავნა მწერლის რამდენიმე მოთხოვნა.

ე. ორბელიანთან მ. ჯავახიშვილი მეგობრულ ურთიერთობაში იყო, ერთმანეთთან მისვლამოსვლა და მიწერა-მოწერა ჰქონდათ. თარგმანებზე მუშაობის დროს კი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ ხან მწერლის ბინაზე და ხან თვითონ ე. ორბელიანის სახლში.

უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა თავის ნაწარმოებთა სხვა ენებზე თარგმნის საქმეს. 1933 წელს ჟურნალ „დროშა“-ში გამოქვეყნებულ წერილში — „როგორ იწერებოდა არსენა მარაბდელი“, იგი წერდა: „საერთოდ თარგმანი მხოლოდ სარჩულია დედნისა და ბევრი რამე იკარგება, ნამეტან კი ისეთ ავტორს ეკარგება, ვინც ფოლკლორით არის დატვირთული. ამ მხრივ მე ძალიან ბევრს ვაგებ“. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელსაც მ. ჯავახიშვილი იჩენდა თავისი ნაწარმოებების თარგმნისადმი. როგორც რუსულ, ისე უცხო ენებზე თარგმნის დროს მწერალი, თითქმის ყოველთვის, მთარგმნელებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა თარგმნაში. ამის გამო თვითონაც წერდა: „ჩემს ნაწერებს მე თვითონვე ვითარგმნი და ვითარგმნივ“. გარდა ამისა არსებობს აგრეთვე რამდენიმე ნაწარმოების დამოუკიდებელი ავტორისეული თარგმანიც. მაგალითად, ავტორისეული თარგმანებია რუსულ ენაზე „არსენა მარაბდელი“, „ჯაყოს ხიზნები“, რომელიც დაიბეჭდა 1929 წელს, „კავკი კავკასიაში“, რომელიც მწერლის პირად არქივში ინახება და ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა, „თეთრი საყულო“ და სხვა მოთხრობები.

რუსულ თარგმანებთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო შემდეგი: თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ამბავს, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯები სხვა ეროვნების მკითხველებთან დაახლოებისა, რაც ზოგ შემთხვევაში ნაჩქარევ ხა-





სიათს ატარებდა, გასაგები გახდებდა ისიც, რომ მწერლის სიცოცხლეში შესრულებული თარგმანები, დღევანდელ თარგმანებთან შედარებით, მაღალ დონეზე არა დგას. ვფიქრობ, ყველა ეს თარგმანი საჭიროებს ხელმოწერად გადახედვას და დახვეწას. მიუხედავად ამისა, იმ დროს ამ თარგმანებმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს მწერლის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში.

მ. ჯავახიშვილი მეტად გატაცებული იყო თარგმნის საქმით და, როგორც თვითონ აღნიშნავს, მუშაობის პროცესში ხშირად თარგმანი მეორე ვარიანტი გამოსვლია ხოლმე იმავე ნაწარმოებისა.

მისი მოთხრობების ფრანგულ ენაზე თარგმნის დროსაც მწერალი ელისაბედ ორბელიანთან ერთად ხშირად მუშაობდა თარგმანის ტექსტზე. მან თვითონაც ზედმიწევნით კარგად იცოდა ფრანგული ენა და თარგმნილი ჰქონდა კიდევ რამდენიმე ნაწარმოები ფრანგულიდან. მწერლის არქივში არსებული მიწერ-მოწერიდან ჩანს, რომ ელისაბედ ორბელიანს გადათარგმნილი ჰქონდა ფრანგულ ენაზე შემდეგი ნაწარმოებები: „მართალი აბდულაჰ“, „მეჩქემე გაბო“, „ეშმაკის ქვა“ და „ეკა“. როგორც ცნობილია, ამ თარგმანებიდან პირველი ორი მოთხრობა — „მართალი აბდულაჰ“ და „მეჩქემე გაბო“ გამოქვეყნდა პარიზში 1930—1933 წ. წ., ხოლო დანარჩენი ორი თარგმანის გამოქვეყნების შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. წერილებიდან ირკვევა, რომ ელისაბედ ორბელიანს განზრახული ჰქონდა აგრეთვე მწერლის სხვა ნაწარმოებების თარგმნაც ფრანგულ ენაზე. 1933 წელს თავის ერთ-ერთ წერილში მიხეილი წერდა: „ფრანგულ ენაზე გამოსაქვეყნებლად ვამზადებ „არსენა მარაბდელი“ და მოთხრობებს (ამ მოთხრობებიდან ზოგიერთი უკვე დაიბეჭდა ჟურნალ „Candide“-ში)“. თარგმანი თუ არა ელისაბედმა „არსენა მარაბდელი“, ამის შესახებ მ. ჯავახიშვილის არქივში არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

ელისაბედ ორბელიანს თავის ერთ-ერთ წერილში (1927 წლის 11 ივნისის თარიღით) სწერს მიხეილს:

„ბ-ნო მიხეილ, მე უკვე სუყველაფერი მივწერე „აბდულაჰს“ შესახებ, მაგრამ თარგმანი ჯერ აქა მაქვს, იმიტომ, რომ თქვენც და მეც ერთი რამე დავავიწყდა!

ხომ თათრულ სიტყვებს, სახელებს ადგილებსა და სხვა და სხვა ტერმინებს ახსნა უნდა. ამისთვის უნდა მიანიც, ერთის საათის განმავლობაში, ერთად ვიმუშავოთ. თუ შესაძლებელია თქვენთვის, მობრძანდით ზეც, ორშაბათს, საღამოს ექვს საათზე, — თუ ვერა, მაშ სამშაბათს, იმავე დროს, მხოლოდ შემბატყობინეთ როდის მოხვალთ. კორექტურა გავაყეთ, —

ძალიან კარგად დაბეჭდილია, შედარებით მაღალი ცოტა იყო.

ნახვამდის. თქვენი პატივისცემელი ელისაბედ ორბელიანისა.“

როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის შემდეგ ელისაბედმა პარიზში ვაგზავნა პირველი მოთხრობის „მართალი აბდულაჰ“-ს ფრანგული თარგმანი, რომელიც 1930 წლის 3 ივნისს დაიბეჭდა პარიზში, ჟურნალ „Candide“-ის ფურცლებზე. ამ მოთხრობას ჟურნალში მთელი გვერდი აქვს დათმობილი (ჟურნალი იდრი ზომისა) და იქვე აღნიშნულია, რომ ეს არის მწერარალ მიხეილ ჯავახიშვილის ახალი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, რომლის თარგმანი ქართულიდან ელისაბედ ორბელიანს ეკუთვნის.

მეორე მოთხრობის „მეჩქემე გაბო“-ს თარგმანი 1933 წელს დაიბეჭდა იმავე ჟურნალში.

ჟურნალ „Candide“-ის ორი ვგზემალარი, სადაც მიხეილ ჯავახიშვილის ეს მოთხრობებია დაბეჭდილი, რედაქციამ გამოუგზავნა ავტორს პირად წერილთან ერთად. ამ წერილში, რომელიც გამოუგზავნილია 1931 წლის 7 ნოემბერს, ვკითხულობთ:

„ბ-ნ მიხეილ ჯავახიშვილს.

ჩვენ დაგიტოვეთ თქვენი მოთხრობები, რომელიც გამოქვეყნებული იქნება ჩვენს ჟურნალ „Candide“-ში უახლოეს ხანში. შემდეგისთვის დანარჩენ ნაწილებსაც დაგიბრუნებთ.

მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა.“

იმავე წელს ვაგზავნილ საბასუხო წერილში ავტორი ჟურნალის რედაქტორს სწერს:

„ბატონო რედაქტორო!

დიდად ნასიამოვნები დავარჩი, როცა ვნახე ჩემი ნოველა, „მართალი აბდულაჰ“ ამ ზაფხულს დაბეჭდილი თქვენს ჟურნალ „Candide“-ში. დღესვე გამოგიგზავნი ბანდეროლით დანარჩენ ჩემს სამ მოთხრობას და ვთხოვდით, რომ ისინიც დაგებეჭდათ, თუ შესაძლებელი იქნებოდა.

მიიღეთ ჩემი უღრმესი სალამი.

მიხეილ ჯავახიშვილი.“

ყველა ეს მასალა და წერილები ამჟამად მწერლის პირად არქივში ინახება ფრანგულ ჟურნალებთან ერთად. გარდა ამისა, აქვია შემონახული ე. ორბელიანის ავტოგრაფი — ერთი სახელი რვეული, რომელიც წარმოადგენს მოთხრობა „მართალი აბდულაჰ“-ის ინგლისურ ენაზე თარგმანს.

ზემოაღნიშნული მოთხრობების ფრანგულ ენაზე თარგმნისა და გამოქვეყნების შემდეგ ე. ორბელიანი შესდგომია იმავე მოთხრობების თარგმნას ინგლისურ ენაზე. 1932 წლის 13 სექტემბერს ე. ორბელიანი მიხეილს სწერს:

„ბ-ნო მიხეილ, აბდულაპ ინგლისურად ვთარგმნე. მზად არის. ვთარგმნიდი „Candide“-იდან, რადგანაც გამორთვებული აქეთ ზოგი თათრული სიტყვა, და ვიფიქრე, რომ ამერიკელებისათვისაც ასე სჯობია.

ახლა არ ვიცი სწორედ, რა უნდა დაეუმეტო წიგნიდან. თუ თვითონ მოხვალთ, ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ არა მაშინ დამინიშნეთ წიგნში, რომელსაც ამასთან ერთად გიგზავნით. ჩემი მდივანი მოვა ხვალ ხუთ საათზე და მის მოსვლამდე უნდა ვიცოდე.

სალამით ელ. ორბელიანისა“.

შემდეგ წერილში იგი სწერს:

„ბ-ნო მიხეილ, ძალიან მინდა თქვენი ნახვა. — თუ თავისუფალი ხართ, მოზრძანდით დღეს. — გაკვეთილებს გავათავებ საღამოს 8 საათზე. მოზრძანდით 8-ზე, ჩაის დაგლევთ და თქვენ მშვენიერ წიგნებზე ვილაპარაკებთ.

თქვენი პატივისმცემელი

ელისაბედ ორბელიანისა“.

დაახლოებით 1932 წელს ელისაბედმა ნიუ-იორკში გავზავნა ინგლისურად თარგმნილი ორი მოთხრობა — „მართალი აბდულაპ“ და „მეჩე-ქმე გაბო“. რა ბედი ეწიათ ამ მოთხრობებს ამერიკაში და გამოქვეყნდა თუ არა რომელიმე ჟურნალში, არ ვიცი.

მწერლის ერთ-ერთ საქალაქედს, რომელშიაც თვითონ ინახავდა ამ თარგმანებს, ავტორის ხელით გაკეთებული აქვს წარწერა: „აბდულაპ, გაბო — ინგლისურად. ეკა, ეშმაკის ქვა — ფრანგულად“. როგორც ჩანს, ელისაბედ ორბე-

ლიანს ფრანგულად თარგმნილი ზემოაღნიშნული ორი მოთხრობის გარდა კიდევ გადაუთარგმნია ორი მოთხრობა: „ეშმაკის ქვა“ და „ეკა“, რომელთა თარგმანი მწერლის არქივში აღარ მოიპოვება. უთუოდ ამ თარგმანების შესახებია ლაპარაკი მიხეილის ზემოთ მოყვანილ წერილში, „Candide“-ის რედაქტორის სახელზე. ცხადია, მწერალს ეს მოთხრობებიც გაუგზავნია პარიზში.

იმავე საქალაქედს, ამ წარწერის ქვეშ, მიხეილის ხელით გაკეთებული აქვს შემდეგი წარწერა: „აბდულაპ“ და „გაბო“ გავგზავნე ნიუ-იორკში 1/XI 32. წ. მ. ჯგე.“.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ელისაბედ ორბელიანს საკმაო შრომა აქვს გაწეული და დიდი ღვაწლი მიუძღვის მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებთა უცხო ენებზე თარგმნისა და გამოქვეყნების საქმეში. მისი თარგმანების საშუალებით გაეცნო ევროპელი მკითხველი ქართველი მწერლის ნაწარმოებებს.

არსებობს ერთი თარგმანი ჩეხურ ენაზეც. ეს არის რომანი „თეთრი საყუდლო“. რომანი ჩეხურად ითარგმნა და ცალკე წიგნად გამოვიდა ქ. პრადში 1930 წელს. თარგმანი შესრულებულია რუსული გამოცემიდან ვინცეც სვობოდას მიერ. წიგნი გამოსცა ვაცლავ ბეტრას გამომცემლობამ. თარგმანის შესახებ მწერალმა არაფერი იცოდა და მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც ჩეხოსლოვაკიიდან წიგნის რამდენიმე ცალი გამოუგზავნეს. ეს წიგნიც, სხვა მასალებთან ერთად, მწერლის პირად არქივში ინახება.



## ივანე უხანაძე

გვიანდელი ხანის ხის ქართული  
მოხარატებური კარი

ქართული ხელოვნების სხვა შესანიშნავ ნაწარმოებთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ხის მოხარატებული კარის მდიდარ კოლექციას. მომწიფებული ფეოდალური ხანის უძველესი ძეგლები (ჩუკელის, ჯახუნდერის, ფხუტერის, სვიბის, ლაშეს, ოცინდალეს და სხვანი) დათარიღებულია მეთერთმეტე საუკუნით. ეს ძეგლები გამოირჩევა, როგორც მძალაზნაბერული და ტექნიკურად სრულყოფილი მრავალფეროვანი ნაწარმოებები.

მეთერთმეტე საუკუნის შემდეგ კარგა ხანს ხის მოხარატებულ ძეგლებს ვეღარ ვხვდებით, ყოველ შემთხვევაში, მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

მონღოლების ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში დამოუკიდებლობის დაკარგვამ, საქართველოს ცალკეულ სამთავროებად დაშლამ, საერთო ეკონომიურმა დაცემამ, თურქეთთან მძიმე და შეუღრქველმა ბრძოლამ ქართული კულტურის განვითარებაზე იმოქმედეს.

არაჩვეულებრივად მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიტუაციებმა აიძულეს ქართველები ეზრუნათ მხოლოდამხოლოდ ფიზიკური არსებობისათვის. მიუხედავად ასეთი მშფოთვარე ცხოვრებისა, საქართველოს კულტურული ცენტრები მაინც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ აყვავების ეპოქის მხატვრული ტრადიციები.

ამ პერიოდს ეკუთვნის შუამთის მოხარატებული კარი.

მომდევნო საუკუნეებში საქართველო სუსტდება შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლებში, კულტურული დონე დაბლა იწევს. ამის ანარეკლს უდავოდ ვხვდებით იმ მოხარატებულ კარების კოლექციებში, რომლებიც შემოგვიანხა ამ არეულმა დრომ და ეამა. ვეღარ ვხვდებით იმ დახვეწილი გემოვნებით შესრულებულ ხის მოხარატებულ კარს, როგორცაც

ვხვდებით მომწიფებულ ფეოდალურ ხანაში, თავისი მხატვრული გემოვნებით, ლაკონურობით, ნათელი ორნამენტით და სახეებით, ხეზე კვეთილობის მრავალფეროვანი სახეობებით და სხვა.

ძველი შუამთის კარი. ძველი შუამთის ეკლესია მდებარეობს თელავის რაიონში. არქიტექტურული ძეგლი ეკუთვნის ჯვრის ტიპის ჯგუფს.

მოხარატებული კარი პროფ. ე. თაყაიშვილს 1879 წელს ადგილზე უნახავს. მალე იგი თბილისის საეკლესიო მუზეუმში გადმოუტანიათ, აქედან კი — თბილისის უნივერსიტეტის მუზეუმში. სამწუხაროდ, კარი ამჟამად არც ერთ მუზეუმში არ აღმოჩნდა. თვით ძველი გამოცემული არ ყოფილა, სამაგიეროდ რამდენჯერმე იყო გამოცემული მისი წარწერა. ძველი შუამთის კარი ერთფეროვანი ყოფილა, მაგრამ „Незатейливой работы“, როგორც აღინშნავენ ე. თაყაიშვილი და დ. გორდევნი.

კარის წარწერა პირველად გამოქვეყნებული იყო თელავის სასწავლებლის ინსპექტორ ვ. კიკნაძის მიერ: „Памятники древности Телавского уезда Тифлисской губернии“ СБ МОПМК вып. VII 1889 г. ა. ხახანაშვილმა 1899 წელს გამოაქვეყნა წერილი სათაურით: Экспедиция на Кавказе 1893—1894 г. Телавского уезда. МАК VII М. 1898 г.

ეს ზუსტად ის ზემოხსენებული წერილია, რომელიც ვ. კიკნაძემ რამდენიმე წლის წინათ გამოაქვეყნა. ა. ხახანაშვილის შემდეგ წარწერა გამოქვეყნებული იყო ენისკოპოს კირიონის და ორჯერ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ.

ე. თაყაიშვილმა წარწერა მეორედ, 1913 წელს, შემდგენიარად წაიკითხა: „ღმერთო შეიწყალე პატი რამგაულ ესე კარი მან ქნა წმიდაო ღმერთო და ყოვლად წმიდაო შეიწყალენ მოძღვარი ნიკოლოზ და ხურონი მიქელ და ღმერთე წმიდაო ღმერთო შეიწყალე



ბიჭუკური შიო ამინა. წარწერის ეჭვითმე თაყვილი ათარიღებს არა უგვიანეს მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნისა.

**ყორნისის კარი.** ეს ძველი სტალინირიდან ოციოდე კილომეტრზე მდებარეობს. მის შესახებ ლიტერატურაში არაფერია ცნობილი, გარდა გრაფინია უვაროვას ფრანგულული ცნობისა ყორნისის ხეობის შესახებ. მაგრამ საკვირველია, რამდენიმე სიტყვით მიიწინააღმდეგებოდა არ აღნიშნა ავტორმა ეკლესიის მოჩუქრობებული კარი.

ყორნისის კარასეთის წმინდა გიორგის ეკლესია დარბაზულ ტიპისაა. ეკლესიას საბჯენები აქვს შეყენებული და უსახურაოა. ძველი დაცული არ არის. ეკლესიას დასავლეთის მხარეს ერთი შესასვლელი აქვს, რომელზედაც ჩაქურთმირანი კარია ჩამოყიდებული. კარს აქვს ჩარჩო, რომელიც სამი რელიეფური ზოლისაგან შედგება. კარი ყვისფერია. იგი შეუღლებიან და ზედ რაღაც სახეებიც დაუხატავთ, რაც ძლიერ ამახინჯებს ძეგლს. საღებავი ზოგან ჩამორეციხილია.

კარი ორი არათანაბარი, ვერტიკალზე გადაკერებული ფიციისაგან შედგება.

კარი პორიზონტალური და ვერტიკალური რელიეფური ხაზების საშუალებით რამდენიმე არათანაბარ ნაწილად იყოფა. კარის ზედა ნაწილი ვერტიკალზე ხაზით ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა. ამ ხაზის აქეთ-იქით სიმეტრიულად აყვავებული ჯვრებია, რომელთაც სამი მკლავი თანაბარი აქვთ, მეოთხე კი ძირს ეშვება და ორნამენტულ კადრს ქმნის. ჯვრის სამი მკლავი ბოლოვდება სამყურათი, მეოთხე კი ქვემოთ შეერთებულია ესის მაგვარ ორნამენტთან. ქვემოთ, ორ პორიზონტალურ ხაზს შორის, მოთავსებულია სხვადასხვა სახეები. კარის ქვემო ნაწილიც ვერტიკალური რელიეფური ხაზის საშუალებით ორ ნაწილად იყოფა. იქით-აქეთ მეტად სტილიზებული სხვადასხვა სახეები.

ყორნისის კარის მორთულობის ანალოგიას ვხედავთ ბრეთის მოჩუქრობებულ კარზე, რომელიც, ისევე როგორც ყორნისის კარი, შესართულების მანერით მოგვაგონებს ბრინჯაოდან ჩამოსხმულ კარს. ყორნისის კარი ნაწილობრივ მოგვაგონებს ნოვგოროდის სოფლის ტაძრის „შედურ“ ანუ „სიგეტუნის“ კარს.

ყორნისის კარის მიკროსკოპულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი კაკლის ხის მერქნისგანაა გაკეთებული.

**ბრეთის კარი.** ბრეთის წმინდა პირისის მონასტერი მდებარეობს ქარელისაგან ცხრა კილომეტრის მანძილზე. ეკლესიას ერთი შესასვლელი აქვს სამხრეთიდან, რომელზედაც ხის მოხარატებული კარია. ლიტერატურა არც ამ

ძეგლზე არსებობს. კარი ერთფართიანია და აქვს ისეთივე სამი რელიეფური ხაზისაგან შემდგარი ჩარჩო, როგორც ყორნისის კარს. კარი სამი ფიციისგანაა გაკეთებული და მისი არე გაყოფილია რამდენიმე ნაწილად წვრილი რელიეფური ხაზების საშუალებით. ზემო ორ ოთხკუთხედში ერთი და იგივე კომპოზიციია — აყვავებული ჯვრების ქვედა ოთხკუთხედები განსხვავებულია. როგორც აღწერილობიდან ჩანს, ყორნისის და ბრეთის მოხარატებული კარი, როგორც კომპოზიციურად, ისე კვეთილობის შესრულებითაც, მსგავსია. ცხადია, ორივე კარი ერთი ოსტატის მოხარატებულია. არქიტექტურული ძეგლი ორივეგან ძველია, კარი კი ახალი. ეს კარიც ჯერჯერობით აღვიღებთ.

**ცაგერის კარი.** ცაგერის კარი ამჟამად ს.ჯანშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში ინახება. კარი ორფართიანია. დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილი ხის მოხარატებულ კართა შორის ცაგერის კარი ყველაზე დიდი ზომისაა. კარი კარკასული ტიპისაა. თითო ფრთა შედგება ორი ვერტიკალური და ოთხი პორიზონტალური კარკასის ზოლისაგან. კარკასის ზოლები სადადაა მორთული. კარის გულში კი მოხარატებულია (აქის ეკლესიის მოხარატებული კარის საწინააღმდეგოდ, სადაც კარკასი მოხარატებულია, გულში კი სადაა).

ცაგერის კარის ყოველი გული აქაც, ისევე როგორც მღვიმევის კარზე, ლილების ლენტითაა მოჩარჩოებული; შიგ კი, ოთხკუთხედის ცენტრში, ჯვრებია. დარჩენილი სივრცე, როგორც ჯვრებსა, ისე ოთხკუთხედს შორის, შევსებულია სტილიზებული ფლორებით. მღვიმევის კართან შედარებით მკლავებს შორის მანძილი უფრო მცირეა. აქაც, ისევე როგორც მღვიმეში, კომპოზიციების სიმეტრია დაცული არაა. მკლავებს შორის მანძილი მთლიანად ფლორების სახითაა შევსებული, მღვიმეში კი აქურთულია. მღვიმევის კარი უფრო მძიმე და მონუმენტური, ხოლო ცაგერისა — მოხდენილი და მსუბუქი.

იგი ოსტატს მღვიმევის ხის მოხარატებული კარებიდან გადმოუღია და უფრო გვიან ხანას მიეკუთვნება.

**მარტვილის კარი:** მარტვილის ტაძარი ქუონდიდშია (გეგეჭკორის რაიონი). იგი ეკუთვნის ჯვრის ტიპის არქიტექტურულ ძეგლთა ჯგუფს. მარტვილის მოხარატებული კარი ამჟამად ექსპონირებულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურულ ძეგლზე მდიდარი ლიტერატურული მასალა მოგვეპოვება, ამ კარის შესახებ მხოლოდ ორი სიტყვა აქვს დაწერილი გრა-



ფინია უვაროვას თავის მოგზაურობაში. კარი ერთფრთიანია. კარს გარშემო ორ ხაზს შუა დაპყვება ხუთი, ზოგან ექვსი ლენტისაგან შემდგარი წნული. ცენტრალურ არეზე კი ხვეული ხაზებია, რომლისგანაც გამოდის ფოთლები და ყვავილები. ქვემო ნაწილში სტილი-ხებული ქურჭელია — ლაქარის მსგავსი. ეს კარი თავისი სტილით მოგვაგონებს ზუგდიდის დადიანების სასახლის და ქუთაისის მარჯანი-შვილის სახლის (მეცხრამეტე საუკუნე) ხეზე კვეთლობის სახეებს. ზემოკუთხედში წარწერაა: „ეკუღერის ამის წინამძღვარი ოლომარიძე გერასიმე ვეღერებით ვაზოფი აღმოაქითხველთა ამისთა შენდობას გვიბრძანებდეთ თქვენ (ია?) შენდობილ იყავნით ამინ ძველი კარი განგაახლე და სიმეღისა დახუტარობისგან შეეკვამე და დაგხურე გერასიმე“ გვერდზე მიწერილია: ჩულისა იენისის კდს (რაც ნიშნავს 1838 წლის იენისის 24-ს.).

ეს ერთადერთი კარია, რომელმაც თავისი თარიღი შემოგვინახა. კარის მიკროსკოპულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი უთხოვარის ხისგანაა გაკეთებული.

**ოფისი კარი.** თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ექსპონირებული იყო ხის მოხარტებული კარი სოფ. ოფიოდან, ანდრონიკაშვილის სახლიდან (ამჟამად ინახება ფონდებში). საინვენტარო წიგნში აღნიშნულია, რომ იგი კაკლის ხისაა და შექმნილია იყალთოელ შ. მეტრეველისაგან.

კარი ერთფრთიანია და კარკასული ტიპისაა. კარკასის საშუალებით იგი 6 არათანაბარ ნ.წილად იყოფა. აქედან ოთხი (ორი. ზეით და ორი ქვეით) თანასწორ კვადრატს წარმოადგენს, ხოლო ორი შუაში — გრძელ ოთხკუთხედს. კარკასს ვერტიკალურ და ზემო და ქვემო ჰორიზონტალურ ზოლებზე დაპყვება ჩუქურთმა — ლენტის ზიგზაგები ნუსისებური სახეებით. კარკასის დანარჩენ ზოლებზე ცოტი განსხვავებული სახეებია. კარის კვადრატული ფორმის გულეები თითქმის ერთიდაიგივე სახისაგან შედგება (წრეები, ნუსის ფორმის ფოთლები, პატარა წრის გულში ყვავილები), სწორკუთხედი გულეზე კი მეტად სტილიზებული სახეებია. სახის ზედაპირი სამი ხიმალის რელიეფისაგან შედგება. კვეთილობა ძალიან დაბალი რელიეფითაა შესრულებული. კომპოზიციის მოსუსტება, მოკლებულია ლაკონურობას, სიმარტივეს და შეკრული არაა. ამ კარის ანალოგიურია ოქიოტელე ჩამოტანილი კარადის კარი, რომელიც იმავე თელავის მუზეუმში ინახება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კარადის კარიც იმავე სახლიდანაა ჩამოტანილი და იმავე ოსტატის მერაა მოხარტებული. კარის ანალოგიას ტყედათ აგრეთვე კულაშის ხეზე კვეთილობის ნიმუშის ფრაგმენტზე და ბოძებ-

ზე, რომლებიც ექსპონირებულია სუკუდუდუდის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში.

**ქვემო კალის კარი.** ეს კარი ჩამოტანილია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში კასპის რაიონიდან, კერპობინიდან. კარი ორფრთიანია და კარკასული ტიპისაა. შედგება რვა გულისაგან (სამი დაკარგულია) და კარკასისაგან, რომლის რამდენიმე ზოლიც აგრეთვე დაკარგულია. კარის ერთ ფრთაზე სამი გულია, მეორეზე — ორი. კარკასის ორნამენტული შედგება ოთხბრთიანი ლენტის წნულიდან. კარკასის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ზოლებზე წნული ოდნავ განსხვავებულია. კარის არც ერთ გულს ერთნაირი სახე არა აქვს. ზემოდან პირველი გულის ცენტრში (მარჯვნივ) რომბია, რომლის წვერობებიდან ცენტრისაკენ გამოდის და ობლებმა მარაოს მავგარი სახეები. ცენტრში წრეა, რომელიც დაფარულია ხაზებით. ასეთ წრეს ხშირად ვხვდებით ხალხურ ორნამენტში (სვანეთში, ხევსურეთში, რაჭაში, ქართლში და სხვ.).

დანარჩენ გულეებში სამ ან ოთხბრთიანი ლენტით მოხაზულია სხვადასხვა სტილიზებული სახეები (რეიანები, ყვავილები და სხვა). წნული, რომელიც გვხვდება კარის გულეებზე, დიდად ჩამოგავს კულაშის ბოძს. რელიეფი დაბალია. კარის ფრთები სხვადასხვაგვარია. უკეთესად არის შესრულებული კარის მარჯვენა ფრთა. უნდა ვიფიქროთ, რომ კარის ფრთები სხვადასხვა ოსტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული, რადგან ისინი არა მარტო მხატვრული ჩანაფიქრით, არამედ ტექნიკური შესრულებითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

**ნაკურალეშის კარი.** ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ხის ჩუქურთმიანი კარი ნაკურალეშიდან. კარი ორფრთიანია და თითო ფრთა გაკეთებულია ერთი მთლიანი ფიკრისაგან. შუაში ფრთებს დაპყვება თამასა. როდესაც კარი დახურულია, თამასას ვერტიკალზე გადაბმული რომბების მწყრივია ამოკვეთილი, როცა იღება, რომბების მაგიერ სამკუთხედებს ვხვდებით. ამ სახის ანალოგიას ვხვდებით ხალხურ ორნამენტზე, მავლითად, სვანურ კილობანზე და სხვა. კარის თვითიული ფრთა სამ ზოლად არის გაყოფილი. გარეთა ზოლები ერთნაირია, შუა ზოლი კი განსხვავებული. გვერდის ზოლები მორთულია ისეთი საყოფაცხოვრებო საგნებზე ლეჩხუმში, რაჭაში, სვანეთში და სხვა. კარის ცენტრში წრეებისა და რომბების მოტივია, რომელიც ხშირად ვხვდება არქიტექტურაში (ბედიო, მანკლისი, წულრულაშენი, ქვათახევი, კანბენ და სხვა). კარზე ეს სახე უფრო გამარტივებულია.

**აჭარის კარი.** აჭარელები ძველთაგანვე განთ-



ქმული იყვნენ როგორც ხეზე კვეთილობის შე-  
სანიშნავი ოსტატები. სამწუხაროდ, მათი ნა-  
მუშევრებიდან ძალიან ცოტამ მოაღწია ჩვენ-  
მდე. ლიტერატურაში თითქმის არაფერია ცნო-  
ბილი, თუ არ ჩავთვლით ა. პავლინოვის მიერ  
გამოქვეყნებულ წერილს (კავკასიის არქეოლო-  
გიური მასალების მეოთხე ტომში: „მამაძლია-  
ნური ძეგლები“), რომელშიც გამოქვეყნებუ-  
ლია მაქახლის პირის (დაარამაჩხელის პირის)  
და მარადიდის კარი. იქვე მოცემულია მათი  
მოკლე აღწერილობა. შემდეგ ამ მასალებს  
თავისი წყვილისათვის იყენებს დ. გორდევგი  
(„МГВИНСКАЯ резная дверь“ საქ. მუზეუმის  
მოამბე, ტომი მესამე, 1927 წ.). ამავ სკივტს  
ცხება აღამია თავის ახლახან გამოცემულ  
წიგნში „ხალხური ხელოვნება“. აჭარა“. ამ  
ფრაგმენტული ცნობების გარდა ამ ძველ-  
თა შესახებ მეტი არაფერია ვიცით, რადგან  
ძეგლები დაკარგულია. ზემოხსენებული ორივე  
კარი თავისებურ იერს ატარებს როგორც თა-  
ვისი სტილით, ისე თავისი ფორმით. ისინი  
განსხვავდებიან ჩვენს მიერ ზემოთ განხილუ-  
ლი ძეგლებისაგან. კარის ჩარჩოებს აქვს სწორ-  
კუთხე ფორმა, რომელშიაც ოვალური ან თა-  
ღოვანი ფორმის კარია ჩასმული. მაქახლის  
პირის კარის ჩუქურთმები უფრო ახლაა ქარ-  
თულ ჩუქურთმებთან. ანალოგის ვხვდებით  
როსტომ ჩიქოვანის სასახლის კარის მორთუ-  
ლობაში. მარადიდის კარის მორთულობაში ნათ-  
ლად ჩანს „აღმოსავლური“ ანუ „ისლამური“  
სტილის ნიშნები.

**როსტომ ჩიქოვანის სასახლის კარი.** ს. ჯანა-  
შისა სახელობის საქართველოს სახელმწიფო  
მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების გა-  
მოყენის ექსპოზიციაში ინახება სახლთუხუცეს  
როსტომ ჩიქოვანის სასახლის ხის მოხარატებუ-  
ლი კარი სამეგრელოდან. კარი ერთფართიანია,  
ერთი მთლიანი ფიცრისგანაა გაკეთებული. კარს  
ოთხკუთხედიანი ფორმა აქვს, მაგრამ კვეთილობის  
საშუალებით კარს ზემო ნაწილში მიღებული  
აქვს ოვალური ფორმა. კარის არე გაყოფილია  
ოთხ ვერტიკალურ ზოლად: ცენტრალური ზო-  
ლი ოთხი ლენტისაგან დაწნულ ზოლს წარ-  
მოადგენს. ეს წნულები ნაპირებისაგან იშლე-  
ბა წრებად და ერთმანეთს ეხლართება. ამის  
ანალოგიის ვხვდებით მაქახლის პირის მოხა-  
რატებულ კარზე და აჭარულ ჯამეს კარის  
ჩარჩოზე. გვერდების პორიზონტალურ ზოლებ-  
ზე დაპყვება გეომეტრიული ორნამენტის სხვა-  
დასხვა სახეები. ერთ-ერთი სახე ძალიან მოგ-  
ვაგონებს ახოს მოხარატებული კარის სახეს.

**ახოს კარი.** აჭარის ძეგლებს მიემატა ქედის  
რაიონის სოფ. ახოს ხის მოხარატებული კარი,  
რომელიც ამჟამად აჭარის ასრ სახელმწიფო

მუზეუმშია. კარი ორფართიანია, ამოგან ვერ-  
ექსპოზიციაშია, ხოლო მეორე — ფონდშია.  
მარადიდის და მაქახლის პირის კარისაგან გან-  
სხვავებით ახოს კარს ოთხკუთხედიანი ფორმა აქვს.  
თითო ფრთა თითო მთლიანი ფიცრისგანაა გაკე-  
თებული. ჩუქურთმების საშუალებით კარის ზე-  
მოთა ნაწილს მიკვებულ აქვს მომრგვალებული  
ფორმა. დანარჩენი არე ზემოთ მოჭრუქურთმე-  
ბელია. მთელი ფიცარი ვერტიკალური და პორ-  
იზონტალური ზოლებით დაყოფილია ჩვიდმეტ  
კვადრატად (მეთრამეტე, ზემოთა, გადაჭრი-  
ლია). ამ კვადრატებში ერთმანეთში ჩახატუ-  
ლია სამ-სამი რომბი, რომელთაგან ორი კვე-  
თილობითაა შესრულებული, მესამე კი სადაა.  
მთელი კვეთილობა გეომეტრიული სახეების-  
განაა შემდგარი. ამგვარ სახეებს ხშირად ვხვ-  
დებით ქართულ ავეჯზე. აჭარული კარი გა-  
მოიყვება ქართული კარის საერთო იერიდან.  
აჭარა დიდი ხნის განმავლობაში იყო დაპყრო-  
ბილი თურქების მიერ და ისლამური გავლენა  
ნათლად ჩანს ზემოხსენებულ ძეგლებში.

ჩვენთვის ცნობილი ხის მოხარატებული კარ-  
ის კოლექციაში ვხვდებმა ისეთი უფემოვნო  
და პრიმიტიულად შესრულებული ხის მოხარა-  
ტებული კარი, როგორცაა ზუგდიდის, მლა-  
შეს და ხობის მონასტრის კარი, და სხ.

გვიანდელი ხანის ხის მოხარატებული კარის  
სტილი, განვსება, შესრულების ტექნიკა არ-  
სებითად ემსხვედრება წინა პერიოდისაგან. თუ  
ადრეული ძეგლების ანალოგიებს არქიტექტუ-  
რაში ვხვდებით, გვიანდელ ძეგლებს მეტი  
საერთო აქვს ხალხურ საყოფაცხოვრებო საგნე-  
ბთან.

როგორც დაინახეთ, კარის მოხარატება ხე-  
ლოვნების მტად გავრცელებული და საყვარე-  
ლი სახეობა ყოფილა ქართველთათვის, მიუხე-  
დავად იმისა, რომ საქართველომ საუკუნეთა  
განმავლობაში მრავალჯერ განიცადა გარეშე  
მტრებისაგან აწიოკება. შემოსევის დროს იწ-  
ვლია მრავალი სარწმუნოებრივი ძეგლი და,  
რა თქმა უნდა, ხის მოხარატებული კარებე-  
ბიც, რომლითაც შემკული იყო საქართველოს  
ეკლესია-მონასტრები.

დასასრულ, გვიდა დაგვანეთ საკითხი  
იმის შესახებ, რომ საჭიროა ვიხრუნოთ საუ-  
კუნეების მანძილზე ისტორიის ქარცეცხლში  
გადარჩენილი ძეგლების დასაცავად. მრავალი  
ძეგლი დღეს უპატრონოდ არის მიტოვებული  
და ატმოსფერული და სხვა მიზეზებით ზიანდე-  
ბა (სვიბის, ზუტერერის, მაცხვარიშის, ყორნი-  
სის, ბრეთის და სხვა ძეგლები). საჭიროა ეს  
ძეგლები მოგთავსოთ ხელოვნების მუზეუმში  
და მათ დასაცავად მივიღოთ ზომები.





## ახალი პანკრატიონი

### ცოტა რამ რობოტებზე

ეს მოხდა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ. რკინიგზის სადგურში ჩვეულებრივ მრავალი მგზავრი ტრიალებდა. ყველა მათგანი პირველად სალაროსკენ მიდიოდა ბილეთის ასაღებად. აქ ერთი სალარო არ იყო — დიდ დარბაზში მრავალ სარკმელთან იდგა რიგი.

ერთ მათგანთან საკვირველი რამ ხდებოდა: მივიდოდა თუ არა მგზავრი, იმ წამსვე უკან ბრუნდებოდა ბილეთით ხელში; სალაროსთან რიგი არ იდგა.

სარკმელს მოხუცი, სათვლიანი ქალი მიუახლოვდა. ერთ ხელში პატარა ძალი ეჭირა, მეორეში — ფული ბილეთის ასაღებად.

სარკმელში შეიხედა.

— მომეცით ერთი ბილეთი...

და სიტყვა ვეღარ თქვა განცვიფრებისგან. სალაროს პატარა ოთახში მოლარე კი არ დაუნახავს, არამედ რაღაც მოწყობილობა, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა წარწერა: „მე ვასრულებ მოლარის მოვალეობას“. მოხუცმა გაფართოებული თვალებით ირვლევი მიმოიხედა და, როცა დინჯად მოსივრნე რკინიგზელს მიჰქრა თვალი, მაშინვე მიმართა:

— აქ გაუგებრობაა, გეთყავა, მოლარე არ ზის და რაღაც მოუწყვიათ. სად ავიღოთ ბილეთი?

— უთხარით რობოტს, ის მოგემსახურებათ. — რობოტს! — მოხუცმა თვალები აახამხამა.

— დიხ. სალაროში რობოტი ზის. გაუწოდეთ ფული და ბილეთს მიიღებთ.

ეს ისე დაბეჯითებით ითქვა, რომ მგზავრმა სიტყვა ვერ შეუბრუნა. „იქნებ მართლაც ასეა, რა არ ზდება ამ ქვეყანაზე!“ — გაიფიქრა და სარკმელში ხელი შეჰყო.

— რომელი მიმართულებით გინდათ ბილეთი? — უცბად აღაპარაკდა რობოტი.

როცა მოხუცმა დაასახლეა ქალაქი, სადაც მიემგზავრებოდა, იმავე წამს მის წინ გაჩნდა ბილეთი და... ჰოი, საკვირველებზე, ხურდა ფულიც კი!

მგზავრი ქალი სწრაფად გაეცალა სალაროს. სალაროში მართლაც რობოტი იჯდა. დინჯი, აღღვლებული და აღამიანზე უფრო მარჯვე. მარტო ბილეთს არ ჰყიდა. „უსულო აღამიანი“; ის თავისთვის ინიშნავდა — რა ბილეთი გაჰყიდა, რომ ხელმეორედ არ გაეყიდა იმავე ადგილზე სხვა ბილეთი. რობოტი პასუხს იძლეოდა ყველა შეკითხვაზე მატარებლის მოძრაობის შესახებ, იმასაც კი იტყობინებოდა, თუ რომელი მატარებელი რა დროით იგვიანებდა.

### შემთხვევა ბრიუსელში

ბრიუსელის მსოფლიო გამოფენის გახსნის წინ დადგა საკითხი — როგორ გაეწიათ მომსახურება ქალაქში ჩამოსული დამთვალიერებლებისთვის, რომელთა რიცხვი ათი ათასობით განისაზღვრებოდა ყოველდღიურად. უმოთხრესი პრობლემა იყო ჩამოსული სტუმრების მრავალრიცხოვან სასტუმროებში განაწილება. გამოფენის ორგანიზატორებმა ინიცირებეს მიმართეს დახმარებისთვის. გადაწყდა რობოტის გამოყენება. მართლაც, გამოფენის გახსნის დღიდან ბრიუსელში ამ რთულ საქმეს რობოტი ასრულებდა, თუმცა ამის შესახებ ჩასულებმა არაფერი იცოდნენ.

ავროპორტზე და მრავალრიცხოვან ვაგზლებზე შეიქმნა ბიუროები, სადაც ჩამოსულები მიმართავდნენ სასტუმროში მოწყობის თაობაზე. ბიუროების თანამშრომლები ტელეფონით უკავშირდებოდნენ ცენტრალურ კანტორას. კანტორაში რობოტი იდგა, იღებდა შეკითხვებს, „მეხსიერებაში“ ეძებდა ჯერ სასტუმროს, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს იყო იმ პუნქტთან, რომელიც შეკითხვებს აგზავნიდა, მერე სასტუმროს თავისუფალ ნომერს. რობოტი პასუხობდა აგრეთვე. როგორც იყო სასტუმროს ნომერი — აბაზანიანი თუ უაბაზანი, ერთადგილიანი თუ ორადგილიანი.



იტყობინებოდა სასტუმროს ზუსტ მისამართს. ერთ დღეს ბრიუსელში აურზაური ატყდა, ქალაქში ყველაფერი აირია, გზაჯვარედინებზე მანქანები ერთმანეთს გადაეღობა და გზა ჩიკეტა. რა მოხდა ასეთი? რეპობლიკა შეცდომა დაუშვა: ახლადამოსული 50.000 კაცი თორმეიმ სასტუმროსკენ გაუშვა, სადაც ყველა ნომერი დაკავებული იყო. მხოლოდ მეორე დღეს მიავნეს ინეინრებმა რეპობლიკის დაზიანებულ ადგილს და ქალაქში ისევ წესრიგი დამყარდა...

„უსაქმური“ მფრინავები

სამგზავრო თვითმფრინავი გასაფრენად ემზადება ყველზე ნაკლებად ეს მფრინავებს ემჩნევათ. კაბინაში სხედან და მასალათობენ. მართლაც, მათ ხომ საქმე არაფერი აქვთ. როცა გაფრენის დრო მოახლოვდა და თვითმფრინავის კარი დახურეს, ერთმა მფრინავმა წინ, დაფაზე დამაგრებულ პატარა დილას თითი დააჭირა და ისევ აუშვა. შემდეგ ვეერიდით მჯდომ მეგობართან საუბროს განაგრძო.

თვითმფრინავი მძლავრად ავტუვუნდა, ადგილიდან დაიძრა და მალე პავერში ავიდა. მფრინავები ჩვეულებრივ საუბრობდნენ, ვითომ თვითმფრინავში კი არა, საკუთარ ოჯახებში ყოფილიყვნენ. ზოგჯერ თუ გადახედავდნენ რთული ხელსაწყოების მაჩვენებელ ისრებს.

არც მაშინ მოიმოქმედეს რაიმე, როცა აეროდრომი გამოჩნდა. მანქანამ კი ნელ-ნელა დაიწია, აეროდრომის თავზე წრე გააკეთა და ოსტატურად დაეშვა. ვინ შართავდა თვითმფრინავს? კომპაქტური ზომის რეპობლიკა, რომელიც კაბინაში მოეწყობა.

რეპობლიკა ფრენის დროს ყველა მდგომარეობას თვალისწინებდა და ავტომატურად შართავდა მანქანას. სწორედ ამიტომ ასეთი მანქანის მფრინავებს ხშირად „უსაქმურებს“ უწოდებენ.

პირველი მთლიანად ავტომატიზებული სამგზავრო თვითმფრინავის გაფრენა მოხდა ჯერ კიდევ 10 წლის წინათ. სამგზავრო თვითმფრინავმა ისე იფრინა ნიუ-იორკიდან ლონდონამდე, რომ საჭირო აღმოჩნდა დილაზე თითის მხოლოდ ერთხელ დაჭერა და მეტი არაფერი.

მეტანოქსირი მბანასკალი

ხშირად სიახლე გადამდები ხდება. ეტყობა, ასე დაემართა რეპობლიკაც, თორემ აბა, ვინ იფიქრებდა, თუ მაქანკლის მოვალეობას დააკისრებდნენ!

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს დამპირწინებელი კანტორები. ერთი მათგანის

მდიდარმა მებატრონე ქალმა საქმის გამოკრეწვული ვების მიზნით მოინდომა რეპობლიკის გამაქმნებელი ბა. ინეინრები მოიწვია და ყველაფერი აუხსნა. ინეინრებმა ერთმანეთს გადახედეს. აი, კიდევ სად ყოფილა შესაძლებელი რეპობლიკის გამოყენება! უარი ან უთბრეს ქალბატონს. ფულის საქმე არ იყო!

რეპობლიკა წინასწარ მოუმზადეს კანტორის გასათხოვარი და დასაქორწინებელი ოცი ათასი კლიენტის ბართი, რომლებშიც ჩაწერილი იყო თვითველი მათგანის წლოვანება, სიმაღლე, თვალის ფერი, თმის ზომა, პროფესია, შემოსავალი და მსგავსი ცნობები. რეპობლიკა შეუდგა „მუშაობას“. მას ავალბდნენ მოცემენა შესაბამისი საცოლე, ან დასაქორწინებელი ახალგაზრდა ნებისმიერი კლიენტისათვის ისე, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო კლიენტის წინასწარი პირობები. რასაკვირველია, რეპობლიკა მშვენივრად „მაქანკლობდა“, რადგან ეს ყველაფერი უბრალო მათემატიკურ ანგარიშშივე იყო დაყვანილი. საჭირო აღარ ხდებოდა არც შემთხვევითი შეხვედრა ქუჩაში, არც პაემანი, არც ყვავილების თაფულები და არც სხვა მათი მსგავსი საყვარულის „მოძველებული“ ატრიბუტები. რეპობლიკა სწრაფად ბეჭდავდა ქალაღზე კლიენტისათვის საცოლეს ან საქმროს მისამართს, გვარს, სახელს, რის შემდეგ თამამად შეიძლებოდა ქორწინება.

მშვიდლი და რეპობლიკი

რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს მწერალს ისეთ ტექნიკურ მოწყობილობასთან, როგორცაა რეპობლიკა? ალბათ ბევრი იტყვის — არავითარიო. მაგრამ შეცდებიან. რეპობლიკა არა თუ რაიმე დამოკიდებულება, არამედ პირდაპირი კავშირიც აქვს მწერალთან. სიტყვა „რეპობლიკა“ მსოფლიოში პირველად იხმარა ჩემმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა და დღეს ის მტკიცედ შევიდა მრავალი ხალხის ლექსიკონში. ჩაპეკმა რეპობლიკა უწოდა ცოცხალ ავტომატს, რომელსაც არა აქვს ადამიანის გრძნობები და მოთხოვნები, სამაგიეროდ იდეალურად ახრლებს მის მოვალეობას.

როგორც ჰქონდა წარმოდგენილი მწერალს რეპობლიკა? ამაზე კარგად პასუხობს მისი პიესის „რური როსტომის უნივერსალური რეპობლიკის“ შინაარსი. ეს პიესა კარელ ჩაპეკმა დაწერა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, როცა ძალიან ნაკლებად იყო განვითარებული ავტომატიკა.

ქარხნის დირექტორის ოთახის ფანჯრებშიდან მოჩანს საქარხნო შენობების უსასრულო რიგები. შენობებში დგას უზარმაზარი ქურტულები, რომლებშიც ყრიან სათანადო მასალას



რობობისათვის. აქ მზადდება ვული, ფილტვები, ტვინი, ღვიძლი; სხვაგან კეთდება ნერვები; ნაწლავები კილომეტრებზეა გაჭიმული. ყველაფერი ეს ხდება ამწყობ საამქროში, სადაც საბოლოოდ მიიღება რობოტები.

პიესის გმირი განვემარტავს, თუ როგორ განნდა რობოტების შექმნის იდეა:

„რობოტების დამზადების საფუძვლად უღვეს უდიდესი ფიზიოლოგის როსუშის აღმოჩენა. ერთხელ მოხუცი როსუში გაემგზავრა ერთ შორეულ კუნძულზე, რათა შეესწავლა ზღვის ცოცხლები. ამასთან, იგი შეეცადა შეექმნა ცოცხალი მატერია, პროტოლაზმა და მან მიზანს მიიღწია: აღმოაჩინა ნეთიერება, რომელსაც ცოცხალი ნეთიერების ყველა თვისება ჰქონდა და რომლისგანაც შეიძლებოდა შექმნილიყო ცოცხალი არსებანი, დაწყებული ინფუზორიით და დამთავრებული ადამიანით“.

როსუშმა თავდაპირველად „გააკეთა“ ძალი. მერე კი ადამიანის „დამზადებას“ შეუდგა.

მაგრამ ეს არ დასცალდა. როსუშის აღმოჩენის ამბავი გაიგო მისმა ძმისწულმა ინჟინერმა როსუმ უმცროსმა.

— ეს დუქანი არაფრად ღირს, — თქვა მან, — არავისთვის არ არის საჭირო რაღაც ახალი ინოვაციები, დოკუმენტები, ან იდიოტები. უნდა დამზადდეს ცოცხალი და გონიერი მუშა-მანქანები.

მან ჩაქტა მოხუცი ლაბორატორიაში, სადაც ის მალე გარდაიცვალა კიდევ, და საქმეს ხელი მოჰკიდა.

ინჟინერი ასე ფიქრობდა:

— ადამიანის ორგანიზმი თანამედროვე ტექნიკისთვის სრულყოფილი არ არის და ძალზე ძვირია. ადამიანი ისეთი არსებაა, რომელსაც უნდა, მაგალითად, ბედნიერების შეგრძნობა, ვიოლინოზე დაკვრა, სეირნობა და, სერიოზოდ, ბევრი რამ, მაშინ როდესაც მისგან მოითხოვენ მხოლოდ ქსოვას ან ანგარიშს. ყველაზე უკეთესი მუშა ის არის, რომელიც ყველაზე იაფია და რომელსაც მინიმალური მოთხოვნილება აქვს.

მან უარყო ყველაფერი, რაც დაკავშირებული არ იყო შრომასთან და გააკეთა რობოტი.

ერთი რობოტის გამოკვება 3/4 ცენტი ჯდებოდა წელიწადში, სამაგიეროდ ის ორნახევარ მუშას სცვლიდა. რობოტი სჭამდა ყველაფერს. მას არ ჰქონდა მოთხოვნილება და ზრძნობა. ის სიცოცხლეს არ უფრთხილდებოდა, რადგან ეს მისთვის საჭიროც არ იყო.

ახალგაზრდა ინჟინრის მიერ გამოშვებულმა პროტექტორმა დიდი გამოყენება ჰპოვა, მსოფლიოს ყველა კუთხეში ყოველდღიურად 15.000 რობოტი იგზავნებოდა და თვითუელი 20 დოლარი ღირდა.

პიესა იმით მთავრდება, რომ რობოტების მოახდინეს რეეოლუცია, დაამხეს ახალგაზრდა როსუშის და მისი დირექტორების ძალაუფლება.

## ბოლოდ თანაშემწე

კარელ ჩაქემა პიესაში ის ძირითადი აზრი გაატარა, რომ არ შეიძლება რობოტების დამონებაც კი. მაგრამ ამასთან მწერალმა წინასწარ განჭვრიტა დღევანდელი ტექნიკის ძირითადი მიმართულება — ავტომატიკა. სწორედ ამიტომ მიუღდა ასე ძლიერ სიტყვა „რობოტი“ თანამედროვე გონიერ ავტომატებს.

რობოტები ასრულებენ მექანიკურ მოძრაობებს. საიდან ღებულობენ ისინი ენერჯის? რასაკვირველია, ყოველი მექანიკური ძრაობა სრულდება ელექტროენერჯის დახმარებით. რობოტის მოძრაეი ნაწილი დაკავშირებულია სოლენოიდებთან (ელექტრომაგნიტი, რომელიც დენის გავლისას რტისას გულას იზიდავს ზეი-ში). საკმარისია რომელიმე რელემ ჩართოს ესა თუ ის ელექტრული წრედი, რომ სოლენოიდი ამოქმედდეს და ადამიანის მაგიერად გარკვეული მოძრაობა შესარტლოს. რელეები კი მუშაობენ წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით, ან რაიმე გარეშე ზემოქმედების შედეგად.

როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, რობოტს შეუძლია შეეცვალოს სხვადასხვა პროფესიის ადამიანი, შესარტლოს მრავალი სახის ოპერაცია. თანამედროვე რობოტებს, კარელ ჩაქეის რობოტებისაგან განსხვავებით, ახა აქვთ ტვინი, ფილტვები, ნერვები, მაგრამ მათში ჩადგმული მექანიკურებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების საფუძვლებზე დამზადებული კვანძები ამედაგნებენ გასაოცარ უნარს, ბევრჯერ ცოცხალი ადამიანისთვისაც კი მიუწვდომელს. განა საკვირველი არ არის ავტომატური მართვა მანქანების მთელი სისტემისა, რომელშიც 2613 ხარხია გაერთიანებული 36 კილომეტრის სიგრძის კონვეიერზე ერთ ბოლოში რომ ნედლეულს აწვდიან, მეორე ბოლოში მზა მაცივრები მიიღება. აქ ვერსად ნახავთ მუშებს. არის ქარხანა, სადაც ყოველდღიურად 4600 ძრაეის ბლოკი მზადდება ისე, რომ ქარხანაში ერთი მუშაც არ არის, გარდა მთავარი ინჟინრისა და დამლაგებლისა. არსებობს ქარხანა, რომელიც ადამიანის ჩარევის გარეშე ყოველდღე 1.000-ზე მეტ რადიომიმღებს ამზადებს ავტომატურად.

ასეუმა მაგალითებმა დიდი ფანტაზია გაუ-





ღვია ზოგიერთ უცხოელ სპეციალისტსა და მწერალს. ისინი ახლა ამტკიცებენ, თითქოს რობოტებს შეუძლიათ შეცვალონ ადამიანები და მსოფლიოს მომავალი; ეს არისო გიგანტური ელექტრონული მექანიზმის დიქტატურა. ერთმა მწერალმა დაწერა წიგნი: „რობოტების ერა“. მწერალი წინასწარმეტყველებს, რომ დადგება დღე, როცა „მექანიკური ტვინი“ შეეცდება თავისთავს გაუგოს და კმაყოფილებით აღმოაჩენს თავის ჯერ უცნობ, უჩვეულო უნარს დამოუკიდებელი აზროვნებისას. ეს მას ჩაუნერგავს გამბედაობას შემდგომი ანალიზისთვის და მიეცა იმ დასკვნამდე, რომ კაცობრიობამ შეასრულა თავისი ისტორიული მი-

სია, მისი არსებობა სასარგებლო აღმოჩნდება და ბოლო უნდა მოელოს“.

ერთ-ერთი ამერიკელ პროფესორი კი ამტკიცებს, რომ საუკუნეების მანძილზე ადამიანის ტვინი სულ უფრო და უფრო მცირდება, მაშინ, როცა „მანქანის ტვინი“ იზრდება. და პროფესორი ასეთ კითხვას სვამს: „დადგება თუ არა ბოლოს ისეთი პერიოდი, როცა მანქანა დაიწყებს ადამიანების მართვას“ (!).

რაც უნდა წერონ და ილაპარკონ უცხოეთის სპეციალისტებმა და მწერლებმა, მანქანები და რობოტები ვერ მიაღწევენ დამოუკიდებელ აზროვნებას. მანქანა იყო და დარჩება მხოლოდ თანამემწედ ადამიანისა.







ლი ფართობი და ხმელეთი მხოლოდ სამხრეთ ამერიკითა და აფრიკის ერთი ნაწილითაა წარმოდგენილი. ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებს შორის ხმელეთისა და წყლის არათანაბარი განაწილების გამო მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ დედამიწის სფეროს წონასწორობისათვის სამხრეთ ნახევარსფეროში კიდევ უნდა არსებობდეს ხმელეთის დიდი ფართობი. ამ სავარაუდო და უცნობ ხმელეთს წინასწარ სახელიც კი შეარქვეს და უწოდეს „ტერა ინკონიტა აუსტარის“, ე. ი. უცნობი სამხრეთი მიწა.

XVII საუკუნეში ჰოლანდელებმა აღმოაჩინეს ახალი მიწა, რომელსაც ჯერ ახალი ჰოლანდია, შემდეგ კი ტერა აუსტარალია ე. ი. სამხრეთი მიწა უწოდეს.

შემდგომში გამოკვლევებმა ცხადყო, რომ აუსტარალიის ფართობი დიდი არ არის და მისმა აღმოჩენამ მონაცემები ვერ გადაწყვიტა საუკუნოვანი დავა ორ ნახევარსფეროს შორის „ახალი წონასწორობის“ შესახებ. მეცნიერთა ვარაუდით უფრო სამხრეთით კიდევ უნდა ყოფილიყო ხმელეთის დიდი ფართობი.

ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდო ცნობილი ინგლისელ მეცნიერსა და მოგზაურს ჯეიმს კუქს. მან ორჯონ იმოგზაურა სამხრეთის ზღვებში (1777 და 1779 წლებში), მაგრამ ვერაფერით ხმელეთი ვერ აღმოაჩინა. ამასთან დაკავშირებით ჯეიმს კუქი წერდა: „მე ორჯერ გადავეცეთ სამხრეთ პოლარული წრე და დავამტკიცე, რომ სამხრეთით არ არის არავითარი ხმელეთი. ამერიკიდან ადგილი აღარ ექნება უაზრო დაეს არარსებული სამხრეთი მიწის შესახებ“.

იმ პერიოდში ჯეიმს კუქის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მას დაეთანხმენ და უარი თქვეს ყოველგვარი ექსპედიციების გაგზავნაზე სამხრეთ ზღვებში. მაგრამ კუქის მოსაზრებებს ერთობ კრიტიკულად შეხედეს რუსმა მეცნიერებმა და მათ გადაწყვიტეს ამ ფაქტების ადგილზე შემოწმება.

დათ. 1819—1821 წლებში რუსეთის საზღვაო სამინისტრომ სამხრეთ ზღვებში გაგზავნა ორი გემი „ვოსტოკი“ და „მირნი“ თავდებულ ბელისპაუზენისა და მიხეილ ლაზარევის მეთაურობით. რუსეთის გემებმა ექვსჯერ გადაკვეთეს სამხრეთ პოლარული წრე და ორჯერ მიადგნენ უცნობი სამხრეთი მიწის ნაპირს.

ის, რაც ვერ გააკეთა ინგლისელმა ჯეიმს კუქმა, გააკეთეს რუსმა ზღვაოსან-მოგზაურებმა. ამ ექსპედიციის შემდეგ დადასტურებული იქნა უკიდურეს სამხრეთით ხმელეთის დიდი ფართობის არსებობა. უფრო გვიან ახლად აღმოჩენილ ხმელეთს ანტარტიკა უწოდეს.

ამით დამთავრდა სამხრეთ ზღვებში მიწების

ძებნა, თუმცა წყლისა და ხმელეთის განაწილება ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებს შორის მაინც საკმაოდ განსხვავებული დარჩა. დღისათვის ჩრდილო ნახევარსფეროში წყალს უკავია მთლიან ზედაპირის 61 პროცენტი, ხმელეთს კი 39 პროცენტი, მაშინ როდესაც სამხრეთ ნახევარსფეროში წყლით დაფარულია ზედაპირის 81 პროცენტი, ხმელეთს კი უკიდურეს მხოლოდ 19 პროცენტი, ე. ი. ორნახევარჯერ ნაკლები, ვიდრე ჩრდილო ნახევარსფეროში.

სკოტი მუ აშუხლსანი

მუღმივი ყინულით დაფარული ანტარტიკა აღიარებულ იქნა მეექვსე კონტინენტად. დაიწყო მისი მეცნიერული შესწავლა. ანტარტიკული ოქქის მნიშვნელობა იმითაც გაიზარდა, რომ მის წყლებში XIX საუკუნის დამდეგს დაიწყო ევშაბებზე ნადირობა, რაც დიდ შემოსავალს აძლევდა მთელ რიგ ქვეყნებს, განსაკუთრებით ინგლისსა და ნორვეგიას. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ თავდაპირველად ყველაზე მეტი წვლილი ანტარტიკის შესწავლაში სწორედ ინგლისმა და ნორვეგიამ შეიტანეს. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავი არიან ინგლისელი რობერტ სკოტი და ნორვეგიელი რუალ ამუნდსენი.

ინგლისელები დიდად დაინტერესებული იყვნენ ანტარტიკის ხელში ჩაგდებაში, ამიტომ მათ რამდენიმე სპეციალური ექსპედიცია გაგზავნეს ანტარტიკისაკენ, ერთ-ერთ მათგანს დავალებული ჰქონდა მიეღწია სამხრეთ პოლუსისათვის, იქ აემართა ინგლისის მეფის დროშა და კონტინენტი ოფიციალურად ინგლისის სამფლობელოდ გამოცხადებინა. ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი მკვლევარი რობერტ სკოტი, რომელიც ინგლისიდან სამხრეთ პოლუსისაკენ გაემართა 1910 წლის 2 ნოემბერს.

ამავე პერიოდში ცნობილი ნორვეგიელი მკვლევარი და მეცნიერი რუალ ამუნდსენი მიემართებოდა ჩრდილო პოლუსის დასაპყრობად, მაგრამ 1909 წლის 6 აპრილს ამერიკელმა რობერტ პირიმ მიაღწია ჩრდილო პოლუსს. ამიტომ ამუნდსენმა გზეი სამხრეთისაკენ აიღო და 1911 წლის 14 დეკემბერს ნორვეგიის მეფის დროშა აღმართა დედამიწის უკიდურეს სამხრეთ წერტილში.

რობერტ სკოტის ექსპედიციამ დიდი ვაჭირვებით მიაღწია სამხრეთ პოლუსს 1912 წლის 18 იანვარს.

პოლუსზე ინგლისელებს ნორვეგიის მეფის დროშა დახვდათ აღმართული. ამუნდსენმა მათ 35 დღით დაასწრო. ინგლისელები მორალურად დაეცნენ, ძალღობი დაეხოცათ, სურსათიც გა-





მოელიათ და უკან დაბრუნებისას ყველანი დაიღუპნენ.

ამუნდსენმა არა მარტო პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს, არამედ თავისი მეცნიერული დაკვირვებებითა და პროგნოზებით ხელი შეუწყო შემდგომი ექსპედიციის მუშაობას.

საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციები

არქტიკული ოლქის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა მესამე საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო. 1957 წლის ივლისიდან 1958 წლის დეკემბრამდე ანტარქტიდისა და მიმდებარე ზღვების კვლევას აწარმოებდა 11 სახელმწიფო — სსრ კავშირი, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, ნორვეგია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, არგენტინა, ჩილი, ბელგია და იაპონია.

1956 წლის ნოემბერში პირველი საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიცია გაემგზავრა სამხრეთ ნახევარსფეროში სამეცნიერო ბაზების მოსაწყობად. მას შემდეგ ანტარქტიკული ოლქის კვლევას დიდი მასშტაბებით აწარმოებენ საბჭოთა მეცნიერები.

ანტარქტიდის ტერიტორიაზე შეიქმნა ცხრა საბჭოთა სადგური. დეივის ზღვის ნაპირზე გაშენდა ახალი დიდი დასახლებული პუნქტი — გეოფიზიკური ობსერვატორია და ანტარქტიკული ექსპედიციის მთავარი ბაზა „მირნი“ (ასე ერქვა ბელისსპაუნენ-ლაზარევის ექსპედიციის გემს). მირნიდან 375 კილომეტრის მანძილზე ზღვის დონიდან 2700 მეტრის სიმაღლეზე გაშენდა სამეცნიერო სადგური „პიონერსკაია“, სადაც ექსპედიციის ერთ-ერთ წევრად მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ქართველი ინჟინერი გარსევან ქურდილაძე.

კონტინენტის სიღრმეში, ნაირიდან 1400 კილომეტრის მანძილზე, მოეწყო სამეცნიერო სადგური „ვოსტოკი“, რომელიც აგრეთვე ატარებს სახელოვანი წინაპრების, ბელისსპაუნენ-ლაზარევის ექსპედიციის გემის სახელს. გარდა ამისა, არსებობს სადგური „ლაზარევი“, „ბელინსპაუნენი“, „მიუწვდომლობის პოლუსი“, „სოვეტსკაია“, „ოაზისი“ და „კომსომოლსკაია“.

მიუხედავად მძიმე მეტეოროლოგიური პირობებისა, საბჭოთა მეცნიერები განაგრძობენ ნაყოფიერ მუშაობას ანტარქტიდაზე და უკვე დიდძალი მასალა არის დაგროვილი. ამიტომ უკვე შეიძლება ზოგიერთი მეცნიერული დასკვნის გაკეთება.

ვიარონიანსკი, ოიმიაკონი თუ ანტარქტიდა

მსოფლიოში ყველაზე დაბალი ტემპერატურის ადგილად, ან, როგორც ზშირად ვამბობთ

ხოლმე, „სიცივის პოლუსად“ ერთ ხანს აღიარებულა ჟ. ვერხოიანსკი, სადაც აღნიშნული იყო მინუს 68,7 გრადუსი ჰაერის ტემპერატურა. შემდეგ კი მდ. ინდიგირკას სათავეში, დაბა ოიმიაკონის (იაკუტიის ასსრ) ქვაბურში აღმოჩენილ იქნა უფრო დაბალი ტემპერატურა — მინუს 71 გრადუსი.

1958 წლამდე ოიმიაკონის ქვაბური ითვლებოდა „სიცივის პოლუსად“. საბჭოთა მეცნიერებმა ანტარქტიდაში დიდი მუშაობა ჩატარეს. სპეციალური საპაერო ბურთების გამოყენებით, თვითმფრინავიდან დაკვირვებებით დადგენილია ატმოსფერული პარამეტრების რიგი მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი. 1957 წლის 17 სექტემბერს ამერიკელთა სამეცნიერო სადგურ ამუნდსენ-სკოტზე რეგისტრირებულ იქნა ჰაერის ტემპერატურის ახალი აბსოლუტური მინიმუმი — მინუს 74,5 გრადუსი. მაგრამ საბჭოთა მეცნიერებმა გამოარკვეეს, რომ ეს მონაცემები არ არის ზღვარი. 1958 წლის 10 მაისს სადგურ „სოვეტსკაიაზე“ აღნიშნული იქნა მინუს 79 გრადუსი, 19 ივნისს კი — მინუს 81,7 გრადუსი. მაგრამ ამ მონაცემებმა დიდახსნ არ გასძლო. 1958 წლის 25 აგვისტოს სადგურ „ვოსტოკის“ ხელსაწყოებმა აღნიშნეს ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა, რომელიც ოდესმე აღამიანს აღუნიშნია დედამიწის ზურგზე — მინუს 87,4 გრადუსი (ცელსიუსით). ისეთი დაბალი ტემპერატურის პირობებში, როგორც „ვოსტოკსა“ და „სოვეტსკაიაზე“ იყო რეგისტრირებული, აღამიანს არასოდეს არ უხვებოდა.

საინტერესოა, რა ხდება ასეთი დაბალი ტემპერატურის დროს. საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევით ასეთი უჩიოდესი ყინვა განსაკუთრებით მოქმედებს არა მარტო აღამიანის ორგანიზმზე, არამედ ლითონსა და სხვა მასალებზე. ასე მაგალითად, სხეულთა მოცულობის შემცირების შედეგად ლითონების გამძლეობა სტატიკური დატვირთვის დროს იზრდება. ასევე იზრდება ფოლადის სიმყიფეც.

არსებობს თუ არა ანტარქტიდის კონტინენტი

ანტარქტიდა მეექვსე კონტინენტი — ასე ვიცოდით დღემდე, ასე ეწერა წიგნებში, ასე გვასწავლიდნენ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევათა შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მეექვსე კონტინენტის არსებობა. ყველაფერი ეს დაიწყო ანტარქტიდის საუკუნოვანი სისქის ყინულის გამოკვლევით.

1956—1957 წლებში საბჭოთა ექსპედიციამ 375 კილომეტრის მანძილზე გამოიკვლია ან-



ტარქტიდის იმ სექტორის ყინულის საფარის სისქე, რომელიც ინდოეთის ოკეანეს ეკვრის, გამოირკვა, რომ ყინულის საფუძველი ზღვის დონეზე დაბლაა. რაც შეეხება ყინულის სისქეს, დადასტურებულ იქნა, რომ სანაპიროდან 27-ე კილომეტრზე ის 1000 მეტრს შეადგენს, მე-100 კილომეტრზე — 1500 მეტრს, მე-200 კილომეტრზე — 2250 მეტრს, ხოლო 375-ე კილომეტრზე, სადაც დაბა „მირნი“ მდებარეობს — 3500 მეტრს. დადგინდა იქნა, რომ დაბა „მირნი“ მდებარეობს არა მატერიკზე, არამედ კუნძულზე.

წინასწარი გამოკვლევები უფლებას აძლევს მეცნიერებს იფიქრონ, რომ ანტარქტიდა არის არა კონტინენტი, არამედ არქიპელაგო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იფარებოდა ყინულის სქელი ფენით. ცხადია, ზუსტი პასუხის გაცემა ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ შეიძლება, მაგრამ ერთი რამ ნათელია: ანტარქტიდის კონტინენტის არსებობა ეჭვქვეშაა დაცემული და, თუკი არსებობს მაინც ანტარქტიდის კონტინენტი, მაშინ მისი ფართობი, რაც მთავარია, მისი კონფიგურაცია, არ იქნება ისეთი, როგორც თანამედროვე გეოგრაფიულ რუკაზეა წარმოდგენილი. ამ კონტინენტის ფართობი იქნება გაცილებით ნაკლები და მოხაზულობაც სხვანაირი.

კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება. საბჭოთა მეცნიერებმა გეომორფოლოგიური სამუშაოები ჩაატარეს ოკეანის ფსკერზე და დაადგინეს მისი დიდი სირთულე და დანაწევრება. ჩვენი სპეციალისტები დარწმუნებით ლაპარაკობენ გონდვანის ძველი კონტინენტის შესახებ, რომელიც ოდესღაც აერთიანებდა აღმოსავლეთ ანტარქტიდას აფრიკასა და დასავლეთ ავსტრალიასთან.

**გადიბა თუ არა ანტარქტიდის ყინულები?**

ბოლო წლებში მეცნიერების დაკვირვებით დადგინდა, რომ დედამიწის ზედაპირზე თანდათანობით დათბობა ხდება. საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის დამდეგისათვის ყინვარებით დაფარული იყო მთელი ხმელეთის მეოთხედზე მეტი, დაახლოებით 40 მილიონი კვადრატული კილომეტრი. შემდეგში, ინტენსიური დათბობის შედეგად, ყინვარების ფართობი საგრძნობლად შემცირდა და დღეისათვის მხოლოდ 15-16 მილიონ კვადრატულ კილომეტრს ანგარიშობენ. მაშასადამე, ერთნაირგვარი საუკუნის განმავლობაში ყინვარებით დაფარული ხმელეთის ფართობი ნახევარზე მეტად შემცირდა.

ეს პროცესი ჩვენს დროშიც გრძელდება,

განსაკუთრებით ანტარქტიდაზე. აქ უკვე გრძელდება ბევრი „ოპოზიი“, ე. ი. ყინვარისაგან თავისუფლებული ადგილი, ანტარქტიკული ზღვის ნაპირებზე გამოჩნდა უამრავი თევზის სახეობა, სხვადასხვაგვარი კიბოსნაირები, რომლებიც საუკეთესო საყვავის წარმოადგენს პინგვინებისა და ვეშაპებისათვის. გაიზარდა ვეშაპების რიცხვი, ხოლო პინგვინების რიცხვი კი ბოლო დროს კატასტროფულად იზარდება.

საბჭოთა მეცნიერებმა საინტერესო გამოკვლევები ჩაატარეს ანტარქტიდის ცხოველებსა და ფრინველებზე. შესწავლილია ყველა სახის პინგვინის, გიგანტური მეთოვლიას, ზღვის ლეობარდისა და სხვადასხვა სახის სელაძის გავრცელების კანონზომიერება. გამოირკვა, რომ ანტარქტიდის ზოგიერთ ნაწილში ცხოველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. კუნძულ ხასტელზე თვითივე კვლარატულ კილომეტრზე ოცი ათასამდე სხვადასხვა ფრინველი მოდის.

თავის აქტივობა გააძლიერა ანტარქტიდის მოქმედმა ვულკანმა „ურბუსმა“; მის გარშემო სულ უფრო და უფრო იზრდება ყინულისაგან განთავისუფლებული ხმელეთის ფართობი.

გადნება თუ არა ანტარქტიდა? ამის თქმა ჯერ ძნელია, მაგრამ ყინვარის უკანდახევისა და დათბობის პროცესი ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს. თუ დათბობის პროცესი ასეთი ინტენსიობით გავრძელდა, შესაძლოა ასეული წლების შემდეგ ანტარქტიდის ყინულების ნიშნულზე დაბალი ნაწილი მართლაც გადნეს.

კიდევ ერთი დეტალი. ანტარქტიდის ერთ-ერთი ძველი მკვლევარის, ამერიკელი პროფესორის დევისის აზრით ანტარქტიდის ყინულის საფარის საშუალო სისქე 550 მეტრს უდრის. ყინულის ეს მასა რომ გადნეს, დევისის აზრით, ოკეანის დონე მთელ დედამიწაზე 15 მეტრით აიწევს. საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევებით ყინულის საშუალო სისქე გაცილებით მეტია. ასევე მეტია ანტარქტიდის ყინულის მთელი მასის მოცულობაც და ამიტომ მონაცემები — 15 მეტრი — შესაძლებელია გასაძეგს; ე. ი. დავუშვათ ანტარქტიდის ყინულის მასა რომ გადნეს, მაშინ ოკეანის დონე დედამიწის ზედაპირზე 40-45 მეტრით აიწევს. ეს კი იმის ნიშნავს, რომ წყლით დაიფარება კოლხეთის, ლომბარდიის, მისისიპის, ჩინეთის, ვანგესისა და სხვა დამბლობები, დიდად მოიმატებს წყლით დაფარული ფართობი და, თუ დღეს წყლისა და ხმელეთის თანფართობა 71:29 შეადგენს, ოკეანის დონის 40-45 მეტრით აწევით შეფარდება 80:20 მიაღწევს.

მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრებაა..



მკვლევართა საერთაშორისო  
თანამშრომლობა

სამეცნიერო ბაზებისა და სადგურების (დრო-  
ვებითი და მოძრავი სადგურების) რაოდენობა  
ანტარქტიდაზე 32-ს აღწევს. ამერიკის შეერ-  
თებულ შტატებს მოეწობილი აქვთ 7 სამეც-  
ნიერო სადგური, მათ შორის ერთი ზედ სამხ-  
რეთ პოლუსზე, ინგლისს — 3, საფრანგეთს—  
3, ავსტრალიას — 2, ახალ ზელანდს — 2, და  
თითო სადგური ნორვეგიას, ბელგიას, ჩილისა  
და იაპონიას.

ყველა სადგური ერთმანეთთან დაკავშირე-  
ბულია და მეცნიერული ინფორმაციების გაც-  
ვლა-გამოცვლა ხდება რადიოთი, რადიოგადა-  
ცემათა ნიშანია „იყავ მზად“. ყველა სადგურ-  
ი თავის მნიშვნელოვან მონაცემებს ჰაერის  
ტემპერატურის შესახებ ავზაფანის ქალაქ ბალ-  
ტიმორში (აშშ), რომელიც აღიარებულია მსოფ-  
ლიო პროგნოზის ცენტრად. გარდა ამისა, ან-  
ტარქტიდის შესახებ სპეციალური ცნობები

გადაცემას ყოველდღიურად აწარმოებენ მკვლევარ-  
ნი, დარშტადტი, ბალტიმორი, ტოკიო და  
მოსკოვის ახლო მდებარე სპეციალური სამეც-  
ნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ამერიკელმა მკვლევარებმა რამდენიმე ვაფ-  
რენა მოახდინეს სამხრეთ პოლუსზე, ხოლო  
მანძილი სადგურ ელსუორტიდან სამხრეთ პო-  
ლუსზე მდებარე ამუნდსენ-სკოტის სადგურზე  
გავლით სადგურ ლიტლ-ამერიკამდე ფეხითა და  
თხილამურებით გაიარა ფევერესტის დამპყრობის  
ცნობილი ალპინისტის ედმუნდ ჰილარის ჯგუფ-  
მა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც  
იღამიანმა ფეხით გადაკვეთა სამხრეთი კონტი-  
ნენტი.

ბელგიელმა მეცნიერებმა მნიშვნელოვანი გა-  
მოკვლევები ჩაატარეს კონტინენტის სიღრმეში,  
მაგრამ ვასული წლის დამლევს ბელგიელთა  
ერთ-ერთი მარშრუტი მარცხით დამთავრდა და  
საბჭოთა მფრინავებმა თავგანწირული მოქმე-  
დებით აშკარა დალუპვისაგან იხსნეს ბელგიელ  
მეცნიერთა ჯგუფი.





## ავსტრალიაში

### კაცობრიობის აღსასრული

ავსტრალიაში იღებენ ფანტასტიკურ ამერიკულ ფილმს „პლაუი“. აქ სურათში ნაჩვენებია იქნება აღსასრული კაცობრიობისა, რომელიც ატომური იმისაგან იღუპება, რეჟისორის თანაშემწეა ფრედ ასტერ უმცროსი, ხოლო მამამისი, სახელგანთქმული მოცეკვავე, ფილმში ასრულებს თავის პირველ დრამატულ როლს. ფილმში მონაწილეობენ სხვა ცნობილი ამერიკელი კინოსახიობები — გრეგორი პეკი, ანტონი პერკინსი, ავა გარდნერი, რომლებმაც განაცხადეს, ამ ფილმით ჩვენს წველილი შეგვაქვს ომის საწინააღმდეგო მოძრაობაში და მოვითხოვთ ატომური იარაღის აკრძალვას. ფილმი ნაჩვენებია იქნება მსოფლიოს 25 დედაქალაქში.

## აშშ

### ტენისი უილიამსის ახალი პიესა

ცნობილმა ამერიკელმა დრამატურგმა ტენისი უილიამსმა დაწერა ახალი პიესა „სიკაბუკის ტბილი ფრინველი“, რომელიც ელი კანანის დადგმით ბროდუეის ჩვეულებრივ სენსაციულ იქცა. პირველ სპექტაკლებს, რომლის ბილეთებიც დიიტაცეს, ნახევარ მილიონ დოლარამდე შემოსავალი ჰქონდათ და პოლივულმა 400.000 დოლარად შეისყიდა ამ პიესის

ეკრანიზაციის უფლება. გველენიან კრიტიკოსთა უმრავლესობა აღტაცებით გამოხმაურა სპექტაკლს. პიესაში ავტორი უზრუნველბა თავის საყვარელ თემას — სულიერი ტანჯვისა და სასოწარკვეთილების განმწმენდელ ძალას.

### განახლებული დიდება

ამერიკელი კინემატოგრაფისტებისთვის ყოველად მოულოდნელი სიურპრიზი იყო ის დიდი წარმატება, რომელიც ხვდა ნიუ-იორკში ჩარლი ჩაპლინის ძველ ფილმებს — „ახალი დროება“ და „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“. ამერიკის მრავალმა ქალაქმა მოათხოვა ეს ფილმები, რადგან კინოთეატრების შეპატრონეები მართლაც რომ აშენდებიან. კინოკრიტიკა, თუმცა აღიარებს ჩაპლინის კომედიების ჰუმანურ და მხატვრულ ღირებულებას, მაგრამ მაინც გაცეხასა, რა მიზეზია, რომ ამ 30 წლას წინანდელმა ფილმებმა მიიზიდა ამდენი მაყურებელი, რომელთაც არასოდეს ენახათ ეს ფილმები და მხოლოდ ყურმოკვრით გაეგონათ ეკრანის ამ დიდი ხელოვნების სახელი. ზოგი კრიტიკოსის აზრით ამის მიზეზია არა მარტო ჩაპლინის სურათების მაღალმხატვრულობა, არამედ, უმთავრესად, თანამედროვე ამერიკული კინოარტულიცია და ტელეხედვის დაბალი დონე.

მარტ ტენისის დასაცავად ამას წინათ გამოვიდა ცნობილი ამერიკელი ლიტერატურის-

მცოდნის ფილინ ფოუნერის ნაშრომი, სადაც ავტორი პროგრესული პოზიციებიდან ედავება იმათ, ვინც ცდილობს მიაფურქნოს სოციალური კრიტიკა მარკ ტვენის ნაწარმოებებში და ვინც უარყოფს მისი იუმორის ტენდენციურ ხასიათს. დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე ფოუნერის მეორე წიგნს — „ჯეკ ლონდონი — ამერიკელი მეამბოხე“.

### დარიშხარის წერილები

პენსილვანიის უნივერსიტეტმა 3 ტომად გამოსცა ცნობილი ამერიკელი მწერლის თეოდორ დრაიზერის 600-დე წერილი. უახლესი ეპოქის (1871—1945) ერთ-ერთი გამოჩენილი ამერიკელი პროზაიკოსის მიმოწერა თვალსაჩინოს ხდის ამერიკელ კულტურის მოღვაწეთა ბრძოლას სოციალური პროგრესისათვის.

### ვინ უფრო სწრაფად

#### ლაპარაკობს

ფილადელფიის ერთ-ერთმა სტატისტიკურმა დაწესებულებამ გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა მიხედვით მსოფლიოში ყველაზე უფრო ჩქარა ლაპარაკობენ ფრანგები — ისინი წუთში 350 მარცვალს წარმოთქვამენ, II ადგილზე არიან იაპონელები (310 მარცვალი), III ადგილზე — იტალიელები (270 მარცვალი). გერმანელებს თურმე წუთში მხოლოდ 250 მარცვლის წარმოთქმა შეუძლიათ. ხოლო ინგლისელებს კიდევ უფრო ცოტა — 200 მარცვალი.



### ბერმანიძე

#### ბერმანიძის დემოკრატიული რესპუბლიკა

##### მსოფლიო გამოფენა

ლაიპციგში ეწყობა საინტერესო გრაფიკული გამოფენა, რომლის თემაა — „შვიდობა მსოფლიოს“ და რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 35 ქვეყნის 400 ხელოვანი. უკვე მიღებულია 300 ნამუშევარი 27 ქვეყნიდან. გამოფენის მონაწილეთა შორის არიან პაბლო პიკასო (საფრანგეთი), ჩარლზ უაიტი (აშშ), ფრანს მანერელი (ბელგია), იონზე ბენტურელი (იტალია), შრი მუჟულ ლეი (ინდოეთი), კარელ სლოვისკი (ჩეხოსლოვაკია), იონიფ ჰეგენბარტი (გდრ), ოტო დიქსი (გფრ) და სხვ. საბჭოთა კავშირში, ჩეხოსლოვაკიაში, მექსიკაში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს კონკურსები გამოფენაზე გასაგზავნი ნამუშევრების შესარჩევად. გამოფენის დახურვის შემდეგ განზარხებულია საუკეთესო ნამუშევრების კრებულად გამოცემა.

#### მარკვეული გალერეის გახსნა

ამას წინათ მეორე მსოფლიო ომის დროს დაზიანებული ბერლინის პერგამონის მუზეუმის რეკონსტრუქციის მერე საზიემო ვითარებაში გაიხსნა ბერლინის ეროვნული გალერეა. გალერეა გახსნა მუზეუმის სახელმწიფო გენერალურმა დირექტორმა, ნაციონალური პრემიის ლაურეატმა, დოქტორმა მაიერმა.

გალერეის ექსპონატები მნიშვნელოვანად გამდიდრდა შარშან, როცა გადაეცათ საბჭოთა არმიის მიერ 1945 წელს გადაარჩენილი ხელოვნების ნაწარმოებები.

გალერეს მრავალ განყოფილებაში ქრონოლოგიურადაა წარმოდგენილი კაცობრიობის კულტურის მჭირფასი საგანძუ-

რი. პირველი სართულის წინა დარბაზში გამოფენილია ქანდაკება (შადოვი, კანოვა, ბეგასი, ჰილდებრანდი, კლინგერი). სხვა დარბაზებში თავმოყრილია ფერწერის, მლასტიკისა და გრაფიკის შეხანიშნავი ნაწარმოებები (გოია, გრაფი, ტანშაინი, ტორვალდსენი, რაუხი, ვოლფი და ტიკის კლასიციზმის ხანა). ცალკე ოთახი აქვს დათმობილი კარლ ბლექენის წეტის სურათებს. ამ სართულის ბოლო განყოფილებაში წარმოდგენილია მენცელი, ლაიბლი, ბიოლინი და თომასი, აგრეთვე XIV—XVII ს. ფერწერა.

მეორე სართულის დიდ დარბაზში თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულია ფოიერბახის დიდი ტილო — „ლატონის ნადიმი“, რომელიც საბჭოთა კავშირმა გადასცა. მრავალრიცხოვან კაბინეტებში წარმოდგენილი არიან რომაული სკოლის გერმანელი ხელოვანნი (მანს მარესი, არნოლდ ბიოკლინი, ებერლანინი, ჰილდებრანდი). ამავე სართულზეა წარმოდგენილი ფრანგული ხელოვნება (კურბე, დეუა, როდენი და მიაოლო). ბოლო დარბაზი დათმობილი აქვს ექსპრესიონისტულ ხელოვნებას.

მესამე სართულზე გამოფენილი ნამუშევრები თანამედევრულად ასახავენ ხელოვნების განვითარების ისტორიას ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. დიდი დარბაზი აქვს დათმობილი თანამედროვე გერმანელი მხატვრის, 75 წლის იუბილარის ჰეგენბარტის ნამუშევრებს.

#### „მისია“ ბერლინში

ბენდელის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საზიემო დღეებთან დაკავშირებით მეტროპოლის თეატრში ბერლინის კაელამ ჰელმუტ კობის დირიჟორობით შედარსული ამ დიდი კომპოზიტორის ორატორია „მისია“.

ბენდელის ეს ყველაზე

უფრო პოპულარული ნაწარმოებია „ორატორიათა ორატორია“, საკაცობრიო დოკუმენტს წარმოადგენს — მისი მიზანია გადმოგვცეს არა ადამიანთა ვნებანი, არამედ ადამიანის მიერ ამ ვნებათა დამძლევა. „მისიაში“ მოცემულია მშვიდობის ჰენდელისეული ეპისტოლე, რომელიც გვატყვევებს და გვიპყრობს.

#### კოსმოპირი ფილმი

გერმანელი რეჟისორი იღებს ფილმს „მდუმარე ვარსკვლავი“, რომლის სიუჟეტი იქნება მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფის საბლანეტთაშორისო გაფრენა დედამიწიდან ვენერაზე. სცენარი შექმნილია პოლონელი მეტროლის სტანისლავ ლემის უტოპიური რომანის მიხედვით. ფილმში მონაწილეობენ გერმანელი, პოლონელი, საბჭოთა, ჩეხი და იაპონელი მსახიობები. გადაღებისას გოთვალისწინებული იქნება მეცნიერების ყველა თანამედროვე მიღწევა.

#### ბერმანიის ფემდარაციული რესპუბლიკა

#### „კულტურული თანამშრომლობა“

ამერიკიდან ჩამოიტანეს ხანგრძლივდამკვირვებელი გრამფირფიტები, რომელთაგან ერთზე ჩაწერილია ნაციონალური სიმღერების კრებული, ხოლო მეორეზე — ჰიტლერის გამოხვლა სიტყვით. უფრო მეტი „მეგობრობათვის“ ამ ფირფიტების ეტიკეტზე დაბატულია სვასტიკა. ასეთი აშკარა პროპაგანდა დიუჟელდორფის სასამართლოსაც კი შეტისმეტად უთაფრად ეჩვენა და აკრძალა ეს ფირფიტები.

#### განუხორციელებელი გეგმა

ქ. ბონენდენისში მდებარეობს სახლი, სადაც გარდაცვალდა ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი რობერტ შუმანი.



განზრახული იყო ამ სახლის რეკონსტრუქცია, სახლმუზეუმის აღდგენა და მუსიკალური ბიბლიოთეკის გახსნა, მაგრამ ეს განზრახვა განუხორციელებელი რჩება, რადგან ბონის საქალაქო მმართველობა უარს ამბობს საამისოდ საჭირო 18.000 გერმანული მარკის გაცემასზე.

### ესპანეთი

#### მთავარ როლში სკორცენი

ესპანეთისა და დასავლეთ გერმანიის კინემატოგრაფისტები იღებენ პროფესიულ ფილმს, რომელშიც ასახული იქნება 1943 წელს იტალიაში მომხდარი ამბები, როცა იტალიელმა ოფიცრებმა დაპატიმრეს ფაშისტი დიქტატორი მუსოლინი. ფილმის მთავარი ღერძი იქნება მუსოლინის გათავისუფლება ესესელ ოტო სკორცენის მიერ, რომელიც ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს როგორც რომელიღაც ტექნიკური ბიუროს მეთაური, და მონაწილეობას მიიღებს ფილმში. როგორც ჩანს, ეს ფილმი შევსებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელ რიგ ნეონაციისტურ ფილმებს, რომლებიც მილიტარიზმისა და ფაშისტური არმიის „დიდების“ პროპაგანდას ეწევიან.

### იაპონია

#### სურნელოვანი საღმშაპი

იაპონიაში დიდი მოწონება აქვს სურნელოვან სასტამპო საღმშაპს. ერთმა გაზეთმა ამას წინა პირველ გვერდზე დაბეჭდა ვარდის სურათი. გაზეთი მთლიანად გაუღენითელი იყო ამ ყვავილის სურნელებით. მოწაფეები ხალხით ყიდულობენ სურნელოვან მელანს, რომელსაც იაპონის ან რომელიმე სხვა ყვავილის სუნი აქვს.

### ინგლისი

#### „ყველაზე გაბედული“

აფ-ს კორესპონდენტი წერს, რომ ინგლისური ფილმი „ყველაზე ზედა ადგილი“ (რეჟისორი ჯეკ კლიტონი, მონაწილეობენ სიმონა სინიორე და ლორენს მარვეი), არის „ყველაზე გაბედული ფილმი, როგორც კი გადაუღია ოდესმე ინგლისის კინემატოგრაფიას“. ამ ფილმს დიდი წარმატება ხვდა კანის წლევანდელ კინოფესტივალზე.

#### დონციტის ოპარა პარანო

განთქმული ინგლისელი მსახიობი ლორენს ოლფივი ეკრანზე იღებს დონციტის ოპარას „ანა ბოლდინი“. მთავარ როლს ასრულებს იტალიის ოპერის თეატრის ლა სკალას ცნობილი მომღერალი ქალი მარია მენეგინი-კალასი.

#### „ჩემი სიკვდილის 5 წლის მერა...“

როგორც ცნობილია, სომერსეტ მოემმა წელს თავისი დაბადების 85 წლისთავი იღებდასაწაულა. ამ ბოლო დროს მან გადაწყვიტა აღარაფერი დაწერა და ჯერჯერობით ასრულებს თავის სიტყვას.

ამას წინათ მან ერთ-ერთ კორესპონდენტს განუცხადა:

„არასოდეს მქონია მისწრაფება ფილოსოფოსობის ან პოლიტიკოსობისკენ. შიში მზარავს. როცა წარმოვადგენ სახელმწიფოს, რომელსაც ჟანპოლ სარტრი ეყოლება სათავეში.“

ჩემი წიგნების 60 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. ძალიან მზიამოვნებს, რომ ჩემს წიგნებს ამდენი ხალხი კითხულობს, ჩემთვის ეს საქმარისია.

60 წლის მანძილზე სული ლიტერატორების წრეში ვტრობილივდი. კარგად მახსოვს, რომ ბევრ მწერალს უკვდავებას უწინასწარმეტყველებდნენ, ახ-

ლა კი ისინი აღარავის ასწავლიდა.

ჩემი საუკეთესო წიგნიც კი გრძელდა. ასე რომ, ჩემი აზრით, მომავალი თაობები მას დიდი ინტერესით არ წაითხოხავენ და თუ წაითხებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმძღვანელოებში იქნება შეტანილი.

ჩემი სიკვდილის 5 წლის მერე ჩემი წიგნები მოძველდება, მოდიდან გავა. მაგრამ ეს ძალიან ნაკლებად მაწუხებს, ვინაიდან არასოდეს ვქმნიდი უკვდავების მოსაპოვებლად.

უკვდავება გაურკვეველი, ზოგადი ტერმინია. აბა ერთი მიზრძანეთ, ვინ კითხულობს ახლა ესწილეს სპეციალისტების გარდა?

ამჟამად ჩემი ყველაზე დიდი სიამოვნება ისაა, რომ ვიკითხო, ვუცქირო ღამსეუ ყვევინებს, ხელოვნების ნიმუშებს და ჩემი ბაღის ყვავილანს.“

#### მონოგრაფია ტეკერის შესახებ

გამოვიდა მეორე ტომი დიდი ინგლისელი მწერლის გორდონ რეი ტეკერის ცხოვრების შესახებ. ამ ტომში—„სიბრძნის წლები“ აწერილია მწერლის ცხოვრება და შემოქმედება მოყოლებული „ამაოების ბაზრობის“ გამოცვლის დროიდან სიკვდილამდე. ტეკერის თავის ანდერძში წერდა — ნუ მოუყვებით ჩემს შესახებ წიგნების წერასო. ამიტომ მისმა ოჯახმა მხოლოდ ახლა, მწერლის სიკვდილის 100 წლის მერე მისვა უფლება ამერიკის ილინოის უნივერსიტეტს დაეწერათ მონოგრაფია და ჩაახვედა საოჯახო არქივის მასალებში. მონოგრაფიის პირველი ტომი „არახელსაყრელი პირობები სასარგებლოა“ — გამოვიდა 1955 წელს ოქსფორდში

#### დიკენსი პარანო

ინგლისში ეკრანზე იღებენ ჩარლზ დიკენსის ნაწარმოებს — „ორი ქალაქის ამბავი“. მთავარ როლებს ასრულებენ





კნობილი ინგლისელი მხახი-  
ბები დროთი ტიუტინი და  
დირკ ბოგარდო.

### რას უნდა სხამდეს ჯენტლმენი

ამას წინათ ცნობებისთვის  
გამოსცეს კარგი ქვეყნის კოდექსი,  
სადაც, სხვათა შორის, შე-  
ტანილია ნამდვილი ჯენტლმენ-  
ისთვის განკუთვნილი მენიუც.  
„ჩრეულ“ კერძთა შორის საბა-  
ტო ადგილი უჭირავს შვც  
კურს, რადგან თერთა პური ამ  
ბოლო დროს ფრიად ხელმისა-  
წვდომი შეიქნა და მისი ჭამა  
უკეთესა შეუძლიაო; მუყაე  
ცომი ნამცხვრის მაგივრად,  
რადგან ეს უკანასკნელი  
ძალზე ჩვეულებრივ რამედაა  
ადიარებული; მერე დასახლდ-  
ბულია შავი ყავა უშაქროდ  
და ურძყოდ, ხოლო ვინც და-  
შაქრულ ყავას რძით შექცევს,  
მეშინადაა მონათლული. ჩაი  
აუცილებლად ჩინური უნდა  
იყოს და კარგი ტონისთვის  
ცოტა რძენარევიც. ბიფშტექსი  
აუცილებლად სისხლიანი, ნა-  
ხევრად უში უნდა ჭამოს  
ჯენტლმენმა, გარნირად —  
მწვანილი და სხვა ასეთი რამ.  
არც დედათა სქესია დავიწყ-  
ბული: მათ ურჩევნ, რესტო-  
რანში საღათი და ზეთისხილი  
სჭამეთო. კრებულში, რასაკ-  
ვერველია, არაფერია ნათქვამი  
იმაზე, თუ რა უნდა ჭამონ და  
საერთოდ რა საშუალებით უნ-  
და იყვებოდნენ ინგლისის  
მშრომელი მოსახლეობა და  
უმუშევრები, რომელთა რიცხ-  
ვიც დღითიდღე მატულობს.

### იტალია

#### საუპირობო წლები

ფაშისტური უღელსაგან  
იტალიის გათავისუფლების  
თარიღთან დაკავშირებით იტა-  
ლიის პროგრესული საზოგა-  
დოება იხსენებს, რომ იმ  
დღეებში, როცა მილანის პატ-  
როიტული ორგანიზაცია ანტი-  
ფაშისტებს გადააწყვეტი  
ბრძოლისკენ მოუწოდებდა, კი-

ნოკამერებით აღპურვილი კი-  
ნოპერატორები ქუჩებსა და  
მოედნებზე სახალხო ამბოხე-  
ბის ეპიზოდებს იღებდნენ. რო-  
მის ეკარნაზე მიდიოდა რო-  
ბერტო როსელინის ფილმი —  
„რომი დია ქალაქია“, ხოლო  
ჩრდილოეთით, სადაც ბრძოლა  
ჯერ კიდევ არ მიწყნარებულ-  
ყო, ჯუშუბე დე სანტისი, მარ-  
ჩელი პალიერო, ალბერტო ლა-  
ტუალო და ლუკანო ვისკონტი  
იღებდნენ ეპიზოდებს გამათა-  
ვისუფლებელი მოძრაობის დო-  
კუმენტური ეპოსისათვის —  
„დღეების დღეები“. იტალიის  
კინემატოგრაფია მტაცედ გა-  
ნიმსჭვალა ფაშისტის წინააღმ-  
დეგობის სულსკვეთებით, რი-  
სი წყალობითაც შექმნა კიდევ  
თავისი საუკეთესო შედეგები.

### ახალი ფილმები

იტალიის ეროვნულ-გამათა-  
ვისსუფლებელი ბრძოლის 100  
წლისთავთან დაკავშირებით  
იტალიელი კინომუშაეები იღე-  
ბენ ფართოეკრანიან ფილმს,  
რომელიც მიედგენება უდიდეს-  
სი იტალიელი რევოლუციონე-  
რის ჯუშუბე გარიბადის  
ცხოვრებას. გადაღება იწარ-  
მოებს იმ ადგილებში, სადაც  
მეამბოხებმა გარიბადის მე-  
თაურობით გამარჯვება მოი-  
პოვეს. გეგმის მიხედვით გადა-  
ღებაში მონაწილეობას მიიღე-  
ბენ ვიტორიო დე სიკა, რო-  
ბერტო როსელინი, ფედერიკო  
ფელინი და ლუკინო ვის-  
კონტი.

ფედერიკო ფელინის განწ-  
რახული აქვს გადაიღოს ახალი  
ფილმი „ტკბილი ცხოვრება“,  
რომელიც მონაწილეობას  
მიიღებენ ხუთი ქვეყნის მხა-  
ხოებში, მათ შორის მარად  
ქაბუკი მორის შევალი, მარ-  
ჩელი მასტროიანი, ანიტა ეკ-  
ბერგი, ლუიზა რაინერი, ლილი  
პალმერი და ჰენრი ფონდა.

კარმენე გალონე იღებს  
გრანდიოზულ ისტორიულ  
ფილმს „კარტაგენის აღწე“,  
რისთვისაც იტალიის კინოქა-  
ლაქ „ჩინეიტაში“ უკვე ერთი

წელიწადია დეკორაციონული  
ზადებენ. აგებულა, მაგალი-  
თად, მოლოზის ტაძარი, კართა-  
გენის დღებული სასახლეები,  
საცურაო აუზები და სხვ.  
ფილმში მონაწილეობას მიი-  
ღებს განთქმული ბრანგი კინო-  
მსახობი პიერ ბრასერი, ზმენე  
დალის, რომ ავ ფილმის გადა-  
ღების მერე გალონეს განწრა-  
ხული აქვს ხელი მოჰკიდოს  
მეორე ისტორიულ ფილმს ბა-  
ნელინის ისტორიულად.

იმ მრავალ ფილმთა შორის,  
რომელთა მეოხებითაც იტალი-  
ური კინემატოგრაფია ცდი-  
ლობს თავი დაადლოს მხატვ-  
რულ და ფინანსიურ კრიზისს,  
განწრახულია ფილმის გადაღე-  
ბა სარდუს განთქმული კომე-  
დიის „მაღამ სან-ჟენის“ მიხედ-  
ვით. ფილმს იტალიაში გადა-  
იღებს ამერიკელი კინორეჟი-  
სორი დანიელ მანი. მთავარ  
როლს ჯენა ლოლობრიჯიდა  
შეასრულებს.

იტალიელი მასწავლებელი,  
მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა,  
მოულოდნელად საჩუქრად  
მიიღებს სპილოს. ამ საჩუქრით  
გამოწვეულ სიხარულზე მიმ-  
წიდეველად და თავშესაქცევად  
მოგვითხრობს ფილმი — „მა-  
მარჯვას საჩუქარი“ (ან „გა-  
მარჯობა, სპილო“), რომელსაც  
იღებს ვიტორიო დე სიკა.  
ფილმში მონაწილეობენ თვი-  
თონ დე სიკა და ჩვენთვის  
კარგად ცნობილი პატარა მსა-  
ხობი — ამჟამად უკვე მოწრ-  
დილი საბუ, რომელიც თამა-  
შობდა ფილმებში — „ბაღდა-  
დელი ქურდი“, „სილოების  
გამრეკი ბუქნი“ და „მაუგ-  
ლი“.

„ქალები სატუსალოს ვისოსს  
იქით“ — ასე ეწოდება ფილმს,  
რომელშიც რენატო კასტელანი  
(„ორი გროზი იმერის“ შემ-  
ქმნელი რეჟისორი) გაბედუ-  
ლად და სოციალური პასუხის-  
მგებლობის გრძობით გვახე-  
დებს რომის ქალთა სატუსა-  
ლოს კედლებს შიგნით. ფილ-  
მის სიუჟეტი ასეთია: აპატიმ-  
რებენ გულმბრძვილო სოფ-



დელ ქალოშვილს ლინას, რომელსაც შეცდომით აბრალდებენ ქურდობას. მას ჯერ კიდევ სწამს ადამიანთა სიყეთე. მაგრამ სატუსალოში მის „აღზრდაზე“ ზრუნავს მთავარი მოთხოვნული ქალი — საბოლოოდ ზნედაცემული ეგლეძიან შემწარავი შედეგი გამოიღო. მალე ლინა მეორედ მოხვდება ქალთა სატუსალოში. ახლა ის უკვე სხვა ადამიანია, ცინიკურად ისწრაფვის „დასტკებ“ ცხოვრებით ისე, როგორც ეს ესმოდა ეგლეძის. ლინას როდის ასრულებს ჯულიეტა. მასინა, ბოლო ეგლეძის როლს — ანა მანიანი.

**როსელინის ასალი ფილმი**

იტალიური ნეორეალიზმის ერთ-ერთი შემქმნელი რობერტო როსელინი, რომელმაც მრავალი წელი გაატარა ინდოეთში, კვლავ აპირებს ფილმის გადაღებას თავის სამშობლოში. ამჟამად ის დიეგო ფაბრისა და სერჯიო ამბლესთან ერთად (სცენარისტები ფილმისა „რომი ღია ქალაქია“) წერს სცენარს ახალი ფილმისათვის, რომლის სახელწოდებაც იქნება „გენერალი დელაროვრე“. ფილმში მოქმედება იწარმოებს მილანში, მეორე მსოფლიო ომის დროს.

**ნორვეგია**

**ერთობლივი ფილმი**

ნორვეგია და საბჭოთა კავშირი იღებენ ერთობლივ ფილმს არქტიკის ცნობილი მკვლევარის, ნორვეგიელი მეცნიერის ფრიტოფ ნანსენის შესახებ. სსრკ ტრიტორიისზე წარმოებულ გადაღებებს საბჭოთა კავშირი დააფინანსებს.

**„პერ გიუნტი“ შპრიგოლ**

ნორვეგიელმა რეჟისორმა ანტონ სვენდგენმა ქალაქის თეატრ ოდენსში დადგა იბსენის დრამა „პერ გიუნტი“, ოლონდ სპექტაკლს ედუარდ

გრიგის ტრადიციული მუსიკის ნაცვლად ახლა კომპოზიტორ პარალ სვერდის მუსიკა. პერ გიუნტის როლი წარმატებით შეასრულა ახალგაზრდა მსახიობმა სერენ ელუნგ ინსენმა, სოლვეიგის როლი კი — ჰერდა სვენბენმა. სპექტაკლს დიდი მოწონება ხვდა.

**ბაკისტანი**

**ბუდა კრიკაბს თამაზობდა**

დასავლეთ ინდოეთის კრიკეტის გუნდის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ლხარის მუზეუმში მოიწყო გამოფენა. ამ მუზეუმის ერთ-ერთი ქანდაკება ფაშისაზე ბუდას კრიკეტის თამაშის დროს, მეორე ქანდაკებაში მას ხელთ უჭერია ბურთი და ხელსაწყო, რომელიც კრიკეტის სათამაშო თანამედროვე ჩოვანს წააგავს. მუზეუმის დირექტორმა მნახველთა აღსანიშნავად, როგორც კრიკეტის უკვე 2.000 წელზე მეტია ყველაზე საყვარელ თამაშად ითვლება.

**პოლონეთი**

**კინოს სიასლენი**

ამ ბოლო დროს პოლონეთის ეკრანებზე გამოვიდა ორი ახალი ფილმი — „თავდასხმა“ და „არწივი“. თუმცა ეს ორი ფილმი განსხვავდება ერთმანეთისაგან თემატიკითაც და ჟანრითაც, მაგრამ მსურველებში ერთნაირად დიდი მოწონება დაიმსახურეს.

„თავდასხმაში“ მოქმედება წარმოებს პოლონეთში, გერმანული ოკუპაციის დროს. ფილმი ავგოწერს თავდასხმას, რომელიც მოაწყვეს პოლონელმა იუვარქის ბობოლა მოხელე კუჩერუზე — ვარშავის ამ საბუნდაველ ჯალათზე. ფილმი დოკუმენტური ან თითქმის დოკუმენტურია, ვინაიდან ავტორებს უწინარეს ყოვლისა

სურდათ ეჩვენებინათ დრამატული მდგომარეობა პოლონეთის ქაბუტებისა და ქალთა ცხოვრებისა, რომლებსაც ოკუპაციამ მოუსპო ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა და აიძულა ჩაბმულიყვნენ სახიფათო და მძიმე ბრძოლებში. ფილმის ზოგიერთი ნაგლის მიუხედავად მსურველი აღიღებელი და შეტყუნებული გამოდის დარბაზთან — ის ერთხელ კიდევ განიცდის კუჩერუზე თავდასხმას, თავდასხმელთა გაქცევას, მათ ბრძოლასა და ტრაგიკულ აღსასრულს. ფილმში თამაშობენ მსახიობები ბარბარა კუროვსკაია, ვოიცეხ სემენი, ტადეუს ლომინცი, სტანისლავ მიკულსკი. რეჟისორია ეფი პასენდორფერი.

„არწივი“ — ასე ეწოდება პოლონეთის წყალქვეშა წავს. ფილმი მოგვითხრობს ამ წავის ეკიპაჟის ცხოვრებას. 1939 წელსა. გლანსკი ციხეში იწვი. „არწივი“ ეკიპაჟი მოწვევითილია ბაზას. მაგრამ სულიერად არ ეცემა. წინდახედულსაზრისიან კაპიტანთან ერთად ეკიპაჟი სძლევის საშინელ სიძინელებს და ბრძოლაში ებმება. „არწივი“ ახერხებს ჩაძიროს ჰიტლერელთა გემი „შვირინი“. ფილმის გმირია „არწივის“ მთელი ეკიპაჟი. უბრალო, ჩვეულებრივი შევსავაურები ფილმში ნაჩვენები არიან როგორც ადამიანები, რომელთათვისაც ომი მათი სამშობლოსათვის თავდადებისა და ერთგულების გამოცდა იყო. რეჟისორ ლეონარდ ბურკოვსკის მიერ იანუშ მეთისნერის სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი „არწივი“ უბასუხებს პოლონელი საზოგადოებრიობის მოთხოვნას — ომი-სა და ოკუპაციისაში მიძღვნილი ზოგადი პესიმისტური ფილმის საპირისპიროდ მკაცრსა და ვაჟკაცურ ფილმებში ქება შევასხათ მამაცთა ღვაწლსა და გმირობას.



### თანამედროვე ხელოვნების გალერეა

ვარშავის ეროვნულ მუსეუმთან არსებულმა თანამედროვე ხელოვნების გალერეამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო გამოფენით — „ახალგაზრდა პოლონეთის დღიდან ჩვენს დღემამდე — ნახატი, ესკიზი“. გალერეა მოემსახურება თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეს. გარდა ამისა გალერეა სისტემატურად შეაგროვებს პოლონური და უცხოური ხელოვნების ნაწარმოებებს, აგრეთვე შესაბამის სამეცნიერო ნაშრომებს.

ნახატისა და ესკიზის გამოფენა, რომლითაც გაიხსნა გალერეა, მეტად საინტერესო წამოწყებაა, და პირველ რიგში თვით ექსპოზიციის, თემისა და ნამუშევართა შერჩევის მხრივ. გამოფენა მხატვრულ აოცებს უშუალოდ და სიხალისით, მხატვრისადმი სიახლოვის გრძნობით. გამოფენის ორგანიზატორები ცდილობდნენ საექსპოზიციოდ შერჩიათ უკმაფლო, რაც ტიპური და დამახასიათებელი იყო ამ პერიოდისთვის. გამოფენაზე წარმოდგენილი არიან ახალგაზრდა პოლონეთის ისეთი სახელოვანი წარმომადგენლები, როგორცაა პანკევიჩი, ვალიშევსკი, მაკოვსკი, აგრეთვე ერთ დროს სახელგანთქმული, ახლა კი თითქმის სულ მივიწყებული მხატვრები, როგორცაა, მაგალითად, ლეონ ხეტიცი.

გამოფენა ქრონოლოგიურად მოდის იმ დრომდე, როცა თანამედროვე მხატვრობაში გაჩნდა ახალი მიმართულებანი — ტაშიზმის ჩათვლით. ეს უკანასკნელი პერიოდი წარმოდგენილია იარემიანკისა და კანტორის (პოლონური აბსტრაქციონიზმი), ბოგუშის, ბულოვსკის, ტუშევსკის და სხვათა ნამუშევრებით.

### ჩხოსვი თავდაპირა

ვაჭო „ტრიბუნა ლიუბლუს“ თეატრალური კრიტიკოსი იაკოვ ფრიულინიგი მკაცრად აკრიტიკებს ჩხოსვის „ძია ვანას“ დადგმას, რომელიც ახალგაზრდა „ავანგარდმა“ რეჟისორმა გრატოვსკიმ განახორციელა. დასავლეთის, მეტადრეკი ამერიკელი რეჟისორების წაბძვით, რომლებიც ყოვლად ნაპირდებულად ახდენენ კლასიკოსების „მოღერნიზაციას“ და ბერნარდ შოუს პიესასაც კი მუსიკალურ კომედიასავით დგამენ, კრაკოველმა რეჟისორმა გადწევიტა ჩხოსვის „ახლებურად“ დადგმა: რაც შეიძლება ნაკლები დიალოგები, ჩის სმა და განცდები. მსახიობები პირდაპირ მყურეხელს მიმართავენ, პიესა ძალიან შემცირებულია. ჩხოსვის რეალიზმი სულ თავდაყირაა დაყენებული.

### „ლინინი პოლონეთში“

პოლონეთის ახალგაზრდა კინომრეწველობა წელს მრავალ ქვეყანასთან ერთად იღებს ერთობლივ ფილმებს. მარტო საბჭოთა კავშირთან ერთად განზრახულია სამი ფილმის გადაღება: მოსკოვსა და პოლოგინში (პოლონეთი), სადაც ცხოვრობდა ლენინი პირველ მსოფლიო ომამდე, უკვე იღებენ ფილმს — „ლინინი პოლონეთში“; სწარმოებს მოსამზადებელი სამუშაოები ფილმებისათვის: „მარილის სტეპელი ჭაბუკი“, იგორ ნევერლის რომანის მიხედვით (ამ ფილმში მასურბრელი ნახავს პოლონეთი და საბჭოთა პარტიზანების მხარდამხარ ბრძოლას გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს) და „რადიული ჯვრის კავალიერი“, ჰენრიკ სენკვიევის ისტორიული რომანის მიხედვით.

### ერთი წლის პროდუქციის მიხედვით

მიხედვით წელს პოლონეთში სულ გადაღებული იქნება 29 მხატვრული ფილმი, 90 — სამეცნიერო - პოპულარული,

104 — ქრონიკა (აქედან რეჟისორი ვაწარმოებს სათვისაა სინკოვსკი ნილი), 44 — დოკუმენტური ფილმი-რეპორაჟი, 35 — ნახატი ფილმი; სინქრონიზებული იქნება 20 ფილმი.

### საბარძნეთი

#### პართენონი საფრთხეშია

პართენონის მარმარილოს ფიგურებს მოელის „ქვის ავადმყოფობის“ საფრთხე, რაც გამოწვეულია ახლომანო მდებარე ქარხნების კვამლით. ბერძენმა ქიმიკოსმა ვ. ც. ზისისმა შეიმუშავა მარმარილოს გადარჩენის ეფექტური საშუალება — მისი სანთლით დაფარვა. მაგრამ ზისისმა თავი მოკლა და ახლა ყველა ეს ხანგრძლივი ცდა ხელახლა უნდა დაიწყოს. არსებობს მეორე ხერხიც — ქარხნების მილებზე უნდა დაიდგას მჭვართლსაჭერები, მაგრამ მათი მფლობელები ამის წინააღმდეგნი არიან. აკროპოლისის ბედი მათ უფრო ნაკლებ აინტერესებთ. ვიდრე ის ხარჯები, რომელიც უნდა დაიღონ შევარტლსაჭერების გახალავმელად.

### საფრანგეთი

#### ნეორომანტიზმი

#### ფრანგულ

#### კინემატოგრაფიაში

ცნობილი კინოკრიტიკოსი ჟორჟ სადული აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ფრანგულ კინემატოგრაფიაში, კერძოდ ახალგაზრდა რეჟისორების შემოქმედებაში, თავი იჩინა ახალმა ტენდენციებმა — ისინი შორდებიან ნეორეალიზმს და ნეორომანტიზმისკენ იხრებიან. ჯერჯერობით გაურკვეველია რა ძალისაა ამ ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი ტალანტი — ძნელი გამოვლენიანია, გაქცევიან ცხოვრებას თუ შეეცდებიან ჩასწვდენენ მის პოვნას; ძნელია იმის თქმაც, გამოიჩნდებათ თუ არა ისეთი ძალის შემოქმედებები.



მედებითი გაბედულება, როგორც იყო იტალიური „ნეორეალიზმის მამების“ ვიტორიო დე სიკას, ჩეზარე ძავატინის და სხვათა ნოვატორობა.

**მნახველებს ავრთხილავს**

ფრანგი კინორეჟისორი ალენ რენე, რომელმაც სახელი გაითქვა საკონცენტრაციო ბანაკების ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური ფილმით — „ღამე და ბურუსი“, ახლა იაპონელ კინემატოგრაფისტებთან ერთად იღებს მხატვრულ ფილმს „მის არაფერი უნაბავს“. ეს ფილმი მნახველს ავრთხილებს: აი რა საფრთხეების ქვეყნებებს, თუ ატომური ომი მოხდაო.

**„მოლაპარაკე ენციკლოპედია“**

პარიზის ფირმამ აშეტმა გამოუშვა „მოლაპარაკე ენციკლოპედია“ — ესაა 250 გრამფირფიტების სერია. ამ უნიკალური მოლაპარაკე ლექსიკონში მოთავსებული სტატიები ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ა. შ. საკითხებზე მოამზადებს ცნობილმა ფრანგმა მეცნიერებმა, მსახიობებმა, მწერლებმა და სხვ. ესაა საფრანგეთში ცოდნის გავრცელებისა და პოპულარიზაციის ცდა.

**ბავშვებმა მიანიჭეს**

დიდი ჯილდო საბავშვო ლიტერატურაში მიენიჭა სიმონ დიუმონს ნაწარმოებისათვის — „ფრანის კომანიონები“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ შიური შედგებოდა 10—14 წლის 11 ბიჭისაგან, რომლებმაც ერთსულოვნად მიანიჭეს ეს ჯილდო.

**არც მართი წინააღმდეგობი**

1959 წლის „ერთსულოვნების ჯილდო“ ლიტერატურაში შიურის მიანიჭა ცნობილ ფრანგ მწერალს მკა-ორლანს. ამ ჯილდოს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ კანდიდატს დადებითი ხმა უნდა მისცეს შიურის ყველა წევრმა

(სხვა ჯილდოების გაცემისას საკითხი ხმების უმრავლესობით წყდება). შიურის 19 წევრიდან ერთიც რომ იყოს წინააღმდეგი, ჯილდო არ გაცემა.

**ახალი ფილმები**

ცნობილმა ფრანგმა პროგრესულმა მწერალმა, გონკურის პრემიის ლაურეატმა როჟე ვიონამ სიელი წელიწადი გაატარა სიცილის სოფელში, გააცნო იქაური მოსახლეობის ცხოვრებას და დაწერა რომანი — „კანი“ (ავ პატარა სოფელში კანონს ეძახიან ბანქოს ახარტულ თამაშს, რომელშიაც შეიძლება წააგონ არა მარტო ფული, არამედ ღირსება, თავისუფლება და სიცოცხლე). ამ რომანის მიხედვით კინორეჟისორმა თეოდოსენმა გადაიღო ფილმი, რომელშიც მთავარ როლს ასრულებენ სახელგანთქმული მსახიობები — ჯინა ლოლორი-ჯილა, ივ მონტანი, პიერ ბრასერი, მარჩელო მასტროიანი და სხვ.

ჟერარ ფილიპი და ჟან სერვე გაემგზავრნენ მექსიკაში, სადაც გადაიღებენ ფილმს — „ტემპერატურა მაღლა იწევს“, კახილინის რომანის მიხედვით. ამ ამაღლებებელ კინორამაში მოქმედება წარმოებს სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ უნძულზე მომხდარი რევოლუციის დროს.

ჟან შორესის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ფრანგი კინომწეები აშაღებენ დოკუმენტურ ფილმს, რომელშიც მოქმედება მეტწილად საფრანგეთის პარლამენტში იწარმოებს.

კინორეჟისორი ჟან პოლ ლე შანუა აშაღებს ფილმს ვოლტერის სახელგანთქმული რომანის „კანდიდის“ მიხედვით. კანდიდის როლში რეჟისორს უნდა ათამაშოს ცნობილი საბჭოთა კლოუნი ოლეგ პოპოვი, ხოლო მსახურის როლს ვიტორიო დე სიკა შეასრულებს.

კვლავ იღებენ ფილმს „მელსაც საფუძვლად დაუდგას“. დიუმონს რომანი — „ქალი კამელიებით“. ამჯერად საინტერესო იქნება ის, რომ ფილმში მოქმედება წარმოებს 1959 წელს, და თანამედროვე კოკტები ნიღაბს ხლიან ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. მთავარ როლს ფრანსუაზა არნული შეასრულებს.

კინორეჟისორმა ივ ალტარიმ ეკრანზე გადაიტანა კომპოზიტორ ერევს პოპულარული ოპერეტა — „მადმუაჟელ ნიტუში“. ორლანდის, რომელიც იმავ დროს არის ოპერეტის ავტორი ფლოროლორი, თამაშობს ცნობილი ფრანგი კომიკოსი ფერნანდელი. ფერნანდელი პირველად თამაშობს ფერად ფილმში.

„კანონი კანონია“ — ასე ეწოდება კინორეჟისორ კრისტიან ჟაკის უკანასკნელ ფილმს. ამ რეჟისორმა გადაიღო შესანიშნავი ფილმები: „ფანფან ტულუზან“, „ყველა ქვეყნის პაბუკები რომ...“, „პარმის სავანე“. ამჯერად მან გადაწყვიტა განსაკუთრებული მოთხოვნებისა და გემოვნებისთვის დაეთმო. მისი ახალი კინოკომედია სავსეა ტრიუკებით, რომლებიც ხშირად ახსურდამდეც კი მიდის. ფილმი ჩაწარდნას გადაურჩა ორი ფარჩინელი კომიკოსის — ფრანგი ფერნანდელისა და იტალიელი ტოტოს ბრწყინვალე ოსტატობის წყალობით, თუმცა მინც ვერ ასცილდა კომერციულ დონეს.

**ჟან ბაბენის ახალი რომლი**

გამოჩენილმა ფრანგმა კინოსახიობმა ჟან ბაბენმა, რომელიც ათეული წლებია თავისი ხელოვნებით ნიბლავს მკურებელს, კიდევ ერთი საუცხოო როლი შექმნა ფილმში „კლონ-სარი“. კლონსარი — პარიზელი მაწანწალაა, მიაშობი, გულყვითილი და გულწრფელი. ეს როლი წააგავს პიერ ბრასერის



მეორე შესრულებულ უთუთოს რიგის ფილმიდან „პორტ დე ლილი“.

გამომგონებლები არიან რეჟისორი ა. რადოკი და მხატვარი ი. სვობოდა.

ტომბერში და აღმართვადგებ 1959 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავთან დაკავშირებით.

### ჩეხოსლოვაკია

### „მოქალაქე ბრინი“

#### ახალგაზრდული კინოვიპტორინა

კინორეჟისორმა ვარამ გადაიღო ფილმი ჩეხოსლოვაკი მწერლის იან ოჩენაშვილის რომანის „მოქალაქე ბრინის“ მიხედვით, რომელიც ასახავს ჩეხი ინტელიგენტის გარდაქმნას ახალი სოციალისტური სინამდვილის გავლენით. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ კარელ ხეგერი და ელასტა ფიშალოვა, რომელსაც საბჭოთა მაცურებელი იცნობს ფილმიდან „ველური ბარა“.

ახალგაზრდულმა გაზეთმა „სენეაში“ მოაწყო კინოვიპტორინა. მან თავის მკითხველებს დაუგზავნა კინოკითხვები: საბჭოთა და ჩეხური ფილმებიდან რომელს თვლით საუკეთესოდ და რომელი მსახიობი გირჩევნითო.

### „თომას მანი და რუსეთი“

ჩეხი მსახიობებიდან ყველაზე მეტი მოწონება დამსახურებს კარელ ჰოგერმა და იანა ბრეხოვამ, ჩეხური ფილმებიდან საუკეთესოდ იქნა აღიარებული — „რადვან ჩვენ გვიყვარს“.

ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიამ ახლახან გამოსცა ალვის ჰოფმანის შტადლ საუურადღებო წიგნი „თომას მანი და რუსეთი“. ავტორი თავის ნაშრომში ეხება რუსული კლასიკური ლიტერატურის გავლენას თ. მანის ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და ესთეტიკურ შეხედულებებზე; აქვეა აღნიშნული ისიც, რომ თ. მანის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ შეამწადა და განაპირობა რუსული ლიტერატურის, განსაკუთრებით კი ტოლსტოისა და დოსტოევსკის გავლენა.

საბჭოთა მსახიობებიდან ყველაზე მეტი ხმები მიიღეს ოლგე სტრეინოვა და იზოლდა იზვიციაკოვა, საუკეთესო ფილმად მიჩნეული იქნა „მიფრინავენ წეროები“.

### ჩინეთი

#### ახალი თეატრალური ფორმა

#### კინემატოგრაფიის აღმავლობისათვის

პარდის ეროვნულ თეატრთან შეიქმნა თეატრალური ხელოვნების ახალი სახის საცდელი სტუდია, ე. წ. „ლატერნა მაგიკა“, რომელმაც ბრეისელში, მსოფლიო გამოფენაზე, დიდი პრემია მიიღო. „ლატერნა მაგიკა“ წარმოადგენს თეატრისა და კინოს სინთეზს, ამასთან იმდროს, როცა სცენაზე მოქმედება მიმდინარეობს, კინოფილმს აჩვენებენ სხვადასხვანაირად მოწყობილ რამდენიმე ეკრანზე, რაც მყურებელზე წეშოქმედების უჩვეულოდ დიდ შესაძლებლობას იძლევა. ხელოვნების ამ ახალი ფორმის

პეკინის ჩრდილოეთით საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით შენდება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალი კინოსტუდია, რომლის მშენებლობა დაიწყო 1958 წლის ოქ-

ტომბერში და აღმართვადგებ 1959 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 10 წლისთავთან დაკავშირებით. მთავარ შენობაში, რომლის სიგრძეა 200 მეტრი, მოთავსებული იქნება ფართოტერასიანი და პანორამული ფილმების საჩვენებელი დარბაზები; გარდა ამისა შენდება 7 პავილიონი — თითოეული ოთხსართულიანი სახლის სიმაღლისა. აქ მოთავსებული იქნება სხვადასხვა ატრიუმები: განმავანების, დეკორაციის, კომპინირებული გადაღებისა და სხვ; განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილები, სადაც იწარმოებს ნატურალური ვადაღებები. უზრმაზარ ტერიტორიაზე გაშენდება ხელოვნური ტბები, მდინარეები, მთები, უდაბნოები და სხვ; აქვე მოთავსდება მ. მ. სიგარძის ვიტრინა სხვადასხვა მინიატურული დეკორაციებით.

ახალ კინოსტუდიას 1300-ზე მეტი მსახიობი, რეჟისორი, ოპერატორი და კინოს სხვა მუშაკები მოემსახურება. კინოსტუდია ერთი წლის განმავლობაში გამოუშვებს 24 სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმს, მათ შორის ფერად და ფართოეკრანიან ფილმებსაც.

### „გაზაფხული დედაქალაქში“

ჩინური მხატვრობის ტრადიციულ უკველწლიურ გამოფენაზე პეკინში მწახველთა განსაკუთრებული ყურადღებას იმყრობს ექვსი მხატვრის ერთობლივი ნამუშევარი — „გაზაფხული დედაქალაქში“. 46 მსიგარძის ტილოზე შესრულებული ნახატი გამოფენის პეკინის ყველდღიური ცხოვრების სურათს.



#### შეცდომების გაწორება

ეურნალის ამ ნომრის 52-ე გვერდზე ზემოდან მეათე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „მკლასს რომ გასცდნენ, ალიათთან გამოჩნდა კასპიის ზღვა“. შემდეგ როგორც ტექსტშია. 72-ე გვერდზე ნაცლად სიტყვებისა „ბლუმში“, „ბლუმები“ ყველგან უნდა იკითხებოდეს „ბლუმში“, „ბლუმები“. შეცდომები გააპრულია რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

ფან 6 855.

6. 50/197



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„**ДИСКАР**“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО  
ГРУЗИНСКОЙ ССР

«**საბჭოთა საქართველო**»